

ପ୍ରେସ୍‌ର  
ପ୍ରକାଶକ  
ଏକାଡେମୀ  
ଲୋକପାଳିକା  
ପ୍ରକାଶନ

୩୦୩୬୦୯

ପ୍ରକାଶନକାରୀ

მელი ქართული  
აგიოგრაფიული  
ლიტერატურის მეცნიერი

V

W

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР  
ИНСТИТУТ РУКОПИСЕЙ ИМЕНИ К. КЕКЕЛИДЗЕ



ინსტიტუტი  
მეცნიერება

# ПАМЯТНИКИ ДРЕВНЕГРУЗИНСКОЙ АГИОГРАФИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ

КНИГА V

Текст к изданию подготовили, исследованием  
словарем и указателями снабдили

Э. П. Габидзашвили и М. Н. Кавтария

Редактор М. А. Шанидзе

ТБИЛИСИ  
«МЕЦНИЕРЕБА»  
1989

საქართველოს სსრ მიცნობილებათა აკადემია

ქ. კოდოლიძის სახლობის ჩაღვაზისთა ისტორიული



# ქველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები

წიგნი V

დასაბუჭილი მომზადეს, გამოკვლევა, მიმღებლებია,  
ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს.

ენციკლიკა გაგიძაშვილია და მიხეილ ქავთარიაშ

რედაქტორი მზე ქალა შანიკე

სკოპ-2000  
გეორგიევის ულია

თბილისი  
„მიცნობილება“

1989

833

**499.9621 + 899.9621.09**

493

shangri la

„ქართული ოკიოგრაფიული ძეგლების“ V წიგნში ქვეყნება XVIII ს. ქართული ორიგინალური ჰავიოგრაფიული თხზულებათი, რომელთაგან ერთი გრი-  
გოლ ვახაძიშვილს (დოდორქელი) ეკუთვნის, ხოლო ხეთი ბესარიონ ორბეგლი-  
შვილს. დანართში შეტანილი გაბრიელ მცირის და სპარილონ გრიელშვილს  
თხზულებენ. წინამდებარე წიგნში შესულ ჰავიოგრაფიულ თხზულებთა გამოსა-  
ცემად მომზადებულ ტექსტებს ერთვის სამეცნიერო აღარიტა: გამოკვლევა  
XVIII ს. ქართული ორიგინალური ჰავიოგრაფიის შესახებ, ბიბლიოგრაფია „ძეგ-  
ლი ქართული ოკიოგრაფიული ძეგლების“ I—VI ტომებში შესულ თხზულებათი  
შესახებ, ლექსიკონი, საბიბლიუმი.


ანიშნული მასალის გამოყენებას დღით მისცენებოდა აქვთ ჭარული ენი-  
სა და ლიტერატურის ისტორიის საკითხების შესასწავლად.

କୁଣ୍ଡାମିଳ୍ଲଦ୍ଵାରୀ ପିଙ୍ଗନିତ ମହାକର୍ତ୍ତଦ୍ଵାରା ଜ୍ଞାନକ୍ଷେତ୍ରରେ ମୋହନିକୁଳରେ ଉଚ୍ଚମ୍ଭାବରେ ଉଚ୍ଚମ୍ଭାବରେ

გმირუმელ ტექსტებში გვიანი ფურდალური ხანის მკლევარი ბეკრ საკრეატულოს მასალას იპოვის მხატვრული აზროვნების, ენის და ისტორიულ-პლატიფრა საკითხების შესწავლისათვის.

ରୁପ୍ରେଣ୍ଟିର୍ଯ୍ୟବୀଳ ଫାନ୍ଦିଲ୍ ମେଡି କାନ୍ଦିଲାର୍ଯ୍ୟବୀଳ  
୧- ଗୋପନୀଶ୍ଵରିଲ୍  
୨- ଉତ୍ତରାଜ୍ୟିବୀଳ

K 206-552  
3



4603010201  
d \_\_\_\_\_ რეს. 89 © გამოშეტლობა „შეცნოერება“, 1989  
M 607 (06)–89

ISBN 5-520-00573-7

## გრიგოლ ვახვახიშვილი (დოდონევალი)

ზამებად უოვლად დიდებულისა მოწამისა დედოფლისა  
ქითევანისა, რომელი იზამა სპარსთა მეფისა შაჰიბაზ?  
უსჯულოსა მიერ ჩალაპსა უძრავისას\*

საქმისა რამსე კეთილსა დამწყებელსა გონებამცა კეთილი  
უქმს და ფრიადითა სიბრძნითა ოლსავსე, რამთა, რაჟამს შემოიკ-  
რიბნეს გონებანი მათნი გულისქმის-ყოფად წიგნთა მათ ღმრთივ-  
სულიერთა და მის მიერ აღმოიცსოს, მსგავსად მდინარისა, თაფლ-  
მწოლვარენი სიტყუანი მათნი და მორწყოს პირი ყოვლისა ქუე-  
ყანისა. რამეთუ, აპა ესერა, მეგულების შესლვად შეუვალთა მათ  
და შეკადრებად შეუკადრებელისა მის ჩემ მიერ ძნიად მისაწოომე-  
ლისა საქმისა კელყოფად, პირელად ვეველები ღმერთისა, დამბა-  
დებელსა ჩემსა, რამთა აღმისრულოს საველრებელი ესე ჩემი და  
მომცეს მე გონებად გულისქმის-ყოფისა და ენა<sup>3</sup> წესიერად მეტყვე-  
ლებისა, რამთა შეუძლო წინამდებარესა ამის სიტყუასა აღწერად  
და ჭადაგებად საკურველებით ქმნულსა<sup>4</sup> მას საქმესა წინაშე ყო-  
ველთასა და ნესტერსაგბრე<sup>5</sup> ვოხრიდე ყურსა სმენის-მოყუარეთასა,  
რამეთუ არიან საქმენი ესე დიდ<sup>6</sup> და მაღალ და დიდთა მიერ აღსა-  
წერელ, ხოლო სიტყუანი ჩემნი კნინ და შეურაცხ. არამედ არა ვი-  
ნებე, რამთამცა არა აღვსწერ[6] ღუაწლნი მოღუაწებათა ნეტარისა  
დედოფლისა ქეთავანისნი<sup>7</sup>, რამეთუ მაიძულეს მც კაცთა ვიეთმე  
ღმრთისმოყუარეთა აღწერად საქმისა ამის, რამთა არა დავიწყებასა  
მიცემულ იყო<sup>10</sup> ცხორებად ესე ყოვლად სანატრელისამ, რამეთუ ყო-  
ველნი წმიდანი ღმრთისნი, აღმოსავალისა-დასავალისანი, თვა-  
თვსთა ქუეყანათა და სოფელთა იღუწიან და შემწე და მეოხ არიან  
მათთვეს და ყოველთათვეს წინაშე ღმრთისა, არამედ უმეტესად  
თვსთათვეს შუამდგომელ არიან ღმრთისა მიმართ საქმეთა მათთა  
წარმართებისათვეს.

\* ხელნაწერები: A:A—130 (1705—1713 წწ.), B:S—3269 (1720-იანი წლ.)  
(C: A-170 (1733 წ.).

<sup>1</sup> ქეთევისა C. 2 შაბაზ A, შაბაზ B. 3 ენის B. 4 ქანილსა C. 5 ნეტერსა-  
გბრ C. 6. ობრიდეს C. 7. სმენის მოყუარეთა AC. 8 დადი A. 9 ქეთევანისნი C.  
10 ფის C.



ხოლო ჩუენცა, რომელი ესე წლით-წლად შესხმის ტრაქიში  
ხავალბელსა და დღესასწაულსა შეენიერსა შეემზადებთ კეთი-  
ლად მძლესა და ყოვლად სანატრელსა დღიოფალსა, ეგვიპთარივე  
სტუიდელი მოქიდოთ მის მიერ, ეითარცა სხუათამათ, და უფრო-  
5 სადცა იღუაშოს ჩუენთვს და ქუეყანათა თვისთათვს, რამეთუ ვართ  
მკადრი იძერთა მისთანი და მსახურეულნი ძეთა მისთანი.

ხოლო ესე სამგზის სანატრელი მოწმე ქრისტესი დღიოფალი  
ქეთავენს! ოღმოცენა ნათესავთაგან ცხებულთა, ქუეყანასა მას  
115 მუხრანისასა, კაცთაგან მორწმუნეთა და ღმრთისმოყვარეთა, დიდთა  
10 და დიდებულთა და სპასპეტთა ქუეყანასა მას ქართლისასა და ალი-  
ზარდა კეთილთა მშობელთაგან, ვითარცა შუენოდა სიკეთესა მათ-  
სა, სწავლითა ღმრთისმსახურებისათა და დღითი-დღე წარემატებო-  
და ჰასაკითა და აღიზრდებოდა, ვითარცა შეილი<sup>2</sup> იგი მამისა ზეცა-  
15 თასა. იყო ესე ნეტარი ხილვითა ხატისათა ფრიად შეენიერ და  
ბრწყინვიდა პირი მისი, ვითარცა მზე, და პატროვნებამ მისი დაპ-  
ფრივიდა პირსა ყოვლისა ქუეყანისასა.

და ოდეს-იგი იქმნა ათორმეტისა წლისა და მოიწია ჰამაკაპ  
ქორწინებისა, მიეცა იგი მამისა მიერ-თუსისა კახთა მეფისა ძესა,  
20 გუარტომობით პანკრატიონსა, კაცსა მორწმუნესა და ღმრთისმო-  
ყვარესა, ახოვანსა და ყოვლითა კეთილთა ზნესრულიანსა, ძესა  
მეფისა ალექსანდრესა დავითს. და ვითარცა შუენოდა სიკეთესა  
და მეუფობასა<sup>3</sup> მათსა, ეგვიპთარიცა<sup>4</sup> ქორწინებამ აღასრულნეს,  
25 რმეთუ ესეცა, წინაშე ღმრთისა არა უფერო ირს ქორწინებამცა,  
ვითარცა იტყვს პავლე მოციქული, რმეთუ „რომელმან იქორწი-  
ნოს თვისი იგი ქალწულებია, კეთილად ჰყოფს, და თუ იქორწინოს  
ჟალწულმან, არა სკოლოსო“. ვითარცა იყო წესი სიძე-სძლობი-  
სა, ესეგვითარიცა აღასრულნეს ქამნი ცხოვრებისა თვისისანი და გა-  
30 მოიხუნეს კეთილნი ნაყოფნი ყოვლად შეენიერნი და ისხნეს ძეებ  
და სულებ და წარგლენს ყოველნი დღენი ცხორებისა მათისანი  
შეებით და განცხრომით და ღმრთისა მიმართ სანიკებათა აღ-  
სრულებითა. ამას თანა გარდახდეს ქამნი რაოდეს[ც]იმე და თვთ  
35 კელმწიფე მეფე ალექსანდრე დიდსა სიძერესა მიწევნულ იქმნა და  
უძლურებისათვს და სიძერისა თვისისა ცერიარა ვანაგებდა კუერ-  
ოსსა მეფობისა თვისისასა. და იყვნეს სამეუფონი<sup>5</sup> მათნი დიდსა ურ-  
ვასა და მწუხარებასა შინა, თავადნი, აზნაურნი და ყოველნი ერნი  
მათნი.

<sup>1</sup> ქეთევან C. <sup>2</sup> შვლი AB. <sup>3</sup> მეფობასა B. <sup>4</sup> ეგრევითარცა C.

<sup>5</sup> სამეფონი BC.

ამას ყოველსა თანა მოადგეს ტეატრის, ძესა მისია, ყოველნი ქუ  
ერნი და პრეზენტის მას სიტყვათა ესეებითარითა, რამეთუ: „ჩენ აქა  
მომდე მონანი ვიყვენით მამისა შენისანი და მორჩილნი ბრძანებათა  
და აღმასრულებელნი მცნებათა მისთანი. აშ ესერა, იგი სიბერესა  
დიდისა მიწევნულ არს და ორლარა უძლავს მოვლაა ჩუენი, ხოლო  
ჩუენ რაა! გვკოთ, რამეთუ ვარ უგამევეონი. აპა ესერა, ძალ-ვიც,  
ალდეგ და შე/მეწიენ და დააბყარ მეფობაა ჩუენი და მის წილ  
განაგე კუერთხი მეფობისა მისია, რამეთუ ფრიად ურვეულ ვართ“.

შეუძნდა ესე დაიითს და მეუღლესა მათსა ნეტარსა ქეთავანს<sup>2</sup>.  
და არა ენებათ, რათამცა ცხოვრებასა მამისა მათისასა თუთ მეფე  
ქმნილიყო სამეფოსა მათსა, და ესრეთ პრეზე მათ: „არა ჯერ არს  
ჩემდა, რათამცა წინააღმდეგ მამისა ჩემსა და მიუხუნეა პატივინი  
მეფობისა მისისანი“. და არა ენება საქმისა ამის კელუოფად და კუ-  
ალად თავადთა მათ აიძულეს და ეგვეოთარივე სიტყუად მოაჭირეს  
და ძლითლა საღმე დაარწმუნეს საქმისა ამის აღსრულებად. და  
წარვიდა მამისა თვისისა თანა და თაყუანისცემით შენდობასა ითხოვ-  
და მისგან. ხოლო მამა მისი ჰედფიდა<sup>3</sup> რა ესევითარსა მოკრძალვასა,  
მანცა ნება სცა გულითა არა კეშმარიტითა.

და შემდგომად ამისა დაიპყრა ჭუეყანად ესე კახეთისა და კუ-  
თილად განავო ცხოვრებას თვისსა, რამეთუ თუთ დედოფალი ქეთა-  
ვანზ იქმოდა, ვითარმცა შეენოდა, ყოველსა კეთილისა საქმესა: ეკ-  
ლესიათა შენებასა, ობოლთა შეწყნარებასა და ქურივთა ნუეგში-  
ნისცემისა და გლახავთა და დავრდომილთა კელის-აბყრობასა და  
თუთ პატივითა სამეუფოთა იყოფოდა და ამას ზედა გარდაპდეს  
დღენი მრავალნი და თუთ დავით მეფე დასნეულდა სნეულებითა<sup>4</sup>  
სასიკედინოთა და გარდაიცვალა ამიერ სოფლით და თანანადებნი  
ბუნებისა ჩუენისა საქმენი აღესრულენეს მას ზედა, რომელ არს სი-  
კულილი.

და ვინამოგან უჯერო იყო მამისა წინააღმდებარება, ღმერთმანცა  
არღარაზ დრო-სცა განვრმობად დღეთა მისთა: რაა კოქუა დღისა  
მისითს და ემამისა<sup>5</sup> ვითარნი გოდებანი და ტირილნი აღესრულებო-  
დეს ემასა მას, თვთოეულად<sup>6</sup> წარმოთქმა მათი შეუძლებელ არს ჩუენ  
მიერ. და თუთ ესე ნეტარი დედოფალი ქეთავან<sup>10</sup>, ვითარცა იყო წე-  
სი გლოვისა, აღსრულებდა და კეთილად მიითუალვიდა ქურიობა-  
სა მათსა წესისა მისებრ, რომელ-იგი წმიდასა სახარებასა შინა წე-

1 ჩამე B. 2 ქეთევანს C. 3 მიუხენ AB. 4 ხედვიდა AC.

5 ვარევითა+მით C. 6 სამეფოთა B.

7 სნეულობათა C. 8 არა B. 9 თვთოეულად C. 10 ქეთევან C.

- რილ არს: ანა, რომელი იგი ცხორებულ იყო ქმრისა თვესისა თანა  
შეიღწელ სიქალწულითგან თვისით, რამეთუ მსგავსად მისსა სიმართ-  
ლით და ღმრთისმსახურებით აღასრულებდა საქმეთა ქურიობისათა,  
არღარა შეულლებითა სხვათათა, არცა მიღევნებითა აშის სოფლისათა,  
116 5 არამედ სიმშვიდითა, /სიმდაბლითა და ღამე ყოველ ჸელგანპყრობით  
ლოცვითა და ცრემლითა მჯურვალითა უძილად გარდასლვითა!.
- რამეთუ შეაქსოვა<sup>2</sup> თავი თვისი კითხვასა და წურითასა საღმრთო-  
თა წერილთასა და მსოფლიონი განცხომანი ყოველნი მოიძაგნა  
და სრულიად დაივიწყნა, /და ჰყვა მას ძე უსრული ჰისაკითა ყოვლად  
10 შუენიერი და მსგავსი ანგელოზისა, სახელით თეიმურაზ<sup>3</sup>, და მსოფ-  
ლიოსა<sup>4</sup> ამის განსაცდელისამიერსა ურვასა და მწუხარებასა იქარ-  
ვებდა მის მიერ.
- ამას ყოველსა თანა არა ინება ეშმაკმან განსაცდელი დაცხრო-  
მად მის ზედა, არამედ დასძინა კუალად განსაცდელნი უმწარესნი  
15 პირველთასა და მისტაცა პაპამან თვსმან ჸელთაგან მისთა ყრმა  
ჩული ჰისაკითა თეიმურაზ<sup>5</sup> და ძლუნად წარუგზავნა მეფესა სპარს-  
თასა. რაღა<sup>6</sup> ვთქუა მისთვე, რაოდენმან მწუხარებამან მოიცავა სა-  
ნატრელი დედად იგი მისი, რამეთუ არღარა ჰყვა მას ნუგიშინ —  
საცემელი სიხარულისა.
- 20 და მოთმინე იქმნა ამასცა განსაცდელსა, რამეთუ ასმიღდა წუ-  
რილიად წმიდასა შინა სახარებასა: „რომელმან დაითმინოს სრული-  
ად, იგი ცხონდესო“ და ამის პირისათვს არა ინება შეურაცხყოფა  
სიტყვასა ამის, არამედ თავი თვისი ღმერთსა მიანდონ<sup>7</sup> და სასოსა მის-  
სა წმიდასა ღმრთისმშობელსა. და ოდეს-იგი ყრმა თეიმურაზ<sup>8</sup> წა-  
25 რიყვანეს და მიართვეს მეფესა სპარსთასა, განიხარა სიხარულითა  
დიდითა ფრიად და აღზარდა იგი თავისია თვესისა შვილად და ჟამთა  
მრავალთა იყოფებოდა მის თანა. და ჰყვეს მას თავაღნიცა და აზნა-  
ურნი მცირედნი, რომელნიმე წარეტანნეს პაპასა მისსა.
- ამას ყოველსა თანა, უწინარეს მრავლისა დამისა, მამისა ძმა  
30 ამის თეიმურაზისა<sup>9</sup> კონსტანტინე მიწეზითა რამომე წარსული იყო  
სპარსთა მეფისა და შინაგან სახლსა სამეუფოსა აღზრდილ იყო იგი  
და დაევიწყა მამული სარწმუნოება ქრისტიანობისა და ისმაიტელ და  
ბარბაროზ ქმნილ იყო და სრულიად დასამკუდრებელ არწმიდათა  
ეშმაკთა და შეცვალებულ იყო იგი და ძალლებრ იღრკენდა კბილთა  
35 მისთა დარღულებისათვს ქრისტეს სარწმუნოებისა. და ვინამთვან  
ესევითარითა შეცვალებითა შეცვალებულ იყო იგი, სათონ უჩნდა

<sup>1</sup> გარდავლითა B. <sup>2</sup> შექსუვა B] შეყო C. <sup>3</sup> თამშერაზ B. <sup>4</sup> მსოფლისა B.  
5 რად C. <sup>6</sup> მიანდოფა AB. <sup>7</sup> თამშერაზისა B.

ესე მეფესა სპარსთანა: ძმად თვალი უწოდდა და ერთგულიდ თავისა თვალისა აღიარებდა და მრავალსა პატივსა უყოფდა და ჭეროვნად ის-მენდა მისსა/ტკბილად.

არა ეგებოდა, ვინაათგან! ცხორებად და წამებად აღვსწერეთ დედოფლისა, რამთამცა ესევითარი უსჯულო კაცი შემოვიხუნ და ამის მიერ განვაგრძენე<sup>2</sup> სიტყუანი ჩემნი და მათსა<sup>3</sup> ცხორებასა მცი-რედ უამ-დრო<sup>4</sup> ვეც, არამედ რავდენცა მრავლის-ვმეტყუელებდე უსჯულოსა ამისთვის, ეგრეთცა უმეტესად იდიდოს სახელი მოწამი-სა ამის.

ხოლო ჩუენ პირველსავე გზასა ვიწყოთ სლვა და ზედმიწევ-ნით გამოვაცხადოთ უსჯულომასა კონსტანტინეს ქსენებად რამეთუ იყო იგი სპარსთა მეფისა თანა, მრავალნი და ურიცხუნი წყალობანი მიენიჭნეს მის მიერ. და ამას ყოველსა თანა კუალად მიანიჭა სამ-თავრო შირვანისა და მის გარეშემონი<sup>5</sup> სოფელნი მრავალნი და გა-ნამდიდრა ფრიად და მეორადად თავისა თვალისა ყო საწყალობელი იყი: ამისთვის საწყალობელი, რომელმან-იგი დაიმკვდრა ჭოჭოხე-თისა იგი უფსკრულნი, ბნელი გარესკნელი და ტარტაროზი განუტ-იფობელი. და ოდეს-იგი დაიძყრა სამთავროო თვისი, რომელნი მიენიჭ-ნეს მას სპარსთა მიერ, უნდა განცოფებულია მას და ძალლისა სისხ-ლისმჰამელსა, რამთამცა მამისა და ძმის თვალისა ზედა აღდგეს მოკ-ლვად. და დათხევად სისხლთა მათთა, ვითარცა ყო კინ აბელის ზედა.

არამედ ესე უურჩულოესი კაინისაცა და სხუათა მსგავსთა მის-თა, რამეთუ კაინ ერთი ხოლო ძმა მოკლა, და ამან დასძინა სისხლ-სა მამისა თვალისასა თანა სიკუდილი ძმისა თვალისა, რამეთუ სპარსთა მეფისა მიერ ესრეთ ბრძანებულ იყო მისსა მიმართ. მოიწია იგი შირვანს და დაგდა ტახტსა ზედა უსჯულოებისასა და იზრაახ ზრახ-ვა<sup>6</sup> ბოროტი გულსა შინა თვალისა და ენება ზაქთ, რამთამცა იხილნა<sup>7</sup> მამა თვალი ალექსანდრე და ძმა თვალი გიორგი. წარავლინი<sup>8</sup> მოციქული წინაშე მათსა და ესრეთ წარმოუთხრა: „ვინაათგან ესოდენნი წელნი გარდასრულ არს და არღარასადა<sup>9</sup> მიხილავს შეენიერება ხატისა თქუენისა და ახოვნება გუამისა თქუენისა, მოვიქსენ<sup>10</sup> პირველი იგი სიყუარული ძმითურთ მამაშვილობისა და მინებს, რამთამცა აღრე გიხილნე თქუენ“. და მოიწია ესე მოციქული წინაშე მათსა და იხი-ლეს წიგნი იგი მის მიერ მოწერილი<sup>11</sup> და აღმოკითხ[ნ]ეს სიტყუა-

<sup>1</sup> ვინაათგან+ესე C. <sup>2</sup> განვაგრძენეს C. <sup>3</sup> მათსა+მას C. <sup>4</sup> უამ-დრო] ფამ B. <sup>5</sup> გარეშემონი] გარემონი C. <sup>6</sup> ზრახუ A. <sup>7</sup> იხილა C. <sup>8</sup> წარავლინი A. <sup>9</sup> არ-ლარა და — AC. <sup>10</sup> მოვიქსენ C. <sup>11</sup> მოწერილი ABC.

- 117 ნი! ჩემებით სიყუარულისანი და განიხარნეს ფრიად, რამეთუ ქართული რდოთ<sup>2</sup> მათცა ხილვა იგი მისი.
- მეფემან ალექსანდრე და ძემან მისმან გიორგი და ყოველთა თავადთა კახეთისათა იქმიეს იგი, რამეთუ საქმესა მისსა შინაგან და-ფარულსა უმეცარ იყვნეს<sup>3</sup> და არა უწყოდეს, თუ რასა ბოროტესა ზრახას გულსა შინა თვსასა. წარავლინეს ამათაცა კაცი სარწმუნო და გონიერი და პატივთ მოიპატივეს<sup>4</sup> თვეთა თანა. და რაჯამს ისილნა მან მოციქულნი ამათ მიერ წარვლენილნი, განიხარა სიხარულითა დიდითა ფრიად და მასევ ეამსა მსწრაფლ წარმოვიდა გულმესისხლედ მამასა და ძმასა თვსასა ზედა და მოიწია კახეთს. და ესენიცა მგზავრ მიეგებნეს მას და შეუ ოდენ გულსა კახეთისასა შეიყარნეს და გარდახდეს ცხენთაგან<sup>5</sup> ორნივე და ამბორს-უყოფდეს ურთიერთას. და ამათ<sup>6</sup> ვითარცა უძღები იგი შეილი<sup>7</sup> შეიტებეს და შეიყვარეს, ხოლო იგი ტყუილის სიხარულით<sup>8</sup> სიყუარულსა მათ-სა ძიებდა. და მოვიდეს შინაგან სახლსა სამეუფოსა და დაპელვიდეს ზუარავსა მას ჭამებულსა და დღითი-დღე იშუებდეს და სიხარულსა აღასრულებდეს და იტყოდეს: „ეჲ ესე ჩერნი მომეუდარ იყო და განცოცხლდა, წარწყმელულ იყო და გუეპოვა“ და სხუსა ესევითარსა მრავალსა იტყოდეს.
- 25 ხოლო მას ბოროტესა ესევითარნი განცხრომანი და სიხარულნი არა სათონ-ეჩნდეს, არამედ მასევ იგონებდა, რომელი-იგი შინაგან შურითა საეშმაკოთა შეიწუებოდა, და საქმესა ასწრაფებდა და ენება, რამთამცა მსწრაფლ აღასრულა წადიერებაა თვსი. დღესა ერთსა ყო მანცა სერი დიდი და მოუწოდა მამასა და ძმასა თვსასა და დასხდეს სერობად და იწყეს ჭამად პურისა და აღესრულებოდა მათ ზედა წინასწარმეტყუელებაა იგი დავითისი, რომელსა იტყუს: „რომელი ჭამდა პურისა ჩემ თანა, მან განადიდა ჩემ ზედა შეტყუილი<sup>10</sup>“. და ჰყვეს მას ბოროტესა კაცი შემსგავსებულნი სიხერეშისა თვისისანი<sup>11</sup> და განეზრახა<sup>12</sup> მათვს, რამთა ფარულად განგუმირონ<sup>13</sup> ლასურითა მამა და ძმა მისი. ოდეს იყო შეუ სერობა, მოვიდეს ავაზაკნი იგი ბოროტნი და უხეთქეს თვესა მეფესა ალექსანდრეს და მასევ ეამსა აღმოუტევა სული თვსი. ეგრეთვე ძესა მისსა გიორგის და მანცა დაუტევა ცხორებაა ესე წარმავალი და მიიწია წარუვალ-

1 სიტყუა ა. სიტყუა]+ჩელა C. 2 სწადოდა C. 3 იყუნეს C. 4 მოპატიფეს AB. 5 წარვლენებული C. 6 ცხენისაგან AC. 7 მათ C. 8 შელი AB. 9 ტყუილის [სიხარული] ზეკვთ C. 10 შეტყუილი C. 11 თვისისა B. 12 განეზრახა C. 13 განგრძონ A. განგურიმონ C.

სა მის განსურებასა. წარვიდეს ორნივე ესე ნეტარსა ცხორებას და იშუებდნ მხი/არულნი სამარადისოდ.

და მკუდარნი ესე, მის მიერ მოკლულნი/ აღიდა აქლემსა უ-  
და თვესა და წარგზავნა ალავერდს სასაფლაოსა/ მათსა. და და-  
მარხეს, ვითარცა ჯერ იყო, და აღასრულეს მცირე რამე წესი  
დაულვისა, რამეთუ შემსგავსებულისა პატივისა მათისასა ურ შეძ-  
ძლებდელ იყვნეს<sup>2</sup> ამბოხებითა მით უსჭულოსათა.

რამ ესთქუა მის ბოროტისა კოსტანტინესთვეს, თუ რასა არა  
იქმოდა და რასა არა იტყოდა და ყოველსა ბოროტისა<sup>3</sup> საქმესა სრუ-  
ლიად აღასრულებდა. ხოლო ესე სანატრელი დედოფალი ქეთაგაბ<sup>4</sup>  
ხედვიდა რამ ამას ყოველსა ბოროტისა მის მიერ აღასრულებად,  
აღიგვებოდა გული მისი ფრიადითა მწუხარებითა და იტყოდა უფ-  
ლისა მიმართ, ღმრთისა ჩუენისა: „ნე მიმცემ ჩუენ სრულიად სა-  
ხელისა შენისათვეს. ნე განაქარებ აღთქმასა შენსა და ნუცა გან-  
მაშორებ წყალონისა შენსა ჩუენგან“. და მარადდე და უამ ყოველ  
ამის ეველრებოდა სულთმით დაუცხრომელად სასოსა მისსა წმი-  
დასა ღმრთისმშობელსა და ცხოველსმყოფელსა ჯუარსა, ქრისტია-  
ნეთა შესავედრებელსა, რამთა უვნებელად დაიცვას ბოროტისა ამის  
განსაკუდელისაგან და თვესაგან ერთსა ადგილსა მტკიცესა და შეუ-  
ვალსა<sup>5</sup> იყოფოდა იგი. რამეთუ ფრიადი შიში და მღელვარება  
სოფლისა ამის შეაურევებდა მას და სასოდ აქუნდა მას წმიდამ  
ღმრთისმშობელი და უბიწოდ შობილი ძე იგი მისი იესუ ქრისტე და  
ესე იყო სასოება და ნუგეშინისცემა მისი.

შემდგრმად ამისსა დაიპყრა კოსტანტინე სამკუდრებელი მამი-  
სა თვესისა და წარმოიდა ბილწი იგი საყოფელთაგან თუსთა და ახ-  
ლოს მისსა მოიწია და ენება, რამთამცა შეირთო იგი ცოლად, ვი-  
თარცა ყო ჰეროდე იროდიას თანა, ცოლისა ფილიპეს, მმისა თვესი-  
სა, და არა ინება სანატრელმან ამან დედაკაცმან, რამეთუ არა კად-  
ნიერებად მიწინ დედაკაც წოდებად მისი ამისთვეს, რამეთუ დასას-  
რულსა სიმკე მამაკაცობრივი აჩვენა, მოიქსენა ქადაგება იგი ნათ-  
ლისმცემელისა, რომლისა თავი<sup>6</sup> მოკუეთილიცა „არა<sup>7</sup> ჯერ არსო“  
დაღადებდა, და ფრიად წინააღმდეგა და არა ინება ნებისა მისისა  
აღსრულებას, არამედ აღირჩია სიკუდილი, ვიღრელა ბოროტისა  
მის კაცისა თანა შეერთებასა.

გინამთგან არა მორჩილ ექმნა და მტკიცედ დგა მცნებათა ზე-  
და ქრისტესთა, იძლია იგი ძალითა ქრისტესითა და წარვიდა

1 სასაფლავოსა B. 2 იყვნეს C. 3 ბოროტისა AB. 4 ქვეთვან C. 5 შეუაღსა  
AB. 6 იგი — B. 7 თვე C. 8 — ღალადებდა: „არა ჯერ არსო“ C.

- იგი<sup>1</sup> ტახტსა<sup>2</sup> ზედა თვალსა, მგსავსთავე მისთავ უსჯულოთა თანა შირკანს და, ვითარცა შუენოდა სჯულსა მათსა<sup>4</sup>, ეგვეითარსა მრავალსა
- 118 ბოროტსა აღასრულებდა და ყოველსა სარცხუენელ/სა საქმესა იქ-  
მოდა.
- 5 ამას რაც ხედვიდეს თავადნი კახეთისანი, იტყოდეს გულსა შინა  
თვალსა და ურთიერთსა<sup>6</sup> ეზრახებოდეს<sup>7</sup>: „არავინ ას მომთხრობელ  
ანუ მაჯსოვარ ძუელთა კაცთავან, რომელთა ასმილად, რომელმანცა  
კელმწიფემან<sup>8</sup> ესევითარი ურიცხვ ბოროტი აღასრულა: მოგვკლა  
მეფე ჩუენი ალექსანდრე და ძე მისი გიორგი. და ამისსა უმეტესსა
- 10 რასლა ვიტყოდეთ<sup>9</sup>? ჯერ იყო ჩუენდა, რაათა ჩუენცა მის თანა  
მოწყველილ ვიყვენით<sup>10</sup>, და არღარა ესეოდენნი<sup>11</sup> ბოროტნი გუე-  
ზილნეს ცხორებასა ჩუენსა“.
- ამას ზედა შეითქმუნეს კაცნი ესე ქრისტეს მორწმუნენი და ინე-  
ბეს, რამთამცა განუდგენ და არღარა აუფლონ მათ ზედა. და ესეცა
- 15 განიზრახეს, რამთამცა ფარულად მოკლან იგი ღამით, რამეთუ  
ცხადად ვერ წელეწიფათ ესე მისი<sup>12</sup> სიმრავლისა მისგან ჯარისა<sup>13</sup>.
- ღამესა ერთსა წარვიდეს<sup>14</sup>, სადაცა იყო სავანე მისი, და იხილ-  
ნეს სარეცელნი მისი ცალიყრნი, რამეთუ აღდგომილ იყო იგი და  
საფლავიდ მაპმადისა<sup>15</sup> წარსულიყო და საქსენებელსა მისსა აღას-  
რულებდა. და ვერ<sup>16</sup> პოვეს, რამთამცა საწადელი თვისი აღესტე-  
ლათ და მოეკლათ განცოფებული იგი. მასვე<sup>17</sup> უამსა აღწდეს ჰუნე-  
თა ზედა<sup>18</sup> თვასთა და მსწრაფლ სრბით ქუეყანად თვასად კატეთად  
წარმოემართნეს და მოიწიონეს. რამეთუ ესე ყოველი შირვანს<sup>18</sup> გა-  
ნიზრახეს<sup>19</sup>. აგრძნა<sup>20</sup> ესე და<sup>21</sup> დევნა უყო ყოვლად საძაგელმან მან,  
25 რამთამცა პირითა მახვლისამთა მოსრნა იგინი, არამედ ვერღარა  
ეწია მათ და ვერცა უძლო შეპყრობად მათდა. და მოიწიონეს ნეტა-  
რისა დედოფლისა და ესე ყოველი აუწყეს მას. და დიდთა<sup>22</sup> და  
მცირეთა<sup>23</sup> ერთკრება პყვნეს<sup>24</sup> და ფიცითა<sup>25</sup> აღლუტებდეს, რამთა  
ამიერითგან არღარა მორჩილებდენ მას. და იყვნეს<sup>26</sup> ერთგულება-

1 იგი — AC. 2 ტახტსა ზედა] სამეფოსა C. 3 მისთა] თვალია B. 4 მათსა] მას ხენეშა C. 5 მრავალსა — B. 6 ურთიერთას B. ურთიერთას C. 7 ეზრახებოდეს] ზრახებდეს C. 8 კელმწიფემან] მთავარმან C. 9 ვიტყოდეს C. 10 ვიყუშით C. 11 ესეოდენი AB. 12 მისი — C. 13 ჯარისა] ერისა C. 14 წარვიდეს AB. 15 ვერ] არა B. 16 მას B.

17 ზედა — B. 18 შირვანს] შირაზს B. 19 განიძრახეს C. 20 გრძნა ესე — AB.  
21 და დევნა უყო — C. 22 დიდთა B. 23 მცირეთა+მინდობილთა პირველთა C.  
24 ყველ BC. 25 ფიცით C. 26 იყვნეს C.

\* აშიაზე: „რომელსა ასხენ ყურნი, მენად ისმინდ“ B. C ნუსხაში „და საფ-  
ლავიდ... აღასრულებდა და“ გადახაშულია, ნაცვლად სწერია: „გარე განსლვად  
ვწებითთა წესთა“.

სა 1 ნეტარისა დედოფლისასა და ესრეთ მოაქსენებდეს მას: „ვინა-  
ოთვან მეფე ჩუენი მრავალმოწყალე ალექსანდრე და ძე მისი გი-  
ორგი აღვისრულა<sup>2</sup> და პირითა მხარელისამთა მოსწყულნა ივინი და  
შენ ესევითარისა პატიოსნისა უპატიო-ყოფა განიზრახა<sup>3</sup>. ჩუენ  
არლარა ვიუფლოთ ივი და არლაცა<sup>4</sup> ვერჩდეთ სიტყუათა მისთა,  
არამედ ვიყვნეთ ჩუენ მორჩილნი ბრძანებისა შენისანი“.

ვინაოთვან არცა მეფე ჰყავთ<sup>5</sup> და არცა ძე მეფისა, ესე ნეტარი  
იყო იმედი და ნუგეშისცემად მათი, რამეთუ ესე ყოველი შექმუ-  
ლება<sup>6</sup> ყოველივე ღმრთისა მიერ განეგებოდა და ამას ნეტარსა  
დედოფალსა ქეთევანს<sup>7</sup> ჰქონებიდა ძალი ღმრთისად ღა/მარჯუნე  
ძლიერებისა მისისა, რამეთუ<sup>8</sup> დასასრულსა ამისსა ჰქედვიდა მეუ-  
ფე ივი დიდებისა, თუ ვითარ-ძი სათო-ეყოფვის მას. და ამასცა  
ნეტარსა მისადმი დაედგა სასოება ცხორებისა თვისისა და ყოველსა,  
რაოდენსა იქმოდა, სადიდებელად ღმრთისა აღასრულებდა.

და იყვნეს<sup>10</sup> კაცნი ესე კახეთისანი სრულიად შეკრებულ ერ-  
თსა ადგილსა დედოფლისა მის თანა და ამას საქმესა განიზრახეო-  
დეს<sup>11</sup> ყოველნი, რამთა უშიშად დადგენ ერთგულებით<sup>12</sup> დედოფლი-  
სა წინაშე და ღმერთსა შემწედ თვსად<sup>13</sup> ჭალდეს და ერთი ერთსა  
განამტკიცებდეს და განაძლიერებდეს, რამთა არავის მათგანისა  
გონებად შეცვალებულ იყოს შიშისა მისთვის ბილწისა კოსტანტი-  
ნესსა.

და ესე ყოველნი<sup>14</sup> ჰამბავნი<sup>15</sup> მიიწივნეს<sup>16</sup> ყურთა კოსტანტინესა  
და სხუად უმრავლესნი ამათსა, რამეთუ არა ენებათ მეფებამ<sup>17</sup> მი-  
სი მათ ზედა. შეიპყრა ესე ფრიადმან მწუხარებამან და ღამე ყოველ  
და ღლე ყოველ<sup>18</sup> ამას იგზონებდა, თუ რომლითა სახითა, ანუ რომ-  
ლითა საქმითა წარმართოს საქმე თვისი, რამეთუ მას დიდად  
სირცხვლ უჩნდა და შერთითა შეიწუებოდა<sup>19</sup>, რომელ ერთისა უძ-  
ლურისა დედაკაცისაგან ესოდენი საქმენი შეემთხუეოდეს მას.

რამეთუ ფრიად შეაურევებდა<sup>20</sup> საქმე ესე და ვერლარა უძლო-  
დათმენად, არამედ იქმო სრულიად სპანი თვსნი და სხუანიცა თა-  
ნაშემწენი სარწმუნოებისა თვისისანი და ძალითა მძიმითა და ლაშ-  
ქრითა<sup>21</sup> უპამრავითა წარმოემართა კახეთსა ზედა, ვითარცა ხალან  
სტამბოლს<sup>22</sup> ზედა, სრვად და წვად და მოოკრებად ქუეყანისა ამის.  
და თვით დედოფალსა ამას ექალოდა, უკუეთუ კელად იპყრას, მრა-

1 ერთგულებასა AB. 2 ალესრულა AC. 3 განიზრახა C. 4 არცათა C. 5 ვი-  
უენეთ C. 6 ჰყავდა C. 7 შექმულობაც AC. 8 ქეთევანს A.—C. 9 რამეთუ—B.  
10 იყვნეს C. 11 განიზრახეოდეს C. 12 ერთგულობით. 13 თვისად A. 14 ყოვე-  
ლი A. 15 ამბავნი A. 16 მიიწინეს A. 17 მეუფება B. 18 ყოველ — C. 19 შეიწ-  
ვებოდა C. 20 შეაურევებდა+მას C. 21 ლაქრითა C. 22 სტამბოლს] სკვთი სამეცნ-

ვალსა სატანჯველსა და ცეცხლსა მიცემასა მისსა განიზრახვიდა. ზორ  
ბოროტი იგი წარმოვიდა ძალითა მძიმითა და ურიცხუთა ერთსა  
სიმრავლითა და მრავალსა ბოროტსა<sup>2</sup> განიზრახვიდა<sup>3</sup> გულსა შინა  
თვესსა და მინდობილ იყო სიმრავლეთა<sup>4</sup> მას ჯარისასა და არა უწ-  
5 ყოდა საწყალობელმანს მან<sup>5</sup>, თუ ვითარ განაგებს ღმერთი საქმე-  
სა კაცოასა.

და მოიწივნეს ესე პამბავნი<sup>6</sup> წინაშე დედოფლისა და ყოველთა  
თავადთა კახეთისათა და სრულიად ერთკრება ყვეს ყოველთა დიდ-  
10 თა მცირეთა წინაშე დედოფლისა ამის ღმრთისმოყუარისა და მო-  
ვიდეს და მოაგვნენს: „ნუ გვშინინ და ნუკა შეძრწუნდები საქმისა  
ამისათვის, რამეთუ წინაშე ღმრთისა არა არს მამაკაცებად, არცა დე-  
დაკაცებად, არამედ ყოველნი<sup>8</sup>-ერთი არიან ქრისტეს<sup>9</sup> იესუს<sup>10</sup> მიერ“  
119 და ნუგვშინისცემასა ესევითარსა ეტყოდეს მას./არამედ მან, ვი-  
თარცა ჯერ იყო, ესევითარი სიტყუად წარმოსოფერა მათ წინაშე და  
15 ყოველივე საქმე თვისი ღმერთსა მიანდო და სასოსა მისსა წმიდასა  
✓ ღმრთისმშობელსა. და უბრძანა მათ: რაოდენი რამ ჯერ იყოს<sup>11</sup> ანუ  
რამ ღმერთმან განაგოს, ეგრეცა ვყოთ<sup>12</sup>. ხოლო მათ ჰქენებეს მას:  
„წარმოვედ ოქუცენცა ჩუენ თანა და უფალმან ღმერთმან წარმართოს  
სლვად<sup>13</sup> ჩუენი“.

20 ხოლო ამან სანატრელმან, ვითარცა დებორა, დამან მოსესმან<sup>14</sup>  
✓ შეიმოსა სიმწნე მამაკაცობრივი და განაწყო სპარაზენნი თუსნი და  
წინაბერძოლად წარიძლუანა ჭუარი პატიოსანი და განწირნა თავი  
თვესი. და არღარა იყო მაშინ დედობრივი უძლურებად, გინა შიში  
ზარებისა მის უსჯულოთასა და სიმრავლესა<sup>15</sup> არა მიხედვიდა, არა-  
25 მედ ზე აქუნდა თუალნი და გონებად მისი. და ევედრებოდა ღმერთსა  
სანატრელი ესე მარადის დაუცხრომელად და განამწნობდა და გა-  
ნამტკიცებდა სპათა<sup>16</sup> თვესთა და ესრეთ ეტყოდა მათ: „მწნე იყვე-  
ნით<sup>17</sup> და განძლიერდით და ნუ ხედავთ სიმრავლესა<sup>18</sup> მათსა, რამე-  
თუ უფალი ამპატავანთა შემუსრავს და მდაბალთა მოგუცემს<sup>19</sup>  
30 ძლევასა მათსა, ამისთვის, რამეთუ: პირველად მტერი არს ქრისტესი  
და დაქსნა ნებაეს<sup>20</sup> ქრისტიანეთა სარწმუნოებისა, მეორედ ესე, რა-  
მეთუ სისხლი იგი ღმრთისმოყუარისა მეფისა, მსგავსისა დიდისა

1 წარმოვიდა... სიმრავლითა — C. 2 ბოროტსა] ძვრსა C. 3 განიზრახვიდა  
C. 4 სიმრავლესა მის ჯარისასა] ძალსა თვესსა C. 5 საწყვლობელმან] უბადრუქებან  
C. 6 მან — C. 7 ანბავნი A. 8 ყოველივე C. 9 ქრისტე C. 10 იესუს+იკ A.  
11 იყოს C. 12 ვყოთ C. 13 სლვა C. 14 დამან მოსესმან] ღმრთისა ქმალმან C.  
15 სიმრავლესა+მათსა C. 16 სპათა+მათ C. 17 იუსტით C. 18 სიმრავლესა AB.  
19 მოსემს C. 20 პნებაეს BC.

კოსტანტინესა, ალექსანდრესი, მამისა მისისა, ვითარცა სისხლი პატ-  
ლისი, ღალადებს ქუყანასა ზედა<sup>6</sup>, და ესევითარად განამტკიცებდა.

და მოვიდეს იგინი უსჯულონი გაღმართ პირსა ალაზნისასა და  
ალმოვიდეს ზემოტე მინდორსა მაკაბელისასა და დაიბანავეს მათ და  
შემოზღუდნეს ეზონი თვესი მაგრიად და კუმილნი მათი კუმილ-  
ვიდეს საქმილავსა ღამისასა. და ესენიცა ჭუარშემოსილნი ქრის-  
ტიანეთა ერთ, მსახურნი სანატრელისა მის დედოფლისანი, მცირედ-  
მცირედ წარმოდგეს და დაიბანავეს მათცა პირისპირ მათსა, რამთა  
იხილვებოდენ ურთიერთას იმიერ და ამიერ. განათენეს ამათ ღამე  
იგი ლოცვითა და ვეძრებითა ღმრთისათა და ძლევასა მათსა ევედ-  
რებოდეს. ხოლო განთენა რამ! ღამე იგი და მზემან ნათელი თვესი  
მოჰვინა პირსა ყოვლისა ქუყანისასა, აღდგეს ესე ყოველნი და  
აღიღეს პირველად საჭურველად მადლი<sup>7</sup> უფლისა ჩუენისა იესუ<sup>8</sup>  
ქრისტესი და ცრემლით ეზიარნეს წმიდათა<sup>9</sup> საიდუმლოთა ჭორცთა  
და სისხლთა ქრისტესთა და ყოველნი ნაწილნი გუამისაზ თუსისანი<sup>10</sup>  
ჭუარითა ქრისტესითა დაიბეჭდეს და შეიმოსეს ჯაჭვები და ძალი  
ღმრთისა მის თანა და ყოველნი საჭურველნი აღიღეს და ლახურები  
იყრეს ჭელთა თვესთა და აღწდეს ჟუნეთა ზედა მათთა და განაწყუ-  
ნეს სპარაზენი თვესი მარჯულ<sup>11</sup> და მარცხულ<sup>12</sup>.

ხოლო დედოფლისა მისითვს რამდა ვსთუა<sup>13</sup>, თუ ვითარსა შიშესა  
და ძრწოლასა შეეპყრა იგი? და განიძყრობდა ქელთა თვესთა და  
დამბადებელსა<sup>14</sup> ლმერთსა ცრემლით<sup>15</sup> ევედრებოდა და დასდებდა  
პირსა თვესსა მიწასა ზედა და იტყოდა: „უფალო, ნუ მისცემ ერსა  
ამას შენსა უსჯულოთა მათ<sup>16</sup> ისმაიტელთა, არამედ მოხედენ<sup>17</sup> თუ-  
ალითა მოწყალითა და დაუმორჩილე ქუეშე ფერპთა ამათთა<sup>18</sup> ყო-  
ველნი ძალნი და ძლიერებანი მათნი, რამთა გმსახურებდეთ ყოველ-  
თა დღეთა ცხორებისა ჩუენისათა<sup>19</sup>.

ამას ზედა მზა იყვნეს<sup>20</sup> იგინიცა უსჯულონი და იწყეს მცირედ-  
მცირით წარმოვამდ. და ესენი ქრისტეანენი მდგომარე იყვნეს<sup>21</sup>  
შავრიად<sup>22</sup> და, ვითარცა არს წესი მათი უსჯულოთა — მიდევნებად  
ეტლისა და ვარსკევლავთ-მრიცხეველობისა, იხილა ბილწმან კოსტან-  
ტინე<sup>23</sup> რამლი თვესი და არა უნდა დღესა მას, რამთამცა ბრძოლა  
უყონ მას.

1 რამ — AB. 2 მადლი] ჭუარი C. 3 იესუს AB. 4 წმიდათა — AB. 5 ნაწილ-  
ნი — C. 6 გუმნი C. 7 თვესი C. 8 მარჯულის C. 9 მარცხენით C. 10 ვსთუათ B,  
ვსთუა C. 11 დამბადებელსა — C. 12 ~ ცრემლით ევედრებოდა ლმერთსა C,  
ცრემლით — AB. 13 ამათ B. 14 მოხედენ C. 15 ამათთა] ჩუენთა C. 16 იყვნეს  
C. 17 იყვნეს C. 18 მაგრალ] მცაოდე C. 19 კოსტანტინე B.

და ოლქდა<sup>1</sup> ცხენსა თვესა ზედა და სრბით დევნა გული სპათა  
თვესთა. და ვითარცა გამოვიდა ახლოს მათსა, იცნეს იგი თავადო  
კახეთისათა, რამეთუ<sup>2</sup> მრავალუამ ეხილვათ იგი და კეთილად მეც-  
ნიერ იყვნეს ჰაეროვნებასა მისსა, და წარემართნეს<sup>3</sup> და მიეტევნეს  
5 სწრაფით სრბით მას ზედა. და მიუკლეს მას<sup>4</sup> სამნი კეთილცხენოსან-  
ნი: დავით, თამაზ და ბებურ და ჰერეს<sup>5</sup> მას შები და გარდამოავდეს  
იგი ცხენისაგან და დააკუეთეს<sup>6</sup> ძლიერად. და ვიდრე ჭერეთ  
10 სულიერლა იყო, იცნა<sup>7</sup> კაცნი ესე და პრქუა მათ: „ნურლარა მომკ-  
ლავთ მე, რამეთუ ვარ დღეს ქუშე<sup>8</sup> ჭელთა<sup>9</sup> თქუენთა“.

15 ვედრებოდა<sup>10</sup> ფრიად და სხუას<sup>11</sup> მრავალსა წყალობასა უქადებდა მათ. და  
120 მათ არა ინებეს ყურის<sup>12</sup> მიპყრობად მისსა, არამედ უხეთქნეს თავსა  
მისსა, ვითარცა მან მამასა თვესა, და ორად განაპეს თავი მისი და  
ნაწილი მისი დადვეს ორგულთა თანა. და დიღნი ძლევანი შეიმოს-  
ნეს ემსა მას და, ვითარცა თავი ოლომფორესი, ივლითის მიერ მო-  
15 კუეთილი, ეგრეთ მიართვეს დედოფალსა ქეთევანს და ძლევით ქე-  
ბასა შეასხმიდეს. განიხარა დედოფალმან საქმე/ესა იმას ზედა საკუ-  
რველსა და დამბადებლსა ღმერთსა მაღლობასა შესწირვიდა<sup>13</sup>, რამე—  
თუ დაინსნა<sup>14</sup> კელთაგან მის მქეცისა ბოროტისათა.

20 მაშინ ძლევაშემოსილთა ერთა ქრისტეანეთა დევნა უყვეს უს-  
ჯულოთა მათ და განაბნიონეს და აკოცნეს<sup>15</sup> ყოველნი<sup>16</sup> საცოტურნი  
მათნი. და იორა ერთმან ასი და ასმან ათასი და მოსრნეს იგინი პირი-  
თა მახელისათა და ნატყუენავი მათი დაიონარეს. და ალესრულებოდა  
25 მათ ზედა სიტყუა იგი წინაწარმეტყულისა, რომელსა იტყუს: „ვიხილე უღმრთოდ ამაღლებული და ოღმატებული, ვითარცა ნაძ-  
ლიბანისათ, და, აპა, ვიხილე და ვერ ვპოვე<sup>17</sup> ადგილიცა<sup>18</sup> მისე“.

30 ეს რამ ესრეთ განაგო ყოველთა განმეგბელმან, მაშინ უბრძნა  
დედოფალმან ამან<sup>19</sup> მორწმუნებან ერთა თვესთა, რამთა მო-ვინმე-იყ-  
ვანონ თანამყოფნი მის უსჯულოსანი და წარილონ სასაფლაოსა<sup>20</sup>  
სპარსთასა, ვითარცა უბრძანა მეუფებან მან ქრისტე მოწაფესა ერთსა  
35 ვისმე, რომლისა მამაზ<sup>21</sup> უსჯულოებასა შინა მომქუდარ იყო, ვითარ-  
მედ „დააცადენ მყუდარნი დაფლვად თვესთა მყუდართა“, და წარილეს  
მყუდრთა<sup>22</sup> მათ ურწმუნოებისათა მყუდარი იგი და დაფლეს არდა-  
ველს.

1 აქდა A. · 2 რამეთუ... მისსა და—C. 3 წარმოემართნეს C. 4 მას—B.  
5 ჰერეს<sup>1</sup> განაწონეს C. 6 დააკუეთნეს AB. 7 იცნა AC. 8 ქუშე — C. 9 ჩა-  
თა+შინა C. 10 ვედრებოდა ფრიად — AB. 11 სხუასა — C. 12 ყურისა C. 13 შეს-  
წირვიდეს B. 14 დაინსნა] განერა C. 15 და აკოცნეს — AB. 16 ყოველნი საცოტუ-  
ნი მათნი — C. 17 გამოვე A. 18 კდგილი C. 19 აშან — B. 20 სასაფლაოსა B.  
21 მეუფემან — C. 22 მყუდართა] შეც

მაშინ თანაწარიტანნა მოციქული, კაცი სარწმუნონი, მეფესა თანა  
სპარსთასა და შეუთვალა<sup>1</sup> ესრეთ<sup>2</sup> დედოფალმან, ამან მორწმუნებან<sup>3</sup>,  
ვითარმედ: „მეფეო, ყრმა ეგე ძე<sup>4</sup> ჩემი, რომელი მოგცა მამის მამამან  
მისმან შურითა, აწ<sup>5</sup> მომანიჭე<sup>6</sup> ეგე და თვთ მეფე ჟავ ქუეყანასა ამას,  
რამთა ერთგულად გემსახუროთ და ვიყვნეთ<sup>7</sup> შევდობით ბრძანებასა  
ქუეშე თქუენსა და ხარჯთა და ძლევნთა სამეფოთა<sup>8</sup> მოგიძლუნი-  
დეთ<sup>9</sup> წლითი-წლად, ვითარცა ჭერ<sup>10</sup> არს უმრწემესისაგან უხუცესსა  
ზედა და, უკუეთუ არა მომცე ძე ეგე ჩემი, უწყოდენ მეფობამან  
თქუენმან, ვითარმედ ვერლარა ვიყვნეთ<sup>11</sup> ჩევნ, ქართველი და მეფე  
მორჩილ ბრძანებათა შენთა და წელთ-უგლოთ ქუეყანა ესე კეისარ-  
სა, რომელ არს ხვანთქარი<sup>12</sup>. და ნიჭიცა და ძლუენი ღიღინი წარა-  
ტანნა<sup>13</sup> მთ.

და ვითარცა მიიწივნეს მოციქული იგი<sup>14</sup> წინაშე უსჯულოსა მის  
მეფისა, აუწყეს ყოველივე, რაცა<sup>15</sup> მიემცნო დედოფალსა და ერ-  
თა<sup>16</sup> საქართველოთასა<sup>17</sup>. ხოლო ვითარცა/ესმა მეფესა მას მძლავრსა, 15  
ვანიზრახა გულსა თვსსა, ვითარმედ: „უკუეთუ არა მივსცეთ ყრმა  
ესე, ნუუკუე განმიღენ ქართველი და მოირთონ<sup>18</sup> შურგი კეის-  
რისა, და წინააღმდეგომ იქმნას ჩემდა საქმე ესე“. მაშინ ერჩდა მე-  
ფე<sup>19</sup> სიტყუასა მათსა და განუტევა ყრმა იგი და მისცა დედოფალ-  
სა. იყოცა განგებად ღმრთისად და სარწმუნობად შეურყევლად<sup>20</sup> და-  
ცული. გამოვიდა ყრმა იგი, კაცი ვინმე მქუოვანნი<sup>21</sup> ჰყვნეს მის თა-  
ნა თავადთაგან ქახეთისათა და ბერიცა ერთი, რომლისა სახელი  
ადარნასე. და<sup>22</sup> ესრეთ იყოფებოდა ყრმა იგი და წარმოიყვანეს და  
მოიწივნეს ქუეყანასა ამას. და მოეგებოდა დედა იგი მისი ებისკო-  
პოსითა<sup>23</sup>, თავადთა<sup>24</sup> და აზნაურთა<sup>25</sup> თანა. და იყო მაღლობად<sup>26</sup> და დი-  
დებად ღმრთისად გამოკვნისათვს ქელთაგან სარკინოზთასა ყრმისა  
მის<sup>27</sup>. და<sup>28</sup> იყო<sup>29</sup> იგი<sup>30</sup> ათხუთმეტ<sup>31</sup> გინა ათეჭუსმეტისა წლის.  
და მიერთაგან წელთ-უსხნა დედამან მისმან<sup>32</sup> ყოველნივე სამეფონი.  
ციხენი და საგანძურნი ყრმასა მას. და აკურთხეს ყრმა იგი<sup>33</sup> და<sup>34</sup>

სა ქალაქესა C. 1 შეუთვალა] მიუმცნო C. 2 ესრეთ — B. 3 მორწმუნებან+ესრეთ B.  
4 ძე—C. 5 მოანიჭე A. მოგვანიჭე C. 6. ვიყუნეთ C. 7 სამეფოთა C. 8 მო-  
გზალუნიდეთ AB. 9 ჭერ — AB. 10 ვიყუნეთ C. 11 ხეანთქარი AC. 12 წატაა  
A. წატაანნა B. 13 იგინი B. 14 რაცა B. 15 ერსა C. 16 ქართველთა C. 17 მო-  
ირთონ შურგი] მოედენ C. 18 მეფე AB. 19 შეურყევლად — B. 20 მქეოვან-  
ნი+თანა C. 21 და — C. 22 ებისკოპოზთ AB. 23 თავადით AB. 24 აზნაური-  
ოურთ AB. 25 მაღლობად და დადებად ღმრთისად] მაშინ სიხარული დიდი და  
შეადლობდეს და ადიდებდეს ღმრთისა C. 26 გამოკვნისა+მისისათვს C. ზმისთვს  
C. 27 და — C. 28 იყო +ყრმა C. 29 იგი+ევამსა მას C. 30 ათხუთმეტ C. 31 მის  
მან — AB. 32 იგი — B. 33 და ლოცვა კო — C.

საქ. სირ. კ. მარქესი  
საბ. საბ. რესპუბ.  
გიგლიოოთიებბ



ლოცვად ყო კათალიკოზმან მცხეთის ამან და<sup>1</sup> ყოველთვი ჩპისკომისათვა  
და მეფედ დასცეს. და პრეტუ დედამან მისმან<sup>2</sup> შვილსა მას: „შვილო,  
აქამომდე ვიყვავ მე საქმითა მძმაკაცობრივითა, ვიდრემდის დასცრა  
ლელვა-გუემულებად სამეფოსა ამას. აწ ნებითა და განზრახვითა  
ლმრთისათა იქმნა მეფობად შენი და ორა უგულებელ<sup>3</sup> ყო ღმერ-  
თმან ლოცვანი<sup>4</sup> და ვედრებანი<sup>5</sup> ცოდვილისა ამის მშვევალისა<sup>6</sup> მი-  
სისა და<sup>7</sup> სათხოველი ჩემი წინაშე მისსაზ ესე<sup>8</sup> იყო<sup>10</sup>: კურთხევად  
აბრაძემისი და<sup>11</sup> ისაკისი და იაკობისი იყავნი<sup>12</sup> თავსა შენსა<sup>13</sup>, მიღე  
დასაბამად სიბრძნისა შიში უფლისამ, სიმდამლე<sup>14</sup> და<sup>15</sup> სიმართ-  
ლე<sup>16</sup>, წყალბად და კეშმარიტებად ნუმცა მოგაყლდებინ შენ. ხოლო  
მე ამიერითგან<sup>17</sup> ვჯდე მყუდროებით<sup>18</sup>, ვითარცა შეენის დედათა, და  
მოერცალო<sup>19</sup>. ამიერითგან<sup>20</sup> ვიზრუნო სულიცა<sup>21</sup> ჩემი ანუ<sup>22</sup> შენები-  
თა<sup>23</sup> კელესიათასა<sup>24</sup> ანუ<sup>25</sup> მიცემითა<sup>26</sup> გლახავთა“, რომელი —  
ესე<sup>27</sup> ყო მანცა დედოფალმან: სამკაული სამეუფონი ყოველნივე<sup>28</sup>  
15 სამსახურებლად საეკლესიოდ<sup>29</sup> შესცვალნა<sup>30</sup>, მრავალნი<sup>31</sup> და ურიცხვ-  
ნი ქეელისმოქმედებანი აჩუენნა გლახავთათვა<sup>32</sup> მიზლუევად<sup>33</sup> და ვას-  
ხებად ქრისტესა, რომელიცა მიიღო<sup>34</sup> აღნადგინებითურთ, და სამწირ-  
ველნიცა შუენიერნი<sup>35</sup> ალაშენნა<sup>36</sup> და<sup>37</sup> მისცემდა ზოგადსა მეფობისა  
მისისასა მღუდელთა და დიაკონთა. რამთა მემსხურპლეობდენ  
20 მისთვა წლითი-წლად, ვითარ<sup>38</sup> ათასნი, გინა ბევრნიც. მისთვა ცეუ-  
ლერიცა<sup>39</sup> ალაშენა სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა დედოფლისა<sup>40</sup>  
დიდებულისა<sup>41</sup> ლმრთისმშობელისა<sup>42</sup> და<sup>43</sup> მარადის ქალწულისა მა-  
რიამისა და შეამყო იგი თუალითა და ქვითა<sup>44</sup> საფიროვანითა<sup>45</sup>, შიგ-  
ნით<sup>46</sup> და გარეთ მარმარილოთა<sup>47</sup> და ოქროთა და ლავვარდითა გა-  
25 ნაშენენა იგი უმეტესა<sup>48</sup> და ფრიად წარაგო ყოველნი მონაგებნი მის-  
ნი, ვითარცა თქუა ქრისტემნ, ვითარმელ<sup>49</sup>: „განყიდენით<sup>50</sup> მონაგებ-  
ნი თქუენნი და მიეცით ქველის<sup>51</sup> საქმედ და ყავთ თავისა თქუენისა

1 და ყოველთა ეპისკოპოსთა — AB. 2 მისმან — AB, 3 უგულებელს BC.

4 ლოცვა C. 5 ვედრება C. 6 შეეცვისა C. 7 და — AB. 8 მისსა+ იყავნ C.

9 ესე იყო — C. 10 იყო — B. 11 და — C. 12 იყავნ C. 13 შენსა+აწ C. 14 სიმდაბლე — AB. 15 და — AB. 16 სიბრჟელე — AB. 17 ამიერითგან — AB. 18 ყუდროე-  
ბით — AB. 19 მოერცალო — C. 20 ამიერითგან — C. 21 სული C. 22 — C.

23 შენებითა შემობითა C. 24 ველესიათა C. 25 აწ] და C. 26 მიცემითა [მოწ-  
ყალებითა C. 27 ესე — B. რომელი — ესე... დედოფალმან — C. 28 ყოველივე AB.

AB. 29 საეკლესიოდ B. 30 სცვალნა C. 31 მრავალნი... აჩუენა — C. 32 გლახავთა C+ზედა C. 33 მიზლუევად და] წარაგნა C. 34 მიღონ A. მიღონ C. 35 შეენ-  
ერნა — AB. 36 ალაშენა A. 37 და — AB. 38 ვითარ... მისთვა] კულად სხეაც C.

39 ეკუდარი C. 40 დედოფალისა — C. 41 დიდებულისა — C. 42 ლმრთის-  
მშობელისა C. 43 და მარადის... მარადისა — C. 44 ქვითა — B., ქვთა C.

45 საფირონითა C. 46 შინათა C. 47 მარმარილოთა A. 48 უმეტეს — C. 49 ვი-  
თარმედ — C. 50 განყიდეთ C. 51 ქულის C.

საფასე მოუკლებელი<sup>1</sup>. მიერითგან განაგრძო ძემან მისმან თეიმუ-  
რაზ<sup>1</sup> სამეფოდ თვისი ღმრთისმოყუარითა<sup>2</sup> დედითურთ. წინასწარ-  
მეტყველებლენებ<sup>3</sup> ეკლესიანი ღმრთისანი, დალრმდებოდა<sup>4</sup> საღმრ-  
თოდ თესლი ღმრთისმსახურებისა და განძლიერდებოდა ერი ქარ-  
თველთა და ვითარცა ესე ესრეთ იქმნებოდა, ეერ თავს-იდებდა  
მტერი იგი მოშურნე ქრისტეანეთა ეშმაკი ეგეოდენსაა დაწყნარება-  
სა და უშფოთველობასა ეკლესიათასა. ამისთვის აღჭურა მბრძოლი  
იგი მარადის და განმრყენელი წესთა კეთილდაწყნარებისასა საქარ-  
თველოსა ზედა, მეფე სპარსთა უსჯულო, უკეთური, მჯეცი და ყოვ-  
ლითა არაშემიღებითა აღსავსე, მახვლი იგი ორბირი, ჭური ყოველთა  
მანქანებათა ბოროტისათა, მპოვნებელი ყოველთა ცბიერთა<sup>5</sup> მეფე  
შაპაბაზ<sup>6</sup>, რამეთუ მას უამსა მოცალეობდაცა, რამეთუ დასუსტებულ  
იყო კეისარი. ამისთვისცა განიზრახა<sup>7</sup> თანაშემწეობითა მამისა თვის-  
სა<sup>8</sup> ეშმაკისათა, ვითარცა ეტყოდა უფალი ჰურიათა, ვითარმედ:  
„თქუენ მამისა თქუენისა<sup>10</sup> ეშმაკისანი ხართ და გულისთქუმათა მამი-  
სა თქუენისათა გნებავსთ აღსრულებად, რამეთუ იგი დასაბამითგან  
კაცისმკვლელი იყო და არა დააღგრა ჰეშმარიტებასა ზედა და ჰეშ-  
მარიტებამ არა არს მის თანა“<sup>9</sup>. და შემდგომი ამისი. და წარმოექმარ-  
თა სიღიღითა<sup>11</sup> მრავლითა და სპითა უმრავლესითა შურისათვს კახთა  
მეფისა თეიმურაზისა<sup>12</sup>, რამთამცა აღაოქრნა და დააქცივნა ეკლესი-  
ანი და ასწყულა<sup>13</sup> თესლი ღმრთისმსახურებისა, რამეთუ ასმილა ჰეშ-  
მარიტი სარწმუნოებად და მართლადსარებად<sup>14</sup> სამებისა წმიდისა მე-  
ფისა და ყოვლისა ერისა საქართველოსა.

/ამისათვისცა უფროს შურითა საეშმაკოთა შეიწყებოდა<sup>15</sup> ბორო-  
ტი იგი მეფე სპარსთა, მსგავსი ივლიანესი, გინა თუ დეოკლიტიანე-  
სი და მსგავსადევ მათსა მბრძოლი და შემმუსრველი ქრისტეანობი-  
სა<sup>16</sup>. მაშინ მოესმა ყოველნი ესე ამბავნი<sup>17</sup> მეფესა თეიმურაზს და  
წარავლინა<sup>18</sup> ყოველსა საბრძანებელსა თვისამ ქადაგი თვისი და ყო-  
ველნი შემოქრიბნა სიმრავლე გარისა<sup>19</sup> თვისისა<sup>20</sup> ეპისკოპოზით<sup>21</sup>.  
თავადით, აზნაურით და უაზნოთურთ. მოვიდეს ესენი წინაშე მეფი-  
სა თეიმურაზისა და, ვითარცა ჭერ იყო, ეგრეთ თაყუანისცეს და რა-

1 თამურაზ B. ~ თეიმურაზ მეფემან C. 2 ღმრთისმოყუარით B. ღმრთის-  
მოყუარით C. 3 წინასწარმეტყველებლენებ<sup>22</sup> უუაოდენ C. 4 დაღმრდებოდა]  
ვითარცა შროშენი და განმრავლებოდა C. 5 ეგეოდენი BC. 6 ცბიერ-  
ოთა] უსჯულობათა C. 7 შაპაბაზ C. 8 განძლიერა C. 9 თვისისა—BA.  
10 თქუენისა — AB. 11 სიღიღითა C. 12 თამურაზი B. 13 აღმისწყვდა C. 14 აღ-  
სრება B. 15 შეიწყებოდა C. 16 ქრისტეანობის C. 17 მამავნი C. 18 წარავლინა  
ABC. 19 გარისა] C. 20 თვისისა — AB. 21 ეპისკოპოზით B. ეპისკოპოზით C.

მცა ენება მეფესა, ყოველსავე გულპეშმარიტებით! დაუმტკიცებ-  
დეს და ფიცით ოლუოქუმიდეს ერთგულებასა მისსა.

მოვიდა მეფე იგი უსჯულო ქუეყანასა მას განჯისასა და წარ-  
მოავლინა მოციქული წინაშე მეფისა თემურაზისა და წარმოუთხ-  
რა ესრეთ: „ვინათგან მოვიწივე აქასა? ამას ქუეყანასა, შენდაცა ჯერ-  
ას მოსლვად ჩუენდა და<sup>3</sup> თაყუანისცემად წინაშე ჩუენსა, ვითარ-  
ცა არს წესი უმრწემესისა უხუცესისა მიმართ. ენება უსჯულოსა  
მას მეფესა, რამთამცა ზაჟეთ შეეპყრა<sup>4</sup>, ანუ მახულითა მოეკლა, ანუ  
ცეცხლითა დაეწუან მეფე ეს ღმრთისმოყუარე.

10 ცნა ამანცა მანქანებად კაცისა მის ბოროტისა და თვთ არა მი-  
ენდო განზრახვესა<sup>5</sup> მათსა, არამედ იქმო თავიდნი თუსნი და უბრძა-  
ნა მათ: „მე განმზადებულ ვარ წყობად უსჯულოთა მათ სარკინოზთა,  
ვითარცა მოწამე ქრისტესი ნესტორ ლეონსა ზედა. უკუეთუ ღმერ-  
თი ჩუენ კერძო არს, ვინ შემიძლოს ჩუენ?<sup>6</sup> ვნებად რახსამე?<sup>7</sup>

15 ამისა შემდგომად მოილო წიგნი და შემოთვლილობად მეფისა  
მის უსჯულოსა და ყოველთა<sup>8</sup> მორის საანგმნოდ ყო. ყურადილებს  
ყოველთა ბრძანება<sup>9</sup> იგი სავსე მანქანებითა და ზაჟეთა ბოროტი-  
თა, შიში და ძრწოლა შეედვათ ყოველთა მუნ მდგომარეთა და ზოგი  
რომელიმე განიზრახვიდა<sup>10</sup> ყოფასა <sup>11</sup> ბრძოლისასა და განზრახვა<sup>12</sup>  
მათი, რამეთუ არა კეთილ და კეშმარიტ იყო.

20 ამას ზედა შეწუხნა მეფე ეს მორწმუნე, მსგავსი კოსტანტინე-  
სი, გინათუ თეოდოსისი, და შთავარდა დიდსა ზრუნვესა გულისიტ-  
ყუათა<sup>13</sup> თუსთასა და ვერა რომელი<sup>14</sup> ღონე ეპოვა<sup>15</sup> ნუგეშინისცემისა  
მათისა. მოავსენეს თავადთა კახეთისათა: „ვინათგან ჩუენ ვერ შეუძ-  
122 25 ლებო/ბრძოლისა ყოფად მისსა, მოვიპოოთ<sup>16</sup> მიზეზი მშვიდობისა  
რამსამე ყოფისა მათისა: წარვეზავნოთ დედოფალი ქეთავა<sup>17</sup> და თა-  
ნა წარვატანოთ ერ თქუენი ალექსანდრე და მიეგებოს წინაშე მისსა  
და გვივსნას პირისა მისგან შეცისა ბოროტისა“.

30 შეწუხნა მეფე სიტყუასა ამას ზედა მათსა და ოლდულნა გული  
მისი და თუალნი<sup>18</sup> ცრემლითა აღევსნეს და მწარითა ტყებითა და  
ტირილითა დიდითა მიუთხრა ეს ყოველი<sup>20</sup> დედასა თუსსა. მაშინ

1 გულპეშმარიტებით დაუმტკიცებდეს] ზედა მოსწრავედ მორჩილობდეს  
C. 2 აქას A. 3 და თაყუანისცემად... ჩუენისა — AC. 4 შეეპყრა BC. 5 დაწვა C.  
6 განზრახვესა C. 7 ჩუენ — B. 8 შემოთვლილობად], აღმოიყოთხეს ბრძანება C.  
9 ყოველთა... ყო — C. 10 ბრძანება] წერილი C. 11 განიზრახვიდა] ირყოდა C.  
12 ~ ბრძოლისა ყოფასა C. 13 განზრახვა C. 14 გულისიტყუათა თუსთა] დიდსა  
ზრუნვესა C. 15 რომელი] რა C. 16 პავა B. 17 მოეპოოთ] მოეილოთ B. 18 თუ-  
ალნი+მისნი B. 20 ყოველი — B.

შეწუხნა დედოფალი ქეთავან და მანცა! იშყო ტირილად ფა თქუა  
ესრეთ: „შვილო ჩემო სასურველო და ნათელო თუალთა ჩემთაო,,  
მრავალჯერ მიკსნია ქუეყანა ესე კახეთისა დედობრივითა უძლურე-  
ბითა ჩემითა. უკუეთუ წარვიდე მეცა, არა ინებებს შეფე იგი უსჭულო  
მშვდობის ყოფად ჩუენდა, რამეთუ არს იგი მოუმდოვრებელ<sup>2</sup>. მაშინ  
ყოველთა ერთა აღმოუტევეს<sup>3</sup> ერთობით სწყალობელად კმად გა-  
თი და თქეუს: „დაგვჭენ<sup>4</sup>, დაგვჭენ, დედოფალო, ბოროტისა მის-  
გან მცეცისა მომსრუელისა“.

მაშინ განემზადა<sup>5</sup> და წარვიდა მწუხარებითან და ტირილითა  
ფრიადითა. და გამოესალმნეს მეფე და დედოფალი ხეარაშან, ასუ-  
ლი ქართველთა მეფისა, და ყოველნი თავადნი კახეთისანი, რამეთუ-  
დ იდნი გოდებანი<sup>6</sup> და მწუხარებანი აღესრულებოდეს ეამსა მას.  
და ფრიადნი ცრემლნი დაითხეოდეს<sup>7</sup> და ემსგავსებოდა დლუ იგი  
ტირილსა მას რაქაელისა, ანუ გოდებასა იერემიასსა.

და წარვიდა ესევითარითა მწუხარებითა შეპყრობილი თანამყო-  
ცეთ შვილის შეიღლითურთ ალექსანდრეთ და მიიწია, სადაცა ბილ-  
წი იგი დაბანა ებულ იყო. და მიესმა ესე მეფესა მას უსჭულოსა  
მისლვა დედოფლისა ამის და განიხარა სიხარულითა დიდითა<sup>8</sup> და  
მასვე ეამსა წინაშე თვსსა მიიყვანა<sup>9</sup> თანამყოფით ძილურთ. ალდგა  
მეფე იგი უსჭულო და წინამოეგება და სიხარულით შინაგან ტახ-  
ტსა<sup>10</sup> მას სამუეფოსა შეიყვანა და დასხდეს და იშყო სიტყუად მათ-  
და და პრეჭა: „რახესათვს არა მოვიდა ძე შენი მეფე თეიმურაზ და  
არა ყო მშვდობად შორის ჩუენსა და მისსა, რამეთუ ჩუენ ესრეთ  
წადიერ ვართ, რამთა მოვიდეს და გვხილნეს ჩუენ და იყოს მორჩი-  
ლებასა ქუეშე ჩუენსა ანუ კუალად წარმოვგვზავნოს ძე თვსი წინა-  
შე ჩუენსა“.

/ მაშინ ცნა<sup>11</sup> დედოფალმან ამან ღმრთისმოყუარემან მცბიერე-  
ბად<sup>12</sup> იგი მისი და ზაკუა<sup>14</sup> გულისა მისისა. მწუხარებითა შეპყრობილ-  
მან მოუწერა ძესა თვსსა, მეფესა თეიმურაზს ყოველნი ესე<sup>15</sup> ხი-  
ლულნი თვსნი და ბრძანებად მეფისა მის უსჭულოსა.

და მოიწია ესე ამბავი<sup>16</sup> წინაშე მეფისა და ფრიად მწუხარე იქმნა საქ-  
მესა ამას ზედა, არამედ არარად იყო სხუად ამისსა გარეშე. და წა-

1 მან B 2 მოულოვრებელ B. 3 აღვტავნ C. 4 დაგაქსერ შემწე გვეყან.  
C. 5 განემზად] ფრიადისა მდს იძულებასთვს მოჩჩილ ექმნა და დადგა სული-  
თვსი ერთსა თვისისთვეს C. 6 ~ ფრიადითა მწუხარებითა და ტირილითა C+მწუ-  
ხარითა C. 7 გოდებანი] გლოვან C. 8 დათხევოდეს B. 9 დიდითა+ფრიად B.  
10 მიიყვანა B. 11 ტატსა] პალტას მას C. 12 იცნა B. 13 მცბიერობა C. 14 ზე-  
ვა BC. 15 ესე — C; 16 ქამბავი C.

რუგზავნა მეორეცა ძე თვისი ლევან. და შემდგომად კულტურულისა  
ორთავე ამათ ქეთა მისთა იცვალა<sup>1</sup> სახე და საქმე სიყვარულისა  
წილ სიძულვილისა<sup>2</sup> და სიმართლის წილ სიტყუილისა<sup>3</sup> და ოლიდ-  
5 რა გულისწყრომითა და რისხეთა დაუბყრობელითა. და შეიძყრა დე-  
დოფალი ესე ყოვლად სანატრელი და ექსორიობად დასაჯა: შორად  
ქალექად შირახად წარგზავნა და ორნი ესე ძენი მისნი პატივითა  
გამოსაშურისნა.

და ვითარცა იხილნა წმიდამან ამან ძის ძენი იგი მისნი ესრეთ  
დასჭილნი, რომელმან ენამან გამოოჭუნეს ტკივილნი გულისა მისი-  
10 სანი ანუ ნაკადულნი ცრემლთა მისთანი? განიშალნა<sup>4</sup> თმანი და  
✓ იგლეჭდა<sup>5</sup> სახესა პირისა მისისა და იტყოდა: „დიდებად შენდა, მე-  
უფეო ყოველთაო ქრისტე, რამეთუ ცოდვათა ჩემთათვს მოწივნეს  
15 სასტიქნი ესე განსაცდელნი“. და იტყოდა, მსგავსად იობისა, ვი-  
თარმელ: „უფალმან მომცა და უფალმან წარმილო, იყავნ სახელი  
უფლისად კურთხეულ უკუნისამდე“, და თანა-ახლდეს მხევალ-  
ნიცა მცირენი და ბერი ერთი, სახითა მლდელი, რომელი უკუნას-  
კნელ ცილისწმებითა რამთმე ცეცხლითა დასაჯეს<sup>6</sup>. ხატნი<sup>7</sup>, წიგნნი  
და ნაწილნი წმიდანი<sup>8</sup> თანა აქუნდეს<sup>10</sup> მცელად<sup>11</sup> თვსად<sup>12</sup> და ეკუ-  
დერიცა<sup>13</sup> მცირე აღაშენა საღოცელად თვსად და იყოფებოდა  
20 ლოცვითა და ვეღრებითა<sup>14</sup> დღე და ღამე წინაშე ღმრთისა<sup>15</sup>, რო-  
მელი<sup>16</sup> მოვითხრა ყოველივე ცხორებად<sup>17</sup> მისი.

ხოლო მეფე იგი უსჯულო შემდგომად შეპყრობისა<sup>18</sup> წმიდისა ამის  
შევიდა საქართველოდ და ოლაონქრა იგი, ოპრებითა<sup>19</sup> ცხე-  
ლითა წარტყუენა ფრიად, რამეთუ აღსრულა სიტყუა ფსალმუ-  
ნისა, ვითარმელ<sup>20</sup>: „ღმერთო, შევიდეს წარმართნი სამკუდრებელსა  
შენსა და შეაგინეს ტაძარი წმიდად შენი“, და შემდგომი ამისა. და  
ივლტოდა მეფე<sup>21</sup> წელთაგან მისთა რამეთუ ვერ ეძღვო ბრძოლად, ვი-  
25 თარცა ზემორე ვთქვ<sup>22</sup>, განერა მცირით კაცითა და<sup>23</sup>/წარვიდა  
ქუეყანად ლიხთიმერად<sup>24</sup>. დაწუეს<sup>25</sup> ცეცხლითა ქალაქი, შეენიერი

1 იცვალა+სხვად C. 2 სიძულვილისად B. 3 სიტყუილისა C. 4 განიშალნა] განიშიშულნა C. 5 თმანი] თანნი B. თავნი C. 6 იგლეჭდა... მისსა] იგფხრიდა თმა-  
თა თავსისათა და დაიბძარვიდა სახესა პირისა მისისათა C. 7 დასაჯენს  
A+და ყოველნი საღმრთონი C. 8 ~ წიგნნი და ხატნი C. 9 ~ წმიდათა ნაწილნი  
AC. 10 აქუნდა B. 11 მცელად AB. 12 თვსად+და C. 13 უკუდარცა AC.  
14 ვეღრებითა+და A. 15 ღმრთისა] უფლისა C. 16 რომელ... მისი — C.  
17 ცხორებად A. 18 შეპყრობისა] ექსორიობსა C. 19 ოპრებითა ფუცხელითა] და  
წარტყუენა ფრად C. 20 ვითარმელ — C. 21 მეფე+და ერი მისი C. 22 ვთქუ C.  
23 და — AB. 24 ლიხთიმერად A, ლიხთ იმერეთად C. 25 დაწუეს C.

კახეთი და დააქციუნეს ყოველნივე და იატაქნეს ფერწითა ბილწილარაულ  
თა ადგილი წმიდათანი, სალოცველი, ვითარცა მეფემან ბოსრო  
ქალაქი იერუსალიმი, და მოიწია ჭირი დიდი ქუცანასა ქართველ-  
თასა, რომელი არა მოწევნულ იყო დასაბამითგან სოფლისათა<sup>1</sup>, და იყო  
ჭირი იგი<sup>2</sup> განგრძელებულ ვიდრე ათხუთმეტ<sup>3</sup> წელ, და მოვიდა<sup>4</sup>  
უსჯულო იგი მეფე ქუცანად ქართლად, ვითარცა<sup>5</sup> ასწყვდნა<sup>6</sup> კაც-  
ნი<sup>7</sup> კახეთს<sup>8</sup>.

მას უამს მეფობდა ქართლს მეფე ლუარსაბ, ძე მეფისა ვიორ-  
გისი, კაცი მქნე და ახოვანი<sup>9</sup>, შეენიერი უფროს ყოველთა ძეთა  
კაცთასა და იყო ქერქე ყრმა და გამოუცდელი<sup>10</sup>. დაშორმილ იყო  
იგი მამისა მისგან ღმრთისმოყუარისა და მორწმუნისა.

ხოლო მეფე იგი სპარსთა ლიქნიდა მას ფრიად და ეტყოდა<sup>11</sup>  
ფიცით, ვითარმედ: „ჟაჟუთუ<sup>12</sup> მოხვდე და მერჩდე მე, მეგობრად  
ჩემდა გყო შენ და მიგუნე ყოველნივე სამეფონი საქართველოსანი,  
შენი და უშენნი, რამეთუ მიყუარ შენ ფრიად ჰასაკისათვს და შუ-  
ენიერებისათვს<sup>13</sup> და ახოვნებისათვს გუამისა შენისა. რამეთუ მეფე  
იგი კახთა და ადგილი მისი ამისოუს მოვაონტე, რამეთუ იყვნეს<sup>14</sup>  
იგინი მეგობარ კეისრისა, ხოლო შენ დაგიჭირავ<sup>15</sup> სწორად თავისა  
ჩემისა და მეორედად მეფობისა ჩემისა გყო<sup>16</sup>. ამით ესევითარითა  
სიტყვთა მოაღორა მეფე ესე უსჯულომან და მივიდა<sup>17</sup> მის თანა,  
ხოლო ვითარცა ჟელთ-იგდო, აღსარულდა ყოველნივე საწადელი  
მისი და იტყოდა მეფე ლუარსაბ, ვითარმედ<sup>18</sup>: „იესუ ქრისტე, უწ-  
ყი, ვითარმედ<sup>19</sup> ყრმა ვარ და უსწავლელ, გარნა უწყი, ვითარმედ  
შენ ხარ ღმერთი ყოველთა და სჯულთა შენთათვს მზა ვარ სიკუ-  
დილად“.

დღესა ერთსა ჯდა მეფე უსჯულო და უჯდა მეფე იგი მორწმუ-  
ნე დღეთა მათ მარხვეისათა წმიდათა<sup>20</sup> ორმეოცთა და აიძულა მას  
ჭამად თევზისა. ხოლო მან პრქუა: „არა კვამო წმიდათა ამათ მარ-  
ხუათა, რამეთუ ესრეთ განწესებულ ასე, და უკუეთუ<sup>21</sup> კვამო თევ-  
ზი, კუალად მაიძულებდე ჭორქსაცა<sup>22</sup> კამად მარხვათა შინა არა  
უწყია, მეფე. რამეთუ მე ქრისტიანე ვარ?“ და ივლტოდა მისგან.

1 სოფლისად A. 2 იგი+და განსაცდელი C. 3 ათუთმეტ C. 4 მივიდა AC.  
5 კითარცა] შემდგომად C. 6 ასწყვდნა], მოწყვედისა C. 7 კაცნი] და მოსრვე-  
შად C. 8 კახეთისად C. 9 ახოვანი+და C. 10 გამოუცდელ C. 11 ეტყოდა+მას C.  
12 უკეთუ C. 13 მუშნიერებისა C. 14 იყუნეს C. 15 დაგიჭირავ] გყო C.  
16 გყო — C. 17 მოვიდა B. 18 ვითარმედ+უფალ C. 19 ვითარმედ] რამეთუ C.  
20 წმიდათა+მათ B. 21 უკეთუ C. 22 ჭორქსაცა AC.

ხოლო ვითარცა განთენდა<sup>1</sup>, შეიძყრეს მეფე იგი შუალენიშვილი<sup>2</sup> ცხებული ღმრთისამ, და წარგზავნეს საპყრობილედ იგიცა ქალაქ-  
v ვა მას/შირაზისა<sup>3</sup>. და ვითარცა იხილა უსჯულომან მან მიუღრევე-  
5 ლობად სარწმუნოებისაგან, განიზრახა<sup>4</sup> გულსა შინა თვესსა: - ეკუ-  
ეთ ვაძლელო უარის-ყოფად<sup>5</sup> ქრისტესა, არა მერჩდეს ზიარებად  
სჯულთა ჩემთა<sup>6</sup>. და წარავლინნა კაცნი საპყრობილესა შინა და საპ-  
ლითა მოაშოვეს<sup>7</sup> წმიდად იგი და გვრცნშემოსილი წარეიდა წინა-  
10 შე ღმრთისა, შექმული ღუაწლითა წამებისათა. და განიზრახეს<sup>8</sup>, რა-  
მთა დამალონ წმიდად<sup>9</sup> იგი შუენიერი გუამი მისი, ნუუკუ წარიპა-  
რონ ქრისტეანეთა ნაწილი მისინ. თუესა<sup>10</sup> მარტისა ერთსა ალესრუ-  
ლა ღმრთივ-გვრგვნოსანი ესე მეფე ღუარსაბ. ამისა შემდგომად  
დაიპყრნა<sup>11</sup> უსჯულომან მან ჭუეყანანი ქართლისანი და კახეთისანი  
და სამცხეცა მიულო ქელთაგან ბერძნთა, დააყენნა ნოინნი და წარ-  
ვიდა.

15 ხოლო ჩუენ ალვიდეთ პირველსავე მას სიტყუასა ზედა. წმი-  
დად იგი მოწმე ქრისტესი დედოფალი ქეთავან<sup>12</sup> იყო საპყრობილე-  
სა შინა და სცვდეს მას კრძალულად და მისცემდიან<sup>13</sup> როვისა რა-  
მსამე კმასაყოფელად საქმართა, ხოლო იგი განუყოფნ ულონოთა და  
გლახაკთა და განამტკიცებნ მუნ მყოფთა ქრისტეანეთა მწირთა,  
20 რამთა არავინ უარ-ყოს<sup>14</sup> ქრისტე. ხუცესიცა ვინმე მღლელი ჰყა-  
თანა, რამთა, ოდეს ექმარებოდნენ<sup>15</sup>, მისცეს<sup>16</sup> მათ საიდუმლო ქრის-  
ტესი. და იყო წმიდად იგი ღუაწლა შინა, ნუუკუ იქმნას განსლვა  
25 მისი წორტაგან აღიღილსა მას უსჯულოთასა, და ევეღლებოდა  
უფალსა ცრემლით<sup>17</sup> დღე ყოველ<sup>18</sup> და მიავლენდა<sup>19</sup> მეოხად და შუაწ-  
დგომლად<sup>20</sup> უხრწნელსა მას მშობელსა მისსა, მეოხსა და მშნელსა  
30 ქრისტეანეთასა. მარხვასა ეგეზომსა მისცა თავი თვსი, ვიდრე  
წორტა საზომსა თანა წარკდა. ალუთქუაცა<sup>21</sup> ალუთქმითა<sup>22</sup> სეშინ-  
ლითა, უკუეთე განეროს<sup>23</sup> პელთაგან მათთა და მივიდეს სამეფოდ  
თვსად, განშიმულდეს სოფლისაგან და ალილს ჭუარი და იქმნეს  
მონაზონ და დაუწესოს მოწესეთა თანა. ხოლო ყოველთა ზედა-  
მხედველი იგი და უმჯობესად განმაწესებელი მონათა თვსთასა, უძ-

<sup>1</sup> განთენა AC. <sup>2</sup> შირაზისასა B.შირაზისა C. <sup>3</sup> განიძრახა C. <sup>4</sup> უარის-ყოფად

C. <sup>5</sup> ქრისტესა A. <sup>6</sup> მოაშოვეს A. <sup>7</sup> განიძრახეს C. <sup>8</sup> ~ შეცნიერი იგი და წმი-

დად გვამი მისი C. <sup>9</sup> ~ ალესრულა ღმრთივ-გვრგვნოსანი ესე მეფე ღუარსაბ  
თვესა მარტისა ერთსა C. <sup>10</sup> დაიპყრა ABC. <sup>11</sup> ქეთვან C. <sup>12</sup> მისცემდან+მას C.

C. <sup>13</sup> უარ-ყოს C. <sup>14</sup> ეხმარებოდენ AB. <sup>15</sup> მისცენ AB. <sup>16</sup> ცრემლით+და

AB. <sup>17</sup> ყოველ] და ღმე C. <sup>18</sup> მიავლენდა] ხალოდა C. <sup>19</sup> შეამდგრმელად+ყოვ-

ლად C. <sup>20</sup> ალუთქუაცა] C+დიდი C. <sup>21</sup> ალუთქუმითა] ალუთქა C. <sup>22</sup> განერეს C.

ცირესისა მეძიებელსა მისცემდა უზეშთაესსა, ვითარცა თუთ პრძანებას სახარებასა შინა, ვითარმედ: „უკუეთუ თქუენ, უკუთურთა, იცით მისაცემელი კეთილი მიცემად შეილთა თქუენთა, რავდენ მა-  
მათან თქუენმან ზეცათამან იცის მოცემად, რომელნი სოხოვდენ  
მას“. სული წმიდამ! იგი ითხოვდა/კორციელად განრომად საბრჩი- 124 5  
საგან და შერთვად გუნდსა? მონაზონთასა, ხოლო მსმენელი იგი  
ოხოვისა უქადებდა მას სულთა განრომად ბრძოლათაგან სულთა  
მომსრველისა და გუნდსა თანა ანგელოზთასა შერთვად მოუგონე-  
ბელთა მათ კეთილთა მინიჭებასა და გვრგონთა მათ უხრწნელთა  
აღუთქმიდა მას მოთმინებისათვს მისისა, რომელსა ჩუენებად იყო  
სიყოარულისათვს მისისა.

ამისა შემდგომად წარკდეს რამ ეამნი რაოდენნიმე, იყითხა  
უსჯულომან მან და ბოროტთა სადგურმან მეფემან, თუ: „ვითარ  
იყოფების და<sup>3</sup> ვითარ ამას ცხორებს<sup>4</sup> დედოფალი, რომელ<sup>5</sup> ტყუე  
ვყავ ქუეყანასა<sup>6</sup> შირაზისასა?“. ხოლო მათ ყოველივე აუწყეს კე-  
თილი იგი მოქალაქობამ მისი და შეურყეველად და მტკიცედ დგო-  
მა სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა. აღშფოთდა სულითა ბილწი  
ივი და აღმოუტევებდა ორთქლთა შავთა პირისაგან მისისა შე-  
ჭირებითა დიდითა, ფიცით დაამტკიცა<sup>7</sup> და თქუამ, ვითარმედ:  
„ანუ განვაყენ სჯულისაგან ჯუარტმულისა და ანუ<sup>10</sup> სიკუდილითა  
მწარითა განვიყვანი<sup>11</sup> საწუთოსაგან<sup>12</sup>“. აქნდაცა სასოებად ამისი,  
ვითარმედ ბუნებითა დედათათა იქმნას მომედგრებად სატანჯველ-  
თაგან. და არა უწყოლა უგუნურმან შინაგან დამკვდრებული იგი  
ცეცხლი<sup>13</sup> მოტყინარე, სიყუარული ქრისტესი მის შორის, ანდამა-  
ტებრ მტკიცე სარწმუნოებამ, რამეთუ საძირკველი<sup>14</sup> იგი სახლისა  
მისი[სახ] არა ქვშასა დამყარებულ იყო, არამედ კლდესა მას შე-  
ურყეველსა. ამისა შემდგომად საქმით სრულ-ყო სიტყუად ივი  
უსჯულომან მან და წარავლინნა კაცნი ვინმე შემსგავსებული საქ-  
მეთა მათ ბოროტთა, მიუმცნ პირველად ლბილნი სიტყუანი, ვი-  
თარმედ „ში, დედოფალო, უწყი პატიოსნებად და წესიერვბად შე-  
ნი და სიბრძნე და<sup>15</sup> და სიმჯნე და მნებავს, რათა იყო ჩემდა დედად  
საყუარელად<sup>16</sup> და<sup>17</sup> მე ვიყო შენდა შეილი და მორჩილ სიტყუათა  
შენთა, და განაგებდე პალატსა ჩემსა, ვითარცა ჯერ-გიჩნდეს. მო-

1 ~იგი წმიდაა B. 2 გუნდსა! ხოროსა A გორისა B. და ვითარ—C.  
4 ცხორებასა C. 5 რომელი C. 6 ქუეყანისა] ქალაქსა C. 7 დამტკიცებდა C.  
8 თქუ A] ცეცხლი C. 9 და → C. 10 ან A. 11 განვიყუანი C. 12 საწუთოსაგან.  
BC. 13 ცეცხლი] ცხორებას AB. 14 საძირკველი... დამყარებული იყო] არა და-  
უფრო ჟანრის სისტემა მისი ქვშასა ზედა C. 15 და სიმჯნე — 16 საყუარელად C.  
17 და — AB,

ვაქციო შენდა ძე შენი და მოვიყვანო<sup>2</sup> სამეფოსა თვალსა და მივ-  
სცნე სამეფონი თვალი და იყო იგი ძედ საყუარელად ჩემდა, უკუ-  
ეთ მოხვდე სჯულსა ჩემსა და იქმნე მესურმან, რომელსაც  
პრევიან განწმენდილ<sup>4</sup>. და<sup>5</sup> უკუეთუ არა ერჩდე ბრძანებასა ჩემსა,  
v 5 ვფულავ მოპმადსა, არა ვრიდებზ მე/ფობასა და პატიოსნებასა შენ-  
სა და სატანჯველთა<sup>7</sup> სასტიკთა<sup>8</sup> გ.ნგიყვანო ამის ცხორებისა-  
გან<sup>9</sup>. მიიწივნეს<sup>9</sup> რაა მივლინებულნ იგი, სადა-იგი იყო წმიდათ,  
და პირველად შეიძყრეს ხუცესი, რომელი ჰყვა წმიდასა მას, აუწ-  
ყეს ყოველი ბრძანებული მეფისა. უწინ<sup>10</sup> წმიდისა მის აიძულეს  
10 ხუცესსა მას დატევებად სჯულისა<sup>11</sup> ქრისტესა და პრეზეს მას: „ანუ  
აღირჩიე სიკულილი და ანუ უარ-ჰყავ ქრისტე“. ხოლო ვითარცა  
ნახა<sup>12</sup> ხუცესმან თავი თვალი ესვეითარსა განსაცდელსა, შეშინდა ში-  
შითა მწარითა<sup>13</sup> და უარ-ყო<sup>14</sup> ქრისტე და იქმნა საპრიკ და არა ნიკი-  
ფორე<sup>15</sup>. ამის საქმისათვალს აღსრულა სიტყუა იგი სახარებისამ,  
რომელსა იტყვეს მთესვრისად<sup>16</sup> აგარაკისათვს, ვითარმედ<sup>17</sup>: „რა-  
უამს მოიწევიან ჭირნი და ანუ განსაცდელნი, მეყსეულად დაუტე-  
ვიან<sup>18</sup> და უნაყოფო იქმნიან“, რომელიცა შეემთხვია ხუცესსა  
ამას<sup>19</sup> საწყალობელსა. და რად<sup>20</sup> პლისრულეს გულისნებადა<sup>21</sup> თვალი  
ხუცესსა მას ზედა მტარგალთა მათ, აღმოათქმევინეს სიტყუანი<sup>22</sup>  
20 ბილწისა სარწმუნოების მათისანი<sup>23</sup>. მაშინ წარავლინეს ხუცესი  
წინაშე დედოფლისა და შესთვალეს ყოველივე ბრძანებად მეფისა<sup>24</sup>,  
განგებად იგი მათი<sup>25</sup> უშესხავროდ<sup>26</sup>.

ხოლო შევიდ ხუცესი და ტირილითა მწარითა ყოველივე  
v 25 იყადრა წინაშე დედოფლისა. ხოლო ესმა რაა ესე წმიდასა მას,  
აყვედრა პირველად ხუცესსა მას უარისყოფა<sup>27</sup> ქრისტესი, საწუ-  
თოსა<sup>28</sup> ამის წილ განსუენებად და აღიძყრნა კელნი თვალი ზეცად  
და ნიკადულნი ცრემლთანი გარდამოუტევნა და თქუა სიტყუად  
იგი წინასწარმეტყუელისა ელიასი, რაფამს სდევდა მას აქაბ და

1 შენდა — AC. 2 მოვიყუანო C. 3 რომელისა... განწმენდილ] მრავალი კი-  
ათოლი მოგნივთ C. 4 განწმენდილ — A (ამოფხევილი). 5 და — C. 6 ერილო C.  
7 სატანჯველთა C. 8 სასტიკთა C. 9 მიიწივნეს A. 10 უწინ] პირველად C.  
— 11 სფრულსა C. 12 ნახა] იხილა C. 13 მწარითა+დიდთა A] დიდთა C. 14 უარ-  
უო C. 15 ნიკადულ C. 16 მმესვრად C. 17 პატარმდ — B. 18 დაუტევიან...  
იქმნიან] დაბრუჯლონ C. 19 მას C. 20 რამ] ვითარ C. 21 გულისნებად] ნებაა C.  
22 სიტყვანი A. 23 მათისა AB. 24 მეფისა — C. 25 მათი — AB. 26 მშხავრო+  
მარ AB. 27 რამისყოფა C. 28 საწუთოსა... გულისნებად — C.

კოლი მისი იეზაბელ<sup>1</sup> სიკუდილად: „წინასწარმეტყუელნი მოსწოდებული და დამთომილ და და სულსაცა ჩემსა ეძიებენ მოკლეად“ ესე რაც თქუა, პრეზა ხუცესსა მას: „წარვედ, ორქვე მათ, მოვიდენ და აღასრულონ ბრძანებული მათი ყოველივე, რამეთუ მე მზა ვარ ქრისტესთვს სიკუდილად“.

ვითარცა ესმა<sup>2</sup> მათ<sup>3</sup> სიტყუად ესე, შემოვიდეს წინაშე წმიდისა მისე<sup>4</sup> და უთხრეს ყოველივე ბრძანებული მეფისა და თვით თავით თვალი ლიქნიდენ<sup>5</sup> მას და ოწუევდენ<sup>6</sup> უარყოფად<sup>7</sup> ქრისტესა. ხოლო მან რეცა განიცინა<sup>8</sup> ნელიად და ჭუარი ქრისტესი გამოისახა პირსა თვესსა და თქუა განკ/პრებით: — რაც ორს ცული ეგვერახვა თქუენი, მე მაწუევთა დატევებად სარწმუნოებისა? ორა უწყისა ბილწმან მან, რამეთუ ყრმანიცა და უსწოვლელნიცა წინააღმდეგებიან სიტყუათა მისთა, მე ვითარ მაწუევს, ვითარ გამოუდელსა, ზღაპართა და ცუდთა წარწყმენდულთა<sup>9</sup> სჯულსა მისსა მისლვად<sup>10</sup> გარნა ორა უწყისა, რამეთუ ვერ ძალ-უც შერყევად ჩემდა ძალითა ქრისტესითა? არამედ ნებავს<sup>11</sup> დალურაცა<sup>12</sup> სისხლისა ჩემისა სისხლისმშელსა მას. პირველად ასწყვდა<sup>13</sup> სამეფო ჩემი და ექსორია ყო ძე ჩემი და მოსწყვლია ყრმანი მისნი სულიერად და კორციელად, იავარ-ყო საუნგენი და მონაგებნი მეფეთანი და დააქცივნა ყოველნი. აწ ჩემიცა ნებავს მოკლვა, რამთამცა იყოს<sup>15</sup> შეძინებად სისხლითა ჩემითა უსჯულოსა მას, გარნა ვევდრები ღმერთსა დამბადებელსა, რათა იძიოს ყოველივე, რამცა შევუძოთხვა<sup>16</sup> სახელისათვს<sup>17</sup> მისისა<sup>18</sup>. აგინა და განბასრა სჯული და სარწმუნოებად და მათი მოპამედ<sup>19</sup> და მოყუასნი მისნი. წარმოთქუა ბრწამესი<sup>20</sup> სრულიად თკოთოეულად ბრწყინვალედ და აღიბეჭდა ყოველივე გუამი მისი სასწაულითა ჭუარისათა. თქუა: „მრწამს მამად მისა თანა სულით<sup>21</sup> წმიდითურთ და უხრწნელი იგი დედოფალი, შშობელი<sup>22</sup> სიტყვასა ღმრთისა. მას<sup>23</sup> სარწმუნოებისა ზედა აღვეს-რულო და დავლუარო<sup>24</sup> სისხლიცა ჩემი, უკუეთუ ენებოს ქრისტესა. აწ რამცა გენებოს<sup>25</sup>, ყავთ ყოველივე“ ესმა მათ სიტყუად მისი,

1 იაზაბელ B. 2 დაარღიეს C. 3 ორქვე A. ორქუ C. 4 ესმით B. 5 მათ — B. 6 მის] მას B. 7 ლიქნდენ B. 8 ოწუევდეს C. 9 უარის-უოფად C. 10 განიცინნა B. 11 წარწყმენდულთა C. 12 მებავს C. 13 დალურაცა] დათხევა C. 14 ასწყვდა] აზიცა C. 15 იყოს] ეყოს C. 16 შეგუემოთხა A. 17 სახელისა C. 18 მისისათვს C. 19 მოამად A. მომად C. 20 გერწამესი C. 21 სულის A. 22 მშობელი + იგი C. 23 მა AB. 24 დავლუარო] დათხით C. 25 გნებავს R.

განკურდეს მტარვალი იგი და<sup>1</sup> ეველრებოლეს მას, რამთა არა გან-  
წიროს სული თვისი, ხოლო მან შენერწყუა<sup>2</sup> და განბასრნა იგინი.  
 ამისა შემდგომად შიშისათვის წმიდისა მის მოილეს შამფურნი  
 და შესხეს ცეცხლსა შინა. ხოლო ამან<sup>3</sup> პრექუა<sup>4</sup> მათ უშიშითა ჭმითა,  
 5 ვითარმელ: „მაცალეთ მცირედ<sup>5</sup>, რამთა ვილოცო, და<sup>6</sup> რამცა ვი-  
ნებსთ<sup>7</sup>, ყავთ ყოველივე“ ხოლო მათ მიუშესებ და<sup>8</sup> შევიდა წმი-  
დად იგი სახლსა მას სალოცველსა, მოყარნა<sup>10</sup> მუქულნი და აღიძ-  
 ყრნა ჰელნი და იტყოდა ცრემლითა. აღმოილ ხატი წმიდისა  
 ლმრთისმშობელისა, დაალტო იგი ცრემლითა<sup>11</sup> და ესრეთ იტყოდა:  
 10 „უფალო „იესუ ქრისტე, მოიხილე მწევალსა ამას შენსა ზედა  
 დღეს<sup>12</sup>, რომელსა ნებავს სიკუდილი<sup>13</sup> სახელისათვს შენისა. ნუკა  
 იქმნებიან დამაბრკოლებელ კეთილისა ამის ღუწელისა ჩემისა  
 v ც/ოდვანი ჩემნი, არამედ ვითარცა ბრძანე: „რომელი მოვიდეს  
 ჩემდა, არა განვაძო გარე“, და აღუთქვ<sup>14</sup> აღმსარებელთა, ვითარ-  
 15 მედ: „ნუ გეშინინო, რამეთუ მე მოგცე თქუენ პირი და სიბრძნე  
 და სული მამისა, [რომელი] იტყოდეს<sup>15</sup> თქუენ წილ“. აწ გველრ-  
 ბი, რამთა არა განმაშიშულო<sup>16</sup> შეწევნისაგან შენისა, შემრთე-  
 მეცა აღმსარებელთა თანა სახელისა შენისათა, იყავნ განმაძ-  
 ლიერებელი<sup>17</sup> ძალი შენი უძლურებათა ამათ დედობრივთა, რამთა  
 20 იდიდოს ლმრთებად შენი და სირცხელეულ იქმნებ მბრძოლნი წმი-  
 დათა შენთანი“. ეველრებოლდაცა<sup>18</sup> ქალაქისა<sup>19</sup> თვისისაჲს და ძისა  
 თვისისა, რამთა შემდგომად სიკუდილისა მისისა მიკმადლოს განთა-  
 ვისუფლებამ. დაასრულნა<sup>20</sup> რად ყოველნი ესე სიტყუანი, მაშინ გა-  
 მოილო წმიდად იგი საიდუმლოდ, შენახული<sup>21</sup> მის მიერ ჭურჭელსა  
 25 რასამე<sup>22</sup> წმიდასა, და აღილო ჭელითა თვისითა და თქუა: „უფალო  
 იესუ ქრისტე, რომელმან მოგვყიდენ პატიოსნითა სისხლითა შენი-  
 თა, აწცა მიითუალე<sup>23</sup> სისხლი ცოდვილისა მწევალისა შენისა და შე-  
 ივედრე სული ჩემი, თანამვედრე მყავ<sup>24</sup> მოლუაწეთა შენთა თანა.  
 აღასრულა ყოველივე და გამოვიდა განძლიერებული ძალითა სალ-  
 30 მრთოვთა და<sup>25</sup> დაჯდა წინაშე მტარვალთა მათ თანა. და ბრწყინვი-  
 და<sup>26</sup> პირი მისი, ვითარცა პირი ანგელოზისა, და პრექუა: „მოვედით

<sup>1</sup> და — A. 2 შენერწყეა BC. 3 მან — A. 4 ~ გათ პრექუა A. 5 მცირე A.  
 6 და — A. 7 გნებავს BC. 8 მიუშერეს B] აცადეს C. 9 და — AB. 10 მოყარნა] მოიცრინა C. 11 ცრემლითა — AB. 12 დღეს AC+ამას C. 13 სიკუდილი+ჩემი C. 14 აღუთქვ C. 15 იტყოდის C. 16 განმაშიშულო C. 17 გეშარებელ B. 18 ევე-  
 რებოდა C. 19 ~ ძისა და სამეცნისა მისისათვესცა C. 20 დაასრულა A. აღასრულა B. 21 შენახული] დამარხული C. 22 რასმე B. 23 მიითვალე AC. 24 თანამვედრე] და ღირს C. 25 და — B. 26 განბრწყინდა B.

და აღასრულეთ, რადცა გენებოსთ, რამეთუ მე მზა ვარ დაომენად ყოველთავე სატანჯველთა<sup>2</sup>”。 შემოკრძებოდა ყოველი იგი ქალა-ქი<sup>3</sup>, ტიროდეს მწარითა ტირილითა და ეტყოდეს: „რად არს საქმე ესე, ანუ ხილვად საშინელისა ამის სახილველისა<sup>4</sup>“ მთავარი იგი ქალაქისა მის ივლობიდა გარევან ქალაქისა და იტყოდა: „არა ვიხილავ მე საქმესა ამას უმსჯავროსა, რომ-ლისა ბრალისათვის ეგნების დედოფალსა ამას ქართველთასა<sup>5</sup>“.

ხოლო ტარიგი იგი<sup>4</sup> შეუნიერი გამზადებულ იყო დაკლვად  
ქრისტესთვეს<sup>5</sup>. დასსხეს კელნი იგი ბილწი მტარვალთან მათ,  
განაშიშელეს წმიდამ იგი და პატიოსანი ბრწყინვალე გუამი მისი  
და განურთხნეს კელნი მისნი და განდასრეს<sup>7</sup> იგი და მოიხუნეს  
მარწუხნი და<sup>8</sup> განაჯურვნეს და დახლიჩნეს ძუძუნი სანატრელი-  
სანი. ეგო იგი, ვითარცა კლდე შეურყევლად, მერმე მკლავნი და-  
გლიჯნეს, ხოლო<sup>9</sup> იგი იტყოდა: „უფალო იესო ქრისტე, მსწრაფლ<sup>10</sup>  
განიყვანე სული ჩემი!“ და ნაკუერტცალი ოღზნებული დააყარეს  
სისხლმწოდებულება მას ჭორცა მისთა. მერმე მოიღეს/ქუაბი გან-  
ჯურვებული და დახურეს<sup>11</sup> წმიდასა თავსა მისია. მეყსეულად შეკ-  
ვედრა სული თვის უფალსა<sup>12</sup> და ვითარცა აღესრულა წმიდად იგი  
და ყოვლად სანატრელი მოწამე ქრისტესი და<sup>13</sup> წარვიდა<sup>14</sup> წინაშე  
ქრისტესა, შემყული გვრგვითა მრჩიბლითა<sup>15</sup>, ხოლო იხილა ჩად  
კრებულმან მის ქალაქისამან ულუაწედ<sup>16</sup> დებად წმიდისა<sup>17</sup> მის<sup>18</sup> სის-  
ხლმწოდებულისა<sup>19</sup> გუამისა<sup>20</sup> მისისა<sup>21</sup>, შეუძნდათ ყოველთა და ტი-  
როდეს წარედ<sup>22</sup> და იცემდეს მკერდისა თვსსა. ვერვის ეძლო ალ-  
ბათ პატიოსნისა გუამისა მისისა შიშისათვს მეფისა.

და ვითარცა შემწუხრდა დღე იგი, ადიდა მეუფემან ლუაწლი იგი მოწამისა თჰსისა და მოვიდა ნათელი ბრწყინვალე და ვიდრე განთენებამდის<sup>22</sup> მოფენილ იყო წმიდასა მას ზედა. იხილუს ყოველთა მუნ მდგომარეთა და ადიტეს<sup>23</sup> ლმერთი<sup>24</sup> და იტყოდეს: „ესე<sup>25</sup> არს ლმერთი კეშმარიტი, რომლისათვის მოკუდა წმიდამ ესე დედოფალი“. მაშინ კაცთა ვიეთმე მორწმუნეთა განაგდეს შიში მძლავრისა რა იხილუს რაა სასწაული ესე საკურველი, მივიღეს და

1 ରୂ—AB. 2 ଶାର୍ଦ୍ଦନ୍ତପ୍ରେଲିତା—AB. 3 ଫଳାଫଳିତା C. 4 ରୋ—A. 5 ଫଳସକୁଳୀ—  
AB+ମିଳି A. 6 ପ୍ରାଣପ୍ରାଣିତା ମାତ—AB. ରୂ—AB. 7 ଗନ୍ଧାଶର୍କ୍ଷେ ରୂପ—C. 8 ରୂ—  
AB. 9 ବୟାଲି—AC. 10 ଥେରିଲାଙ୍ଗ C. 11 ଦୁଃଖରୂପୀ] ଦ୍ୱାରାହୃଦୟେ କ. 12 ଉତ୍ତାଲୀଶୀ] ଦ୍ୱାରା-  
ତା C. 13 ରୂ ଫଳାଫଳିତା... ଫଳସକୁଳୀ—B. 14 ମୋହିତା C. 15 ଶରୀରମଧ୍ୟରେ ମିଳାଇଲୁ  
ନେଇଥିବା ଶ୍ଵେତମାଳା ମୋହିତା ମିଳିବା C. 16 ଶରୀରକାଳି+ଶରୀରମଧ୍ୟ କ. 17 ପିଠା-  
ଦ୍ୱାକ C. 18 ମିଳି—C. 19 ଲିଙ୍କମଧ୍ୟରେ ଲିଙ୍ଗମଧ୍ୟରେ C. 20 ଶ୍ଵେତମାଳା. 21 ମିଳିବା C. 22 ପିଠାରୁକ୍ତ—  
C. 22 ଗାନ୍ଧିନୀରୁକ୍ତିରୁ କ. 23 ଲାଲକାଢ଼ିବା C. 24 ଲମ୍ବିତିରୁ କ. 25 ଶ୍ଵେତମଧ୍ୟ ରୋ C.

მოწლედ ამბორს-უყვეს წმიდასა მას და იცხებდეს სასხლსა მის 5 ქრისტესთვს დათხეულსა, და ცრემლითა აღიღეს გუამი მისი და დაფლეს მისგანვე აღშენებულსა მას ეკუდერსა<sup>1</sup>, რომელსა შინა იყვნეს ორნიცა იგი მჯევალნი მისნი ფერქთა თანა წმიდისა მის, და წარვიდეს.

მაშინ<sup>2</sup> ქალაქსა<sup>3</sup> მას შინა იყვნეს მწვალებელთაგანნი ვინმე, რომელ არიან ფრანგნი, კაცნი მლდელნი, და მოიპარეს გუამი წმიდისა მის და წარიღეს ფრიადითა კრძალულებითა. და ლუსკუმაზ შეუმზადეს მას ფრიად კეთილი სურნელთა თანა მრავალთა და<sup>4</sup> დახსნეს საკურთხეველსა<sup>5</sup> ზედა. იქნან<sup>6</sup> სასწაული სხუამ, რამეთუ მიიღეს<sup>7</sup> წმიდად იგი მოწამე საფლავად<sup>8</sup>, ვინაცა<sup>9</sup> წარიღის<sup>10</sup> მიწა იგი საფლავისა და<sup>11</sup> ვინაცა<sup>12</sup> ვინ იყვის სნეული, განიკურნის<sup>13</sup>. ცხროიანი<sup>14</sup> ვინა წყლით-მანკასერნის<sup>15</sup>, სხვთა სენითა<sup>16</sup> რამთმე<sup>17</sup> შეპყრობილნი<sup>18</sup> სვის<sup>19</sup> ვინა<sup>20</sup> დაიცხის, მყის განიკურნის ბრძანებითა ღმრთისათა და<sup>21</sup> მეოხებითა მოწამისათა. ამისა შემდგომად გარდაჭდეს რაა უამნი არაფრიადნი<sup>22</sup>, ყოველთა დამბადებელმან და კაცთმოყუარემან და აღმასრულებელმან თხოვათა მისთამან არა უგულებელს ყო თხოვა<sup>23</sup> მოწამისა მისისა<sup>24</sup>, ოდეს ილოცვიდა<sup>25</sup> წმიდად უამსა ღუაწლისასა განთავისუფლებისათვს 20 v ქალაქისა თქსისა და მოქცევისა<sup>26</sup> მისა თქსისა კუალად სამე/ფოდ თქსად, აღუსრულაცა<sup>27</sup> სათხოვარი<sup>28</sup> მოწამისა<sup>29</sup> მისისა<sup>30</sup>.

ეითარუა ბრძანებს ივივე თავადი სახარებასა შინა, ვითარმედ „არა ისმინის ღმერთმან, რომელნი ღალადებენ რჩეულნი მისნი?“ ბრძანებითა<sup>31</sup> ღმრთისამთა განუდგეს ქართველთა ერნი და ერისთავნი მეფესა სპარსთასა, რამეთუ ძალი და ნებაა ღმრთისად აწუევდა მას საქმესა მას, მოსწყვებინეს ნოინნი<sup>32</sup> მისგან დადგინებულნი და მოკლეს სპასალარიცა ფრიადითა ლაშქრითა. ვერლარა უფლებდა

1 ეკუდერსა AC. 2 მაშინ — AB. 3 ~ მას ქალაქსა AB. 4 და — B. 5 ~ ზედა საკურთხეველსა AB. 6 იქნა... სხვად — C. 7 მიიღეს+რაა C. 8 საფლავდა+იქნა სასწაული დიდი C. 9 ვინაცა] რამეთუ რომელთა C. 10 წარიღეს AC. 11 და — AB. 12 ვინაცა ვინ იყენის სნეული] რომელთაც ვინ იყვნის შეპყრობილი სნეულებითა, მყის C. 13 განიკურნის C+ვინა C. 14 ცხროიან ა, ცხროვანი C. 15 მანკასერიან B. მენეკირი C. 16 ~ რომლითმე სენითა C. 17 რამთმე] რომელმე C. 18 შეპყრობილთა C. 19 სვის A, სვან] C. თქს B. 20 ვინა დაიცხის — C. 21 და — AB. 22 არაფრიადი A. 23 თხოვა] ვერდებად C. 24 მისისა] თქსისა+მას ეკმისა C. 25 ლოცვიდა] ვერდებოდა C. 26 მოქცევისათვს C. 27 აღსარულაცა B. აღსარულა C+ღმერთმან C. 28 თხოვა C. 29 მოწამესა C. 30 მისისა] თქსისა C. 31 ბრძანებითა ღმრთისათა] მისა შემდგომდ C. 32 ნოინი AB. ნოინი C.

რათ ზედა შეფე სპარსთა. წარგზავნესა კაცნი ქართველთა მოწოდებობად<sup>2</sup> მეფისა<sup>3</sup> თეიმურაზისა<sup>4</sup>, რამთა შეჰევებრონ სამეფონი სა-  
ქართველოსანი. და მოიყვანეს იგი და მიეგებოდეს მას და<sup>5</sup> დას-  
ვეს მეფედ<sup>6</sup> მცხეთას<sup>7</sup> დედაქალაქსა, გელთ-უსხნეს სამეფო<sup>8</sup> არა  
ხოლო კახეთისა, არამედ ქართლისაცა და ფიცით დაუმტკიცებდეს,  
ვითარმედ არღარაოდეს<sup>9</sup> განუდგენ კეშმარიტებისაგან<sup>10</sup>, არცა ეც-  
რუვნენ მეფობასა მისია. მიერითან წარემატებოდა შარავანდედო-  
ბად მეფობისა მისია მადლითა და მეოხებითა დედისა მისიათა,  
რამეთუ შეიძყვებოდა და განშუენდებოდა მეწამულითა სისხლისა  
მის ნეტარისათა ქალაქი იგი მისი და წმიდანი ეკლესიანი განახლ-  
დებოდენ, რომლისათვესცა<sup>11</sup> ძალი ზეგარდამო მიეცემოდა მეფესა  
და ერსა<sup>12</sup> ქართველთა<sup>13</sup>.

ამისა შემდგომად რისხეთა ღმრთისამთა დასწეულდა მეფე  
სპარსთად და ჭირითა სასტიკითა განვიდა ცხორებისაგან და განსივ-  
ნა და განსქდა საუნჯე იგი არაწმიდათა, მუცელი მისი<sup>14</sup> და დაეფუ-  
ლა ჭოჭოხეთს. იქმნეს<sup>15</sup> რაა მოუცლელ სპარსი, არა დაუტევნა<sup>16</sup>  
ღმერთმან<sup>17</sup> წმიდანი იგი ნაწილი მოწამისანი<sup>18</sup> წელთა შინა მწვა-  
ლებელთასა, აგონა მღდელსა მას მწვალებელსა ფრანგთასა<sup>19</sup>, რამ-  
თა<sup>20</sup> ძლუნად<sup>21</sup> პატიოსნად მიართვას ზოგი რომელნიმე ნაწილნი  
დედისა მის წმიდისა ძესა მისია მეფესა. და წარილო თავი წმიდისა  
მის და ფერწი მარჯუენე<sup>22</sup> და მოართვა მეფესა: თავი იგი, რამთა  
გურგვნოსან<sup>23</sup> იქმნას<sup>24</sup> მადლითა მით თავისათა, ფერწი მარჯუენე<sup>25</sup>,  
რამთა აიძულოს დედამან მან<sup>26</sup> ყოვლად ნეტარმან ძესა მას<sup>27</sup> მის-  
სა, რამთა საქმეთა მარჯუენითთა<sup>28</sup> იქმოდეს ცხორებასა მისია. ფერ-  
წი სახე არს, რამთა აუწყოს ძესა თვესა კეთილი იგი მორბედო-  
ბად ღუაშლისა მისია და მისლვად აღვილსა მას წმიდათასა.

/და კითარცა ესმა მეფესა მოლებად ნაწილისა<sup>29</sup> დედისა თუსი-  
სა<sup>30</sup>, განიხარა სიხარულითა მიუთხრობელითა და შეკრიბნა ყო-  
ველნი ერნი საქართველოსანი და კახეთისა კათალიკოზი ზაქირია,  
სწორი ანგელოზთა და შემკული ყოვლითა წესიერებითა, ეპისკო-

1 წარმოგზავნეს B. 2 მოწოდებად] რამთა მოუწოდა AB. 3. მეფესა AB 4 ოეიმე-  
რაზს AB. 5 და—AC. 6 მეფედ—AB. 7 მცხეთად C. 8 სამეფონი C. 9 ოდენ C. 10 ჭეშ-  
მარიტებისაგან] მიხეან C. 11 რომლისათვესცა — AB. 12 ერთ AB. 13 ქართველ-  
თასა BC. 14 მის C. 15 იქმნეს რაა... სპარსი] ხოლო ღმერთმან ნებისმყოფელმან  
მოშემთა მისთამან C. 16 დაუტევნა AB. 17 ღმერთმან — C. 18 მოწამისა AB.  
19 ფრანგთასა — AB. 20 რამთა — A. 21 ძლუნად AB. 22 მარჯუენ C. 23 გურგვნ.  
24 იქმნას — C. 25 მარჯუენი C. 26 მან] მისმან C. 27 მას — B. 28 მარჯუენითა  
C. 29 ნაწილსა C. 30 თუსისას C.

პოსნია და მლდელნი და დიაკონი, შემოსილნი ლამპრებითაც. ლა  
თვთ მეფე და დედოფალი მკურცხლ მიეგებოდეს, ვითარილის სა-  
ვალ, ცრემლითა და სიხარულითა დიდითა შეემთხვევნეს<sup>3</sup> წმიდასა  
მას თავსა მოწამისასა, განიბანებოდა<sup>4</sup> ნაწილნი<sup>5</sup> იგი ცრემლითა  
5 ყოველთაგან. ქებად<sup>6</sup> შეუმზადეს მოწამესა მას და შესხმა სულიე-  
რი სადიდებლად, გალობითა<sup>7</sup> და კეროვანითა<sup>8</sup> მიიღეს დიდსა მას  
ეკლესისა ალავერდს მთავარმოწამისა გიორგისსა<sup>9</sup>, რომელ არს  
სამარხო მეფეთა კახეთისათა, და დაასუენეს ზედა საკურთხეველ-  
10 სა. და დღესასწაული შუენიერი შეუმზადეს მას დღესა სატფუტე-  
ბისასა, რომელ იქმნა სოლომონ ტაძრისა მის, მისგან აღშენებუ-  
ლისა, რომელი აღესრულების წინადით ჭუართა აპურობისასა, რა-  
მეთუ დღესა მას აღსრულებულ იყო წმიდა იგი მოწამე ქრისტესი.  
ამის შემდგომად წარგზავნეს მთავარმოწამკობლის<sup>10</sup> იოანე, კაცი  
წმიდად და გონიერი, და<sup>11</sup> მშვედობად<sup>12</sup> ყვეს მეფისა<sup>12</sup> სპარსთასა და  
15 იქმნა დაწყისარებად დიდი. და მოითხოვეს<sup>14</sup> ნეშტი იგი ნაწილნი  
წმიდისანი და პატივითა დიდითა მიიღეს ადგილსა მას, სადა ისხნეს  
სხუანი იგი ნაწილნი, მივიდიან წლითი-წლად დღესასწაულსა  
მას წმიდისასა, ფშოდის<sup>15</sup> სულნელებად<sup>16</sup> მიუთხობობელი და ვი-  
ეთნი<sup>17</sup> მიყიდიან სარწმუნოებით, არა ხუებულ იქმნიან სათხოვე-  
20 ლისაგან<sup>18</sup> თვისისა, რამეთუ მორწმუნეთა მიერ ყოველივე შესაძ-  
ლებელ არს.

ხოლო აღიწერა ცხორებად ნეტარისა ამის, რამთა არა სიგრ-  
ძემან ყამთამან დავიწყებულ ყოს საქმე ესე საღმრთოდ და ყოვლად  
შუენიერი. აღესრულა ყამთა უკუანასკნელთა სადიდებლად მამისა  
25 და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და<sup>19</sup> მარადის უკუნითი<sup>20</sup> უკუნი-  
სამდე, ამინ.

1 ებისკობოსნი B. ლამპრებითა+კეროვნებითა C. 3 შემთხვენეს BC. 4 განი-  
ბანებოდეს C. 5 ~ ცრემლითა ნაწილნი იგი. C. 6 ქებად+შემსგავსებული C. 7 გა-  
ლობითა] დიდებითა C. 8 კეროვნითა] პატივითა და გალობითა C. 9 გიორგისა A.  
10 მთავარმოწამკობლით A. 11 და — C. 12 მშვედობად ყვეს] მშვედობის-ყოფად C.  
13 მშეფესა C. 14 მოითხოვს B. 15 უშეოდეს A. უშეოდეს B. 16 სულნელებად C.  
17 ვიეთნი] რომელი C. 18 სათხოელისაგან B. 19 ~მარადის და C. და მარა-  
დის — B. 20 უკუნითი] საუკუნეთა A+მიერ A.

## ბესარიონი ლიბელიაზილი

ლუაზლისა მიმდინა და სანატორელისა მოწამისა და 235 v  
მიუღისა ლუარსაბისი, როგორი იჯავა შაჟაგაზ  
უკუკულოსა მიერ პარსთა მეცისა\*

ღმრთისმოყუარეთათვს ქსენებაა წმიდათა სიხარულ არს, რა-  
მეთუ არა არს განძლომაა სურვილისა მათისა მათდა მიმართ, რა-  
მეთუ იგინიცა განუძლომელითა სიყუარულითა ღმრთისათა ცეცხ-  
ლებრ მოტყინარე იყვნეს, ამისთვისცა მოთმინე იქმნეს მოუთმე-  
ნელთა სატანჯველთა და შეკადრეს შეუკადრებელ უძლურითა ამით  
ბუნებითა და ზეშთა ექმნეს ცეცხლსა და მახვლსა მოკუდა-  
ვითა ამით ჭორცითა. და აწ „უკუდავებითა სავსე არს საქსენებე-  
ლი მათი“, ვითარცა იტყვს ბრძენი სოლომონ, და გულს-მოდგინედ  
მაქებელთა მათთა აღავსებენ უკუდავებითა და ცხორებითა, რამე-  
თუ წყარომ იგი უკუდავებისა და ცხორებაა დაუსრულებელი.  
მკუდრ არს მათ შორის, და ელის, უკუთუ ვინმე ღირს იპონს  
შესხმად და ქებად საკუთართა მოწამეთა მისთა, რამეთუ მოწამენი  
საკუთარნი მონანი მისნი არიან, არათუ ოდენ მონანი, არამედ მე-  
ცობარნი საკუთარნი და სარწმუნონი, ვითარცა იტყვს ჰეშმარიტი  
იგი სიბრნე მოწაფეთა მიმართ თვსთა, ვითარმედ: „თქუნ მეცო-  
ბარნი ჩემნი ხართ, რამეთუ არა გეტყვ თქუნ მონად, არამედ მე-  
ცობრად“, და მერმე იტყვს: „არა ამათოვს ხოლო გვითხავ, არა-  
მედ ყოველთა, რომელთა პრემენეს სიტყვთა მათითა ჩემდა მო-  
მართ“.

პედაგოგი, მორშმუნენო, ნიჭთა ამათ სიღილესა? ხილეთა უფსკრული იგი განუცდელი სახიერებისა და კაცომოყვარებისა მისისა? ვითარ განდგომილი ესე და რისხვეულნი მონანი, რომელ-ნიცა ლირს ვიყვენით ყოვლისა დასჭისა, ესრეთ შემიყვანა ტკბილ-მან მან მეუფემან, რომელი ესე მონის მონადცა არა ლირს-ვიყ-

\* ხელნაწერები: A : S — 3269 (1720-იანი წლ.), B : A — 170 (1733 წ.).

— B.



ვენით, აწ ვითარ მეგობრად და თანაზიარ სუფექსია. თვალისა  
მყვნა კაცნი მიწისაგანი და მიწად მიქეცული და ვითარ ზეცისა  
მოქალაქედ გამოგუჩინნა, რამეთუ იტყვა: „მძიან, მნებავს, სა-  
დაცა მე ვიყო, მუნცა მსახური ჩემნი იყვნენ“. აწ მოწამეთათვს  
5 რაღა საეჭული არს, ვითარ თუმცა არა საესებით მიიღეს აღთ-  
236 ქუმ/ულნი იგი კეთილნი, რომელი ზეშთა მატს ყოველსა მოგონე-  
ბასა, რამეთუ სადა-იგი სუფევს მეუფე, ბევრის-ბევრეულთა ან-  
გელოზთა მიერ თაყუანისცემული, მუნცა მსახური მისი არიან,  
რამეთუ იგინი გამოჩნდეს სარწმუნოდ მეგობრად მეუფისა თანა-  
10 ზიარ ქმნითა ვნებითა მისთამთა, რამეთუ სისხლი მათი შეზავეს  
სისხლთა სამეუფოთა და სულნი მათნი მისთვს დასხნეს და აწ თა-  
ნაზიარ და თანა-მემკვიდრე მისსა იქმნეს. ამისთვს ჩუენცა თანამ-  
დებ მყვნეს და აღმადგინნეს დიდებად და ქებად ახორცებათა და  
ლუაწლოა მათთა.

15 რამეთუ ვინ არს ესრეთ საქებელ და ლირს ყოვლისა პატი-  
ვისა, ვითარ ჩუენი ესე დიდებული მოწამე, ახალი ესე მსხურპლი  
და ნებსით დაკლული საკურრთხი, რომელმან დაკლებული იგი ჭი-  
რი ქრისტესი კორცითა თვისითა აღვსო და თავ-დგმულ ექმნა სავ-  
სებასა მოწამეთასა. ვიტყვ უკუე ჩუენსა ამას და ჩუენთა ქუეყა-  
20 ნათა შორის აღმოცენებულსა, მსგავსად<sup>4</sup> მთიებისა, საჩინოდ აღ-  
მობრწყინებულისა ძირთაგან სამეფოთა და საწინაწინმეტყუ-  
ელოთა, აღმოსრულსა შარავანდედობითა მეფობისამთა და უფრო-  
მსად ღმრთისა-მსახურებითა შემკობილსა და აწ მოწამობისა  
ლუაწლითა განშუენებულსა მეფესა ლუარსაბს, შუენიერსა მას და  
25 ყოვლად ბრწყინვალესა და უხრწნელობისა გვრცვითა ელვარექმ-  
ნილსა.

ესე ძე იყო ღმრთისა-მსახურისა მეფისა, რომელსა ეწოდებოდა  
გიორგი, ხოლო დედასა — თამარ, რამეთუ ესე მარტოდ ესვათ ორ-  
თა ასულთა თანა. ამათ ღმრთისა-მსახურთა ძირთაგან აღმოსცენდეს  
30 წმიდად ესე და ორნი ასულნი, ვითარცა ვიტყოდე, პირველსავე  
ეწოდა ელენე და უმრწემესსა — ხუარანშა, მისვე და ერთისა მე-  
ულლისაგან სამნივე აღმოცენებულნი, სამნივე ბრწყინვალენი და  
უსწორონი სიკეთითა და შუენიერებითა უფროსს მას უამსა კაც-  
თაგან, ვითარცა ყოველთა შორის მიმოიქმოდა. და უმეტესად  
35 სანატრელისა ამისათვს ითქმოდა შუენიერებად და ბრწყინვალე-  
ბად სახისა და/ანაგებისა სიტურფე, ხოლო აღზარდეს იგი ღმრთის-  
მსახურთა მათ მეფეთა კეთილად სწავლულებითა და უფროხნად

ღმრთისმსახურებითა და ასწავეს სწავლად ყოველი ღმრთივ-სული-  
ერთა წერილთა<sup>1</sup>, რომელი შეეტყუებოდა<sup>2</sup> სიმტკიცესა სარწმუნო-  
ებისა მათისასა. და ორცალა საერთოა და სამჯედროთა სწავლუ-  
ლებათა და სიმარჯვეთაგან დაკლებულ ყვეს, რამეთუ ყოველივე  
სრულებით შემოიკრიბა ნეტარმან მან მცირედსა ოდენ ყამსა და  
ესრეთ წარემატებოდა მას შინა და აღორძინდებოდა სიბრძნითა და  
ჰასაკითა წინაშე ღმრთისა და კაცთა.

და ვითარ გარდაიცვალა მამაჲ ამის ნეტარისა მეფე გიორგი,  
რამეთუ დელფიალი თამაზ პირველვე გარდაცვალებულ იყო, და  
ესე მხოლოდ დაეტევა ობლად ორთა თანა ასულთა. ხოლო აღეს-  
რულებოდა რამ მეფე გიორგი, მოუწოდა ძესა თვისსა ლუარსაბს,  
დალოცა იგი და აკურთხა ყოვლითა კურთხევითა და შემოსა შარა-  
ვანდედი მეფუბისა. და ამას სანატრელსა კელთ-უდვა განვებად  
სამეფო[ხ]სა თვისისა და თვთ შეეძინა მამათა თვისთა.

ხოლო, ვითარცა უწყით ყოველთა აღრითაგანვე მტერობად  
და მძლავრობად სპარსთაგან საქართველოსი<sup>3</sup>, დიდსა ხარესა და  
მძლავრებასა ჭუშე იყვნეს ქართველნი. მას ყამსა გამოჩნდა სპარ-  
სთა შორის შაპაბაზ უსჯულომ, რომელმან დაიძყრა მეფობად სპარ-  
სთა, რამეთუ იყო კაცი ესე უკეთური და ყოვლისა ბოროტისა  
მომპოვებელი და მანქან და ეუფლა მრავალთა თემთა და ნათე-  
საეთა გარემოთა მისთა. მაშინ ქართველთაცა უმეტესითა მძლავ-  
რებითა აჭირვებდა, ხოლო<sup>\*</sup> სანატრელი ესე მეფე ჭერეთ ჭაბუკ  
იყო და გამოუდეს და არავინ ყვა თანა-შემწე ანუ თანა-მდგომ,  
არცა ძმაჲ, არცა ვინ სხუად სახლეულთაგანი. ამისთვეს მრავალთა  
ღუაწლთა შინა იყო, რამეთუ მრავალნი ბოროტნი ალდგომილ იყ-  
ვნეს საქართველოსა ზედა: პირველად ოსმანთაგან, რომელთა და-  
ეპყრა მეფობად ბერძნთა, მერმე სპარსთაგან და მერმე მახლო-  
ბელთა ჩუენთა მთიულთა ოვსთაგან, რომელნი დამკუდრებულ იყ-  
ვნეს მახლობელად ჩუენსა, რამეთუ იგინიცა ფრიად აჭირვებდეს;  
რამეთუ/მოწევნასა ზაფხულისასა ვიდრე ეამამდე ზამთრისა 236 ა 30  
წოცდეს და ტყუე ჰყოფლეს<sup>4</sup> ცხადად და იღუმალ. და ესოდენთა  
ძროთაგან მოცულ იყვნეს ქართველნი.

მას ყამსა, ოდეს ხუანთქარმან აღილაშქრა ბაბილონს ზედა ძა-  
ლითა დიდითა, მუნ თანა-ყევს მჯედრობა თათარხანთა, რომელ  
არიან ყირიმნი. მაშინ შეითქუნეს მუნ მყოფნი იგი თათარხანი, ვი-

<sup>1</sup> წერილთა+და AB. <sup>2</sup> შეეტყუებოდა A, შეეტყუების B. <sup>3</sup> საქართველოსი+  
და AB. <sup>4</sup> ყოფლეს A.

\* „ხოლო“ შემდეგ გადაშლადა „ესე“ A.

თარ ოთხმეოცი ათასი მწედრობად რჩეული, რამთა მოვიდენ სა-  
ქართველოსა ზედა და წარტყუცენონ და სრულიად ასწყვდნონ და  
სავსენი ტყვთა და ალაფითა მიიქცენ მუნევე, რამეთუ უმეფოდ ჰგო-  
ნებდეს ქართველთა და ყრმისა ამისთვის არარამს გულობდეს, რა-  
5 მეთუ ჭრეთ ყრმად იყო ნეტარი ესე, ვითარცა ვთქუ.

ხოლო იგინი უგრძნულად მოიწინეს. და მეფე მდგომარე იყო  
დაბასა ცხირეთისასა, მცირესა მას ციხესა, მცირედითა ოდენ კა-  
ცითა და არარად უწყოდა. იყო ემი ჰარისა, თუე მასი, ოდეს ესე  
იქმნა. რამეთუ მაშინ ქუეყანად აბოცისა, ტაშირი, ჭავახეთი და  
10 თრიალეთი სრულიად ოპერ იყო და უშენ კაცთაგან, და მიმღვმნი  
ყოველნი ამათ თემთანი.

ხოლო მათ უგრძნულად კაცთაგან გარდმოვლნეს აღგილნი  
ესე, ჩამოვლნეს თრიალეთი და მოიწინეს წევსა მანგლისისა. რამე-  
თუ განგებითა ზეგარდამოთა ვერ იხილეს დიდებული იგი ეკლესია!  
15 მანგლისისა ღმრთისმშობლისა, რამეთუ ესვეითარმან ღრუბელმან  
ზრქელმან და ნისლმან დაპფარა<sup>2</sup> იგი, ვიდრელა პირის-პირ მისსა  
ჩავლეს ესოდენმან სიმრავლემან მწედრობათამან და ეკლესია იგი  
სოფლითურთ ვერ იხილეს.

ხოლო მახლობელად მისსა არს მცირე დაბად, რომელსა ეწო-  
დების ყოველთამ. მუნ შეიძყრეს ხუცესი ერთი მის დაბისა, სახე-  
ლით სვეროს და იგი წარიქციეს იძულებით, რამთა ასწაოს, თუ სადა  
მდგომარე არს მეფე. ხოლო მან სანატრელმან ხუცესმან აღირჩია  
სიკუდილი, ვიდრე განცემად მეფისად და განწირვად სრულიად სა-  
ქართველომასა. მაშინ წარუძლუა ხუცესი იგი და წარიყვანა იგინი  
20 უგზოთა აღგილთა, აჯდა მთასა მას ზედა და გარდაუქცია გზა იგი  
ცხირეთად მიმყვ/ანებელი. და წარიყვანნა და შთანდა წევსა რკონი-  
სასა, გზათა ძნელთა და იწროთა და კლდოვანთა. და სლეასა მათსა  
ცხენნი მრავალნი და კაცნი შთაიჭრნეს კლდეთა და კაპანთა და  
მოსწყდეს. იხილნეს რამ თავნი თვსნი ესრეთ მოცომილნი და  
25 შეიწრებულნი კაცთა მათ სახელოვანთა, შეიძყრეს ხუცესი იგი და  
თავი წარკუეთეს. და თუ ჩავლეს წევი იგი თეძმისა დიდითა ჭი-  
რითა და იწროებითა, განვიდეს და განეფინნეს ველსა დოესისასა  
და მიმოდაბნინეს მიდამოთა აღგილთა, ვითარცა არს წესი გზისა  
უმეცართა. მაშინ მდინარე იგი მტკუარი<sup>3</sup> ფრიად მდიდროოდა, რა-  
30 მეთუ შეუძლებელ იყო განვლად მისი. და ვითარცა მიმორბილდეს  
იგისი და ეძიებდეს გზასა ყოვლითურთ შეცომილნი, მუნცა იხი-

<sup>1</sup> ეკლესა A. <sup>2</sup> დაპფა A. <sup>3</sup> მტკუარი A.

ლეს ხუცესი ერთი შორით უფლისციხელი სომეხი ველსა მას ზედა  
დოესისასა, სრბით დევნა უყვეს, რამთა შეიპყრიან და ასწავოს მათ  
გზად, თუ სადა იქცევის მეფე და ქართველნი. იხილა რამ ხუცესმან  
სიმრავლე იგი ლაშართა, ვითარცა მეაღნი სიმრავლითა მოფენილი  
ველსა ზედა, ივლტოდა სრბით მათგან და შეესწრა ჭიდსა ზედა, 5  
უფლისციხისასა და იწყო შლად ჭიდისა მის და წყალთა შინა ყრა. მივიდეს თათარნიცა და მიპერდეს ჭიდსა მას ზედა და ვერლარა  
უძლეს განვლად. კუალად უკუმოქცეს და უკუმოქცინეს მუნევე  
ველსა მას დოესისასა. ხოლო ხუცესმან მან სომეხთმან მიისწრაფა  
და ჰამბავი ესე განცენინა იმიერ მტკუარსა! ქართველთა შორის, რა-  
მთა მყის მიისწრაფონ მეფისა მიმართ. 10

ხოლო მეფემან, ცხირეთს მდგომან, და ქართველთა მუნ მყოფ-  
თა იხილეს რაც სიმრავლე ესოდენისა მის მჯედრობისა, განპერთეს  
მოულოდებელისა მის საქმისაგან, რამეთუ მცირედითა ოდენ ტა-  
რეულითა კაცითა მდგომარე იყო მეფე, ამისთვის ულონობამან მო-  
იცვანა. გარჩა მინდობილმან ღმრთისამან და სასოებითა ყოვლად  
წმიდისა ღმრთისმშობელისათა განიზრახა<sup>2</sup> განიზრახვა<sup>3</sup> რჩეული,  
მსგავსი სიმჯნისა და ღმრთისმსახურებისა თვისისა: არა იქმია სივ-  
ლტოლა<sup>4</sup>, არცა დამალვად ციხეთა შინა, არამედ მყის/წარავლინნა  
მალემსრბოლნი, რამთა მსწრაფლ მოიწივნენ ტასიკეარს და ჭიდსა 20  
ზედა ახალდაბისასა. ხოლო მოურავი ვიორგი სააკის ძე, ქველი  
იგი მჯედარი და უშიში გონებითა, რომელი სიმჯნითა და ახოვნე-  
ბითა ზეშთა პმატდა ყოველთა კაცთა, თანა-პყვა მეფესა და იგი-  
ნიცა მუნ მიიწივნეს. ხოლო მჯედრობაცა იგი თათართამ მუნითვე  
წარემართნეს, რამეთუ სხვთ გზით ულონო იყო წარსლევად მათი  
წყლისა სიდიდითა და გზისა უმეტრებითა, ხოლო ქართველნი ამი-  
ერ და იმიერ განწყობილ იყვნეს. და იქმნა ომი ფიცხელი და იწყეს  
ქოცად და სრვად და შთამოყრად თათართამ, ვიდრელა ვერ შემ-  
ლებელ იყვნეს თათარნი პირის-მოქცევად ქართველთა. და ესევი-  
თარი ძლევად მოსცა ღმერთმან სანატრელსა ამას მეფესა და ქარ-  
თველთა, რომელ ესოდენი სიმრავლითა კნინდა და სრულიად  
ასწყვდეს, წარიქცინეს და დევნა უყვეს უკანა მათსა. ხოლო უმ-  
რავლესი მათი წყალთა შინა დაინთქნეს რჩეული ცხენები და  
მჯედრები, მსგავსად მშეგვპტელთა მათ, და, რომელნი წმელსა ზედა  
იყვნეს, გამოვიდიან მცირენი ყრმანი და დედანი და რჩეულთა 30

<sup>1</sup> მეუარსა A. <sup>2</sup> განიზრახვა B. <sup>3</sup> განიზრახვა B. <sup>4</sup> სილტოლა B. <sup>5</sup> მსგავს-  
საღ B.

მქედართა მათთა ცოცხალთა შეიძყრობდეს და მიზიდული და  
განსაზღვიდეს. და ესრეთ სრულიად ასწყვდეს, ვიღრელა ითქმო-  
და ესეოდენთა ლაშქართაგან ათოთხმეტთა ოდენ კაცთა განლტოლ-  
ვად და სხუათა მათ ყოველთა მოსრვად სრულიად და ქართველთა <sup>ყ</sup>  
არცა თუ ერთისა სიკუდილი.

ხოლო აწ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ, რომელი დაუ-  
ტევეთ. რამეთუ შაპბაზ, უღმრთო მეფე იგი სპარსთა, დიდითა გუ-  
ლისწყრომითა ჰბორგდა ქართველთა ზედა და ენება სრულიაუ  
აკოცა ქრისტეანობისა. მაშინ მიზეზისათვს ზავით მოსთხოვა სა-  
10 ნატრელსა ამას მეფესა დამ ერთი, სახელით ელენე, რამეთუ შუე-  
ნიერებისა და უზომომსა სიკეთისა მისისათვს ჭმაგანსმენილ იყო, რა-  
მეთუ ჰგონებდა მძლავრი იგი არა მიცემასა მისსა ქრისტეანობისა  
15 მიზეზითა. ხოლო მეფემან, ვინამოგან არა იყო ღონე, მისცა იგი  
დიდითა პატივითა და საჯელმწიფოთა განგებითა და ელოდა მისგან  
v თანაშემწეობასა და დაცვასა ქუეყანისა თვალისასა. ხოლო მას კუა-  
ლად უსჯულოებად შეკერიბა გულს თვალსა და ზავიდა წინაშე  
20 თვალსა მოპო/ვნებად უსჯულობისა თვალისა, ხოლო მან კუალად შემ  
დგომად მცირედისა მეორისაცა დისა მისისა კელ-ყო მოთხოვნად,  
რომელსა ეწოდა ხუარანშა, იგიცა ცოლად, რომელი-ესე სასმენე-  
25 ლადცა უცხო იყო ქრისტეანეთა შორის, დაღაცათუ ბილწსა მას  
სჯულის-მდებელსა მისსა ეგრეთ განეწესა. და ესეცა უმ/ე/ტე-  
სისა მიზეზისათვს ყო, რამეთუ მეცნიერ იყო, ვითარმედ ესვეითა-  
რი ესე წესი ძნელ არს ქრისტეანეთა შორის. ხოლო ამან სანატ-  
რელმან ესევითარი უჯეროდ ესე საქმე სმენადცა არა თავს-იღვა,  
30 არამედ მეყსეულად ემზახა<sup>2</sup> კახთა მეფესა თეომურაზს და მიათხო-  
ვა იგი ცოლად.

ესმა რად ესე მძლავრსა მას უკეთურსა, აღივსო გულის-წყრო-  
მითა და ეძიებდა ეამს მარჯუესა, რათა შური იგოს ორთავე მე-  
ფეთაგან, რამეთუ ადრითგანვე დანერგილი შური და ზავად აწ გა<sup>1</sup>

30 მოაცხადა მიზეზითა ამით.

მაშინ წარემართა ძალითა დიდითა და სპითა ურიცხვთა და  
მოიწია არეთა ქართლისათა და მოვიდა განძას და დაღგა მცირედ-  
სა უამსა ქალაქსა მან განძისასა. მაშინ შიში დიდი მოიწია საქარ-  
თველოსა ზედა, რამეთუ ვერვის ძალ-ედეა წინა-დადგომად მისსა.  
35 ხოლო მეფემან კახთამან დედა თვალი და ორნი ძენი წინა მიაგებნა

<sup>1</sup> სიტყმა AB. <sup>2</sup> ემზახა] ეძრახა B.

და ძლუენი ურიცხვ და ითხოვა მშედობით დაცეა ქუეყანისა, თვისი  
ხა. ხოლო მან უსჯულომან\* ოლუთქუა მშედობად და ჩისხვით ზაქ-  
ვასა განიზრახვიდა: ეცრუვა ფიცითა, რომელ ფიცებულ იყო, შე-  
იპყრა სანატრელი იგი დედოფალი და წარგზავნა ქალაქსა შირაზი-  
სასა და მუნ ტყუე ყო და ორნი იგი ძენი მისნი გამოსაჭრისნა, 5  
მერმე შევიდა კახეთად და იწყო წუვად, დაქცევად და ოჯრებად და  
სრულად უმჯედრო ყო კახეთი.

ხოლო მეფე თეიმურაზ და მეფე ესე ლუარსაბ ღვლტოდეს  
იმერეთად და მუნ დაადგრეს მყოვარ უამ, რამეთუ განგრძელდა ეა-  
მიცა იგი ოქრებისა. და ოდეს ასწყვდა კახეთი სრულიად, მერმე  
ღა შემოვიდა ქართლად არა მსგავსად კახეთისამ, არამედ სიმშ-  
კდით მოვიდა და უვნებე/ლად დაიცვნა საზღუარნი ქართლისანი, 238  
რამეთუ მეფე ქართლისა იმერეთად! ღტოლვილ იყო, ვითარცა  
უთქუ. არამედ ფრიად შეუძნდა ესე უსჯულოსა მას შაპაბაზს გან-  
ლტოლვა<sup>2</sup> მეფისა მის ჰელთაგან მისთა. შემოვლო ქართლი და და-  
იბანაკა მახლობელად იმერეთისა სოფელსა ალს და ენება, რამთამ-  
ცა ღონითა რამთმე წელთ იგდოს სანატრელი ესე. და ძლუენთა და  
ნიჭითა მრავალთა და დიდთა წარგზავნიდა წინაშე ამის ნეტარისა  
და სიტყვთა ლიქნისათა ალუთქმიდა უდიდესთა ნიჭითა და პატივთა,  
რამთა ერჩდეს და მოვიდეს მის თანა, და ზედას-ზედა მიუწერ-  
და ერეთ: „უკუეთუ მოხვდე ჩემ თანა, გყო შენ შეილად ჩემდა  
საყუარლად<sup>3</sup> და მეგობრად სარწმუნოდ და მოგცნე ყოველნივე სა-  
ჭეფონი შენნი: ქართლი, კახეთი და სამცხე და არცალა სჯულისა  
შენისათვს სიტყუად გიგო. ვითარცა გენებოს, ეგრეთ იქცეოდე, და  
ყოველნი საკელმწიფონი ჩემნი შენ გნატრიდენ და გმორჩილებდენ, 25  
რამეთუ დიდად მიყუარ შენ ტომ-კეთილობისა შენისათვს, რამეთუ  
წინააღმდეგ მეტყუელთა ნათესავი ხარ შენ, და კუალად სიკეთისათ-  
ვსკა შენისა და შუენიერებისა, და მნებავს ხილვად შენი. ხოლო  
ქუეყანად იგი თეიმურაზისი<sup>4</sup> კახეთი ამისათვს მოვაოჯრე, რამეთუ  
ურჩ იყვნეს ბრძანებისა ჩემისა და იყვნეს მეგობრ კეისრისა, მე-  
ცა ამისთვს გულითად მოვიძულე იგი. ხოლო შენ უკუეთუ მერ-  
ჩდე და მოხვდე ჩემდა, გყო შენ დიდებულ და მეორედად მეფო-  
ნისა ჩემისა განგაჩინო და ყოველნი შენ გმორჩილებდენ“. ამათ და  
ესევითართა მრავალთა ალუთქმიდა სიცრუით მეფე იგი ცრუ-სჭუ-

1 იმერეთად. 2 განლტოვა A, გალტოლვა B. 3 საყუარლად B. 4 თეიმური-  
ზისი A.

\* „უსჯულომან“ შემდეგ გადაშელითა „ზაკვით“ A.

ლი და მერმეცა ეტყოდა: „უკუეთუ არა მერჩდე და არცა ისმინო ჩემი, მეცა მტერ გექმნე და მოვაონტო ქუეყანაა შენი, ვითარცა მოვაონჯრე კახეთი, და უმჯკდრო ვყო კაცთაგან“.

ესმა რაა ესე ყოველი ნეტარსა მას მეფესა, განიზრახვიდა

5 თვალიან და საკუთართაცა თვსთა თანა: „უწყი ესე ვითარმედ სიც-

v რუვითა იჩემებს ამას ყოველსა/და ზაჟუეთი ჰებავს შეტყუვებად ჩემი. ხოლო, უკუეთუ არა ვერჩდე და მხოლოდ თვი ჩემი დავიც-

ვა უვნებელად, რაა იყოს სარგებელი, და ქუეყანაა ჩემი წარჯდეს და ეკლესიანი მოოქრდენ, უმჯობეს არს სიკუდილი ჩემი ესევი-

10 თარსა ცხოვრებასა. დალაცათუ წეს არს სპარსია მიერ სიცრუე და უფროხსად სჭულისდებად ცრუ-მოციქულისა მათისამ, არამედ

ვერჩდე მას და მივიდე მისსა, ნუუუე აღმისრულოს აღთქემული ესე და სარწმუნობისა ჩემისა მტყიცედ დაცვითა დამიმტკიცოს სამეფოა ჩემი და ქუეყანამცა ჩემი უვნებელად დაიცვას“. ესე

15 თქუა და წამოვიდა იმერით და მოვიდა შაპაბაზისა, რამეთუ დაბა-ნაკებულ იყო შორის ალისა და ნაბახტევისა. ხოლო იხილა რამ

სანატრელი ესე მეფე მძღვანელმან მან უკეთურმან, დიდად განიხი-რა, რამეთუ სრულ იქმნა საწადელი მისი. განპკერდა სიკეთესა მის-

20 სა შუენიერებასა პირისა მისისასა და სისრულესა ჰასაკისასა და მრავლით პატივითა და ნიჭითა სიმრავლითა პატივსცა.

მერმე აღიძრა მიერ მძღვანი ივი და წარვიდა ქუემოთ კერ-

ძოა და მივიდა ტფილისად და იგიცა თანა-ყვა, რამეთუ ზაჟუეთ

ეტყოდა წმიდასა მას: „ვიდრე ქალაქად ტფილისადმდე მოვედ ჩემ

25 თანა, რამთა ერთბამად ვიხარებდეთ და ვიშუებდეთ, და მერმე მი-

ითუალენ ყოველი სამეფონი შენნი და მე განმიტევე სამეფოდ ჩემ-

და და შენ შშვდობით და ნებერად სუცევდი ქუეყანასა შენსა“. ხოლო ვითარცა მიიწინეს ქალაქად ტფილისად და მენ დაად-

გრენ დღე რაოდენმე, მერმე კუალად იძულა ლიქნით და ზაჟვით,

30 რამთა მუნითცა თანა-წარპკვეს ქუეშეთ<sup>2</sup> კერძო, ვიდრე საზღვ-

რადმდე საქართველოსა<sup>3</sup> და ესევითარითა ლიქნითა არა განუტევა

და ეტყოდა: „მნებავს ნაღირბისა ხილვად ყარაისა ზედა, თუ ვი-

თარითა წესითა ჰყოფთ ნაღირბისასა მის აღვილისასა. მოვედ მუნ-

ცა და მერმე განვიტეო შშვდობით“. და ვითარცა წარპკვე მუნცა

35 და იწყეს ნაღირბად, მაშინ შაპაბაზ რეცა მიზეზად ნაღირბასა მის მიუძღუანა შშვლდი ერთი ნეტარსა ამას. და ვითარცა განიყა-

1 ქუეყანამცა A, ქუნამცა, B. 2 ქუეშეთ B. 3 საქართველოსამ B.

რა ნადირობად იგი, ლამესა ერთსა მანვე უღვთომან შაპაბაზ უბრა-  
ძანა მპარავსა და წარპარეს შშკლდი<sup>1</sup> იგი მეფესა მას ღმრთისმსა-  
ხურსა. მაშინ შაპაბაზ რეცა თუ დიდად რადმე იწყინა და სირცხ-  
ვლად თვად შერაცხა. წარგზავნნა კაცნი მჯუმილავნი და გარემო  
კარვისა დაუღინნა წმიდასა მას, რეცა არლარამსა წარპარვად. ხო-  
ლო გულსა მისსა ესე იყო ზაკვად, რამთა არა განერეს ქელთავან  
მისთა წმიდად იგი. მაშინღა<sup>2</sup> გულისქმა-ყო წმიდამან მან მზაკვრო-  
ბად იგი მისი, იწყო მწუხარებად და ურვად, რამეთუ არლა იყო  
ღონე განრომად ქელთავან მისთა. მაშინ მისცა თავი თვისი ნებსით,  
რამთა დაიცას ქუეყანა თვისი მშკდობით/და, უკუეთუ იყოს ნე- 239 10-  
ბად ღმრთისად, წამებითაცა შეიმქოს. ილოცვიდა ნეტარი იგი ცრეპ-  
ლით და სულთქმით და იტყოდა: „უფალო, იესუ ქრისტე, ღმერ-  
თო ჩემო, შენ უწყი, რამეთუ არავინ მივის თვინიერ შენსა, არცა მა-  
მად, არცა დედად, არცა ძმანი, არცა სხეუად რად შენსა გარეშე და  
დაუსაბამოესა მამისა შენისა და თანა-სამარადისომსა ყოვლად წმი-  
დისა სულისა შენისა, რომელმან არარამსაგან მომიყვანენ ყოველნი  
არსნი, ხილულნი და უხილავნი, და შენითა ძლიერებითა გიბყრიეს  
დაბადებულნი და წამის-ყოფითა შენითა განაგებ ყოველთა არსთა.  
შენ უწყი, რამეთუ ყრმა ვარ და გამოუცდელ ესევითართა მანქანე-  
ბათა და სივერაგეთაგან. შენ დამიცევ, ყოვლად ძლიერო, ქელთა-  
ვან ამის მზაკვრისათა, რამთა არა მიღრექს გონებამ ჩემი ამის უკე-  
თურისა ლიქნათაგან, რამეთუ მე არაოდეს განვემორო სიყუარულ-  
სა შენსა, არცა უარ-ყო სახელი შენი. იყვნო კელი შენი მტკიცე  
მაცხოვრად ჩემდა, რამეთუ შენ გესავს სული ჩემი და შენდა მი-  
მართ არს ყოველი სისოებად ჩემი და მზა ვარ მე სიყუდილად სა-  
ხელისა შენისათვის წმიდისაა“. და მიერთოგან შესძინა ლოცვად და  
მარხვად უმჯურვალესად პირველისა.

დღესა ერთსა ჯდა მეფე იგი უსჯულოდ პურობად მოსმურთა  
თვსთა თანა შუებითა და განცხრომითა მრავლითა და მოუწოდეს  
ამასცა ღმრთისმოყუარესა მეფესა და ინაჯით ჯდა იგი მახლობე-  
ლად მისა. ხოლო იყვნეს დღენი იგი წმინდანი ორმეოცთა შარხვა-  
თანი. და ვითარცა სხდეს იგინი და იყო განცხრო[მამ] ფრიადი, მა-  
შინ აიძულა მას ჭამად თევზისა და ფრიადცა აიძულებდა, რამთა  
ერჩდეს ბრძანებასა ბისსა და ჭამოს თევზი. ხოლო მას ნეტარსა  
უცხოდ აღუჩნდა სიტყუამ იგი მძლავრისა. რამეთუ სიჩრიმოგან  
მარხვითა აღზრდილ იყო და განპოხებულ მსგავსად<sup>4</sup> დანიელისა,

5

15.

20.

25.

30.

35.

და ეტყოდა: „არა ჯერ არს, მეფეო, დღეთა ამთ შინა წმიდათა ორმეოცასა კამად თევზისა, რამეთუ ესრეთ განწესებულ არს წმიდათა მიერ, და მე არაოდეს გარდავჭდე საზღვარსა! მამათასა და არცა დავჭნა სჯულისდება მათი. და უქუეთუ აუ გერჩედ და ვეამო თევზი, მერმე კუალად მაძიულო კამად კორცისა და ე/სრეთ მცირედ-მცირედ დაინსნის ყოველი წესი. არა უწყია, მეფეო, რამეთუ მე ქრისტეანე ვარ და არაოდეს ვერჩედე ესევითარსა ბრძანებასა შენსა, არცა კისმინო ამის ჯერისათვეს სიტყუად შენი. უმჯობეს არს სიკუდილი ჩემი, ვიდრე მცირედისაცა სარწმუნოებისა ჩემისა შეცვალებაა“. და ვითარ კუალადცა აიძულებდა, მყის ალდგა და ვილოდა პირისაგან მისისა და წარვიდა კარგად თუსა. და ვითარცა ესე ქმნა, დიდად შეუძნდა მეფესა მას უსჯულოსა და გინებად თვალსა შერაცხა, რამეთუ მიზეზთაცა ეძიებდა მძლავრი იგი ესევითართა, რამეთუ ენება შეცყრობაა მისი.

და ვითარცა ენება, ეგრეთცა ქნა, რამეთუ განთენებასა თანა დღლისასა წარავლინნა კაცნი და შეიპყრეს მეფე იგი ლმრთისმოყუარე, ცხებული უფლისამ, შეენიერი იგი შროშანი, ორკერძოვე ბრწყინვალე ქმნილი, ნებსით მისრული საკუერთხი, დაკლად განპზადებული ტარიგი. რამეთუ მძლავრმან მან უკეთურმან არა მოისხენა ფიცი იგი საშინელი<sup>9</sup>, რომლითა ფიცებულ იყო, და ალეთქუა ალთქმანი დიდი, არცა შეიკდიმა დიდებულებისაგან მისისა, არცა პრიდა შეენიერებასა მისისა, არცა პატივ-სცა ცხებულებასა მისისა და თვალსა წინაწორმეტყუელთასა. ესე ყოველი ლაივიწყა უკეთურმან მან და მყის უბრძანა განშიშულებაა მისი ყოველისავე პატივისა და დიდებისაგან და წარგზავნეს ქუეყანისა შირაზისასა, ყოვლისა ნუგეშინისცემისაგან დაკლაბული, თვნიერ ორთა მონათასა, რომელი იგი თანა-წარატანნეს და მერმე იგინიცა უკანასკნელ მის თანავე წამებითა შეიმკვნეს.

და მუნ შეაყენეს საპყრობილესა შინა მრავლითა ჭირითა და იწროებითა წელიწად ერთ. ჰეონებდა უსჯულო იგი ჭირითა მით დაპსნად სიმტკიცესა სარწმუნოებისა მისისასა და იტყოდა: „ნუ-უაში ამით ესევითარითა და სხვთაცა მრავალფერთა სატანჯველთა ქმიწერნითა ერჩედეს ბრძანებასა ჩემსა და უარყოს სახელი ქრისტესია“.

### I საზღვა A.

\* „საშინელის“ შემცემა ვალიტლიუ უსაქულომან, მანა A.

ხოლო სამგზის. სანატრელი იგი, მსგავსად! ანდამატისა, მტკ-<sup>240</sup>  
ცე იყო ყოვლისაგან კუეთე/ბისა განსაცდელთასა, მაშინ უმეტესსა  
ლუაწლსა და შრომისა მისცა თავი თვისი და შეაყო ვონება თვისი  
მიმღემსა ლოცვასა და მარხვასა და ევედრებოდა უფალსა, რამთა  
მოსცეს შეწევნად მის მიერი და განაძლიეროს ლუაწლსა მას შინა. 5

ხოლო მძლავრი იგი დღითი-დღე იქითხვიდა საქმეთა და გან-  
ზრახვთა მისთა, თუ ვითარ არს და ვითარ იქცევის, ანუ რაა ვა-  
ნუზრახავს, რამეთუ ჰეონებდა გარდაქცევასა მისსა ქრისტეს სი-  
ყუარულისაგან და ელოდაცა შედგომად ბილწსა მას სჯულსა მის-  
სა. ხოლო ცნა რაა სიმტკიცე მისი და შეურყეველი ვონებად, რო-  
მელი აქუნდა ქრისტეს მიმართ, რამეთუ მოაქსენებდეს<sup>2</sup>, ვითარ-  
მედ: „შეუძლებელ არს განშორებად მისი სიყუარულისაგან სჯუ-  
ლისა მისისა, რამეთუ რაოდენსაცა ექადიან მის ზედა ძვრთა მო-  
წევნასა, ანუ ალუთქუმენ ნიჭთა და პატივთა დიდ-დიდთა, ესე ყო-  
ველი არარად შეურაცხეს, და ოცალა ვჰეონებთ, თუმცა ითქმო-  
და, ანუ მოიგონებოდა ჭირნი ანუ სატანჯველნი, ანუ პატივნი, გინა  
დიდებანი, თუმცა დაემორჩილა ბრძანებასა შენსა და უარყომცა  
სარწმუნოებად თვისი და სახელი ქრისტესი“.

ესე ყოველი ესმა რაა უსჯულოსა მას მძლავრსა, ალეგზნა გუ-  
ლის-წყრომითა დიდითა, მსგავსად საკმილისა მძაფრისა, და 20  
ალუტევებდა კუამლსა რისხვისასა ხენეშით პირით მისით. და გა-  
ნიზრახა საყუთართა თვესთა თანა და იტყოდა: „უკუეთუ მოვიყვა-  
ნოთ და პირის-პირ ვეზრახანეთ, კუალად წინა-ალუდგეს ბრძანე-  
ბასა ჩუენისა და არა გუერჩდეს, დიდად სირცხვლ არს ესე გელ-  
მწიფობისა ჩუენისა, რამეთუ მაღალ არს სიტყვთა და ბრძენ გო-  
ნებითა, და ვერ უძლოთ ძლევად მისსა. და უკუეთუ ერთჯერ არა  
გუერჩდა, ვაძძულეთ რაა ჭამა თევზისამ, აწ ვითარმცა ისმინა ჩუ-  
ენი და დაუტევამცა სჯული თვისი? არამედ წარვავლინოთ კუალად  
სხუანი შერაცხილნი მთავართა ჩუენთაგანნი და მუნვე ვაიძულოთ  
სჯულისა დატევებად უკუეთუ გუერჩდეს და/უარ-ყოს<sup>3</sup> ქრისტეს v 30  
სარწმუნოებად, იქმნას ნებად ჩუენი და ჩუენცა არავე უგულე-  
ბელს-ვყოთ ალთქუმა<sup>4</sup> იგი, რომელი ალუთქუთ პირველ, ხოლო  
უკუეთუ კუალადცა შეურაცხყოს ბრძანებად ჩუენი და წინა-ალვ-  
კლგეს, მუნვე საპყრობილესა შინა მიიღოს მისაგებელი ურჩები-  
სათვს ჩუენისა და მუნვე. მწარითა სიყუდილითა დავსაჭოთ, რამეთუ,

1 მსგავსად B. 2 მოახსენებდეს A, 3 უარ-ყოს B. 4 ალთქმა B.



ვინაოთგან მომკუდრისა მიმართ აქცს სასოფთა, მანცა მრიღოს /მო-  
როტად სიკუდილი/.

ესე თქუა და მყის წარავლინნა კაცნი, მსგავსი მისისავე ს-  
ბოროტისანი. პირველად შესთუალნა პირველისავე მსგავსად ზაკუ-

5 ვითნი და ლიქნითნი სიტყუანი, ქადებანი მრავალთა ნიჭთა და პა-  
ტივთანი და მერმე შინებანი ჰირთა და სატანჯველთანი. და უკუ-  
ეთუ არცა ერთი ისმინოს, მერმე ამცნო, რამთა მასვე საპყრობი-  
ლესა შინა განიყვანონ ამის ცხორებისაგან. ჰგონებდა უგუნური  
იგი მძლავრი, კითარმედ ესეოდენთა ნიჭთა და პატივთა/ ალთქუ-

10 მითა ერჩიდეს ბრძანებასა ჩუენსა, ანუ განგრძობითა სატანჯველთა-  
მთა და ქადებითა სიკუდილისამთა შეიწყალოს სიჭაბუკე თვასი და  
პატივ-სცეს შუენიერებასა თვასსა და მწარისა სიკუდილისა წილ  
ალირჩიოს სიცოცხლე საწადელი და დაემორჩილოს ბრძანებასა ჩუ-  
ენსა. არამედ უგუნური იგი მძლავრი ისარჩევლითა ჰგონებდა მოწ-

15 ყლვასა ანდამატისა უმტკიცესისა კლდისასა, რამეთუ მას ყოვლი-  
ოთურთ ქრისტე ალერჩია და სიკუდილი მისთვის ფრიად საწადელ  
უჩნდა, ვიდრელა ეამიერსა ამას ცხორებასა და საწუთოსა ამის მე-  
ფობასა, რამთა საუკუნოდ ქრისტეს ღმერთისა თანა სუფევდეს და  
იხარებდეს.

20 ხოლო მი-რაა-იწივენეს კაცნი იგი შაპბაზის მიერ წარულენილ-  
ნი და მოაქსენებდეს ბრძანებასა მის უსჭულოსასა და წინა და-  
უდებდეს სოფლისა ამის საშუებელთა პატივთა და დიდებათა,  
მეფობათა და კულმწიფობათა და სხვათა მრავალთა ნიჭ-დიდო-  
ბათა მოაქსენებდეს. და კუალად ექადოდეს მწარითა სიკუდილითა

25 აღსასრულსა, უკუეთუ ურჩ ექმნეს ბრძანებასა თუმბყრობელთა-  
241 სა. ესე და სხვანი უმრავლესი ამისა მიუთხრეს და/აწუევდეს და  
განაზრახებდეს<sup>1</sup> და რამთა არა ერყოდეს და რამთა არა იქმნოდეს,  
რამთამცა შეუძლეს ცოუნებად ნეტარისა მის. ხოლო იგი ყოველსა-  
ვე სიტყუათა მათთა უკუნ-აქცევდა. არცა დიდებათა და პატივთა მი-  
30 ხედვიდა, არცა სატანჯველთა და სიკუდილთა ეშიშვილა, არამედ  
ყოვლისა წილ ქრისტესა ალირჩევდა, რამეთუ მისსა სუროდა და  
მისა მიმართ ესვიდა, მას ხადოდა და მას მიერსა შეწევასა ილოც-  
ვიდა და ისწრაფდა მოლებად გვრგვნთა ზეცისა ჩინებისასა.

35 მაშინ იხილეს რაა სიმტკიცე მისი, ფრიად უსასო იქმნეს მი-  
სისა გარდაქცევისაგან, მოილეს სახელი მშელდისამ, რამთა მოშ-  
თობისა მიერ განიყვანონ ამის ცხორებისაგან. ხოლო იგი ეველრა,

1 პატივთა AB. 2 განაძრახებდეს B.

რა, რათა მცირედ უამად დრო სცენ, რამთა ილოცოს. და ვითარცა  
მოილის სათხოელი თვესი, დავარდა პირსა ზედა თვესსა და გარდა-  
მოადინებდა ნაკადულსა ცრემლთასა, ილოცვიდა და იტყოდა:  
„უფალო, იესუ ქრისტე, შენ უწყი, დაღაცათუ ცოდვილ ვარ, არა- // 5  
მედ შენსა გარეშე სხეად არავინ ვიცი თანა-დაუსაბამოდ მამით  
შენითურთ და ყოვლად წმიდით სახიერით და ცხოველ-მყოფელით  
სულითურთ. და შენ შეგიყუარე და შენ შეგიდეგ და სახელისა შე-  
ნისათვეს წმიდისა მეგულების დღეს სიკუდილი, რამეთუ ყოვლისა  
წილ შენ აღირჩიე და შენდამი დავსდევ ყოველი სასოებად ჩემი.  
და აწ! გვედრები. მეცვეოთ. შეივერე სული ჩემი და იქსენ ჰერის-  
მცველთა კელთაგან. შენ, სახიერო, შეიწირე უნდო ესე ლუაწლი  
ჩემი და ღირს მყავ წმიდათა შენთა თანა და ნუ დამაკლებ დიდე-  
ბისაგან მათისა. გვედრები შენ, ყოვლად ძლიერო, დაიცვენ ეკლე-  
სიანი საქართველოსნი შეურყეველად და იქსენ უსჯულოთა მძლავ-  
რებისაგან და მწვალებელთა სიბორგილისა და სარწმუნოებად უბი-  
წოხ, ვითარცა ყოვლადვე და აწცა, მიალსასრულამდე შეურყევე-  
ლად დაამტკიცე, რამთა ყოველთა მიერ იდიდებოდის ყოვლად წმი-  
და სახელი შენი — მამისა და ძისა და წმიდისა სულისა ერთლმერთე-  
ბისა და მეფობისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“.

ალდგა მიერ ლოცვისაგან და მერმე მოილო წმიდამ<sup>4</sup> საიდუმლოდ  
ჭორცი და სის/ხლი საუფლოდ, რომელი აქუნდა მის თანა დაკრძალუ-  
ლი, რამეთუ ულონხ იყო მუნ მღლდისა პოვნილობამ, და მით ეწი-  
არა თვე. და მერმე აზიარნა ორნიცა იგი მონანი თვესნი, რომელთა  
მისთვეს დაედვა თვენი თვესნი და უფრომასად ქრისტესთვეს. და რა-  
მეთუ მასცა და ამათცა ღმრთისათვეს დაესხნეს სულნი თვესნი, რა-  
თა მის თანამცა სუფევდენ საუკუნოდ. მერმელა უბრძანა მტარ-  
ვალთა, რათა ალასრულონ ბრძანებული მათდა. მყის გარდააცუეს<sup>5</sup>  
საბელი მშელდისად და ესრეთ მოაშთუეს სამეზის სანატრელი იგი  
მოწამე ქრისტესი და მის თანა ორნიცა იგი მონანი მისნი.

და ესრეთ ალესრულა ყოვლად ქებული იგი მოწამე და ესრეთ  
მიიწია თვესა საწადელთასა და ალვიდა ზეცისა მას სუფევასა წინაშე  
ყოველთა მეფისა, საღა-იგი მჯდომარე არს მეუფე მეუფეთა<sup>6</sup> და  
უფალი უფლებათა, რომლისა წინაშე დგანან შიმით და ძრწოლით  
ათასნი ათასთანი და ბევრნი ბევრთა უსხეულოთა მნედრობათანი,  
სადა-იგი ბრწყინავს თუალთშეუდგამი ნათელი წმიდისა სამებისად.  
მუნ იხარებენ გუნდი წმიდათა მოციქულთანი, იშუებენ კრებულნი  
წინაშარმეტყუელთანი, სადა-იგი სუფევენ ბანავი მლდელ-მოძლუ-

1 აწ — B. 2 მეუფეთო A. 3 დაიცვე A. 4 წმიდა] ღ—სა B. 5 გარდაცუეს A,  
გარდაცვეს B. 6 მეუფეთა AB.

ართა და მამათანი და უფროხსად მჯედრობად ყოვლად შრწყინვა-  
ლეთა მოწამეთანი, რომელთა თანა შეერთო და რომელთა თანა იქ-  
ცევის და იხარებს მუნ, სადა-იგი არს ოხრად დღესასწაულთა, ნათე-  
ლი მიუჩრდილებელი, ბრწყინვალებად თუალთშეუდგამი, შეებად  
5 სამარადისოა და სიხარული დაუსრულებელი, სიძლიდრე მოუკლე-  
ბელი და დიდებად აღმატებული, მუნ იშუებს ძელითა მით ცხო-  
რებისათა და მუნ იხარებს და იღიდების დიდებითა ჩუენგან მიუწ-  
დომელითა და გამოუტქმელითა.

აწ ქულად მოვაქციოთ სიტყუად ჩუენი და ვიტყოდით ნეშ-  
10 ტთა მათ დიდებულებათა მისთასა, რომელი-იგი ზემო დაგვშთა,  
და ვახაროთ სასმენელთა თქუენთა. იხილეთ მძლავრისა მის უს-  
ჯულოვასა სიბორგილე და მოწამისა ბრწყინვალე ახოვნებამ, თუ ვი-  
თარ ერთი იგი ემსგავსებოდა უწყალობითა და ბოროტითა მანქა-  
242 ნებითა მაქსი/მიანე მძლავრსა, ხოლო მოწამე — დიდებულსა და  
15 ბრწყინვალესა მოწამეთა შორის დიმიტრის, რამეთუ ვითარცა-იგი  
მან შეაყენა საპყრობილესა და მერმე<sup>1</sup> პირის-პირ ვერდარა იყალრა  
წარმოდგინებამ, რამეთუ პრცხულენოდა დიდებულებისაგან მისისა  
და სიბრძნით სიტყვს-გვებისა მისისა ეკდიმებოდა, და მუნკე საპყ-  
რობილესა შინა ბრძანა სიკუდილი, ეგრეთვე სახედ ამან უსჯულო-  
20 მან განაჩინა ამისი საპყრობილესა შინა აღსრულებად მოშორებისა  
მიერ.

შ, სიბრძნით განვებულებასა შენსა, მაცხოვარ! შ, უფსკრულსა  
მოწყალებისა შენისასა, ვითარ ადიდებ მაღიდებელთა შენთა, რაშე-  
25 თუ არა დააკლე ესეცა სანატრელი დიდთა მათ წმიდათა შენთა  
მსგავსებისაგან<sup>2</sup> წინასწარმეტყუელთა შორის დიდსა დანიელს მარხ-  
ვითა და წმიდათა სამთა ყრმათა საღმრთოოთა შურითა. ვითარ  
ერთმან მან მჯეცოა პირი დაუყო მარხვითა, ხოლო სამთა მათ ალი  
ცეცხლისა დაშრიტეს, ეგრეთვე ამან მჯეცოა უმძვნვარესისა მის მე-  
ფისა პირი სირცხულეულ ყო და მსგავსად<sup>3</sup> წმიდათა მათ ყრმათა  
ცეცხლი იგი სიჭაბუკისა დაშრიტა და მეფობად და დიდებად ქუ-  
ეყანისა შეურაცხ-ყო, ეგრეთვე ემსგავსა დიდსა მის მოწამესა დი-  
მიტრის, ვითარცა ვიტყოდე\*, სიკუდილითა და მუნკე საპყრობი-  
ლესა შინა აღსასრული მითიუალა.

ნუუკუ იტყოდის ვინმე, ვითარმედ: „დაღაცათუ ქრისტესოვს  
35 და სიკუარულისა მისისათვს მოიქლა წმიდა ესე, არამედ, ვითარ-  
ცა გუასმიეს, სხუანი იგი ამისა უწინარესნი მოწამენი უცხოთა და

<sup>1</sup> მერმე — B. <sup>2</sup> მსგავსებისაგან B. <sup>3</sup> მსგავსად B.

\* „ვიტყოდეს“ შემდეგ გადაშლილია „ემსგავსა“ A.

თითო სახეთა სატანჯველთა მიერ მძვნეარედ განიცადნეს და ვარგვა-ზეთოვა  
ნოსან იქმნეს და სასწაულთაცა<sup>1</sup> დიდთა აღსრულებასა მიემთხვ-  
ნეს. ხოლო ამისთვის, რომელსა შენ იტყვ, არარა გუასმიეს ესევითა-  
რი<sup>2</sup>. ხოლო ჩუენ ამის ყოვლისა წილ მიუგებთ: „სასჯელთა ღმრთი-  
სათა უმეცარნო, მ ესევითარნი დიდთა მათ განკითხვათა ღმრთი-  
სათა სულ მცირედ აღმწონელნო, რავდენთა წმიდათა მცირედი  
რამე გულსმოღვინებად დიდად და სრულად საზომად შეერაცხა,  
ვითარცა თუალით ხილული და წიგნსა მისსა შთაწერილი სიტყვ-  
საებრ წინაწარმეტყუელისა, რომელი-იგი არ მექმნა, იხილეს თუ-  
ალთა შენთა და წიგნსა შენსა ყოველივე<sup>2</sup> შთაწერინეს. რამსა პე-  
ნებთ თქუენ ამის ყოვლად ქებულისა და სამგზის სანატრელისა მე-  
ფისათვს? არა დაუტევა ნებსით თვისით მეფობად ესე ქუეყანისა და  
ვითარ სხუასაცა მრავალსა აღუთქმიდეს და ნიჭითა სიმრავლესა და  
სიმდიდრეთა უხუებასა წინა დაუფენდეს? ესე ყოველი არა ნაგე-  
ვად შეერაცხა? ნუუკუ პატივ-სცა შეენიერებასა თვისსა და ახოვნე-  
ბასა? არა მოიძულა სიჭაბუქე თვისი ბრწყინვალე ტომ-კეთილო-  
ბად ზემოთვანევე შთამომავლობით წინაწარმეტყუელთა თვისობი-  
სად? ნუუკუ შეიწყალო სიობლე თვისი და არღარვისი მონაცვალე-  
ობად სამეფომასა თვისისად? ანუ რაცა რად თქმის და მოიგონების  
სოფლისა ამის საშუალელთაგანი, რომელი სოფლისა ამის მოყუა-  
რეთა საწადელად უჩნს, ესე ყოველი არა სრულებით მოიძულა?  
და ვითარცა მტერი არა განიცარა და ამის ყოვლისა ქრისტე შე-  
იყუარა და სიკუდილი დაუსრულებელად ცხორებად განსცვალა? და  
მსგავსად დიდისა პავლე აღმსაარებელისა საპყრობილესა შინა მოშ-  
თობისა მიერ ამის ცხორებისაგან განვიდა, ვითარცა და ესეცა ნე-  
ტარი იგი არიანოზთა მიერ მართლისა აღსარებისათვს მოიკლა, ხო-  
ლო ესეცა მართლისა სარწმუნოებისათვს წმიდისა სამებისა უსჯუ-  
ლომასა ამის მიერ მოიშოთ.

მომეცით კაღინიერებად, რამთა ვიტყოდილა მცირედრე და ეს-  
რეთდა აღსასრული ვყო სიტყვას ჩემისა.

ვინ იყო უზეშთავესი იოანე ნათლისმცემელისა, რომელი-ივი  
თვთ წამა ქეშმარიტებამან მან უმეტესობად მისი ყოველთა ნაშობ-  
თა დედათასა, რამეთუ ვიდრელა წორცთა შინა იყო, არარა გუას-  
მიეს სასწაული მის მიერ ქმნილი, რომელი-იგი უსჯულომასა პერო-  
დეს მიერ თვნიერ სხუათა სატანჯველთასა საპყრობილესა შინა მახ-  
ულისა მიერ აღსასრული მთილო. ეგრეთვე სამგზის სანატრელმან  
ხაპყრობილესა შინა მითლო აღსასრული, რამეთუ აღსრულა მცი-

<sup>1</sup> სასწაულით • B. <sup>2</sup> ყოველივე — B.

15

20

25

30

35

- 243 რედთა დღეთა და ოლვისნა უამნი/გრძელნი სიტყვსაებრ სოლომონისა, რამეთუ სიბერისა პატიოსნებად არა მრავალ უამ, არცა როცხვ წელთა აღრაცხელ, არამედ მჯცოვნებად არს გონიერებად კაცთად და ჰასაკ სიბერის ცხორქებად უბიწოდ.
- 5 ესრეთ აღესრულა მცირეთა დღეთა, უკუეთუ ითქმის მცირედ დიდი იგი ლუაწლი მისი, და ოლვისნა უამნი მრავალნი, რამეთუ ყოველსავე მეცნიერმან და გულთა და გონებათა განმკითხველმან უწყოდა გონებისა მისისა სიმტკიცე და უქცეველობად და ცეცხლებრ მოტყინარე იგი სიყუარული მის, რომელი აქცნდა მისა
- 10 მიმართ. ერთითა ამით სიკუდილითა მრავალფრად და მრავალბევრად სიკუდილად შეუჩაცხა, რამეთუ, უკუეთუ მოწევნილ იყო მის ზედა ყოველი სახე სატანჯველთა, ყოველთავე სიმჯნით მოითმენდა.
- 15 და ეგრეთცა იქმნა, რამეთუ ექადოდეს რაა უსჯულონი იგი ბევრთა და მწარეთა სატანჯველთა, ხოლო ესეცა სიმჯნითა და უშიშითა გონებითა აწუევდა მათ მის ზედა მოწევნად უმრავლესთა და უშმდნევარესთა სატანჯველთა და სიკუდილთა. არათუ ერთსა, არამედ, თუმცა შესაძლებელ იყო, ბევრჯერმცა მიითუალვიდა სიკუდილსა და ულმრთოთაცა მათ ამისათვის ისწრაფის აღრე სიკუდილი მისი, რამეთუ პრცესუენოდა პატიოსნებისაგან მისისა და ახოვნებისა, ამისთვის წარიკეთეს სასოებად გარდაქცევისა მისისა და მაშინდა მოაკულინეს ყოველად სანატრელი ესე მოწამე ქრისტესი ლუარსაბ და გვრგვნ-შემოსილი აღვიდა ზეცისა სუფევასა წინაშე ყოველთა მეუფისა.
- 20 25 ხოლო მასვე უამსა გარდამოქდა ზეცით სუეტი ნათლისა და დაადგრა სახლსა მას. რომელსა შინა მდებარე იყო ლუაწლით-შემოსილისა მის მრავალ-მოლუაწე გუამი, სასწაულად სიმჯნისა და ახოვნებისა მისისა და პატივად ლუაწლთა მოწამისათა. და ესე სუეტი მრავალ უამ იხილვებოდა ლამე და დღე. და, რომელნიცა ხელვიდეს, იტყოდეს: „დიდ არს ღმერთი ქრისტეანეთა, რომლისათვს ესე მოიკლა“.
- v 30 35 ხოლო ნაწილნი ამის მოწამისანი მუნცე მდებარე არიან აქალ-დამის<sup>2</sup> სახედ შექმნილსა სახლსა შინა და ვიდრე დღეინდელად დღედმდე ვერვის უკადრების აღებად იგი მაშინ შიშისათვს სპარსთასა და აწუა ჰეგბს მუნცე შეუძრეველად და შეურყეველად მდებარე, ვიდრემდე ინგბოს თუ ღმერთმან გამოცხადებად მისი და მონიკებად ჩუენდა საუნცე იგი დიდძალი მაღლითა<sup>3</sup> საღმრთოთა<sup>4</sup> მომ-

1 სიკუდილსა—B. 2 აკლდამის B. 3 მაღლითა A. 4 საღმრთოთა B.

ნიჭებელი. ხოლო ჩუენ ვადიდებდეთ განმაძლიერებელსა მისსა და გვრცნოსანს-ყყოფელსა ქრისტესა, რომელსა ჰშევნის ყოველი დიდება, პატივი და თაყუანისცემა თანადაუსაბამოოთ მამით და ყოვლად წმიდით სულითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნი-  
სამდე, ამინ\*. 5

შესხვა<sup>2</sup> ვადიდათა მოზავეთა პირნაცი, შალვასი და 243 ა  
ელისბარისი] და უფავაჲ წამებისა მათისა.  
გუაგრძელები, ვიზეო\*\*.

მოწამეთა სიმრავლემან გარემოიცვეს ჩუენ მრავლითა რა-  
მთმე პრწყინვალებითა და გარდამატებულითა ჰაეროვნებითა 10  
და ჰნებავს ჩუენმიერი რამე შესხმად დიდებულთა; ლუაწლთა  
მათთათუს და ახოვნებათა, რომელი-იგი მათ სიმჯნა აჩუენეს<sup>3</sup>  
სიყუარულისათვეს მეუფისა მათისა. არა თუ მათდა რამე საჯმარ  
არს, ან თუ ჩუენ მიერ შეიძინეს რამე. რომელი-იგი სრული 15  
არიან და მდიდრად აღსავსენი გარდამატებულთა ნიტა უხუებათა-  
მთა და კამკამებენ ელვარებითა მზისა უბრწყინვალესითა წინაშე  
მეუფისა მათისა, დაღაცათუ უწყიან ჩუენიცა უძლურებად და 20  
უერმიმწობად ლირსებითსა ქებასა, რომელი-იგი მათ შეუნის,  
არამედ, რამეთუ ქმათმოყუარენი არიან, ვითარცა ქრისტეს მო-  
ყუარენი, და ესე არს ნებად მათი, რამთა ჩუენცა არა უნაწილო 25  
ვიყვნეთ კეთილთა მათთა, რომელსა შინა იგინი იხარებენ, უკუე-  
თუ ეეზიარნეთ<sup>4</sup> ჩუენცა ქსენებასა მათსა და გულსმოღვინე ვიქმ-  
ნეთ სმენად ღუაწლთა და ახოვნებათა მათთა. რამეთუ უკუეთუ მა-  
რადის მაქებელ ექმნე მოწამეთა და ჰნატრიდე სიმჯნეთა მათთა, 30  
ოდეს მოიწიოს ეამი, შენცა ებაძო ღვაწლთა მათთა, და უკუეთუ  
გინდეს, აწცა და სამარადისოდ, წინა/მდებარე არს ჩუენდა ღუაწ-  
ლი გვრცნოსნობისა, რამეთუ ვითარცა-იგი მათ მძლავრნი ულმრ-  
თონი აძლელებდეს უარის-ყოფად, ეგრეთვე ჩუენ უხილავნი მძლავ-  
რნი ღამე და ღლე გუაძმულებს უარის-ყოფად საქმეთა მიერ ბო-

1 ჩუენ B. 2 შესხვა B. 3 აჩუენეს A. 4 ეეზიარნეთAB.

\* ხელნაწერები: A: S—3269 (1720-იანი წლ), B: A—170 (1733 წ.).

\* ამინ+თქმელი ქართლისა \*ქათალიკოზისა ბესარიონის მიერ (მხედრულით,  
შესარიონის ხელით) A.

როტთა. შინა აღუდგეთ ეშმაქსა და მისმიერნი ენებანი, რომელიც  
თა გერფუების, უკუნ ვაქცინეთ და მაქებელ ვიქმნენ მოწამეთა  
ძალისაებრ, რათა მათ თანაზიარ ვიქმნეთ, რამეთუ ძალისაებრნი  
ყოველნი მისათუალველ არიან მათ მიერ და სათნოა შინაშე  
ლმრთისაა.

აშ მოვედით, მარტლომოყუარენო, და შემოვკრბეთ კსენება-  
სა მათსა და გულსმოღვინედ უძნობდეთ სიმწნეთა მათთა. არათუ  
ძუელთა და ოდრინდელთა მოწამეთათვს არს სიტყუად ჩემი, არცა  
შორთა და ჩუენგან უცხოთა ქუეყანათა შინა გამობრწყინვებულ-  
10 თათვს, რომელნი-იგი დაღაცათუ აღრინდელნი და უწინარესნი  
არიან უამითა და ადგილითა ჩუენგან შორს, არამედ შინაშე ყო-  
ველთა მხედველისა ახალ და ცხოველ არიან და მარადის უახლესი-  
15 თა და უბრწყინვალესითა დიდებითა განახლებულ და ბრწყინვალე  
ქმნილ არიან. და ვითარცა ხილული ესე მზე ყოველთათვს სწო-  
რად მახლობელ არს, ეგრეთვე წმიდანი მოწამენი ერთგზის რად  
მსხუერპლ იქმნეს და სისხლითა მათითა განახლეს ეკლესიად, შო-  
რიელნი და მახლობელნი, პირველნი და უკანასკნელნი ყოველნი-  
ვე ყოველთათვს მაქებელთა მათთა და სარწმუნოებით მვედრებელ-  
20 თათვს მახლობელ და თანაშემწე არიან, არამედ<sup>1</sup> უმეტეს ჩუენი  
ესე ახალნი მოწამენი ნამდვილვე ჩუენნი და ჩუენთა ქუეყანათა ში-  
ნა გამობრწყინვებულნი ახლით ღუაწლითა და უახლესითა გულს-  
მოღვინებითა ელვარედ ბრწყინვენ და ვითარცა მნათობნი დაუ-  
25 ვალნი მარადის კამეამებენ და ვითარცა შროშანი სულნელი და ვი-  
თარცა ვარდნი ფერითა მეწამულნი სისხლითა ძოწეულ ქმნილნი  
მდიდრად ყუავიან და სულნელებასა მათსა ეკლესიათა ჩუენთა  
v უხუე/ბით მოპფენენ.

ზოლო ვთქუა რამე არა უცხოო ჯეროვნისაგან თხრობისაა,  
რომელსა-იგი თქუენცა მეწამნეთ ფრიადუა ჯეროვნად, რამეთუ  
პირველთა მათ მოწამეთა მრავალნი აქუნდეს უპირატესნი ახლოს  
30 მისაბაძეველად და პირმშოდ მაგალითად, ვიტყვ უკუ წმიდათა მო-  
ციქულთა. თუალით მხილველთა ღმრთისა სიტყვათა<sup>2</sup>, და შემ-  
დგომითა მათთა ურიცხუებასა მოწამეთასა, რომელნი-იგი ურთი-  
ერთას ჰქიდებოდეს და ერთი ერთსა ებაძებოდეს და გულსმოღვი-  
ნედ იღუაწიდეს და ვითარცა საფასეთა დიდალთა სატანჯველთა  
35 ესრეთ მოიტაცებდეს და უბრწყინვალესად სახედ და კეშმარიტად  
მაგალითად კეშმარიტი იგი კეშმარიტებად ღუაწლისა დამდებელი

1 არამედ] აშ B. 2 სიტყვათა B. 3 შემდგომად B.

მეფე ქრისტე აქუნდა, რომელი-იგი წინამძღვარ ექმნა მოწამეთა ჩა  
თა და მინედვითა მისითა ჩჩულნიცა უასაკონი და დედანი უძლურ-  
ნი მანე იქმნებოდეს და დამვიწყებელ ბუნებათა.

ხოლო ჩუენთა ამათ ახალთა მოწამეთა, უამითაცა და საქმითა.  
ფრიად უკუანასკნელთა, რომელთა არავინ ჰყავა ახლოს სახისა  
დამდები, არცადა ღუაწლისა დამწყები, თვინიერ მცირედთასა, რო-  
მელნი-იგი მცირედ უწინარეს გვრგზნითა წამებისათა შეიმუშნეს.  
მცირედნი ვთქუ რიცხვთა, არამედ არა მცირედნი სიმჯნითა  
და ახოვნებითა, არამედ დიღნი და ბრწყინვალენი მოწამობისა სი-  
კეთითა, ვიტყვ უკუ საჩინოსა მას მნათობსა ქართველთამასა მეფი-  
სა ლუარსაბს და ბრწყინვალედ გვრგზნოსანა მოწამესა დედო-  
ფალსა ქეთავანს<sup>1</sup>, რომელთა-იგი მცირედ უწინარეს უამითა იღუ-  
აწეს ღუაწლი იგი უკუდავებისა და მიიღეს გვრგზი უხრწნელები-  
სა უსჯულომასა შაპაბაზის მიერ და განსცვალეს უამიერი ესე მეფო-  
ბად ზეციერად და დაუსარულებელად სულევად ერთმან მან მრავ-  
ლისა ჭირისა შემდგომად მოშოთობისა მიერ აღსარული მიიღო და  
მეორემან მან ცეცხლისა მიერ სრულ ყო სარბიელი თვისი.

ხოლო შემდგომად დიდთა ამათ მნათობთა შეუდგეს სამნი ესე  
მოწამენი, სა/მებისა რიცხუნი, რომელთათვს არს სიტყუად ჩუენი,  
რომელნი მიზეზად შესხმათა ჩუენთა წარმოდგომილ არაან, შეგუე-  
წევიან და პელსა ალგუპყრობენ. ვიტყვ უკუ ჩუენთა ამათ ახალთა  
მოწამეთა: ბიძინას სანატრელსა, ელისბარს ახოვანსა და შალვას  
ყოვლად ქებულსა, მკრთა და მათ სულითა და ახოვანთა გონიერითა  
უძლეველთა ბბრძოლთა ქრისტეს მიერ ჟურვილთა, სპარაზენთა  
ღმრთივ აღჭურვილთა, რომელთა დასცნეს ბევრეულნი ბბრძოლნი  
და ათასეულნი ბანაკი უსჯულოთანი და მათ თანა უხილავნა მტერ-  
ნი. მთავარნი ბნელისანი, სულნი უკეთურებისანი, რომელნი-  
იგი სრულიად ოტრეს და განაპინენს და ძლევისა გვრგვინი ქრის-  
ტეს მიერ მოიხუნეს და შემდგომთა მათთა სიმჯნისა და აქოვნებისა  
ძეგლ იქმნეს და ჩუენ დაგვტევეს ვითარცა ხატი და სახე აღუკო-  
ცელი სიქველისა მათისამ, რამეთუ ვიდრე დღეინდელად დღელდე  
ჭრისტეს დიდებული იგი სახელი ჩუენ ქართველთა შორის შეა  
მიერ იქსენების და ბრწყინვალედ იღიდების და სისხლითა მათთა  
სარწმუნოებად ჩუენი მტეიცედ წარემატების.

უწყით ყოველთა, ძმანო, თუ ვითარ უფლობდეს ჩუენ ზედა  
სპარსი და ქუეყანად ჩუენი მათ მიერ ბოროტად იმტლავრებოდა,  
და უფროოსლა ქუეყანად ქახეთისამ, რამეთუ ულმრთომან შაპა-

<sup>1</sup> ქეთავანს B.

ბაზ, რომელი იყო მეფე სპარსეთისა, სრულიად ოკერ, და უმციდილოდ ყო კაცთაგან. და სხუად ვერევინ შემძლებელ იყო წინააღმდეგო-  
 5 მად მათდა და ყოველნივე შიშსა და მძლავრებასა ქუეშე ვიყვენით,  
 რამეთუ წმიდად დედოფალი ქეთაგან<sup>1</sup> კახეთისა და მერმე წმიდად  
 ლუარსაბ მეფე ქართლისა ორივენი ზეკვით შეიძყრნა და სახელი-  
 სათვს ქრისტესისა მწარითა სატანგველითა სიკუდიდ დასაჯნა და  
 მოწამებითა ვკრგვნოსან იქნეს. ხოლო ორა ყოვნა სასჯელმან ზე-  
 გარდამომან, რამეთუ უკეთური იგი მეფე შავაბაზ მწარითა აღსა-  
 რულითა განერუა ცხორებისაგან, რამეთუ მსგავსად იუდასსა გან-

10 სივ/ნა და ვანსტადა. ხოლო ძემან მისმან მცირემან შავაბაზ ინება  
 სრულიად აღმოფხურად ქრისტეანობისა კახეთისა შინა და მის წილ  
 განმრავლებამ და განძლიერებად ბილწისა მის სასჯელისა თვისისა.

რამეთუ დიდისა შავაბაზის ოჯრებითგან მცირედ-მცირედ იწ-  
 15 ყეს შენობად ოკერთა აღგილთა კახეთისათა, თუ სადამედა იპოე-  
 ბოდეს კაცნი. ხოლო ესმა რად სპარსთა კუალადცა შენობა კახე-  
 თისა, ფრიად შეუძნდა ესე და იწყეს მისთვს კუალად ვანზრახვად  
 ბორიოტისა. მაშინდა წარმოგზავნეს ურიცხვ ულუსი თათართა დე-  
 დაწულითურთ მათით და ფალანგებითა მათითა და ყოვლითა სიმ-  
 20 დიდრითურთ და თავად მათდა უჩინეს სულტანი არდალანისა და  
 იგიცა ყოველით სახლეულით მისით, რათა სრულიად აღწოუნ  
 ქრისტეანობამ. მყის ალიძრნეს და მიიწინეს კახეთად, დაიბანა-  
 კეს მუნ და დაემკედრნეს იგინი. და ალიკო სრულიად კახეთისა  
 თემი, რამეთუ ვერვინ შემძლებელ იყო წინააღმდეგო-  
 რავლისათვეს მათისა.

25 იწყეს დაშენებად ზემო ბახტრიანით, რომელსა აწ შენ არს  
 ციხე მათ მიერ აგებული, ვიდრელა ნუკადამდე, რომელსა აწ ფალ-  
 რობით უწმობენ, იმიერ და ამიერ ალაზნის პირსა და ყოველთა  
 ადგილთა კახეთისათა.

რამეთუ არღარა სადა იქსენებოდა სახელი ქრისტესი, თვინერ  
 30 მცირედთა ოდენ მთით კერძო თუშთა შორის და ხუზთა და მის  
 კერძოთა ადგილთა.

მაშინ გამობრწყინდეს წმიდანი ესე ახოვანი მოწამენი, რამეთუ  
 ლმერიმან საკურველებათამან და ყოვლისა შემბლებელმან და ულო-  
 ნოთა ღონიერ მყოფელმან მოსცა ვონებისა სანატრელისა ბიძინასსა  
 35 განზრახვა კეთილ და გონიერებად შემსგავსებული ლმრთისმსახუ-  
 რებისა და ახოვნებისა მისისა: წარვიდა წინაშე ორთავე ერისთავ-  
 თა მიმართ ქართლისა — არავისა და ქსნისათა და აუწყა ყოველი

<sup>1</sup> ქვევან B. 2 განძრახვა B.

ძვრი მოწევნული მათ ზედა და ითხოვდა შეწევნასა მათ მიერ. რა-  
მეთუ მაშინ ე/რისთაობდა ჯევსა არაგვესასა, რომელსა ეწოდებოდა 246.  
ზაალ, და ქსანსა ზედა წმიდამ ელისბარ და წმიდამ შალვა, რამეთუ  
ელისბარ უშევილო იყო და მოხუცებულ დღითა და წმიდა შალვა  
ძმისწული მისი შვილად მიიყვანა და ესრეთ ერისთაობდენ ორნივე ქსა-  
ნსა ზედა. ხოლო წმიდამ მოწამე ბიძინა იყო კახეთით დიდთა თა-  
ვადთაგანი, ნათესავით ჩოლოყაშვილი. ესე წარეიდა, ვითარცა  
ვთქუ, ერისთავთა მათ მიმართ და აუწყა მათ ყოველი ძვრი მოწევ-  
ნული მის ზედა და ეტყოდა: „იხილეთ ჩუენი ესოდენი ჭირი და  
განსაცდელი, ვითარ მწარე ესე ოქრებად კახეთისა და აუ სრულიად  
დაპყრობად თათართაგან და აკოცა ქრისტეანობისათ. დღეს ჩუენ  
ზედა არს მოწევნული ესე ძვრი, მცირედლა და თქუენ ზედაცა  
უკუელად მოიწევის განსაცდელი ესე. აუ უკუ ალვდგეთ მათ ზე-  
და, დაღაცათუ შეუძლებელ არს ჩუენ მიერ, არამედ ძალითა და  
შეწევნითა დამბადებლისა და ღმრთისა ჩუენისათა და წინაძლო-  
ბითა და განძლიერებითა ცხოველსმყოფელისა ჯუარისათა და თანად-  
გომითა ახოენისა მჯედრისა წმიდისა გიორგისათა, რამეთუ დიდებუ-  
ლი ტაძარი მისი დაბყრეს და შეაგინეს და პატიოსანი ხატი მისი შე-  
მუსრეს. აუ ალვდგეთ მათ ზედა და ბრძოლა ვყოთ. ნუთუ ინებოს  
ღმერთმან და ვსძლოთ და ვიოტოთ, ანუთუ მოვსწყდეთ სახელისა მი-  
სისათვს, რამეთუ ვითარცა-იგი ქრისტემან მეუფემან ჩუენმან დადვა  
სული თვისი ჩუენთვს და რაა საკურველი არს, უკუეთუ ჩუენცა დავდ-  
ვათ სულნი ჩუენნი მისითვს და ძმათა ჩუენთათვს და მოვსწყდეთ სახე-  
ლისა მისისათვს. დაღაცათუ მრავალ არიან ივინი და უფრომს რი-  
ცხვსად და ჩუენ შემცირებულ ვართ დღეს ცოდვათა ჩუენთათვს და  
არა არს აუ ჩუენ თანა მთავარ და წინაძლუარ, არცა მჯედართა  
განწყობილებაა და ძალი საკურველთა, არამედ თავითა დამდაბლე-  
ბულითა და სულითა გლოხაკობისამთა ალვდგეთ მათ ზედა და, უკუ-  
ეთუ ინებოს ღმერთმან, ერთითა იოტოს ათასეულნი და ორმან  
წარაქციოს ბევრეულნი. და უკუეთუ ესე არა ინებოს ღმერთმან და  
ვერ მძლე ვემნენთ, ეგრეთცა მოვსწყდეთვე სახელისა მისისათვს.  
იყავნ სახელ/ი უფლისად კურთხეულ უკუნისამდე“.

ესმა რაა ესე ორთავე მათ ერისთავთა, ქმნეს განზრახვა<sup>1</sup> ურ-  
ოერთას და ალუთქუეს შეწევნას. ხოლო ერისთავი არაგვსა ცხა-  
დად ვერ იყადრებდა შეწევნასა შიშისათვს სპარსთავსა, არამედ მცი-  
რედნი ოდენ კაცნი რჩეულნი მჯედრები მოსცნა თანაშემწედ საი-  
დუმლოდ. ხოლო ახოვანთა მათ და ღმრთისმსახურებით განშეუნე-

<sup>1</sup> განზრახვა B.

- ბულთა ელისბარ და შალვა დიდითა გულსმოდგინებითა მოიჩინეს  
ძალი, რაც იდენ შემძლებელ იყვნეს, სპითა თვისითა მოვიდეს თაა-  
ნეთს და იგმნეს თუშნი და მთეულნი და მცირედნი კახნი, თუ სა-  
დამეღა იპოვოდა, და ომესა ერთსა ბნელსა და უმოუაროსა გარ-  
5 დავლნეს მთა იგი და ჩავლეს ახმეტა და მივიდეს უგრძნულად მათ  
ზედა და დაესხნეს მუნ მდგომთა თათართა ზედა ძალითა პატიოს-  
ნისა ჯუარისათა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისათა  
და მინდობითა და წინაძლომითა წმიდისა მთავარმოწამისა გიორგი-  
10 სათა და დაუწყეს სრვად და ჭიკად და ქოდენ ასწყვდეს, ვიდრე  
სრულიად მოსპოლვადმდე, და ორეს და განაბნინეს და მოსრნეს  
პირითა მახვლისათა. და თვით სულტანი იგი მთავრად მათდა ჩინე-  
ბული ძალითოდა შეესწრა ცხენსა და მცირედითა ოდენ კაცითა ივ-  
ლტოდა დამტევებელი ცოლთა და შეილთათვსთა. ხოლო მათ  
ყოველივე ასწყვდეს და იავარ კვეს და სრულიად მოსპეს და გა-  
15 ნაბნინეს. ესრეთ ძლევაშემოსილნი მაღლობდეს ღმერთსა და  
წმიდასა და დიდებულსა მოწამესა გიორგის, რამეთუ ცხადად იხილ-  
ებოდა მთავარმოწამე გიორგი ცხენსა ზედა სპეტაქსა ელვის სა-  
ხედ მიმომსრბოლი წინამავალად მათდა.
- ხოლო ესეოდენი ძლევა მისცა ღმერთმან ამათ სამგზის სანატ-  
20 რელთა მცირედითა კაცითა, ვიდრელა არასადა სმენილ ას სხუათა  
ნათესავთა შორის ესეეითარი, რამეთუ თათართა მათ ითქუმოდა  
ოთხმეოცი ათასი სახლი, რომელთა დაებანაკა კახეთს შინა, და  
ესეოდენ ასწყვდეს და განაბნინეს, ვიდრელა არცა თუ ერთი იპო-  
ბოდა კახეთსა შინა. და ესრეთ განუმარჯვა ღმერთმან და ესეეითა-  
25 რი ძლევა მოანიჭა ამათ ახოვანთა, რამეთუ ყოვლისა სიბრძნით  
განმეობელმან წინასწარ უწყოდა სიმტკიცე გონებისა მათისა და სი-  
ყუარელი იგი, რომელი აქცნდა მისსა მიმართ საჩქმუნოებად უქ-  
ციველი და უცვალებელი, ამისთვე თანაშემწერეულ და მოსცა ესე-  
ვითარი შეწევნა და წინათვე დაუსახა, თუ ვითარ ყოფად აჩიან  
30 ბრძოლად წინააღმდეგომთა მათ უხილავთა მტერთა.
- ხოლო მცირედნი ვინმე მათ თათართაგან ლტოლვილნი და  
თვით სულტანი იგი უკუნ-იქცეს სპარსეთად. და განითქუა ესე ყო-  
ველი სპარსთა შორის ესეეითარი მოსაწევარი. ფრიად შეუძნდა  
მათ ესე და დიდად სირცხვლად და ზღუვად შერაცხეს.
- 35 მაშინ უბრძანეს მთავარსა განძისასა მთავრობად კახეთისა და,  
მი-რა-ვიდა კახეთად ზემოთა ქუეყანათა, ვერ იყალრა შესვლად  
შიშით, არამედ დაბანაკა ალაზნის პირსა დამართებით ჭოეთისად  
და მუნით განაგებდა და იპყრობდა კახეთსა.
- მაშინ მეფემან სპარსთამან, მცირემან შაჟაბაშ, მოუწერა მეფე-

სა ქართველთასა ვახტანგს, რომელსა სპარსი შაპნავაზობით უკუ-  
მობდეს, რამთა მის წინაშე წარგზავნეს ახოვანი ესე პეტარნი  
ქრისტესი, რომელთაცა საქმე ესე ყვეს. ხოლო მეფემან შაპნავაზ  
შეიძყრნა იგინი და წარგზავნნა სამნივე ესე სანატრელნი წინაშე  
შაპაბაზისა სპარსეთს.

ხოლო შაპაბაზ მისცნა იგინი სულტანსა მას ორდალანისასა,  
რომელი-იგი მათ მიერ ლტოლვილ იყო მოწყუედასა მას თა-  
თართავსა, და ესრეთ უბრძანა მეფემან მან სპარსთამან სულ-  
ტანსა მას და ამცნო, ვითარმედ: „დიდად მეწყალიან ეგენი სიკე-  
თისა და ახოვების მათისათვეს და არა მნებავს სიკუდილი მათი;  
რამეთუ დიდად საჭმარ არიან ეგენი მტერთა და წინააღმდეგომთა  
ჩუენთა ზედა. აიძულენ დატევებად სჯულისა თვისისა: უკუეთუ უარ-  
ყონ სარწმუნოებად თვის და იქმნენ მუსულმან, ჩუენ მიერ დიდთა  
პატივთა და ნიჭთა სიმრავ/ლესა ლირს იქმნენ, ხოლო უკუეთუ ესე  
არა ყონ და ურჩ ექმნენ ბრძანებასა ჩუენსა, მწარითა სატანჯველი-  
თა დასაჯენ და მერმე ამის ცხორებისაგან განიყვანენ“.

მუნ წარიყვანეს წმიდანი ესე და წარადგინეს წინაშე სულ-  
ტანისა მის არდალანს. და იხილნა რამ სულტანმან მან წმიდანი  
ესე მის წინაშე მიგურილნი შეკრულნი და დასჯილნი, დიდად გა-  
ნიხარა მათთვეს და პატივით მოიკითხნა. პირველად<sup>2</sup> შეიწყნარნა  
იგინი კეთილად, რამეთუ ბრძანებადცა ესრეთ იყო შაპაბაზის მი-  
ერ. რამეთუ სიმჯნისა<sup>1</sup> და ახოვნებისა მათისათვეს არა ენება მოწყუ-  
ედა მათი. არამედ ესე იყო ნებად უღმრთოვსა მის მეფისა, რამთა  
დატევებითა სჯულისათვა სამარადისოდ დგენ წინაშე მეფისა და  
ებრძოლონ მტერთა მისთა, ამისათვეს ნიჭთა და პატივთა დიდ-დიდ  
თა ალუთქუმიდა მათ, რამთა უაჩყონ სახელი ქრისტესი. ხოლო  
წმიდათა მათ ვითარცა ერთითა პირითა მიუგეს და პრქუეს: „ჩუ-  
ენ ნიჭთა და პატივთა თქუენთათვს არა გული გვთქუამს, არცა ვე-  
ძიებთ საბოძეართა თქუენთა, რამეთუ ჩუენ ზეცათა მეფისა მო-  
ნანი ვართ და მწედრად ქრისტესა განწესებულნი, რომელმან მომ-  
ცნა ესევითარი ძლევად ჩუენგან შეუძლებელი, და მისგანვე მო-  
ველით ნიჭთა უხრწენელთა და საფასეთა მოუკლებელთა. ხოლო  
ნიჭნი და პატივნი თქუენნი ადრე დასრულებადნი და მსწრაფლ  
წარმავალნი არიან, ვითარცა სიზმარი განქარდების და ვითარცა  
უუავილი დაჭენების და მერმე რამდა იყოს სხუად ყოვლად ამისა,

5

10

v

15

20

25

30

35

1 მთ B.

2 სიჯნისა A.

\* მომდევენ „კეთილად“ გადაშლილია.

არამედ ცეცხლი უშრეტი და სხუანი სატანჯველი ურიცხუნი და უსრულებელი, რომელთა შინა დაისაჭნეო თქუენ და ყოველი უარისმყოფელი ძისა ღმრთისანი. ხოლო ჩუენ არცა პატივი და ნიჭი თქუენი, ვერცა ჭირნი და სატანჯველი თქუენი და სიკუ-  
5 დილისა ქადებანი შემიძლებენ განშორებად ქრისტესგან, არამედ მზად ვართ ყოვლისავე დაომენად, რამთა მის თანა ვსულებდეთ  
და მის თანა ვინარებდეთ“.

ხოლო პირ სიტყუათა ამათ იყო წმიდად ბიძინა და იგი შიუგებ-  
10 და ყოველსავე, ხოლო ნებად და განშრახვად სამთავე ერთი იყო და სწორ, რომელთაცა ერთადცა და სწორ ილუაწეს, სწორადცა მიი-  
ლეს გვრგვნენი. ესმა რაა ესე უსჯულოთა მათ, ფრიად განკვრდეს  
248 სიმ/ქნესა და ახოვნებასა მათსა და კადნიერებით სიტყვსებასა. კუალად აიძულებდეს უარისყოფად და აღუთქმიდეს უდიდესთა ნიჭთა და პატივთა და საკუთრებასა მეცისა მის მათისასა და მოახ-  
15 სენებდეს სიკეთესა და შუენიერებას მათსა სიმჯნესა და სიქველე-  
სა მათსა და ერყოდეს, რამთა შეიწყალონ თავი თვსნი და არა მიეცნენ უეამოსა სიკუდილსა და არცა გამოექცნენ ტკბილისა ამის საწუთოსა ცხორებასა, ხოლო წმიდათა მათ ყოვლისა ამის წილ მიუგეს, ვითარმედ: „ჩუენ არა რომლითა სახითა განვეყყინეთ  
20 სჯულსა ქრისტესსა, არცა უარვყოთ სახელი მისი, რამეთუ არა-  
რაა უტკბილეს არს ქრისტესთვეს სიკუდილისა. არაოდეს ვისმინოთ  
ცრულსა მის ბილწისა მოციქულისა<sup>2</sup> თქუენისად. თქუენ რამცა გე-  
ნებოს, ჰყავთ, არა გუეშინის ცეცხლისა და მახვლისაგან, არცა  
25 სხუათა სატანჯველთაგან, რომელი თქუენ მიერ მოპოვებულ არი-  
ან“. მაშინ წარიქუთეს ულმრთოთა მათ სასოებად გარდაქცევისა  
მათისა, მყის შეიძყრნეს სამნივე იგი მწედარნი ქრისტესნი და  
შეკრულთა ითრევდეს უწყალოდ ქუეყანასა ზედა, ვითარცა ძერი-  
30 მოქმედთა ვისმე სახელვანთა მათ კაცთა, რომელთა სულნი  
თვსნი პირველვე დაესხნეს ქრისტესთვს და შეკულისა მისისათვს  
და მერმე ძმათათვს, ვითარცა ბრძანებს წმად სამეუფოო, ვითარ-  
მედ: „უფრომისი ამისა სიყუარული არავის აქუს, უკუეთუ ვინ დად-  
ვის სული თვსი მეგობართა თვსთათვს“.<sup>3</sup> ხოლო ამათ ნეტართა აღ-  
35 რევე სიკუდილი შეურაცხ-ეყო, რამეთუ ვიდრე დღეინდელად დღედმდე, ვითარცა უწყით, ყოველთა სარწმუნოებად ქრისტესი და  
მართლმადიდებლობად წმიდისა სამებისამ განემტკიცების ჩუენ  
შორის და სისხლითა მათითა ყუავის ეკლესიანი ჩუენი. რამეთუ  
არა თუ ერთისა და ორისა ძმისათვს, არცა ათისა და თკისათვს.

1 ბიძინად AB. 2 მოცილისა A.

გინათუ ასისა და ათასისათვს დასხნეს სულნი თვესნი, არამედ მსგავს-იათოთა  
სად მქანელისა ჩუენისა აურაცხელთა და ბევრეულთა ერთათვს და.  
სრულიად საქართველოსათვს თავინი თვესნი სიკუდილად განსცნეს და,  
იჯს/ნეს ივინი. რამეთუ უკუთუმტა ესე არა ქმნილ იყო, სრულიად-  
მცა აღვოცილ იყო ჩუენ შორის ქრისტეანობად. ესევითარნი ღუ-  
აწლნი და ესევითარნი სიმჯნენი აჩუენეს აზოვანთა მათ და ჩუენ  
დიდად ქველისმოქმედ გუექმნეს.

ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ და მოვიქსენოთ  
მათი იგი ქრისტეს მიმართი მიუდრეკელი სარწმუნოებად და სახე-  
ლისა მისისათვს სიკუდილისა მიმართ უშიშროებად დ ბრწყინვა-  
ლედ განვაცხადოთ სიმჯნე იგი მათი უძლეველი და ღუაწლი  
ღმრთივ-შუენიერი.

და ვითარცა სცემდეს და ითრევდეს წმიდათა მათ და კუა-  
ლადცა იძულებდეს, რამთა უარყონ ქრისტე, და იგინი მასევე  
იტყოდეს და უმეტესსაცა აჩუენებდეს სიმტკიცესა თვესისა სარწ-  
მუნობისასა და სრულსა სიყუარულსა მეუფისასა, რამეთუ მოყვასი  
მოყუასსა განამჯნობდა და ერთი ერთსა ალლესვიდა, რამთა არა მო-  
მედგრძენ წინამდებარეთა ღუაწლთაგან და რამთა სიხარულით  
შეიწყნარონ ყოველი სატანჯველი მათ ზედა მოწევნული. ილო-  
ვიდეს და ევედრებოდეს ღმერთსა, რამთა მოუკელინოს მათ შე-  
წევნის მის მიერი და განაძლიეროს დათმენად წინამდებარეთა მათ  
ღუაწლთა სახელისა მისისათვს და იწურთიდეს სარწმუნოებასა  
წმიდისა სამებისასა. დალაცათუ საერთოა და სამჯედროთა საქმეთა.  
შინა აღზრდილ იყვნეს და არა ზედა მიწევნით მეცნიერ საღმრთო-  
თა წერილთათ, არამედ რომელსა-იგი მეცნიერ იყვნეს ანუ ზეგარ-  
დომ სული აწუევდა, მას იწურთიდეს და მას იტყოდეს და ბაგენი  
მათი არა დასტარებოდეს დიდების მეტყუელებად ღმრთისა და  
დაუცხრომელად მეტყუელებდეს მრწამსა, საზღვარსა სარწმუნო-  
ებისა ჩუენისასა.

მაშინ მასხურნიცა მათნი, რომელნიცა თანა ყვეს მცირედნი  
ოდენ, იგინიცა ფრიად იძულებდეს და ეტყოდეს, რამთა დაემორ-  
ჩიონენ ბრძანებასა მათსა და იჯსნან სულნი მათნი ესოდენთა  
ძვრთაგან და რამთა არა მოსწყდენ ბოროტად, არამედ აღრე გა-  
ნერნენ წელთაგან მათთა.

ხოლო მათ თუალითა მცინვარითა მი/ხედნეს მათ და ფიცხ- 249 35-  
ლად შეპრისხნეს და შორს წარდევნენ მათგან და ეტყოდეს: „უკუ-  
ეთუ ერთგულნი ხართ ჩუენი, ვითარ გუაძულებთ უარისყოფად.  
ქრისტესა და შედგომად ბილწსა მას და ხენეშსა სჭულსა. მოპამე-  
1 მოუყესა A.



დისსა და გნებავსთ მიცემაა! ჩუენი საუკუნეთა მათ სატანჯველოში არა კმა არიანა მაიძულებელად ჩუენდა მძულვარნი ესე ულმრთონი და მათ თანა მტერნი იგი უხილვანი მძვნვარედ მბრძოლნი იგი ნა-თესავისა ჩუენისანი?“

- 5 ხოლო ულმრთოთა<sup>2</sup> მათ მოიპოვეს სხუამ ღონე და კუალად ლიქნით ეტყოდეს: „ნუ ჰყოფთ თავთა თქუენთა სახელოვანთა სა-ცინელ მტერთა, ნუცა აღირჩევთ სიკუდილსა ტკბილისა სიცოცხ-ლისა წილ, არამედ ერჩდით ბრძანებასა თვითმცყრობელთასა<sup>3</sup>: უარ-ყავთ სჯული თქუენი და იქმნენით მუსულმან და მიიღეთ ნიჭით სიმრავლე და საქმართა უხუებად, დაემორჩილენით სჯულისდება-სა მოჰამედ მოციქულისა ჩუენისასა“. ხოლო იგინი მასვე იტყო-დეს და მასვე დაამტკიცებდეს და უქციველ იყვნეს განზრავისა თვისისაგან და მიუგეს: „ნიჭინი და პატივნი თქუენი საწუთოდ არიან და ადრე განქარვებადნი, ხოლო ალთქუმულნი იგი კეთილნი მეუფისა ჩუენისანი, რომელნი ალუთქუა მოყუარეთა თვისთა და მოომინეთა სახელისა მისისათა, საუკუნო და დაუსრულებელ არიან, რომლისა მსგავსი თუალმან კაცისამან არასადა იხილა, ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუკდა. ეგრეთვე ჭირნი და სატან-ჯველნი მოუთმენელ და დაუსრულებელ არიან, რომელნი მიეღო-ან უარისმყოფელთა მისთა“. ესე ყოველნი ესმა რად ულმრთოთა მათ და წარიკეუთეს სასოებად მათისა გარდაქცევისად, შესძინეს სხუამ სატანჯველი უმძვნვარესი პირელისა: განაშიშულნეს წმი-დანი იგი და სიცხესა შინა მზისასა პარსა ქუშე განყარნეს შეკ-რულნი კელით და ფერწით და ყოვლისავე ნუგეშინისცემისაგან დაკ-ლებულნი, შიშშილისა და წყურევილისაგან განკაფულნი და ბუზთა და ბზიეთა მიერ უწყე/ალოდ წერტილნი.
- 20 კუალად მოუკდეს მტარვალნი იგი და მრავალსახედ ექადოდეს და უთქუმიდეს სხუათა სატანჯველთა უფიცესთა და სიკუდილსა მწარესა. ხოლო იგინი უახოვნეს იქმნებოდეს და ყოვლად ბრძნითა სიტყვთა მათითა, რომელი მოერო ზეგარდამო ალთქუმისა მისებრ უტყუელისა, უკუნ-აქცევდეს სიტყუათა მათთა. მაშინდა მოუხ-დეს მტარვალნი იგი პირელად ორთავე მათ ერისთავსა — ელის-ბარს და შალვას — და უწინარეს მათი ეგულვა წარკუეთა თავთად, რამთა ამით ოდენ ზარი განვაღონ ახოვანსა ბიძინსა და სიკუდი-ლითა მათითა შიშნეულ ყონ უშიში იგი გონებითა და ანდამატი-სა უმტკიცესი, პგონებდეს ამით განშორებასა მისსა ქრისტესგან. ხოლო წმიდან იგი არა თუ ოდენ შეშინდა, არამედ მათუა უშიშ-
- 25
- v
- 30
- 35

<sup>1</sup> მისცემა A. <sup>2</sup> ულმრთოთა A. <sup>3</sup> ცეომსყრობელთამასა A.

ყოფდა სიკუდილისა მიმართ და განამჯნობდა, რამთა სიხარულით მიითეალონ სიკუდილი უკუდავებისა მომატყუებელი და ეტყოდა მათ კითარმედ: „არარა უტქბილეს არს ქრისტესთვს სიკუდილისა, რომელი დასაბამ უკუდავებისა და სამარადისოხსა ცხორებისა გუექმნების“. მაშინ სანატრელთა მათ სიხარულით წარუპყრნეს ქედინ მათნი მახვილსა, ხოლო მტარევალთა მათ, ვითარცა აღიმალნეს მარჯუენენი მათნი, რამთა ძლიერად უხეთქონ ქედთა მათთა, არამედ ვერ შეუძლეს აღწდომად, რამეთუ ნეტარნი იგი ახოვან და მაღალ იყვნეს პასაკითა უმეტეს სხუათა კაცთასა, არამედ პირველ წვეთ მათთა ზედა უხეთქნეს მახვილნი და მუქალთა ზედა დასცნეს ჭუე და ეგრეთლა წარკუეთნეს თანი მათნი. და ესრეთ სანატრელი აღსასრული მიითუალეს და აღვიდეს ზეცისა დიდებასა წინაშე ყოველთა მეუფისა გვრკნშემოსილნი.

კუალადცა მოუწდეს ნეტარსა ბიძინას, აწრა თუ დამტკიცებით ჰერნებდეს შიშნეულობასა მისსა, და ესვიდეს ტყუილით მომედვრებასა მისსა, აშინებდეს და ექადო/დეს ულმრთონი იგი უმძვნეარესითა სიკუდილითა. ხოლო იგი უმეტეს განმხნდებოდა და აწუევდა მათ, რამთა ადრე განიყვანონ საწუთოხსა ამის ცხოვრებისაგან, რამეთუ სუროდა და ისწრაფდა ადრე მიწევნად სასურველისა თვესისა და შერთვად მოყვასთა თვესთა თანა, რამთა არა დააკლდეს რიცხუსა მას პატივცემულსა წმიდისა სამებისასა და რამთა ალავსოსცა რიცხვ იგი მათგან დაკლებული. კუალად მოუწდეს და პატივთა და ნიჭითა უდიდესთა წინა უყოფდეს და სიმდიდრეთა ფრიადთა ალუთქუმიდეს, რამთა უარყოს ქრისტე და შეეძინოს სჯულსა მათსა. და იგი კუალად მასევ სიტყუასა ეტყოდა და აგინებდა სჯულსა მათსა და ბილწსა მას სჯულისმდებელსა მათსა და უკუნ-აქცევდა სიტყუათა მათთა მადლითა მით, რომელი მოცემულ იყო მისა ზეგარდამოხ. და ვითარცა ამასცა ზედა წარიკუეთეს სასოებად და ვერა რომლითა საბითა და ლონითა უძლეს მიღრეკა მასი! ქრისტეს სიყუარულისაგან, იწყეს კიცხვად და ბასრობად მისა, მოილეს კუბასტი დედათა და მოასხეს ახოვანსა მას მჯედარსა ქრისტესსა, ვითარცა გასმიერ წმიდათა მათ სერგის და ბაქოსთუს და უფროსლა ქრისტეს მეუფისა ჩემისა, ვითარ-იგი ქლამინდი მეწამული და კიცხვევისა სამოსელი ჩემთვს შეიმოსა ულმრთოხთა ჰურიათა მიერ, ეგრეთვე ამას არა სირცხვლ უჩნდა სამოსელი იგი კიცხვევისამ, რამთა იდიდოს ქრისტეს თანა საუკუნოდ დიდებითა შით ჩუენგან მოუგონებელითა. მერჩე მოიგონეს სხუად ლონე კი-

5

10

15

250

30

25

30

35

- ცხევისა და ბასრობისა, ნუუკუ ამით ოდენდა უძლონ შიდრეკად  
მისსა, მოიყვანეს ვირი და ოლსუეს მას ზედა და მიმოავლებდეს  
უბანთა და ფოლოცთა<sup>1</sup> შორის. ეკუცხვიდეს და ბასრობდეს და  
აგინებდეს, რამეთუ სპარსთა შორის დიდად რამდემ სიჩტვლად  
5 უჩნს მამაკაცთა და უფრომსლა მთავართა მათთადა შერაცხილთა,  
ვირსა ზედა დაჯდომად, ხოლო დედანი, ცოლნი დიდებულთა მათ-  
თანი ჰუნეთა და ცხენთა წილ ვირთა ზედა მსხდომარე არიან. ამის-  
10 თესცა მოიპოვეს უღმრთოთა მათ კიცხვად წმიდისა მის, ხოლო იგი  
უფრომსად იხარებდა და მაღლობდა/ღმერთსა იმასცა ზედა მსგავ-  
სებისათვეს მეუფისა, რამეთუ ამითცა გამოჩნდა მსგავს მისსა, ვი-  
თარ-იგი იხილებოდა მჯდომარე კიცუსა ზედა ვირისასა შემავალი  
იერუსალიმს ვნებად კაცთათვს, ეგრეთვე ესე მჯდომარე ვირსა ზე-  
და ისწრაფდა შესლვად ზეცისა იერუსალიმსა, სადა-იგი მჯდომარე  
არს მეუფუდ მეუფეთა და უფალი უფლობათა, ქერობინთა, საყდართა  
15 ზედა ბევრის-ბევრეულთა ანგელოზთა ძალთა მიერ თაყუანისცე-  
მული. ხოლო თვთ წმიდადცა იგი ემღერდა თავსა თვსსა განცხრო-  
მის-სახედ და იტყოდა: „ეპა, ვითარ ქველისმოქმედ მექმნენს მტერ-  
ნი ესე უღმრთონი, კნინდა და მეგულების ვირითა ამით შესლვად  
სამოთხედ“.
- 20 ხოლო უსჯულოთა მათ შემდგომად კიცხვისა მის და ბასრო-  
ბისა<sup>2</sup> მოიყვანეს კუალად და იწყეს შინებად და ექადოდეს მწარი-  
თა სიკუდილითა, უკუეთუ არა უარყოს ქრისტე. ხოლო იგი უშიში-  
თა და მალლითა წმითა კუალადცა ბასრობდა ხენეშსა სჯულსა მათ-  
სა და აგინებდა ცრუ მოციქულსა მათსა და უფრომსად განათე-  
25 ცხებდა მათ და ალსძრვიდა მის ზედა გულისწყრომად, რამთა აღ-  
რე განიყვანონ ამის ცხორებისაგან და მიიწიოს სასურველსა მას  
თვსსა და რამთა აღრე შეერთოს ყოვლად ბრწყინვალეთა მათ  
გუნდისა მოწამეთასა.
- 30 ხოლო მტარევალთა მათ მოიხუნეს მრავალსახე მახულები ალ-  
ლესულები და იწყეს უწყალოდ ჭრად და კუეთად ასოთა და ნაწე-  
ვართა მათ წმიდისათა და იტყოდეს: „გუერჩდი, შ ბიძინა. ვუ-  
ერჩდი და უარყოს სჯული შენი და ქრისტე იგი, რომელი შენ ღმერ-  
თად გრწამს, და ნუ გნებავს ბოროტად სიყუდილი“. ხოლო იგი  
რაუცხრომელად მეტულებდა მრწამსა და ზედა დაურთვიდა  
25 სამეუფონსა მას ლოცვასა. პირველად მოჰკუეთნეს მარჯუნე თითნი  
შელთანი თითოეულად და მერმე მარცხენე და ეტყოდეს: „ადვილ

<sup>1</sup> ფოლორცთა B.

<sup>2</sup> წაშლილი მომდევნო „შისისა“ A.

არს კურნებად ამისი, უკუეთუ დაემორჩილო ბრძანებასა თვთმვყ-  
რობელთასა". ხოლო იგი დაუცხრომელად ილოცვიდა და მათ ამ-  
ღა რაას მიუგებდა. მერმე მოკუეთნეს თითნი ფერწოთანი თითოეუ-  
ლად მარჯუნე და მარცხენე და თითოეულსა ზედა ეტყოდეს:  
„ადვილ არს კურნებად უკუეთუ გინდეს და უარყო ქრისტე". და 5  
იგი რამ უქცეველ იყო თვისისა სიმტკიცისაგან, მერმე მოპეტეთნეს  
ჰელი მარჯუნე და მარცხენე მაჭითურთ და ეგრეთვე ფერწნი ვიღ-  
რე კოჭთამდე და ესრეთლა წურილ-წურილად იწყეს ჭრად და კუ-  
ეთად ყოველთა ასოთა და ნაწევართა მისთა, ვითარცა გასმიერს  
იაყობისთვს დაჭრილისა, რომელი გამობრწყინდა მათვე სპარსთა 10  
შორის, და ესრეთ უწყალოდ სჭრიდეს და კუალად წყლულსა ზედა  
დასძინებდეს წყლულთა მისთა და ყოველთა ნასხამთა მისთა შე-  
ეხებოდეს, დასჭრიდეს და ჰკუეთდეს და ვითარცა ორნატთა განა-  
პებდეს ჭორცთა მისთა. ხოლო ამისთვს ჰყოფდეს ამას უღმრთონი  
იგი, რამთა უმძაფრესი ტკივილი შეუკლეს შინაგან გულსა მისსა და 15  
ნუუკუ ამით მომედგრდეს სიმწნე მისი და გუერჩდეს. ხოლო იგი  
ხადოდა მაღლითა ჭმითა სახელსა ქრისტესა და სურვილითა მი-  
სითა აღისუბუქებდა ტკივილსა მას მწარესა და ითხოვდა მისგანეე 20  
მოთმინებასა, რამთა მცირედ ყამითა ამით ტკივილითა თანაზიარად  
გამოჩნდეს ვნებათა მისთა და ეგრეთცა სუფევასა მისსა აღთქმი-  
სა მისებრ უტუკველისა, რომელი-იგი არა უგულებელს-ყოფს 25  
მისთვს ძვრხილულთა, რომელიცა-იგი შეეწეოდა და ლირს-ყოფ-  
და მოუთმენელთა მათ წყლულებათა დათმენად. მერმე მოპეტეთ-  
ნეს ორნივე მკლავნი ვიღრე იდაყუთამდე და მერმე ორნივე წუკ-  
ვნი ვიღრე მუქლთამდე და კუალად ორნივე მჯარნი იდაყუთაგან 30  
ვიღრე ბეჭთამდე, მარჯუნე და მარცხენე, და<sup>1</sup> ესრეთლა უწყა-  
ლოდ დაჭრილთა მათ ასოთა მისთა ითრევდეს მიწასა ზედა. და  
კუალად მოიყვანიან და იწყიან ჭრად დანარჩომთა მათ ასოთა და 35  
მოპეტეთნეს შერმეცა სხვლ<sup>2</sup> ბარკალნი ორნივე და ჭერეთ ცოცხალ-  
და იყო და თავი ოდენ ეგო უვნებელად დაჭრილსა გუამსა ზედა.  
და საზარელ იყო/მხილველთაგან და რაოდენ ეძლო, ბაგითა და  
თუალითა აჩუენებდა ნიშას ლოცვისასა და შემწედ ხადოდა შე-  
წევნასა მას ყოველთასა. და კუალად ითრევდეს კერძოსა მას გუ-  
ამისასა უპატიოდ ქუეყანასა ზედა. ჭერეთ სულიერლა იყო, მიხედ-  
ნა ერთმან მტარვალთაგანმან და თითოეულად განიცდიდა მოპრილ-  
თა მათ ასოთა მისთა და შინაგან რამთა შთაიხედნა, რამეთუ ცხა-  
დად ჩნდეს უშინაგანესნი ასონი, და იხილა გული იგი სამგზის სა-

1 და — B. 2 სხვ B. 3 განიცდილი A.

• მომდევნო „მერმე“ გადაშლილია A.

ნატრელისა მის, რამეთუ ჯერეთ ცოცხალ იყო და იძრვოდა ჩუქუ-  
ულებისაებრ და მიმკრთხბოდა, და ეპგონებ თუ სიუჟარულითა  
მით ღმრთისადათა, რომელითა ცეცხლებრ ეგზებოდა და ზეშთა  
ჰყოფდა ყოველთა მათ ტკივილთა იგი, კრთხებოდა და ეგზებოდა.

და ესე იხილა რამ მტარვალმან მან, წმა-ყო წმითა მაღლითა: „იხი-  
ლეთ, აპა, ჯერეთ ცოცხალ არს ლორი ესე, რამეთუ გული მისა  
იძრვის და მიმკრთის და ესოდენმან ამან სასტიკებამან ჭირთა და  
ტკივილთამან ვერ უძლეს დაცხრომად“, მოილო ლახუარი და რაო-  
დენ ეძლო, განაწინა გულსა მისა.

შ სამგზის სანატრელისა მის აღსასრული, შ ყოვლად ქებუ-  
ლისა მის ლუაწლი, შ წყალობად იურაცხელისა მის მაღლი და ნიჭინი,  
ვითარ საქმითაცა ამით და სახითა მობაძვად ვნებათა თვისთა გამო-  
აჩინა ნეტარი იგი და ამითცა გვრგვნითა გვრგვნოსან ყო ყოვლად  
ქებული იგი, ვითარ-იგი მან ჩუენთვს ჯუარსა ზედა მიიღო ლახუ-  
რისამიერი წყლულებად, ეგრეთვე ეს მისთვს ლახურისა მიერ  
განიგუმირა. დიდ არს დიდებად ესე, ძმანო, დიდ ნიჭინი და პატივნი  
ესე, რომლითაცა ადიდა და შეამკო მოწამე თვისი.

ესე რამ იქმნა და თავიღა დამთომილ იყო ღმერთშემოსილისა  
მის, მერმე იგიცა წარკუეთეს და ესრეთ აღსასრულა და ესრეთ  
შეიმქო და ესრეთ გვრგვნოსან იქმნა და სული იგი ყოვლად ბრწყინ-  
ვალე მრავალ ვნებულსა მას გუამსა მისსა შინა მკვდრი განვიდა  
რამ, ყოველთა მათ ყოვლისა მპყრობელისათა შეიწყნარეს და დაემ-  
252 ქვდრა ზეცისა იერუსალიმსა/უხილავთა მათ შინა კეთილთა, სადა-  
იგი არს განწყიობილი უკორცოთა და იშუებენ გუნდნი მოციქულ-  
25 თანი და განსცხებიან კრებულნი წინასწარმეტყუელთანი და სუ-  
ფევენ დასწინი მღდელთა და მამათა და უფროოსად განწყობილი მო-  
წამეთანი ბრწყინვენ და ყოველნი საუკუნითვანი წმიდათა შუე-  
ნიერებანი, რომელთა თანა შეერთო და რომელთა თანა დაემკვდრა  
და იშუებს და ბრწყინვავს ნათლითა მით უსხეულოთა და განიც-  
დის თვინიერ სარკისა და სახისა დიდებასა მას თუალშეუდგამსა  
ღმრთებისასა და იშუებს ძელითა მით ცხორებისამთა და ჩუენთვს  
ჰყოფს მეოხებასა, რომელი-ესე ვაქებთ ქსენებასა მათსა და ვდლე-  
სასწაულობრ სიმწნეთა და ღუაწთა მათთა.

ხოლო წურილ-წურილად დაჭრილნი იგი ასონი მის სამგზის  
სანატრელისანი და ორთა მათ წმიდათანი განყარნეს უპატიოდ ჰა-  
კურსა ქუეშე, რამეთუ ვერვინ იყადრებდა აღებად შიშისაგან მათ  
უღმრთოთამსა. ხოლო მას ღმესა პატივად მათ მოწამეთა<sup>2</sup> მოე-

ფინა ნათელი ბრწყინვალე სამთავე მათ გუამთა ზედა წმიდათანა სახილველად პირველად ყოველთა მიერ, ვიდრელა საგონებელ იყო მხილველთაგან ლამპართა სიმრავლისა აღნოებად და, სადა-იგი მიცხებულ იყვნეს სისხლნი იგი ქრისტესთვს დათხეულნი, მუნ თი-თოვეულსა ადგილსა კამპამებდა ნათელი იგი. და რომელთა იხილეს ესე, აღიდებდეს ღმერთსა და იტყოდეს: „დიდ ოს ღმერთი ქრისტეანეთა და რომელთათვს ესენი მოიკლნეს“. ხოლო მიმკოვრებასა ღამისასა, ოდეს ყოველთა დაიძინეს, მოვიდეს მუნ მყოფნი ქრისტეანენი სომეხნი და აღილეს გუამნი იგი მოწმეთანი წარპარვით და წარიღლეს და დაკრძალნეს იდუმალ ეკლესიას! შინა მათსა. და მრავალსა კურნებასა ჰყოფენ და ეშმაკთა იოტებენ მვედრებელთა მათ-თაგან, რომელნი სარწმუნოებით შეუვრდებიან მათ.

ხოლო შემდგომად ამისა წარ-ჩა-ჭდეს რამ წელნი არა მცირედნი<sup>2</sup>, ცოლმან წმიდისა შალვასმან ღმრთისმოყუარემან ქეთავან<sup>3</sup> და ძემან მისმან/ერისთავმან დავით წარგზავნეს კაცნი სარწმუნო- 15 ნი მუნ, სადა-იგი დაკრძალულ იყვნეს გუამნი იგი წმიდათანი. აღმოილეს იგინი და იხილნეს რამ, რამეთუ სამნივე იგი განუყოფელ იყვნეს და ურთიერთს შეერთებულ, ხოლო თავები იგი მათ წმიდათანი არცა ერთსა ზედა იყო მდებარე, რამეთუ სომეხთა და ფრანგთა განეყო, რომელთაცა დაკრძალნა იგინი, მაშინ აღიხუნეს კაცთა მათ და მოიხუნეს იგინი ქართლად. ხოლო ცნეს რამ მოხუმა მათთ სახლეულთა მათთა და სხუათა მრავალთა, მაშინ დიდი- 20- თა სურვილითა და სარწმუნოებითა მიეგებნეს და შეიტყობოდეს და ამბორს-უყოფდეს. ხოლო სამნივე იგი წმიდანი არა განირჩოდეს, არცა იცნობებოდეს სახელდებით, ვინამთვან უთავოდ იხილვებოდეს, ამისთვის სამნივე იგი ერთბამად განუყოფელად მიიხუნეს და დასხნეს ერთსა სამარხოსა შინა იკორთას, დიდებულსა მონასტერსა შინა მთავარანგელოზთასა, ჩრდილოეთ კერძო, დამართებით წინაშე სუეტისამ, სადიდებელად მამისა და ძესა და სულისა წმიდისა ერთომრთებებისა და განუყოფელისა, რომელსა შუენის ყოველი დიდებად, პატივი და თაყუანისცემად აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

<sup>1</sup> ეკლესია A. 2 მცირენი A. 3 ქეთავან B.

267 ზამება და ღუაწლი ჯმიფისა დიდისა მოწამისა რაზდენისი;  
რომელი იჯანა ზამთა დიდისა მიუისა ვახტანგისათა  
ქპარსთა მირ კართლს ჭინა, სოფელსა ჭინა წროას  
გამაო, გუაკურთხენ\*.

5 მოწამეთა წენებითა ვითარცა იქმნა განძლომაზ ღმრთისმოყუ-  
არეთაგან და მარტვლმოყუარეთა, რამეთუ მოწამენიცა განუქო-  
მელითა სიყვარულითა მყოფისა მათისათა მოტყინარე იყვნეს უმ-  
ძაფრეს ცეცხლისა, ამისთვისცა ახოვნად შექვადრეს ფიცხელთა სა-  
ტანჯველთა და ძურ-ძურთა სიკუდილთა და ვერარამან განჯუე-  
10 10 მათი იგი ღმრთისა მიმართ სურვილი, ვერცა ცეცხლმან და მახ-  
კულმან, ვერცა განთხეამან ასოთამან და ხუეტამან წორტამან, ვერ-  
ცა ურმისთუალთა სიფიცხემან, ვერცა მჩეული მძღვარებამან, ვერ-  
ცა ნაკუერცხალთა მოტყინარებამან, ვერცა ლანძუთა და ტაფაკთა  
მშურვალებამან და ვერცა მძღვართა გულისწყრომამან და ვერცა  
15 15 სხუამან რამდანე სინელემან და სიფიცხემან ჭირთა და სატანჯ-  
ველთამან შეუძლო განკუეთად და დაშრეტად მათ შორის დანერ-  
გულისა მის ცეცხლებრ მოტყინარისა სიყუარულისა ღმრთისა,  
არამედ ყოველსავე ერეოდეს და ზეშთა ექმნებოდეს და არა თუ  
ოდენ სიხარულით ისწრაფდეს, არამედ ფრიადითაცა სურვილითა  
20 20 და დიდითა წალიერებითა მიითმენდეს და მრავლითა გულისმოდგი-  
ნებითა მირბიოდეს წამებისა მიმართ და სატანჯველთა, ვითარცა  
საფასეთა\*\*, მოიტაცებდეს.

რამეთუ ცეცხლსა შინა შეთხევად და განკურვებულთა რკინისა  
ცხედასა ზედა განრთხმა, ვითარცა ლბილთა სარეცელთა ზედა  
25 25 განსულებად, ესრეთ მიითუალეს! და დაჭრა მახვლთა მიერ და  
შანთურთა განკურვებულთა განცუმავ\*\*\*, ვითარცა სურნელთა ყუ-  
ავილთა ზედა ფრჩივ-მავალობად და არათუ სხეთა, რამეთუ რომ-  
ლითამე ბუნებითა, არამედ ჩუენითა ამით უძლურითა წორცთა ბუ-  
n  
v ნებითა და გუამითა ამ/ით კაცობრივითა მიითუალვიდეს ესეოდნენთა  
30 30 მოუთმენელთა სატანჯველთა და ახოვნა იქმნებოდეს დათმენად სას-  
ტიკთა წყლულებათა, რამეთუ საცნაურითა მით თუალითა მიხედ-  
ვიდეს აღთქმულთა მათ კეთილთა, რომელი-იგი აღუთქუა ტკბილ-  
მან მან მეუფემან და უმეტესად განიცდიდეს ცხოველს მყოფელთა

\* ხელნიშვილები: A : S—3269 (1720-იანი წლები), A:—170 (1730 წ.).

\*\* მომდევნო „ესრეთ“ წამლილია, A.

\*\*\* მომდევნო „ესრეთ შერაცხა“ წამლილია A.


1 მითვალეს B.

უნებათა მაცხოვრისათა, რომელი-იგი დაითმინა ჩუენ ცოდვილი და სიკუდილი და სსუ-  
ათუ უვებებელმან მან ღმრთებითა ჭუარი და სიყუდილი და სსუ-  
ანი იგი ვებანი უკუდაემყოფელი ჩუენი. ესე ყოველი მტებად  
დაიდევს გონებასა შინა და თვით ნებისით თვსით მისცნიან თავნი  
თვსი ესევითართა ფიცხელთა სატანჯველთა და ძერ-ძერთა სიკუ-  
დილთა, ხოლო იხილის რაა სახიერმან მან და ზეშთა სახიერებისა  
უფსკრულმან მათი იგი მჯურვალე სიყუარული და ცეცხლებრი  
მოტყინარებაა, ვითარ-იგი უშიშად შეწყადრიან ცეცხლსა და მახ-  
ვლსა, მყის მოვიდის უხილავად შეწევნად მათდა, ვანაძლიერნის  
იგინი და შემოსის ახოვნებად უძლეველი და ოლქურის ბრძოლად 5  
მტერთა მათ უხილავთა და მერმე ხილულნიცა იგი მტერნი  
მოაუბლურნიან და დასცნიან მოომინებითა საკურველითა, რამეთუ  
მძლავრთა მათ უწყალოთა ნება თვსი ვერ აღასრულიან, რაეამს ყო-  
ველი ღონე დაელიის\*, ხოლო მოწამენი სასურველსა თვსსა და სა-  
წადელსა დღრე მიემთხუეოდეს. იხილეთ სიბრძნე იგი ყოვლად 10  
ძლიერისა ღმრთისამ, ვითარ ვანაძლიერნა მიწისა ესე ბუნებად  
და მათ მიერ დასტუა ზუავი იგი და დიდად მოქადულობად უკორ-  
ცოხსა მის მტერისა და ესენი შემძლებელ ყვნა საქმეთა უზეშ-  
თაეს ბუნებათასა\*\*, რამეთუ სადა დაემკვდროს უზეშთაესი იგი 15  
ბუნებათა, მუნ უზეშთაესნიცა ბუნებათა საქმენი იქმნებიან. ნუ ვინ  
ჰეონეპნ, თუმცა წყომამან მან სახიერებისამან და უფსკრულმან  
მოწყალებისამან ზოგნიმცა ესრეთ ვანაძლიერნის, ვითარ-ესე ხე-  
დაეთ და ეს/მისთ მოომინებასა წმიდათამასა, და სხუანი იგი შე-  
უწევნელადმცა დაუტევნა, ნუ იყოფინ ესე, რამეთუ მაღლი მისი 20  
და შეწევნანი და ზეგარდმო მოხედვანი ყოველთათვს უშურველ  
არს, რომელი ხადიან მას კეშარიტებით, ვითარცა წერილ არს, 25  
არამედ მიზეზი იგი მათ შორის დამკვდრებისა ღმრთისანი წმიდანი  
ივი იყვნეს. რაეამს შეესაკუთრნეს სიყუარულსა ღმრთისასა და  
სრულიად ვანუკუთნეს თავნი თვსნი და მტნებათა მისთ გულშმოდ-  
გინე იქმნეს დამარხვად. მაშინ მოვიდის, დაემკვდროს მათ შორის,  
ვითარცა იტყვს წყარო იგი კეშარიტებისა, ვითარმედ: „უკუეთ  
ვისმე უყუარდე მე, მტნებანი ჩემნი დამარხნენს და მამანცა ჩემ-  
მან შეიყუაროს იგი და მოვიდეთ მისსა და მის თანა სავანე ყოთ“. 30  
ესე იყო მიზეზი, ვითარცა ვთქუ, ღმერთსა მათ შორის დამკვდრე-  
ბისა.

\* ცეცხლები ქ.

\*\* მომდევნო „და წმიდანი ესე უაბლოენს იქმნებოდეს“ წაშლილი A.

\*\*\* მომდევნო „რამეთუ სადა დაემკვდროს უზეშთაესი ბუნებითა“ წაშლი-  
ლი A.



იხილეთ, რამსა ვიტყვ, მორწმუნენო, ანუ რად არს დღეს? მაგრა  
ზეზი სიტყვასა ჩემისა და ოქუენისა აქა შემოკრებისახ: არამედ  
საჩინო იგი მნათობი, თუალი და დასაბამი მოწამეთა, წმიდამ იგი  
და სამგზის სანატრელი მოწამე რაცდენ. დასაბამი მოწამეთა რად  
ვთქუ, არა თუ საჩით ყოველთა მოწამეთა დასაბამად ვთქუ, არა-  
5 მედ ჩუენთა ამათ და ქართველთა შორის გამობრწყინვებულთა  
მოწამეთა დასაბამ იქმნა სანატრელი ესე.

რამეთუ ვითარცა ახალსა ამას მადლსა შინა პირველმოწამო-  
ბითა ბრწყინვას და იქსენებისცა პირველმოწამედ სტეფანე და კუ-  
10 ალად მის თანა დედათა შორის წმიდამ თეკლა, ეგრეთვე ქუეყანა-  
სა ამას ჩუენსა პირველად ამან განულო კარი წამებისა შემდგომთა  
მისთა მოწამეთა და პირველად ამან დასთხია სისხლი და ექმნა მი-  
ზეზ სხუათაცა ახოვენებისა და სიქველისა, რამეთუ პირველ ამის  
15 ნეტარისა არა ვისი სმენილ არს მარტვლობად ქუეყანასა ამას სა-  
ქართველოსასა.

რამეთუ ვითარცა ღამესა შინა ბნელსა აღმობრწყინდეს რად  
მთიები და შემდგომად მისსა სხუანი ვარსკულავნი უჟუდგიან და მის  
თანა გამობრწყინდიან, ეგრეთვე ესე ექმნა წინამძღვარ მოწამეთა,  
რამეთუ ამან რად იღუაწა ქრისტესთვს ღუაწლი იგი უკუდავებისა,  
v 20 შემდგომიდ მისა უძლეველმან მან მეფე/მან ვახტანგ. რამეთუ მან-  
ცა გვრგვნი მოწამობისა შეიმოსა წელითა უღმრთოთა სპარსთავთა  
ქრისტესთვს და სჯულისა მისისათვეს. მერმე შემდგომად ცეირე-  
დისა მოსლვასა მას ყრუმსასა ორთა ძმათა მთავართა მათ არგუ-  
ეთისათა დავით და კოსტანტინე ახოვნებად სრული აჩუენეს და  
25 გვრგვნოსან იქმნეს მოწამობითა. მერმე შემდგომად დიდმან მეფე-  
მან არჩილ, და ესრეთ შემდგომითი შემდგომად მოწამენი მრავალნი  
მეფენი და მთავარნი გამობრწყინდეს, არა ხოლო თუ ესევითარნი  
მჩნენი მამაკაცნი, არამედ დედანიცა უძლურნი, მდედრნი ბუნები-  
ოთა ახოვან იქმნეს და ბუნებად იგი უძლური დაივიზუეს და ფი-

30 ცხელთა და სასტრიკთა სატანჯველთა უშიშად შეპკადრეს და არა თუ  
უნდოთა ვიეთმე და მდაბიურთა, არამედ დედოფალთა და პალატ-  
სა შინა სამეუფოსა მყოფთა. დამაკლებს მე უამი ესე აღრიცხუად  
სიმრავლესა მათსა, რომელნი გამობრწყინდეს შემდგომად წმიდა-  
სა ამის მოწამისა, რომელნი აღწერილ არიან წიგნთა შინა უწყე-  
35 ბისა მათისასა და ჩუენდა საცნაურ ქმნილ არიან. და რომელნი ჩუენ  
არა უწყით, იგინი ზეცას აღწერილ არიან წიგნსა შინა ცხოველთა-  
სა. და ნუუკუ საწყინოცა თქუენდა იქმნეს განვრცელებად სიტყვ-  
საჲ, ესოდენი და ესევითარნი კეთილნი შეუდგეს ღუაწლსა წმი-

დისა რაედენისსა, რომელმან ესრეთ იღუაწა და ესრეთ ახოვან იქ-  
მნა, ვიღრელა ყოველნი ქართველნი მეფენი და მთავარნი, მღდელ-  
ნი და მოწესენი და ყოველი პასაკი თანამდებ ყო შესხმად ბრწყინ-  
ვალეთა ღუაწლთა მისთა და ქებად ახოვნებისა მისისა და უფროო-  
სად დიდებისძეტუულებად \* განმაძლიერებელსა და გვრცნოსან  
მყოფელსა მისსა ქრისტესსა. 5

გნებავსთ თუ, რამთა ვიტყოდი კუალად კერძოებითსა ცხორე-  
ბასა მისსა, და უწყი მეცა, ვითარმედ სურვიელ ხართ სმენად ზე-  
და-მიწევნილობასა! მოქალაქობისა მისისასა, ღუაწლთა და სიმ-  
ჭნეთა მისთა, და მე ვიტყოდი ძალისაებრ ჩემისა და წარმოვთქუა  
ვითარ და ვინაობად მისი\*, მამული და ნათესაობად, უამი და აღგილი  
და მერმე ღუაწლთა მიმართ სიმჯნით განწყობად, არამედ მეშინის  
ულირსებისაგან ჩემისა და ნუუჟეცა დაკინებად რამე ეცეს უნ-  
დოებითა სიტყვასა ჩემისათა დიდთა მათ და ბრწყინვალეთა ღუ-  
აწლთა მისთა, რომელი-იგი თანა-წარჩევდა ყოველსა სჯულსა მაქე-  
ბელთასა და ანგელოზნი განაკრნა და ეშმაკი სირცელეულ ყო,  
გარნა ვესავ ღუაწლთშემოსილსა მას და გვრცნშემოსილსა, რა-  
მთა ძალისაებრნი ესე სიტყუანი არა უღირს იჩინოს.

რ იყო ესე სამგზის სანატრელი, ვითარცა ძუელნი მატიანენი გუ-  
აწყებენ და მიმოგანთესილობანი ესევითართა უწყებათანი, ვი-  
თარმედ იყო ნათესავით სპარსი, დიდთა და დიდებულთა მთავარ-  
თაგანი და საკუთართა შორის სპარსთა<sup>2</sup> მეფისათა წარჩინებულ და  
შჯულითა იყო იგი ცეცხლის მოსავ და მსახურ მზისა და მთვარი-  
სა<sup>3</sup>, რომელსაცა არწმუნეს ასული მეფისა აღსაზრდელად, რამეთუ  
წესი იყო მაშინ სპარსთა შორის, ვითარცა ჩუენ ქართველთაცა შო-  
რის, რომელსა მამამძუძედ უკმობდეს და ღიღად რაღმე პატივად  
ანიჭებდეს ესევითართა საქმეთა მთავართა და დიდებულთა თვსთა.

მას ვამსა დიდმან მეფემან ვახტანგ ინება მზარობად სპარსთა მე-  
ფისა და მოსოხვა ცოლად ასული იგი, რომლისადა მამამძუძე  
ქმნილ იყო სანატრელი იგი. და ოდეს ქმნეს ქორწილი და მოიწივ-  
ნეს ქართლად, თანა-ყვა ნეტარიცა ესე. და მეფემან ვახტანგ დი-  
დითა პატივითა და შემსგავსებულითა არზანიგათა<sup>4</sup>, ვითარ პშევ-  
ნოდა მთავრობასა მისსა, ეგრეთ პატივ-სცა ნეტარსა მას და დიდ-  
ნი სოფელნი და აგარავნი მიანიჭნა და საკუთარ და თანამზრახველ  
თვსსა ყო იგო. და არა მხოლოდ ოდეს მთავრებრივისა და დიდე-  
ბულებისა მისისა შესატყვსობისათვს, არამედ სიეთისა და სათო-  
ებათა მისთა ლირსებისათვს, რამეთუ ჯერეთ მამულითა შჯულითა

\* მიწევნილობასა. A. 2 სპარსა A. 3 მთვრისა AB. 4 არზანიჭნა A.

მყოფი არა უდარეს ნათელებულთასა იქცეოდა, რამერც უკვლები თა სათნოებითა შემკულ იყო, რომელსა გუაშავებს სახარებისა შეული: სიმართლითა და კეშმარიტებითა, მოწყალებითა და სიმღაბლითა და სიმშვიდითა და სხვთა ყოვლითა სათნოებითა, რომელ 5 საყუარელ და სათნო არს ღმრთისა. ამისთვის საყუარელ იყო ყოველთა მიერ და უფროს/ად მეფისა მიმართ აქუნდა საკუთრებაა 10 ესეოდენთა კეთილთა მისთათვს, არამედ ფრთხილ იყო და მახულუ ვონებითა ნეტარი რაედენ. იხილა რამ წესი ქრისტეანობისა და სარწმუნოებაა მტკიცე და შეული ქართველთა, იწყლა გული მისი 15 სიყუარულითა ქრისტესითა და ცეცხლებრ მოტყინარე იყო სარწმუნოებისათვს და სურიდა ნათლისლებისათვს, რომელი-იგი პირველივე განათლებულ იყო საქმეთა მიერ კეთილთა და ობეჭდულ ღმრთისმსახურებითა. ზედამს-ზედა მივალნ იგი ეკლესიად და ისმენ სიტყუათა საღმრთოთა და ქადაგებათა შეულისათა. და პირველ ნათლისლებისა, ვითარცა ვთქუ, არა უდარეს გამოჩნდა იგი აღრიდგან ნათელებულთასა, ხოლო ნათელს-იღო რამ, უმეტესად წარემატა სათნოებითა და მსა ზედა მოფენილი იგი მაღლი სულისა უმშურვალესად აღატყინა მის შორის, რამეთუ მარადის გამოიყულევდა ცხორებასა წმიდათასა და უფროს/ად მოწამეთათვს სურვიელ იყო და ნატრიდა ცხორებასა მათსა და ოლსასრულსა, ვითარცა იწყვს ბრძენი სოლომონ, და ილოცვიდა. რამთა იგიცა ღირს იქმნეს, ინებოს თუ ღმერთმან, ღუაწლსა მას წამებისასა და შესუმაღ სასუმელსა უკუდავებისასა. და ესრეთ განშუენებულ იყო და შემკულ ღმრთისმსახურებითა, ვიდრელა თანა-წარწერა სიყრმითგან ღმრთისმსახურებასა შინა აღზრდილთა და ამისთვის საყუარელ იყო ყოველთა მიერ და საყუთარ მეფეთა და მთავართა.

ხოლო ოდეს მიშეუბითა ღმრთისათა აღდგეს სპარსნი ქრისტეანეთა ზედა და აღიძრნეს ურიცხვთა მცედლებითა, რამეთუ დიდი იყო მაშინ ბრძოლაა და დაუცხრომელი მტერობაა ქრისტეანეთა ზედა და უფროს/ად ბერძენთა მიმართა\*, ხოლო ჩუენ ქართველთა მომართ ამისთვის, რამეთუ ექვნებოდა ჩუენი ბერძენთა მიმართ სიყუარული და ერთობაა, და ეს იყო ნება მათი, რამთა ჩუნცა მათ თანა მტერ ვეჭმნეთ ბერძენთა.

მაშინ აღილაშქრეს, ვითარცა ვთქუ, მეფემან სპარსთამან 35 ურიცხვთა მცედლობითა და დიდითა ძალითა თქვითა. პირველ მოიწინეს საზღუართა ქართლისათა და ენება/დამორჩილება მათი, რამთა ესენიცა თანა წარიტანოს, ხოლო ქართველთა ესე არა ენება

\* მომდევნო „იყო მტერობაა მათი“ გადახაზულია A.

და არცა მიერთნენ, არამედ შეივლტოდეს ციხეთა და ქალაქთა შე-  
ნა, რამეთუ მაშინ ბერძენი უცალო იყვნეს და ვერ ეძღვო შეწევ-  
ნა ქართველთა. მაშინ მეფემან ვახტანგ განამაგრა ციხენი და ქა-  
ლაქი და თვთ დადგა მცხეთას, სამეუფლოსა მას ქალაქსა შინა. შო-  
კიდეს სპარსი და ოლავეს ქართლი სპათა სიმრავლითა და გარე-  
მოცვეს მცხეთა. მაშინ განივენეს იგინი, რამეთუ ზოგნი დადგეს  
ავჭალას, ზოგნი ნაჯულბაქეეს, ლილუამით კერძოდ, და უმრავლესი  
შეედრობად მუხრანით კერძოდ და შიდა ქართლს, იმიერ და ამიერ  
შტკურისა. და იყო მიმდემი ბრძოლად და ურთიერთას კუეთებად,  
რამეთუ გამოვიდინ მცხეთით რჩეული მჯედრები და დაუცხრომე-  
ლად ებრძოდიან და ზოგჯერ სძლევდენ სპარსთა და მშედობით შე-  
მოიქციან ქალაქად და ზოგჯერ იძლინიან ქართველნი და მოისროვ-  
დეს მათ მიერ. და განვრძელდა ბრძოლა იგი ვიდრე თოხ თუემდე.

დღესა ერთსა ჩუეულებისაებრ განვიდა წმიდად რაედნ ბრძო-  
ლად, რამეთუ იგი უმეტესა სხუათა ქართველთასა უმჯურვალეს  
იბრძოდის სიყუარულისათვს ქრისტესა, რამეთუ იყოცა წმიდად  
ეს ახოვან წყობათა შინა და გამოცდილი და რჩეული მებრძოლი,  
რამეთუ მრავალგზის განსრული და მძლე ქმნილი ძალითა ქრისტე-  
სითა, ძლევაშემოსილი უკნებელად შემოიქცის. კუალად განვიდა  
არმაზით კერძო და ბრძოლა ყო მათდა მიმართ. ხოლო იგინი მარა-  
დის უმზირდეს და ენება ცოცხლივ შეპყრობად მისი, რამეთუ დი-  
დად ძლევად შეერაცხა შეპყრობად მისი ცოცხლივ, რამეთუ ექ-  
ნებოდა მათ ქრისტეანობაა მისი და მამულისა სჯულისა დატვენე-  
ბად და ახოვნებისათესცა მისისა ენება წელთვდებად მისი. ცნებ  
რაც სპარსთა მუნ დაბანაკებულთა, მზირ უყვეს იმიერ და ამიერ  
და გზისა სივიწრითა ვერლარა ეძლო პირის-პირ შეტევებად და  
შეიძყრეს სანატრელი იგი მჯედარი ქრისტესი და შეკრული წარიყ-  
ვანეს წინაშე სპარსთა მეფისა. ხოლო ცნა რაც მე/ფემან შეპყრო-  
ბად წმიდისა რაედნისი, განიხარა ფრიად, ვითარმცა სრულიად  
მძლე ქმნილ იყო ყოველთა წინააღმდეგომთა თვსთა. და ვითარცა  
წარადგინეს წინაშე მისსა, იხილა იგი მეფემან და ეტყოლა მხია-  
რულითა პირითა: „გიხაროდენ, მნენო რაედნ, მშედობად შენდა!  
სადა უკუე იყავ ესოდენთა ამათ ეამთა, რამსათვს უარ გექმნიეს მა-  
მული შჯული და შედგომილ ხარ შჯულსა უცხოსა, რომელი არა  
გასწავეს მამათა შენთა, და ბრწყინვალისა მზისა წილ და ცაცხლი-  
სა და სხუათა მათ მნათობთა მსახურებ ჯუარცმულს: კაცა, რო-

მელი პურიათა მოკუდინეს და შენ იგი ღმრთად შეგრძალებულია ანუ არა ესე ყოველი ესრეთ არსა?\*\*.

ხოლო წმიდამან მიუგო\*\*\*: „ჰე, კეშმარიტად ეგრე არს, ვითარცა სთქუ, მეფეო, რამეთუ მე ქრისტეანე ქმნილ ვარ და დამიტევებიეს მამული უღმრთობად და არღარა თაყუანის-ვცემ ცეცხლსა შემწუველსა<sup>2</sup>, არცა მზესა კაცთათვს სამსახურად დიდებულსა, არამედ ღმრთსა ცხოველსა, რომელმან ქმნია ცანი და ქუეყანად და ყოველნი, რად არს მათ შინა ხილულნი ანუ უხილავნი, რომელსა აქცს უკუდავებად და მჯვდრ არს<sup>3</sup> იგი ნათელსა შინა თუალშეუდგამსა, რომელი-იგი არავინ იხილა, ვერცა ხილვად შემძლებელ არს\*\*\*. ესე არს ღმრთი ჩუენი, რომელსა მე შევემეცნე სამგუამოვნებით დიდებული და ერთლმრთებით აღსარებული, რომელი უკანასკნელთა ამათ უამთა მოვიდა ჭსნისათვს კაცთა ნათესავისა, ერთი წმიდისა სამებისაგანი წორციელ იქმნა და დაემკვდრა ჩუენ შორის და იქმნა მსგავს კაცთა ოკინით ცოდვისა და ყოველივე განვებულებად ცხორქებისა ჩუენისა აღსარულა და უკანასკნელ ჭუარს ეცვა და მოკუდა ბუნებითა ჩუენითა და ჩუენ უკუდავებად მოგუანიკა და დაეფლა და აღდგა მესამესა ღლესა და ამალლდა ზეცად მუნკე წიალთა, ვინა-იგი გარდამოწდა და მჯდომარე არს მამისა თანა, და კუალად მოველით დიდებითა ღმრთივ-შეუნიერითა მაცხოვრად მოჩრმუნეთა მისთა დასჭად მათდა, რომელთა არა პრწამს<sup>4</sup> ღმრთოებად მისი“.

ესე რა წარმოთქუა ქრისტეს მოწამემან ბრწყინვალითა ჭმითა დიდთა მათთვს საიდუმლოთა მოკლითა სიტყვთა, ალისო გულისწყრომითა დაუპყრობელითა მძლავრი/იგი. არამედ გერეთ პეტბლევე და სამშედესა იჩემებდა, პეტრი, ნუუკე ნიჭითა და პატივთა მიერ შეუძლოს მოქცევად მისი პირველისავე უსახურებისა მიმართ და მორჩილებად ბრძანებისა მისისა და ეტყოდა კუალად: „ისმინე, რაუდენ, და დაუტევენ უქმარნი ეგე სიტყუანი და ერჩიდი ბრძანებათა ჩუენთა და მიგანიჭნეთ პატივინი და დიდებანი უფროსს პირველისა და გყოთ თანა-ზიარ დიდებისა ჩუენისა და იყო საკუთარ, მეგობარ და საყუარელ ჩუენდა. და უკუეთუ ესე არა ყო, სიტუალითა მწარითა და სატანჯველითა მრავალფერითა მოგაკუდინოთ შენ.

35 მაშინ მოწამემან მცირედ განიღიმა, ესმნეს რა სიტყვანი ესე მეფისანი, მიუგო და პრქუა: „რად არიან ნიჭი და პატივინი შენნი,

<sup>1</sup> უღმოებად B. 2 უემწუველსა B. 3 არს A. 4 პრამს AB.

\* მომდევნო „ანუ თე არა“ გადახაზულია A. \*\* მომდევნო „მხიარულითა პირითა“ გადახაზულია A. \*\*\* მომდევნო „სამებით“ გადახაზულია A.

მეფეო, არა საწუთრონი! არიანა და მსგავსად სიზმრისა განქარცე-  
ბალი და აჩრდილებრ წარმავალნი? რამეთუ ვითარცა კუამლი  
განქარდების<sup>2</sup> და ვითარცა მტუერი განიბნევის, რამეთუ მიწანი ვართ  
და მიწალცა მიუექცევით, ხოლო სული ცაუდავ არს, უკუდავადცა  
ჰგიეს. და უკუეთუ ვისმინ ბრძანებისა შენისა და ვერჩდე თქმულ-  
თა შენთა, არა მოვკუდეა მეცა ვითარცა ზოგად ყოველნი კაცნი?  
და მერმე საუკუნოდ ვიტანგებოდი ცეცხლსა შინა უშრეტსა და  
სიმდიდრე შენი აქვე დაუტეო. ხოლო უკუეთუ<sup>3</sup> მოვკუდე ქრის-  
ტესთვს, უკუდავ ვიქმნე საუკუნოდ და მის თანა ვსუფევდე და  
მის თანაცა ვიდიღო დიდებითა დაუსრულებელითა. ესე არს განხ-  
რახვა ჩემი უცალებელი და თქუენ, რომელიცა სათნოა არს, თქუენ  
იგი ყავთ, არა რომლითა სახითა ვერჩდე ბრძანებასა შენსა".

მაშინ უმეტესითა გულისწყრომითა აღივსო მეფე იგი უსჯუ-  
ლოდ და უბრძანა წინაშე მდგომელთა, რამთა სცენ პირსა მისია  
ძლიერად. და სცემდეს უწყალოდ ესეოდენ, ვიტრე კბილთა სრული-  
ად შემუსრვადმდე. რამეთუ განირყვნა და შეიმუსრა პირი მისი და  
აღმოიფხურნეს კბილი მისი და აღივსო აღგილი იგი მძაფრ მომ-  
დინარითა მით სისხლითა. ხოლო იგი მაღლობასა აღუარებდა  
ღმერთსა, რომელ სახელისათვეს მისია ღირს იქმნა ესოდენსა და  
ესევითარსა გუემასა. კუალად განსძარცეს იგი/და შიშუელსა ით-  
რევდეს ქვათა მახვლთა ზედა და სცემდეს უწყალოდ არგნებითა.  
და მყოვარ უამ რამ ითრიეს<sup>4</sup>, მერმე შეკრეს ჭელით და ფერწით  
და რკინითა მაგრად შეკედილი საპყრობილესა ბნელსა შეაყენეს,  
თუნიერ ყოველისა ნუგეშინისცემისა.

ხოლო შე-რა-ვიდა საპყრობილესა მას შინა, უმეტესითა და  
ვულსმოდგინებითა და უმხურვალესითა სურეილითა მაღლობდა  
ღმერთსა, რომელ ესევითარსა ღირს იქმნა გუემასა ქრისტეს სა-  
ხელისათვს, რამეთუ დაღაცათუ წორცითა შეკრულ იყო ნეტარი  
იგი, არამედ სულითა ჭინილი და თავისუფალი. ილოცვიდა და  
ეველრებოდა უფალსა, რამთა განაძლიეროს და არა დაუტეოს შე-  
წევნისაგან მისია წინამდებარეთა მიმართ ლუაწლთა, რომელი  
ეგულებოდა დათმენად, და ღირს-ყოსცა მათ მიერ გვრგვნსა წმი-  
დათა თანა ზეცის ჩინებისასა, რომელთა-იგი მისთვეს იღნეს და ვიდ-  
რე აღსასრულამდე სრულ ყვეს სრბად წამებისა მათისა. მყოვარ  
უამ რამ იცვებოდა საპყრობილესა მას შინა, ვერ მიღრიყეს გონე-  
ბად მისი სცყუარულისაგან ღმრთისამ. მაშინ მოვიდეს მთავარნი  
ქართველთანი, რომელნიცა მაშინ სპარსთა თანა მისრულ იყვნეს,

1 სწურონი ა. 2 გ-ნქ-ნდებას აბ. 3 უკუმო ა უკუმო ბ. 4 ითრევ-  
დეს ბ.

ევედრნეს მეფესა მას უღმრთოსა გამოყვანებად წმიდისა მის საპურობილით და ეტყოდეს: „ჩუენ თავსმდებ ვექმნეთ რაედეს ახოვანსა“ და მოახსენებდეს სიკეთესა მისსა და სიბრძნესა და სიქველესა მისსა, რამეთუ მრავლისა პატივისა ღირს არსო კაცი იგი და არა ჯერ-არს ესრეთ უპატიოდ და უწყალოდ სიკუდილი მაგისი. „განუტევე ეგე მცირედ უამ, რამთა წარვიდეს მამულსა თვისსა და იხილნეს ცოლი და შეილნი თუსი, მეგობარი და მოძმენი, ნუკუე სიწყალულითა მათითა და მათმიერითა განზრახვითა“ ერჩდეს ბრძანებასა თქუენსა და არა მიეცეს ესრეთ უწყალოსა სიკუდილსა, რამეთუ დიდად გუელმისო მაგისთვს, და, ოდესცა პრძანოთ, მსწრფალ წარმოგიდგინოთ წინაშე თქუენსა“.

შემდგომად მრავლისა ვედრებისა ისმინა მათი მძლავრმან მან 272 და ბრძანა/გამოყვანებად წმიდისა მის საპყრობილით და მიჰმაღლა იგი მათ და განუტევა იგი სახიდ თვასად და ამცნო მათ, რამთა აღრუ 15 წარმოადგინონ წინაშე მისსა. ხოლო წმიდასა მას უძნდა ეს და არა ენება განტევებად, რომელ არა აღრე მიემთხვა სასურველსა თვისსა და ეტყოდა, ვითარმედ: „ესე ყოველი ღონე არს ჩემ ზედა ეშმაკი- 20 სა, რამთა ღონისძიებით დამიხტყის წინამდებარე ესე ღუაწლი და დამაჭირვოს ალტემულნი იგი კეთილნი წმიდათათვს განმზადებულ- ნი“.

მაშინ წარვიდა წმიდამ იგი სახიდ თვასა და პირველად მივიღა ხილვად მეფისა ვახტანგისა და იხილნა და მოიკითხნა მეფე და დედოფალი. ცნა რად ესე მეფემან ღმრთისმოყუარემან, განხიარა ფრიად და მიეგებნეს წინა სიხარულით და მოწლედ ამბორს-უყოფ- 25 დეს და სიყუარულით მოიკითხვიდეს ამბორისმყოფელნი თუალთა და პირთა მისთან; ქრისტესთვს შემუსრევილთა, და ყოველთა ასო- 30 თა მისთა მოწყულულთა ნატრიდა და ეტყოდა: „ნეტარ ხარ შენ, მნენ რაედენ, და სამგზის სანატრელ არს ღუაწლი შენი, რომელ სახელისათვს ღმრთისად თავს-ისხენ ესევითარნი ვჩებანი. რამეთუ საწერტელნი ქრისტესნი წორუთა შინა შენთა გიტვრთავს“. და ეს- 35 რეთ განაძლიერებდა და აზოვან ყოფდა უმეტესთა<sup>2</sup> ღუაწლთა მი- მართ და ითხოვდა მისგან, რამთა მეომ ექმნას წინაშე ღმრთისად.

შემდგომად ამისა წარვიდა სახლულითა მიმართ თვისთა<sup>1</sup> და მოიკითხნა, ხოლო მათ მხილველთა მისთა და სიხარულითა უზო- მოთა<sup>3</sup> ალვესბულთა მაღლობა შეწირეს ღმერთსა, რამეთუ არღა- რა ელოდეს ხილვასა მისსა. შეიტყობოდდეს და ამბორს-უყოფდეს

<sup>1</sup> განძრახვითა B. <sup>2</sup> უმტესთა A. <sup>3</sup> უზომთა A.

\* მომდევნო იხილნა იგინია გადახახულია A.

წელთა და ფერზთა მისთა და ეტყოდეს „შ სანატრელო რაედო, გადასა-  
ოდეს-ლა ვესვიდით ცოცხლებით ხილვასა შენსა, რამეთუ განეწი-  
რე ყოველთა და ყოველნი სიკუდილსა შენსა ვჰვონებდით. აშ ვი-  
ნად განცოცხლებით გიხილეთ, ნურღარა ღავტევებ“. ხოლო მას  
არარად შეერაცხა, არცა სუროდა ხილვად მათი და ზრახვად, არა-  
მედ იგი სასურველსა თუსს, იგონებდა, მას განიცდიდა გონებითა 5  
და იგი ეოცნებოდა. მერმე შემდგომად მცირედისა ბირებითა ეშ-  
მაქისათა ალიძრა მეუღლე მისი მსგავსად პირველისა მის დედისა,  
განაზრახებდა! წმიდასა მას და ეტყოდა: „რად ესრეთ განვიწირავს  
ცხორებად თვისი და მიგიცემის თავი შენი სიკუდილად და ჩუენცა 10  
სრულიად ოჯერ და ობოლ გუყოფი?/ერჩდი ბრძანებასა მათსა და  
იქნენ თავი შენი და ჩუენცა, რამთა არა ბოროტად მოკუდე შენ  
და ჩუენ სიკუდილითა შენითა მივეცნეთ განსაცდელსა მწარესა და  
მწუხარებასა ძნელსა“. და სხუასაცა მრავალსა ეტყოდეს და აწუ-  
ევდეს შეტკბობად წუთ-ქამისა ამის ცხორებისა და დიდებისა 15  
მისთვეს წარუალისა არა სუროდა მთ, არცა ცხორებისა მისთვეს  
დაუსრულებელისა გონებდეს, რამეთუ არა ემსგავსებოდა<sup>2</sup> მაკა-  
ბელთა დედისა, არცა წმიდა ნატალისა, მეუღლესა წმიდისა ანდრი-  
ანესა, არცა დედაკაცასა მას ღმრთისმოყუარესა ერთისა მის ორმე-  
ოცთაგანისსა, არამედ სხუათა უმჯოთა და დაკსნილთა დედათა 20  
მსგავს იყო. ხოლო ესპა რად ზრახვა ესე წმიდასა მას მეუღლისა-  
გან თვისისა, მიხედა მას მქსინვარედ გულისწყრომით და ეტყოდა:  
„რად ესრეთ ბოროტისა განმზრახ<sup>3</sup> მექმნები, შ დედაკაცო, ვა-  
თორცა ევა<sup>4</sup>, ანუ ვითარცა ცოლი იგი იობისი, რამთამცა ვისმინე  
შენი და ვიქმენმცა, ვითარცა ადამ, უკუდავებისა წილ მოკუდავ და  
უხრწნელებისა წილ განხრწნილ და მიწად მიქცეულ. ნუ იყოფინ  
ესე ჩემდა სმენადმცა სიტყუათა შენთა, რამთა მივეცე წარსაწყმედ-  
ლად და გამოვეწუა ცხორებისა მისგან საუკუნომასა. რად არს უტ-  
ბილეს ქრისტესთვს სიკუდილსა, ვინათგან მანცა ჩუენთვს სი-  
კუდილისა გემო იხილა და ჩუენ უკუდავებად მოგუანიჭა. რამ-  
დიდ არს, უკუდთუ ჩუენცა მოვკუდეთ მისთვეს, მიწანი ესე და  
მტრუერნი, და რამთა მის თანაცა ვსუფევდეთ“. და მყის აღდგა და  
განეშორა მთგან, ხოლო იგინი აღივსნეს მწუხარებითა და მოიცვ-  
ნა ტირილმან და გოდებამან მწარემან. და ესრეთ გამოვიდა ნეტა-  
რი იგი მთგან და წარვიდა თვთ უწოდებელად მუნვე, საღა-იგი  
პირველ ელუაწა ღუაწლი<sup>5</sup> იგი უკუდავებისა, მძლავრთა მათ მი-

1 განაზრახებდა B. 2 ემსგავსებოდა B. განმიძრა B. 4 ევად AB.

მართ უღმრთოთა, რომელთა მიმართ აღეთქვა მუნკე შექცევად.

ხოლო იგინი, ვინათგან მცირედ და-რამ-ეყოვნა წმიდასა მას, ჰელინებდეს არღარა მიქცევასა მისსა მუნკე. უბრძანეს გუნდსა მკედრობათასა მყის წარსლვად და რამთა იძულებით და კირით მოიყვანონ. ხოლო ნეტარი იგი თვთ უწოდებელად მივიღოდა ნებ-

5 273 სით თვსით დაკლვად, ვითარცა კრავი. ხოლო იგინი შემთხვენ/ეს წმიდასა მას და ვერ იცნეს იგი ფრიადისა მის შეურაცხებისაგან და მის ზედა შემთხუელთა მათ სატანჯველთაგან და პეითხეიდეს მას, თუ სადა არს რაედენ მათ მიერ საძიებელი. ხოლო იგი მიუ-  
10 გებდა, ვითარმედ: „მე ვარ, რომელსა თქუნ მეძებთ“. მყის შეიპ-  
ყრეს უღმრთოთა მათ, სცემდეს თავსა მისსა უწყალოდ არგნები-  
თა, შეკრეს და ესრეთ წარიქციეს წინა და მიპვარესა იგი მეფესა მას. იხილა რამ მძლავრმან მან, კუალად ეტყოდა და აიძულებდა  
15 უარისყოფად ქრისტესა და პეითხეიდა: „ვითარ ხარ, მნენო რაე-  
დენ, და რამ განიზრახე ესეოდენთა ამათ დღეთა, ნუუკუ აწცა არა  
გულისჯმა-გიყოფიესა უმჯობესი თავისა შენისა? და რამეთუ ესო-  
დენთა ამათ ვამთა სულგრძელ გექმნენით, რამეთუ გუეწყალის სი-  
კეთე შენი და არა გუნდავს უქამოდ სიკუდილი შენი“. ხოლო  
20 წმიდამ იგი მიუგებდა: „შე მეფეო, განზრახვა<sup>2</sup> ჩემი უცვალებელ  
არს და უქცეველ, რამეთუ ვინათგან ერთგზის დაუტევე მმმული  
უღმრთოებად და ვიცან ჭეშმარიტებად, არღარა ჯერ არს მუნკე  
მიქცევად ჩემი უღმრთოებად და დატევებად ცხოველი ღმერ-  
თი და. არცა ესოდენთა ამათ ღუაწლთა, რომელ თავს ვის-  
25 ხენ ქრისტესთვს, მისი უქმად წარწდომად“. ხოლო მეფე იგი  
აღუთქმიდა კუალად ნიჭთა და პატივთა უდიდესთა უფრო-  
მს პირველისა და იგიცა უმტკიცეს იყო უფროს პირველისა მის  
ლუაწლისა და უმეტესითა კადნიერებითა მიუგებდა და ეტყოდა:  
„ვერარამან განმაშოროს სიყუარულსა ქრისტესა, ჭირმან ანუ იწ-  
30 როებამან, დევნამან ანუ პყრობილებამან, სიკუდილმან ანუ ცხო-  
როებამან, სიმდიდრეთა ანუ სიგლახეეთა, ვერარამან შეუძლოს გან-  
ყენებად ჩემი სიყუარულსა ღმრთისასა, რამეთუ მზა ვარ ყოვლი-  
სავე დათმენად“.

კუალად შეიძყრეს წმიდად იგი, პირველისაებრ სცემდეს უწყა-  
ლოდ და ითრევდეს და აიძულებდეს, რამთა დაემორჩილოს ბრძა-  
ნებასა მეფესასა. ხოლო იგი დუმნა და არარას მიუგებდა. და იხი-  
ლეს რამ უქცეველობად მისი, შეკრეს იგი და წარგზავნეს სხვას  
35 შთაგრისა მიმართ, რომელი დაბანაკებულ იყო ზემოსა სოფელსა

1. მეგრეარეს. AB. 2. განზრახვა. B.

წრომბს, და მიუმცნო ესრეთ; რათა აძულო/ს რომლითაცა ლონგითა და შეუძლოს განშორებად მისი ქრისტესგან და მორჩილებად მეფეთა და, უკუეთუ ისმინოს მისი, დიდითა პატივითა მისდავე მოაქციოს. ხოლო უკუეთუ ეგოს პირველსავე მას ურჩებასა ზედა, თვინიერ ყოვლისა წყალობისა მწარითა სატანჯველითა განიყვნოს ამის ცხორებისაგან, ესრეთ უწყალოდ, ვიდრე-და ორცა თუ ჭირცთა მისთა შემდგომად სიკუდილისა ექმნას მიწასა შინა დაფლვად. წარიყვანეს კუალად შეკრული და წარუდგინეს წინაშე მთავრისა მის ზემოქსენებულისა.

ინილა რამ წმიდა იგი მთავარმან, განიხარა ფრიად, რამეთუ 10  
სუროდა ხილვად მისი, რამეთუ ასმიოდა პირველივე სიკეთე და ახვიანება მისი. მოწლედ მოიყითხა იგი და ეტყოდა: „გიხაროდენ, შენერ რაუდენ, შენ ხარ, რომელმან აჩუვნე სიმჯნე უძლეველი და წინა-ალუდეგ ბრძანებასა თვთმბყრობელთასა და აგინებ შეულსა მამულსა და შედგომილ ხარ შეულსა პურითავაგან მოკლულისა კაცისასა? აწ მოვედ და ისმინე ჩემი: უარ-ყავ საცოტორი ეგვ, რომლითა შეცომილ ხარ, და მსახურე მზესა და მთოვარესა და ცეცხლსა ამას ბრწყინვალესა, რომელ შეულ გიდევს მამათა შენთა, და მიიხუნ პატივნი და დიდებანი უმეტესნი პირველთასა და იყავ ცოცხლებით და ნუ აღირჩევ სიკუდილსა ტკბილისა ამის საწუთ- 20  
რომასა წილ“.

ხოლო წმიდა იგი მიუგებდა: „რასა მაიძულებთ, უსჯულონო, ცხოველისა ღმრთისა დატევებად, რომელმან დაბადა ცა და ქუეყანა და ყოველი, რამ, ას მათ შინა, და მსახურებად ცეცხლსა შემწულსა და სხუათა მათ უნდოთა ნივთთა აღრევე უარ-ქმნილთა ჩემ მიერ? მე პატივნი თქუენნი და ნიჭნი გინებად შემირაცხიან, რომელი დღეს ას და ხეალე—არლარა. ხოლო თქუენ და ყოველთა მორჩილთა თქუენთადა, რომელი სჯულსა თქუენსა აღიარებენ, მიელის ცეცხლი დაუშრეტელი და სხუანი იგი სატანჯველნი საუკუნოდ მტანჯველნი. არა უწყით, რამეთუ, რომელი მოკლეს ქრისტესთვს, უკუდავებად და უხრწნელებად და დაუსრულებელი ცხორებად მიელის ზეცათა შინა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა თვსთა? აწ რომელიცა გენებოსთ, ყავთ იგი, რამეთუ მე მზა ვარ დათმენად ყოველთა ძერთა ქრისტესთვს“. ესმა რამ მსაჯულსა მას სიტყანი წმიდისანი, აღივსო გულის/წყრომითა, უბრძანა ცემას თავსა და პირსა მისსა უწყალოდ და კუალად შემუსრნეს კბილნი და ღაწუნი მისნი და ესეოდენნი ტკივილნი მოიწია წმიდისა მის ზედა, ვიდრელა ორცალა შემძლებელ არს ენად გამოთქმად, ხოლო იგი მაღლობასა აღუარებდა 25  
30  
35  
274



ლმერთსა და იხარებდა სულითა მსგავსებისათვს ქრისტეს-ვწმბაურისა.

კუალად წარიყვანეს შეკრული ჭელით და ფერქით და შეაყენეს საპყრობილესა მწარითა ტკივილითა მოცული და იგი ყოველ-  
5 სავე მაღლობით მოითმენდა. ხოლო მეუფლ ქრისტე არაოდეს და-  
ტრეობდა შეუწევნელად მონასა თუსსა, არცა განეშორებოდა, არამედ საპყრობილესა შინა გამოუჩინდებოდა, ნუგემინის-ცემდა და  
178 განაძლიერებდა და წმიდა იგი უახოვნეს იქმნებოდა და უმშურ-  
ვალეს წინამდებარისა ლუაწლისა მიმართ.

10 ხოლო შემდგომად დღეთა არა მცირედთა კუალად გამოიყვა-  
ნეს ნეტარი იგი და აიძულებდეს კუალადცა უარის-ყოფად პირვე-  
ლისაებრ და წინა უყოფდეს პატივთა და ნიჭთა დიდ-დიდთა და ეგ-  
რევე პატივთა და კირთა უფატესთა და სიკუდილსა მწარესა უძ-  
ვრეს პირველისა მის, უკუეთუ არა ისმინოს. ხოლო ახოვანი იგი  
15 და ყოვლად უშიში გონებითა კუალადცა შეურაცხებით უკუნ-აქ-  
ცევდა სიტყუათა მათთა და სიმჭნით განეწყობოდა სატანგველთა  
უმძვნეარესთა და კუალად იტყოდა: „ვერა რომლითა სახითა გან-  
მაშოროთ სიყუარულსა მისსა“. მაშინდა უსასო იქმნეს გარდაქ-  
ცევისათვს მისისა, რამეთუ ყოველი ლონე დაელია მძლავრთა მათ  
20 უღმრთოთა.

ბრძანეს მოხუმად ძელთა, რამთა მით მოაკუდინონ სამგზის  
სანატრელი იგი, რამეთუ ოქუეს უსჯულოთა მათ: „ვინამთან ძელ-  
სა ზედა მოკლულისა მიმართ აქუს სასოებაო, ჯერ არს, რამთა ესე-  
ცა ძელითა აღესრულოს“. აღმართეს ძელი იგი და მას ზედა დამ-  
25 სჭუალეს ტარიგი ქრისტესი.

მერმე მოიყვანეს სხუანი ხუთნი ძვრის-მოქმედნი ავაზავნი, დღ-  
მართეს ძელები და მის თანა დამოკიდნეს და შორის მათსა ნეტა-  
რი იგი, ვითარცა ჩუენი იესუ შორის ავაზეთასა ჯუარცმული. და  
30 მერმე განაწყვეს მოისარნი იმიერ და ამიერ და იწყეს სრო/ლად.  
და ესეოდენ უწყალოდ ესროდეს უღმრთონი იგი, ვითარცა მჟეც-  
ნი განძვნებულნი და არა კაცნი პირმეტყუელნი, რამეთუ ისარ-  
ნი იგი მათ მიერ ტყორცებულნი<sup>1</sup> და წორცთა შინა წმიდისათა ძლი-  
ერად განწონილნი აღმოსწუადიან და იგივე კუალად განაწონიან,  
რამეთუ მრავალგზის ყვეს ესრეთ უღმრთოთა მათ და ძლიერი  
35 წყლულებაა მოაწიეს მის ზედა და ყოველნი ჭორცნი მისნი აღავ-  
სეს წყლულებითა. და ესრეთ დაწრეტილი და დაგუმერილი ძელსა  
ზედა დამოკიდებულად იხილვებოდა და ვერლარა ეძლო წმიდასა

<sup>1</sup> ტყორცებული ა.

მას მრავალ ეამ ცხორებად, ვინამთვან კაცი იყო, მასცა თანატეჭდვა გირჩებით იგი სიკუდილი. მაშინდა ქმა-ყო: „კელთა შენთა, უფალო, შეეპერედრებ სულსა ჩემსა“ და ესრეთ განუტევა სული და აღეს-რულა.

მ სამგზის სანატრელისა მის ლუაწლი! მ დიდებული იგი სი-  
კუდილი, უკუდავად გარდაცვალებად! მ მსგავსებად იგი მისი,  
რომლითა ემსგავსა მეუფესა თვესა. სხეული თოთოსახეთა სატანჯ-  
ველთა თანა ესეცა პატივად და ნიჭად მოემადლა წმიდასა მას, რა-  
მთა მსგავსად მჯსნელისა ესეცა ჭუარითა აღესრულოს და შორის  
ჭრის-მოქმედთა, ვითარცა ესეცა მათ მიერ ჭრის-მოქმედად შერა-  
ცხილი, ყოვლისა პატივისა და ქებისა ზეშთა ქმნილი.

კუალად ქეცა იქმნა რაძმე მსგავსი ვნებისა მის მეუფისა, რო-  
მელი-იგი უკუნებელმან მან ჩუენთჟს დაითმინა მსგავსად დღისა  
მის ჭუარცმისა: გარდამოწდა ბნელი წყუდიადი შუადლე და იქმნა  
ბნელი, მსგავსად ლამისა, და ქარი სასტიკი, ვიდრელა განიბნინეს  
ყოველნი მუნ შემოკრებილნი და შერბიოდეს შინაგან და იმალვო-  
დეს. ხოლო მცველნიცა იგი, რომელნი დაედგინეს უსჭულოსა მას  
მთავარსა, რამთა არა აუფლონ არავის ქრისტეანეთაგანსა წარლე-  
ბად გუამი იგი წმიდისა მის და არცა დაფლვად მიწასა შინა, არა-  
მედ რამთა შეცეცა და მფრინველთა შეჭამონ, იქმნა რამ საშინე-  
ლი იგი დღე და ბნელი წყუდიადი და ქარი სასტიკი, ვერვინ შექ-  
ძლებელ იყო მუნ დგომად. მაშინდა მოვიდეს მორწმუნენი მის და-  
ბისანი და მათ თანა მლდელი ერთი და ალიღეს გუამი იგი მრა-  
ვალმოლუაწე შიშით და კრძალულებით და დაკრძალეს ოდგილსა  
ფარულსა.

ამის შემდგომად იქმნა მშვდობად ლიდი შორის/სპარსთა და  
ქართველთა, რამეთუ მეფემან სპარსთმან მიავლინა მოციქულ-  
ნი ვახტანგისა მიმართ მეფისა მშვდობისათვეს და ერთობისა და  
ქმნეს ზავი ურთიერთსას და იქმნა მშვდობად შორის სპარსთა და  
ქართველთა. გამოვიდა მეფე ვახტანგ და იხილნეს ურთიერთსას  
ორთავე მეფეთა და დიდი პურობანი გარდაიქადნეს და ძლუენი  
სამეუფონი ურთიერთსას ანიჭნეს, რომელსა იგი გუაუწყებენ ცხო-  
რებანი ქართველთანი.

ხოლო მეფე სპარსთა შეიქცა მუნვე და წარვიდა სამეფოდ  
თვესად და მიერითვან იქმნა მყუდროებად ლიდი ქართველთა შო-  
რის. ესე ყოველი მადლმან ქრისტესმან ქმნა მეონებითა წმიდასა  
და ყოვლად ქებულისა რაუდენისახთა, რამეთუ ეკითარცა იგი სისხ-

5

10

15

20

25

275

30

35

- ლმან სამეუფომან ქმნა მშვდობად დიდი შორის ცისა და ქუჯეყანისაკენ ანგელოზთა და კაცთა, ეგრეთვე მისთვის დათხეულმან სისხლმან ქმნნა ქართველთა შორის და დაიცვნა ეკლესიანი ჩუენი და შეზღუდა მშვდობითა.
- 5 შემდგომად მისა გარდაქდეს წელნი რაოდენნიმე და იქმნა დაწყნარებამ. მეფემან ვახტანგ იწყო ძიებად ნაწილთა მათ წმიდისათა, რამეთუ ფარულად იყო დაკრძალულ მცირედთა ვიეთმე კაცთაგან და არავინ უწყოდა თვინიერ მღდელისა მის, რომელი ზემო ვაკსენეთ, რომელსა დაეკრძალა იგი. ხოლო არცამ მოწამესა მას ენება დაფარებად მრავალ-მოღვაწე იგი გუამი მისი, არამედ მინიჭებად იგი მეფისა მის ღმრთისმოყუარისა. და, რამთა ცხადად წარმოიჩინოს საკვრველებად მისი, ღმერსა ერთსა ეჩუენა მღდელსა მას წმიდამ იგი დიდებითა დიდითა და ბრწყინვალებითა შემოსილი, რომლისა თუალთშედგომად ვერ შემძლებელ იყო, და ეტყოდა: „ხუცესო, აღდევ და ნურღარა ჰყოვნი, რამეთუ სურის მეფესა ნაწილნი ჩემნი ხილვად და შემთხუევად. წარვედ და იუწყე, სადა იგი სხენან და, სადაცა თვთ ენებოს, მუნ დასხნეს იგინი. მაშინ აღდგა ხუცესი იგი აღვსებული შიშითა და სიხარულითა დიდითა და მყის წარვიდა მეფისა მიმართ და შე-რა-ვიდა წინაშე მისსა, აუწყა ესე ყოველი, თუ ვითარ და ოდეს და სადა-იგი დაეკრძალა და აწ ვითარ გამოუჩნდა და რამ იგი ამცნო, ესე ყოველი ზედა მიწევნითა აუწყა მეფესა.
- v ესმა რამ ესე მეფესა, აღისო სიხარულითა გამოუთქმელითა და მაღლი შეწირა ყოვლად ძლიერსა ღმერთსა და სანატრელსა! 25 მას 2 მოწამესა! მყის იქმნა ეპისკოპოზნი სამეფოსა თვესისანი და სიმრავლე სამღდელოსა მწყობრისა და წარავლნნა იგინი სამეუფოთა ნიჭთა სიმრავლითა სოფელსა მას, რომელი ზემო ვაკსენეთ, წრომს, სადა-იგი იყო დაკრძალულ მრავალმოღვაწე იგი გუამი ღუაწლით-შემთხვისილისა მის მოწამისა. და ვითარცა მიიწინეს მუნ და იხილნეს ნაწილნი იგი წმიდანი, დიდითა შიშითა და სურვილთა შეემთხვნეს და აღმოიღეს მიერ სამარომ. და სურნელებად შიუთხობელი გარდაეფინა და აღისო ყოველი იგი ადგილი. და აღიღეს მუნით და წარემართნეს გალობითა ფსალმუნებითა სანთელთა და კერქონთა სიმრავლითა და საკმეველთა სურნელებითა და წარიღეს ნიქოზს საეპისკოპოზოსა მას ეკლესიასა, მისევ მეფისა ვახტანგის მიერ აღშენებულსა. ცნეს რამ ესე მეფემან და დედოფალმან, ვითარ შუენოდა ღმრთისმახურებასა მათსა და სიყუა-
- 30 35

რული იგი მოწამისა აწუევდა, შორს მიეგებნეს დიდითა სურგულის-იათა და სარჩმუნოებითა, ცრემლით ამბორს-უყოფდეს და შიშით შეემთხუეოდეს მთავართა და დიდებულთა თუსთა თანა და ქუეითნი ფრქვი თანა ყვებოდეს ცხედარსა მას წმიდისასა. და მიიწივნეს<sup>1</sup> ნიქოს და მუნ დაკრძალნეს დიდითა დიდებითა და პატივითა სამგზის სანატრელისა შინ გუამი და ღლესასწაული შუენიერი შეუძინდეს<sup>2</sup> თუესა აგვსტისა სამსა, ღლესა წამებისა მისისასა. ხოლო შემდგომად ამისა, ვითარცა აწუევდა სურვილი მოწამისა მეფესა მას ღმრთისმსახურსა, ტაძარი შუენიერი აღუშენა ციხესა შინა უჯარმოსასა, სახელსა ზედა წმიდისა რაედენისა, და ერთი სხუად ეკლესია ველსა ზედა უჯარმისასა, რომელსა სამგორობით უქმობენ, საღიდებელად<sup>3</sup> ყოვლად ძლიერისა ღმრთისა, სამებისა ერთლმრთებისა განუყოფელისა და შეურევნელისა, შამისა და ძისა და ყოვლად წმიდისა სულისა, რომელსა შუენის ყოველი დიდებად, პატივი და დაუსრულებელთა მათ საუკუნეთა უკუნისამდე, ამინ“.

5

10

15

**დარინება დ მიმდათაგანისა მამისა ჩუენისა ისე წილკანელ<sup>4</sup> 253:**  
მაისაკოპოსისა საპურივალთმოქმედისა, რომელი იყო ერთი  
ათორმეტთა მამათაგანი, რომელი უშამდინარით  
მოიზინო. მამაო, გვაკურის.

ბრძენთა მაქებელნიცა ბრძენნი უქმს და წმიდათა შემასხმელი წმიდამ ჭერ-არსო, იტყვს ვინმე ბრძენთაგანნი. ხოლო მე ვითაო კადინიერ ვიქმნე შესხმად წმიდათა, ანუ ვითარი ქებითა შეუმზადო უზეშთავესთა<sup>5</sup> მათ ქებათასა, მე, რომელი ესე გლახავ ვარ სიტყვით და საქმით, ნანდვლვე გლახავ და უსწავლელ ჭირციელთა სიბრძნეთა და უფროსად სულიერთაგან, არამედ რომელმან-იგი მეთევზურნი და მეპრატაკენი, უწიგნონი და უმეცარნი აღავსო ზეგარდამომთა სიბრძნითა, ვიდრელა პრცესუენა ყოველთა ბრძენთა და მეცნიერთა, მანვე თავადმან სიბრძნემან და ძალმან მამისამან აღახუნეს ბაგენი უნდონი და განმარტოს ენად მძიმე ჩუენი, რომელთა ესე ჯუნებავს შესხმად წმიდათა მისთა, რამთა, უკუეთუ

20

25

30

<sup>1</sup> მიიწინეს A. <sup>2</sup> ~ საღიდებელად ღმრთისა ყოვლად ძლიერისა B. <sup>3</sup> წილკანელ

B. <sup>4</sup> უზეშთავეთა A.

\* ხელნაწერები: A: S—3269 (1720-იანი წლები), B: A—170 (1733 წ.).

- ლირსი რამე იპოოს მათისა მის ნეტარებისა, თქუენ მიღერცა საჭირო  
ბელ იქმნენ წმიდანი და საკურველ. ხოლო უკუეთუ სიტყუა ჩუე-  
ნი დაკლებულ იქმნეს და ვერ მიმწოომ მათისა მის ლირსებისა  
და საკურველებისა, თქუენ მიერცა უდიდებულეს და უსაკურველეს  
5 გამოჩინებულ იქმნეს წმიდანი ესე და ჩუენ ქუე<sup>2</sup> დაშოომილ და  
უძლურ ვერ მიწოომითა საქებელთამთა, რამეთუ მას თავადსა ნე-  
ბავს, რამთა, ვითარცა იგი იდიდების ჩუენ მიერ, ეგრეთვე წმი-  
დანი მისნი იქებოდენ მარადის და ლირსნი მისნი იპატივებოდენ.  
დაღაცათუ ჯერისაებრნი და ლირსებითნი ზეშთა არს ძალისა ჩუენი-  
10 სა და ლირსებისა, რამეთუ, რომელი-იგი მათ აჩუენეს სიყუარული  
მეფისა მიმართ და საკუთრებად, ვეონებდ<sup>3</sup>, ვითარმედ ყოვლისა ფი-  
ლასოფოსთა კელოვანებისა და რიტორთა მრავალ თხზულებასაცა  
ზეშთა გატდეს, ვინაითგან თვთ ბუნებითი იგი სიბრძნე და ყოელი-  
15 სა კეშარიტებისა წყაროდ თანამდებად მოუგიეს/წმიდათა შემასხ-  
მელად და მაქებელად, რამეთუ იტყვს: „მე მადიდებელნი ჩემინი  
ვადიდნე და შეურაცხესმოფელნი ჩემინი შეურაცხვდე<sup>4</sup>. და კუ-  
ოლად: „ვითარ-იგი მრავლითა ნეტარებითა შეამყობს სათნოთა და  
რომელთა ნებად მისი ყონ“. ამ ჩუენ მიერ რამმცა ლირსი ქებისა  
20 პოპოვნებულ იქმნეს, რომელი-იგი ვიდრე დღესამომდე ბრწყინ-  
ვენ, ვითარცა მნათობნი დაუვალნი, ვითარცა დღენი დაუღამებელ-  
ნი, ვითარცა ცისკარნი უბინდონი და ვითარცა ყუავილნი დაუჭირ-  
ბელნი, რომელი-იგი დუმილით ღაღადებენ საქმეთა საკურველთა და  
უყელთა ცნობასა განაკურვებენ და ყოველთა დიდებად დამბადე-  
ლისა აღადგენენ.
- 25 ეგრეთვე ჩუენცა, ულირსნი ესე აღგუადგინეს და მოკუწოდ-  
ნეს ქებად საკურველებათა თუსთა და დიდებად შემოქმედისა და  
განმაძლიერებელისა მათისა. დაღაცათუ უნდო არს სიტყუად ჩუენი  
და გლახაკ, ეგრეთცა არავე ვდუმნე, არცა დავიცონო, ნუეჭე  
30 კნინდებან ამან სიტყუამან ჩემან მიზეზი გცეს თქუენ ხედვად  
საკურველებათა მისთა, რამეთუ თვალნიცა პატიოსანნი, რომელთა  
სახელი მრავალსასყიდლობისა მოაქუნდეს, ოდეს ოქროსა ზედა  
წარმოაჩინოს ქუეშ<sup>5</sup> დადებითა უნდომსა რამსამე ნივთისა, უბრწყინ-  
ვალესად ფერშუენიერ-ყოფს. ეგრეთვე შესხმანი და ქებანი წმი-  
დათა საკურველებასა და ლმრთივ შუენიერთა ლუაშლთა და ოფლთა  
35 უმეტესად და ასაჩინოებენ, დაღაცათუ მათი დიდებად და ქებად უხ-  
ლავთა მათ შინა კეთილთა, რომელთა შინა იგინი ბრწყინვენ და

1 ჩუენ B. 2 ქვე A. 3 ჟეტ B. 3 ჟონებ A. 4 შეურაცხვდენ B. 5 ქუეშ B.

კაზამებენ უფროს მზის თუალისა. რად ვინ თქუას მათთვის, რა მელი კაცთაგან მოუგონებელ არს და მიუწოდომელ და თუალთაგან უხილავ, არამედ ამავე საწუთოსა მანვე თავაღმან შეუმზადა და ჩედა მოურთო დიდებად მაღიდებელთა თვესთა, რამეთუ რტყეს:

„რომელთა დაუტევნესო ყოველნივე ჩემთვს, ასწილად მიიღოს და ცხორებაა საუკუნო დაიმკუდროსო“. კუალად ბრძანებს ჭმად სამეუფოდ: „რომელსა ვრწმენე მე და სიტყუანი ჩემნი დაიმარნეს, რომელნი მე/ვქმენ, მანცა ქმნეს და უფროსი ამის ქმნეს“. იხილეთ კეშმარიტებაა სიტყუათა მისთა, დაღაცათუ მან თავაღმან უზეშთაეს კაცთა ბუნებისნი ქმნა საკურველებანი, ვითარ მკუდართა სიტყვთ წარმოდგინებაა, კეთროვანთა განწმედაა, ეშმაკთა განჯდაა და ცოდვათა დაქსნაა და სხუანი ურიცხუნი სასწაულნი, რომელთა თითოეულად<sup>1</sup> წარმოთქმისა ვერ დაიტევს სოფელი ესე. ხოლო წმიდათა მისთა მოციქულთა და შემდგომად მათსა მობაძეთა წმიდათა იგი ყოველნი ქმნეს, რაოდენი გესმა წმიდისა სახარებისაგან. ხოლო აჩრდილი გუამისა წმიდისა პეტრესი და ოფლი პავლესი ძალთა დიდთა საკურველებათა ურიცხუთა პყოფდა. ესე არა უქმნიეს ქრისტესა, დაღაცათუ შეუძლებელ მისა არა რად არს. იხილეთ კეშმარიტებაა სიტყუათა მისთა, ეგრეთვე შემდგომითი — შემდგომად მობაძეთა მათ წმიდათა მოციქულთასა ქმნეს ძალნი ურიცხუნი და საქმენი საკურველნი. აწ ჩუენ მიერ რამდა ითქვას ლირსებითი რამე ანუ ჯეროვანი, არამედ ძალისაებრთა შესხმათა არა ულირს იჩენენ, ვითარტა კეშმარიტისა მეუფისა მონანი, ვითარცა-იგი მან ქვრივისა მის გლახავისა მწულილნი. ამისთვის მეცა კადნიერ ვიქმენ გლახავისაგან გულისა მცირედსა რასამე და კნინდენსა დიდებულებათა ამის საკურველისა კაცისათვს, რომელი ბრწყინავს მაღლთა საკურველებითა და ნათობს ქართველთა საესებასა და აღავსებს უხეუბითა კეთილთამთა შორიელთა და მახლობელთა, რომელი-იგი უამთა მიმყორებითი და წელიწადთა სივრცითა არა დაფარულ არს. არცარა საფლავი, რომელი-იგი არს მიზეზი დუმილისა\*, ვერ დაუდუმებიეს ნიშთა და საკურველებათა მისთა ბალი, არამედ უფროს საყვრისა ღალადებს და შემოკრებს ერთა დიდებად დამბადებელისა. მეცა მისითვე და მისა მიმართ ვყოფ სიტყუათა ჩემთა, ხოლო ვიტყვ ჩუენსა ამას არა შორიელსა, არცა უცხოსა ვისმე, არამედ ჩუენსა ამას და ჩუენთა ქუეყანათა შინა გამობრწყინებულსა, დაღაცათუ შორით მოივლინა და უცხოსა ქუე-

<sup>1</sup> თვთოეულად B.

\* მომდევნო „და დაეიწყებისა“ გადასაზულია A.



ყანასა აღმოეცენა, არამედ ვითარცა მნათობი დიდი არათუ აღმოეცენა სავალით<sup>1</sup>, არამედ სამჯრეთით ჩუენდა მომართ წარმოივლინა სხეუათა მათ თანა მნათობთა და ჩუენ მდიდრად და უხუებით განვუანათლეს მრავალფერითა რამთმე ბრწყინვალებითა და ელვითა საკურველებათათა.

იესეს ვიტყვა საკურველსა, ტკბილსა მას და საწადელსა სახელითა და უფროოსად საქმით და სიტყვათ. ამისთვის ვთქვე სახელით, რამეთუ ამას მხოლოსა მოაქუს სახელისდებად ესე და სხუა არავის, თვინიერ ერთისა მის ძუელად მსაჭულთა შორის წერნებულისა ისოს, 10 რომელმან-იგი მოსეს წილ იერუსალემელთა შემყვანებელ ექმნა ქუეყანად აღთქუმისა საკურველებათა და ნიშთა სიმრავლითა. ხოლო მაცხოვრისა ჩუენისათვს ვინმე იყადროს თქუმად, რომელი-იგი არს ღმრთებით სახელუდებელი, ხოლო კაცებით ყოვლითურთ მსგავს ჩუენდა ქმნილი თვინიერ ცოდვისა, რომელი-იგი ეწოდა სახელი იესუ ანგელოზისა მიერ, ვიდრედა იყო იგი მუცელსა შინა დედისა თვესისასა. ხოლო ახალსა ამას მაღლსა შინა ამას სანატრელსა მოენიჭა სახელისდება ესე, რომელი სხესა არავისი სმენილ არს, რომელი-ესე წინამდებარე არს მიზეზად შესხმისა ჩუენისა.

ესე სამგზის სანატრელი მღვდელთმოძღვარი იყო ნათესავით 20 ასური, შუა-მღინარით, ვინან-იგი სხუანიცა ათორმეტნი მამნი მნათობნი ქუეყანისა ჩუენისანი. ხოლო თუ რომლისა ქალაქისა ანუ დაბისაგან აღმოეცენა, ანუ მშობელნი ამის ნეტარისნი ვინა იყვნეს სახელდებით, ჩუენგან უცნაურ იქმნა, რამეთუ ვინამთვან ამას საკურველსა კაცსა უარ-ექმნა ყოველივე მშობელნი და სიმდიდრენი, დაბანი და აგარაკნი, არამედ<sup>2</sup> ყოველივე ხილულნი ესე სოფელი და ვითარცა მტუერი განეყარა და ვითარცა სიზმარი დაიწყებულ ექმნა. ბრძანებისაბერ საუფლოსა და ზენასა მის დაუსრულებელისა სუფევისა და დიდებისა მოსურნე ქმნილ იყო და შედგომილ სიტყუასა მას ცხორებისასა და ყოვლითურთ ჯუარს-ეცვა თავი 25 30 თვესი სოფლისა და საქმე/თა მისთა. ამისთვიცა დავიწყებით დავიწყებულ ექმნა მშობელნი და მამულნი, სიმდიდრენი და საფასენი, რამეთუ რამთამცა უქმდა წარმავალითა ამით და მსვავსად აჩრდილისა განქარვებადითა დიდებითა შემკობად, რომელი-ესე აღრევა ქმნილ იყო მისგან. და ოდეს ესე ყოველი დაეტევა, მუნოქუესვი შედგომილ იყო კუალსა მწყემსისა მის კეთილისასა, ვიტყვა უკუებითანეს ნიშებშემოსილსა მნათობსა დიდსა მონაზონთასა, რომე-


<sup>1</sup> აღმოსავავალით A. 2 არამედ] ყოვლად A. 3 უკუებ B

\* მომდევნო -იყო" ტაქსტში წაშლილია A.

ლი-იგი მახლობელად დიდისა მის ქალაქისა ანტიოქიისა მონასტერ-  
სა შინა ერთსა მკვდრ იყვნეს, ვითარ და სხუანიცა მრავალნი მამა-  
ნი და ძმანი, რომელთაგან ითქმულდეს! საქმენი საკურელნი და  
მოლუაწებანი ბუნებითა უაღრესნი. ამისთვეს ლმერთმან, რომე-  
ლი-იგი განიკითხავს გულითა და თირკმელთა და გამოეძიებს ზრახ-  
ვასა კაცოსა, წინასწარ უწყვოდა ამათ საკურელთა კაცთა ზეშთა  
ქმნა უოველთა კაცობრივთა საქმეთა. ამისთვეს გამოირჩივნა ესე  
ათორმეტნი სიმრავლისა მისგან მუნ შეკრებულთასა, ვითარცა ძუ-  
ელ ოდესმე ათორმეტნი მამათმთავარნი იაკონისგან აღმოცენე-  
ბელნი და ვითარცა თვთ მისვე ლმრთისა უქცეველად კაცქმნი-  
ლისა ათორმეტნი მოციქულნი, ეგრეთვე ესენი მისივე ლმრთისა  
სიბრძნისაგან<sup>1</sup> ათორმეტნი მნათობნი გამოირჩინეს მსგავსნივე და  
მობაძენი მათნი და ჩუენდა მომართ წარმოვლინნეს მეუფისა მიერ.  
ვითარცა იგინი ეგრეთვე ესენი უჯამლონი, უკუერთხონი, ურვა-  
ლონი, უბალანტონი, უჯაშეარონი, ერთითა სამოსლითა მოსილნი  
და მითცა და დაბებულითა მოწინეს არეთა ქართლისათა ვითარ-  
ცა გასმიესთ, მითვე სულითა ძლომილნი „ვითარცა ცხოვარნი შო-  
რის მგელთა, მათვე სასწაულთა მოქმედნი, უძლურთა მკურნალი,  
მკუდართა აღმადგინებელნი, ეშმაკთა გამჯდელნი, კეთროვანთა  
განმწმენდელნი და ბრძათა აღმხილველნი და სხუათა ურიცხუთა  
ძალთა და საკურველებათა აღმასრულებელნი. რამეთუ ერთი და  
იგივე იყო<sup>2</sup>/მათიცა და მათიცა<sup>3</sup> წარმომავლინნებელი, განმაბრძნო-  
ბელი და განმყოფელი ნიკთა და მადლოთა თითოსახეთა, დალაცათუ  
მათ კაცთა ათორმეტთა სივრცე ყოვლისა სოფლისა მოირბინნეს  
და ქადაგეს სიტყუად ცხორებისა და კერპთა საცური განცხრეს<sup>4</sup>  
განანათლნეს კაცნი ბნელსა შინა უმეცრებისასა დანთქმულნი.  
ხოლო ამათცა<sup>5</sup> წმიდათა ათორმეტთა მოაქუნდა სიტყუად ცხორე-  
ბისა მითვე სულითა და მითვე საკურველებითა, რამეთუ მათი იგი  
დაკლებული ჰირი ამათ ჭირცთა მათითა ჰირითა აღავსეს და თავ-  
დგმულ კვეს სარწმუნოებად განანათლნეს ქუეყანაშ ესე ჩუენი,  
ეშმაკნი განჯადნენს, სენი თითოსახენი კაცთაგან იოტნეს, ბრძანი  
განანათლნეს. კვშაპნი მოაკულინეს, მჯეცნი ველცრნი მოამდოვრ-  
ნეს და უმშედეს ცხოვართა შესცვალნეს და სხუანი ურიცხუნი  
ძალნი და საკურველებანი ქმნნეს და ჩუენ გუსაწავეს მრავალნი  
ლმრთივ-შუენიერნი სწავლანი და გზა გუექმნეს და წინამდლუა-

1 ითქმოდეს B. 2იყო+მათი A. 3 ამათი A (ტექსტში წერებულა „მათიცა“, „ცა“ ამოფხეკილია). 4 განფრეს A. 5 ამათ B.

\* მომდევენ „ესე“, გადახიზულია.



ზეცისა სუფევისა მიმართ. არა დაკლებულ არიან მოციქულთაგან ესენი, ძმანო, ვითარცა<sup>1</sup> ვთქუ, რამეთუ იგინიცა და ესენიცა ერთისა ვენაპისა მუშავნი არიან და ერთისა ვაზისა რტონი, დაღაცა-<sup>2</sup> მათ დაასხეს, არამედ ამათ მორწყეს, ხოლო ღმერთმან ალორ-<sup>3</sup> ძინა მისვე მუშავთმთავრისა მიერ სპეტაკთა ყანობირთა მიმართ  
5 მოსამაკალად მოვლინებულინი, დაღაცათუ<sup>4</sup> სხუანი დამაშურალ არიან, არამედ შრომილსა მათსა ზედა. ესენი შემოვიდეს, რამთა მთესველ-<sup>5</sup> სა და მომჟალსა ერთბამად უხაროდის. ნუუკუე იტყოდის ვინმე, ვითარმედ: მათ ათორმეტთა სიონს ქორსა მას ზედა ცხადად სული  
10 წმიდად მოიღესო და ცეცხლისა ენათა განყოფითა იქმნეს მეტყუ-<sup>6</sup> ელ უცხოთა ენათა.

მელოდეთ მცირედ, ძმანო, და ამათთვეცა ცხადად წარმოვიდ-<sup>7</sup> გინო უწყებად ესევითარი, ვითარმედ არცა მისგან იქმნეს დაკლე-<sup>8</sup> ბულ ჩუენნი ეს წმიდანი, რამეთუ უამსა მას „ოდეს მოიწინეს ქუ-<sup>9</sup> ეყანასა ამას ჩუენსა ათორმეტნი ეს კაცნი და მახლობელ იქმნეს  
15 256 დედაქალაქსა მცხეთისასა, მასვე უამსა დააღვრა/ანგელოზი საკუ-<sup>10</sup> რველსა კაცსა წმიდასა და ესევითართა მაღლთა ღირს ქმნილსა ავ-<sup>11</sup> ლავიოს კათალიკოზსა<sup>12</sup> და აუწყა მოსლვად მათ სანატრელთა სახე-<sup>13</sup> ნი და სამოსელნი, ქცევად და მორტყმულობად მათი და აღვილიცა  
20 იგი, რომელსა ზედა ფერწითა შუენიერითა მავალობდეს და მოწევ-<sup>14</sup> ნილ იყვნეს. მაშინ მათდა მიმართ განსრულმან წმიდამან მამათ-<sup>15</sup> მთავარმან, სამღდელოთა დასთა თანა და ეკლესიის სავსებასა<sup>16</sup>  
25 იხილნა იგინი და შეიმთხვნეს ურთიერთს მახლობელად ციხედი-<sup>17</sup> დისა, მცირესა მას ველსა ზედა, ამბორს-უყვეს სიყვარულით სიწ-<sup>18</sup> მიდითა სულისათა და მათ მიერ ქუე<sup>19</sup> დავრდომით მომკითხველნი  
და ამბორისმყოფელნი პატრიაქისანი იხილებდეს სულითა, ვითარცა  
30 დასწერს დავით, ვითარმედ: „წყალობად და კეშმარიტებადად შე-<sup>20</sup> იმთხვნეს და სიმართლემან და მშვდობამან ამბორს-უყვეს“.<sup>21</sup> ხოლო  
პირველსავე მას შემთხვევასა ზედა გარდამოქდა სული იგი კეშ-<sup>22</sup> მარიტებისა, რომელი მამისაგან გამოვალს და მამისა და ძისა თახა  
35 სამარადისოდ პერეს განუშორებელად, რომელსა ღმრთავებისა ძლი-<sup>23</sup> ერებითა და უსაზღურობითა<sup>24</sup> და გარეშეუწერელობითა ყოველგან  
არს და ყოველივე ალუვისეს, რომელი-იგი მაშინ წმიდათა მოცი-<sup>25</sup> ქულთა<sup>26</sup>-ზედა, ეგრეთვე ამათ ზედა გარდამონვდა და უხუებით და  
მდიდრად მოეფინა და აღავსნა ესენი მაღლითა და მისცა პირსა  
მათსა ენად ცეცხლისა. და იწყეს მეტყულებად უცხოთა ენათა,

1 ვითარცა — B. 2 დაღათუ B. 3 დაღათუ B. 4 კათალიკოსა A. 5 საკუებათა-  
სა B. 6 ქეშმ B. 7 მოციქულთ A.

ვითარცა სული იგი მისცემდა კაცთა უმეცართა ყოვლითურთ  
და უცხოთა ჩუენთა ენათა და სიტყვათა, ეგრეთვე ავლავი-  
ოს კათალიკოზსა!, მათთა ენათა სიტყუათა სრულიად უცხო-  
სა<sup>2</sup> და უმეცარსა, მოეცა სიტყუად მათი მობერვითა ზეგარ-  
დამოხთა და მეტყუელებდეს სიტყუათა უცხოთა იგინი ჩუენ-  
თა და ჩუენი მათსა. ამა, გამოვისახე კეშმარიტებით, ვი-  
თარცა კაცნი ესე წმიდანი არარათ დაკლებულ იქმნეს მსგავსებასა  
წმიდათა მოციქულთასა. რამეთუ იგინიცა და ესენიცა მის-  
ვე და ერთისა ქუეყნისაგან და სოფლისა იყვნეს, ვითარცა მეტყუ-  
ელებს კეშმარიტი იგი სიბრძნე, რამეთუ რაოდენთა ნიჭთა და პა-  
ტივთა და მოცემათა და მათ თანა სამარადისოდ გან/უშორებელო-  
ბასა<sup>3</sup> აღუთქუამს ზოგად ყოველთავე და სწორებით აღუთქუამს  
მათცა და ამათცა, რამეთუ იტყვს: „მამაო, მნებავს, რამთა სადა მე  
ვიყო, მუნცა მსახურნი ჩემნი იყვნენ“ და სხუად ესევითარი. და  
შერმე იტყვს: „არა ამათთვის ხოლო გვითხავ, არამედ ყოველთაოს,  
რომელთა რწმენეს ჩემდა მომართ“<sup>4</sup> სიტყვათა მათითა. რამეთუ იტყვს:  
„იხილეთ, იხილეთ, რამეთუ მე ვარ, რომელი არა ვიცეალები“. მან  
თავადმან წარმოავლინნა ესენი, მან თავადმან აღვისო სულითა წმი-  
დითა და მანვე თავადმან შეამკუნა ნიშთა და სასწაულთა მიერ. ესე-  
ნი, ვითარცა ვთქუ, მოიწინეს ქართლად, ხოლო ესე საკურველი  
კაცი — ისე უმეტეს ბრწყინველი მათ შორის, რამეთუ მასცა მდიდ-  
რად მოელო მადლი იგი სულისა წმიდისა მის ზედა მოფენითა უბუ-  
ებისათა და შეიმკო სასწაულებითა და ნიშთა სიმრავლითა. ხოლო  
მცერითგან არა დაადგრეს კაცთა სიმრავლესა თანა, რამეთუ იყვნეს  
დაყუდებისა და მიმოგანუბნეველობის მოყუარე, აღწდეს მთასა მას  
ზედა ზადენისასა, რომელი დამართებით მცხეთისა იხილვების, აღ-  
მოსავალით კერძო, რომელი პირველ ეშმაკთა საოცრებითა დაბნე-  
ლებული იყო, რამეთუ მუნამდე არაწმიდათა სულითა სამკვდრებელ  
ქმნილ იყო და მრავალსა ჩასმე ოცნებასა და ვნებასა კაცთასა<sup>5</sup>  
ჰყოფდეს, ხოლო მიერითგან მოსლვითა კაცთა ამათ წმიდათათა მთა  
იგი პატიოსან და წმიდაა იქმნა. მას ზედა დამკვდრებითა საკურვე-  
ლითა ამათ მიერ სულნი არაწმიდანი წარიდევენნეს და სენნი თითო-  
სახენი იოტნეს და ყოველთა კაცთა მიზეზ ცხორებისა საუკუნოე-  
სა ექმნენს.

ხოლო განისმა რად ყოველთა შორის მათთა საკურველებათა ამ-  
ბავი<sup>6</sup> და სათნოებათა ბრწყინვალებამ, მოვიდოდეს კაცნი არამცი-  
რენი და დაემკვდრებოდეს მათ თანა და მობაძევად სათნოებათა

<sup>1</sup> კათალიკოსა A. <sup>2</sup> გაცხოვა A. <sup>3</sup> განუშორებელობასა A. <sup>4</sup> მიმართა A.  
<sup>5</sup> ენენი A. <sup>6</sup> კაცთასა A. <sup>7</sup> ამავე B.



მათთა გამოჩნდებოდეს, ვითარცა ვრცელი იგი უწყებად შათი მოგვკონად.

ხოლო შემდგომად ორამცირედისა ემისა აღესრულნეს ეპისკოპოსნი ნეკრეს ქალაქისა და წილკანისა ეკლესიისანი. ეუწყა ესე წმიდასა კათოლიკოზესა ავლავიოსს, მყის აღდგა და წარვიდა წმიდათა მათ თანა მთასა მას ზედა, სადა- იგი მკვდრ იყენებს. და ვითარცა დასხვეს/და მოიკითხენს ურთიერთას, მრავალი რამე სულისა სარგებელნი. სწავლანი პირთა მცთთაგან აღმოდიოდა მსგავსად მდინარისა ედემით მომდინარისა. ხოლო მეორესა დღესა, მოიწია რამ ემის წმიდისა ეამისწირვისათ, უბრძანა მამამან იოანე მსხუერპლისა შეწირვად წმიდასა ისეს, რამეთუ მღდელობისა პატივი მას აქუნდა, რომელი-იგი წმიდითა გონებითა და უბრალოებითა გელთამთა მარადის განკრალულ იყო მსახურებასა მას მღდელობისასა, ეგრეთ ვე წმიდაა აბიბოს დიაკონობითა მსახურებდა უბრალოდ ღმერთისა. მაშინ, დღესა მას მუნ ყოფასა წმიდისა მის კათალიკოზესასა მათ წილხუდა მსხუერპლისა მის საუფლომასა შეწირვაა. და ვითარცა აღესრულა უსისხლო იგი მსხუერპლი და ეზიარნეს ყოველნივე შემდგომად ერის განტევებისა, უპყრა წელი კათალიკოზმან ავლავის სანატრელსა ისეს და პრეჭა: „გიხაროდენ, ეპისკოპოსო! წილკანისაო“, და მერმე წმიდასა აბიბოს უპყრა წელი და პრეჭა: „გიხაროდენ, აბიბოს ეპისკოპოსო ნეკრეს ქალაქისაო“. ხოლო მათ ნეტართა ესმა რამ ესე, უცხოდ აღუჩნდა საქმე ესე და იწყეს თითოეულმან ჯმნად და სიცლოტოლად. და უფრომსად წმიდად ისე იქმნიდა საქმისა მისგან და ულირსად და ცოდვილად შეიდა თავსა თვესა და რაოდენ ეძლო, ცრემლით და ტირილით ითხოვდა განტევებასა, რამეთუ იყოცა წმიდად ესე ფრიად დაყუდების<sup>2</sup> მოყუარე და სრულისა სიმდაბლისა მუშავი და ყოველთა სათნოებათა<sup>3</sup> წესი და კანონი. ხოლო კათალიკოზი იგი ფრიად აიძულებდა და არა განუტევებდა პელთაგან და ეტყოდა: „წმიდაო და სანატრელო მამაო, ამისთვეს მოგავლინნა თქუენ ღმერთმან ჩუენდა მომართ, რათა თქუენ მიერ დაიმწყსოს ქუეყანად ესე ჩუენი და ბნელსა შინა მსხდომარეთა თქუენ მიერ აღმოგვებრწყინდეს<sup>4</sup> ნათელი ღმრთისმეცნიერებისა და ქედფიცხელთა და ურჩთა მოუდრიკონ ქედნი მათნი ულელსა მას ტებილსა სახარებისასა, რამეთუ ერი ესე ახალ ნერგ არს და მოქენე არს სწავლათა თქუენ მიერთა. ნუ ურჩ მექნები, შვილო, რომელი-ესე უმჯობესსა განიზრახებ, რამეთუ ესე არს ნე-

1 ეპისკოპოზო A. 2 დაყუდებიდების A. 3 სათნოებათა — B. 4 აღმოგვებრწყინდეს A.

ბაზ/ღმრთისამ. ეგრეთვე მამაცა იგი საკურველი იოანე, მოძღვანილი  
მათი, ეტყოდა, რათა დაემორჩილოს წმიდასა მას მამათმთავარსა,  
რამეთუ „ამისთვის მოგვავლინა ღმერთმან-ო — ეტყოდა — რათა  
ჩუენ მიერ მიეთხრას ყოველთა ღმრთისმეცნიერებამ, რამეთუ ახალ  
ნერგ არიან ესენი და მოქენე სწავლისამ, რამეთუ პნებავს ღმერთ-  
სა, რათა მორჩილ ვექმნეთ წმიდასა ამას მამათმთავარსა და ბრძა-  
ნებითა ამისითა ყოველსა აღილსა ვქადაგებდეთ სიტყუასა მას  
ცხორებისასა და ზოგნი დაყუდებითა და ზოგნი განშორებითა და  
ზოგნი ეპისკოპოსობითა ვექმნებდეთ და სათნო ვეყვნეთ ღმერთისა,  
რათა ნუუკუ ჩუენ ცოდვლთა მიერ სათნო იყოს ღმერთმან ქუ-  
ეყანასა ამას ქართლისასა ღმრთისმსახურებისა წარმართებად. ის-  
მინე, შვილო, ბრძანება მწყემსისა ამის კეთილისა და ნუ ურჩ ექ-  
მნები, რამეთუ, მსგავსებად მოაქუს ამას? ქრისტესი, რამეთუ, უკუ-  
ეთუმცა არა უწყებულ იყოს მისა ზეგარდამ, არამცა გვიორეჩიე  
თქუენ“. მაშინ ძალითა დაემორჩილა ბრძანებასა მათსა, მოუდრი-  
კა ქედი და მიიღო კურთხევად მამათმთავრისა მიერ. ხოლო მან  
წარავლინა იგი საყდარსა წილკანისასა, რომელსა შინა დამტკიცე-  
ბულ არს ეკლესიად ყოველად უბიწოსა მის დედოფლისა ჩუენისა  
ღმრთისმშობლისა, რომელმან ერთ სამწყსო ყო ცა და ქუეყანამ, 10  
ანგელოზნი და კაცნი, რომელმან დაქსნა შუა კედელი იგი მტერო-  
ბისა და კაცნი ღმერთსა დააგო და შვილებისა პატივსა ლირს მი-  
ჩინა, რომელმან თანანადები იგი პირველისა მამისა გარდაიჭადა,  
რამეთუ ადმ უდედავაცოდ დედავაცი შვა, ხოლო ამან უბიწომან  
უმამაკაცოდ მამაკაცი შვა, რომელ არს ქრისტე უფალი ღმერთი  
და კაცი უქცეველად. ამის ყოვლისა მიზეზ იქმნა ყოველად უბიწო  
იგი დედოფალი, რომლისა ტაძარი ერწმუნა ამას საკურველმოქ-  
მედსა კაცსა ისეს და საკუთ-მმართებელ ექმნა უცომელად, რომ-  
ლისა მიერ შეიყვანნა კაცნი ულელვოსა მას ნავთსაყუდელსა ზეცი-  
სა სუფევისასა. ამიერითგან ვინ-მე იტყოდის, ანუ ზედამიწევნით  
წარმოიტყოდის ღუაწლთა და შრომათა მისთა, თუ რაოდენი თავს-  
ისხნა ეკლესიისათვეს, ანუ ვითარნი შრომანი აჩუენა ქრისტეს სამწ-  
ყსოსათვეს, რამეთუ დასძინა/მოღუაწებად მოღუაწებასა ზედა, ხოლო  
მღვარებისა და მარხესა არა იყო საზომი, რამეთუ სიჩიროეთგან მას  
შინა იყო აღზრდილ და განპოხებულ და მოწყალებისა და კაცო-  
მოყუარებისა, უცხოთ-შეწყნარებისა და გლახაკთა და დავრდომილ-  
თა უნუად პელისაპყრობითა სახიერებისა მას უფსკრულსა ძალი-  
საებრ ემსგავსებოდა და სხუვად სათნოებად სრულებით შემოექრიბა 35

და ამ უმეტესად და უბრწყინვალესად ეტლ სათნოებათა გამოჩინებითა ყოველთა მხილველთა სახე კეთილის იქმნებოდა. რამეთუ ვითარცა სანთელი ბრწყინვალე ამაღლებული სასანთლესა ზედა უმეტესთა ელეათა ღმრთივ შუენიერთა საქმეთასა ყოვლით კერძო განმტევებელ იქმნებოდა და მსგავსად მხისა მიეფინა მსხდომარეთა ბნელთა და აჩრდილთა სიკუდილისათა, რამეთუ საწერტელ სიკუდილისა არს ცოდვა, ხოლო ესე ძირითურთ ისწრაფულა განფხურად ცოდვისა, რამთა განქარდეს სიკუდილი და მის წილ შემოვიდეს ცხორებად და უბრწყინებად. რამეთუ მსგავსად წმიდათა მომციქულთა მიმოვიდოდა და ქალაგებდა სიტყუასა ცხორებისასა, რამეთუ მორჩილ იყო და მიღევნებულ ბრძანებასა წმიდასა სახარებისასა, ვითარ-იგი წერილ არს ვითარმედ: „თავადი იესუ! ვიდოდა ქალაქად და დაბად-დაბად და განკურნებდა ყოველთა სნეულებათა და უძლურებათა ერსა შორის“. ეგრეთვე მწყემსი ესე კეთილი და

10 15 20 25 30 35

მნე გონიერი და სარწმუნოდ შედგომილი კუალსა მწყემსმთავრისასა მიმოვიდოდა და ახარებდა ქალაქითი-ქალაქად და დაბითი-დაბად და ჰყოფდა სასწაულთა და ნიშთა დიდთა, სნეულთა ჰყურნებდა, კეტროვანთა განსწმედდა, ეშმაკთა განასხმიდა და ცოდვათა დაჭინიდა და სხუათა მრავალთა და თითო-სახეთა სნეულებათა სიტყოთა და კელისა შეხებითა განკურნებდა.

ხოლო უფრომასად მთით კერძოთა ადგილთა მიმოვიდოდა და ასწავებდა და მოქცევად მათდა მოსწრაფე იყო საკერპოთა და არღუევდა და კერპთა ბილწთა დამუსტ/ვილა და ძალითა არამცირებდთა ჰყოფდა და ნათელ-სცემდა მათ სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა. ყოვლითურთ მსგავს იყო. წმიდათა მოციქულთა და მათებრვე განფხურა ყოველი საცოტო და დანერგა<sup>2</sup> ღმრთისმსახურებად.

ესრეთ შემქო და განაშუენა ეკლესია ქრისტესი და ესრეთ კეთილად მწყიდა მისდა რწმუნებულთა მათ სამწყსოთა და განანათლებდა სიტყუათ და საქმით. მოვედ და სხუაცა გამოგისახო მისს საკურველისა კაცისა სიკეთე და სათნოებათა სრულებად, რომელი პავლე მოციქულმან წინათვე მოასწავა ესევითართა მწყემსმთავრს და იტყოდა: „გერ არსო ეპისკოპოსისა უბრალო ყოფად და რამთა იყსო ფრთხილ, წმიდად, შემქობილ, უცხოთშემწყნარებელ, სტუპრისმოყუარე“. ვინ ესრეთ წმიდად, ვინ ესრეთ ფრთხილ და უძილ მწყემს, ვითარ ესე საკურველი კაცი, რომელმან არა სცა ძილი თუალთა რცსთა, არცა პრელი წამთა თვსთა, ვიდრემდის პოვა ადგი-

1 იესუ] ცფალი (၁၀) B. 2 დაპნერგა A.

ლი მწუანვილოვანი<sup>1</sup>, ეკალთაგან განწმედილი, ადგილი ჟმიშილი მეტად მეტად შეუვალი. მუნ შეიყვანა სამწყსოდ თვისი, მუნ<sup>2</sup> დამკუდრნა და მუნ გამოზარდნა. ხოლო საძაგელი იგი და სალტოლველი საქმენი, რომელთა წინათვე აკრძალებს მოციქული ეპისკოპოზთა, ვითარმედ არა მელვნე, არა ანგარ, არა საძაგელის შემძინელ. ვინ იყო შორს ესევითართ საქმეთაგან, ვითარ ესე სანატრელი, რომელი-იგი სხუათაგანცა მოსწრაფე იყო ძირითურთ განფხურად ესე-ვითართა ვნებათა.

გარნა ვთქუათ რამე ერთი და დებულებათა მისთაგანი, რომელი ზეშთა მატს ყოველთა საკურველებათა, რომეთუ სამწყსო იგი მისდა რწმუნებული ესრეთ რად სულიერად გამოზარდნა და წარუძღვა ზეცისა სუფევისა მიმართ, არცალა ჭორციელად დაუტევნა უღუაწად, არცა უნუგშინისცემოდ, არამედ მოუმზადა მათ არა ლიტონი რამე და აღრე მოკლებადი, არცა აღრე განქარვებადი, არამედ საუკუნოდ და მომავალთა ნათესავთა\* საქსენებელი კეთილი დაუტევა, რომელი-იგი, ვითარცა ცხოველი, ქადაგებს დიდებულებათა მისთა. ესე არს, რომელსა მეგულ/ების თქუმად, არამედ პირველ თქუმისაცა უწყით ყოველთა ქართველთა მის საკურველისა კაცისა დიდებულებად, რომელ შეესწორა დიდთა მათ წინასწარმეტყუელთა საკურველებითა.

დღესა ერთსა ინება საკურველომოქმედმან მამამან ითანე, მოძლუარმან მათმან, გმოცდა ამათ საკურველთა კაცთა სათნოებათა სისრულისა და მორჩილებათა სიმაღლისა. მსხუომარე იყვნეს ზოგად წმიდასა ამას ეპისკოპოსსა თანა დიდი ითანე საკურველომოქმედი და წმიდად შიო, მოლუაწებისა ძეგლი და კანონი და მათ თანა ესე სამგზის სანატრელი ისე. ეტყოდა მათ ითანე საკურველი: „ის-მინეთ ჩემი, შვილნო, რამეთუ მნებავს თქუენ მიერ სასწაულისა რამსამე ქმნა, რამთა მხილველნი მათნი ადიდებდენ ღმერთსა, რამეთუ ფრიად მოქენე არიან ქართველნი ხილვად თქუენგან სასწაულთა და საკურველებათა, რამთა უმეტესად პრწმენეს ჩუენ მიერ, ქადაგებული იგი სარწმუნოებად. ხოლო მათ მოაქსენეს: „მამაო პატიოსანი, ვითარცა ბრძანოს სიწმიდემან შენმან, მორჩილნი ვართ ბრძანებისა შენისანი“. მაშინ პირველად მამამან ითანე მიყო პელი ჭიქისა მას, რომელი მდებარე იყო წინაშე მათსა, და უბრძანა ერთა დიაკონისა თვინიერ ჩუეულებისა და წესისა, უბრძანა ლვნისა სხმად. და ალავსო იგი და ალიბყრა ზე და განუტევა პაერთა შინა და შეო-

<sup>1</sup> მწვანილოვანი B. 2 მუ A.

\* მომდევხო „და ტომთა“ წაშლილია A.

10

15

259

20

v

25

30

55



ვარ უმ იხილვებოდა პატრია შინა მდგომარე თვნიერ გელთავანები კაცთამასა! მერმე უბრძანა შთამოხმა მისი და, ვითარცა შთამოხისუნეს იგი, წამოუყუანა წმიდასა ეპისკოპოსისა, რამთა აკურთხოს იგი, რამეთუ ჯერ-არსო ეპისკოპოსისა, იტყოდა, ჯვარისა გამოსახვად და კურთხევისა მიერმამ. მაშინ წმიდამან მან ეპისკოპოსმან გამოსახა სახე პატიოსნისა ჯვარისა და მიიღეს მისგან ევლობიდ ყოველთა მუნ შემოკრებულთა და მადლობდეს ღმერთსა და აღიდებდეს სასწაულსა ამას ზედა საკურველსა.

მერმე უბრძანა წმიდასა შინა, რამთა მანცა აჩუენოს რამე საკურველი. ხოლო იგი დაღაცათუ შორს ბყო მაჩუენებლობისაგან, არამედ ეს იყო მორჩილებისა, რომელი არა ოდეს წინა აღუდგებოდა მოძღვარსა არარას საქმესა ზედა, აღდგა იგი ზე და განმარტა მარჯუნე თვისი შიშულივ და<sup>2</sup>/აღილო ნებთა<sup>3</sup> ზედა საკუსედ ნაკუერცხალი მგზებარე, დასხა საკუმეველი და მუნ შეკრებულთა ყოველთა მიუყნოსა საქმეველისა მისგან და მერმელა განყარა ნაკუერცხალი იგი ყოვლითურთ უვნებელად ნებთა<sup>4</sup> წელისათა.

მერმელა აუკა წმიდასა ამას და საკურველომჯედსა ისეს, რამთა მანცა აჩუენოს ესევითარი რამე საკურველი, ხოლო იგი მორჩილებისა მისა მის სულიერისა მყის აღდგა იგიცა მტკიცედ პყრობითა სრულისა და მიუღრეუელისა საჩქმუნოებისათა. არა პატრია შინა განტკეცითა ჭიქისათა, არცა ნებთა ზედა აღებითა ნაკუერცხლისათა, დაღაცათუ საკურველებანი ესე დიდ იყვნეს, არა-შედ ესეცა აღვილ იყო მის წინაშე ქმნად და ამისა უმეტესსაცა, ხოლო ამან მსგავსად მოსესა წყალთა მიერ და წყალთა ზედა იწყო ქმნად სასწაულთა საკურველთა. ვითარცა მან, ეგრეთცა ამან კუერთხითა, რამეთუ კუერთხი აღილო, რომლითა მწყიდა სამწყისოთა თვეთა და რომლითა პყოფდა სასწაულთა საკურველთა და იოტებდა უხილავთა მათ ძალთა, რომელსა ზედა გამოსახულ იყო პატიოსანი ჯუარი, მით წელთა მქონებელი წარვიდა ზემოხოთ კერძო მდინარესა მას, რომელსა ეწოდების ქანი, და შეუდგეს მას მუნ მყოფნი იგი წმიდანი მამანი და სხვსა ერისა სიმრავლე ფრიადი, რამეთუ გულსავსებით უწყოდეს მისგან სასწაულისა რასამე ქმნად, რამეთუ მრავალგზის ეხილვა მის მიერ საკურველებანი დიღნი. ხოლო მი-რა-წინეს მუნ მდინარესა მას ზემოქსენებულსა, აღიპყრა კუერთხი იგი მარჯუნითა წელითა და გამოსახა მით სახე პატიოსნისა ჯუარისა, დასცა მით წყალთა მათ ზედა და ეტყოდა: „მდინარეო, სახელითა უფლისა ჩუენისა ისუ ქრისტესითა გიბრძანებს ჩემ მიერ

<sup>1</sup> კაცთა B. 2 და+და A. 3 ნებთა A. 4 გებთა AB.

კსინვით ვიდოდე და შემომიდევ, ვიდრეცა ვიდოდე<sup>1</sup>. ეპა, ძლიერებული ბათა შენთა ქრისტე, რომელმან მსახური შენი ესრეთ აღიდენ, ეპა, უცხო საკურველი, მყის მორჩილ ექმნა მდინარე იგი მძაფრი და წინადაუდგრომელი და კსინვით ვიდოდა და შეუდგა ბრძანებასა მისსა, ვიდრეცა ვიდოდა წმიდად იგი და მისდევდა მას<sup>2</sup>. ხოლო წმიდად იგი მგზავრ გალობდა ფსალმუნთა და იტყოდა: „აღილეს მდინარეთა, უფალო, აღილეს მდინარეთა წმანი მათნი, აღდგეს მდინარენი სლვასა თვესა წმითა წყალთა მრავალთამთა, საკურველ არიან განცხრომანი ზღვსანი, საკურველ არს მაღალთა შინა უფალი. წამებანი შენნი, უფალო, სარწმუნო იქმნეს ფრიად“<sup>3</sup>. ესრეთ უძლოდა წმიდად იგი წყალთა მათ და იგი სრბით მისდევდა, რამეთუ ლბილი იგი და ქუედამზიდველი ბენებად უვა/ლსა და უჩუეველსა გზასა სრბით მისდევდა<sup>4</sup> და მიწა იგი მყარი და ფიცხელი და ოდგილ-ადგილ კლოვანი და ეკლოვანი თვნიერ სათხროლისა და მკუეთელისა რახასვე ქუე დაღრმდებოდა და წყალი იგი თვთ მავალობდა, იმულებული წმიდისა მისგან. მოვლო სრულიად მრგლივ მუხნარი<sup>5</sup> და ვიდრე ეკლესიალმდე წილკნისა მიიწეოდა და გარე მოვლიდა, რამეთუ ფრიად ურწყული იყო ადგილი იგი, და სრულიად ზემოთ კერძო მუხნარისა<sup>6</sup>, რომელსა ზედა წარვლო მდინარებან მან და ვიდრე დღეინდელად<sup>7</sup>-დღედმდე დის და მწყურნებაონ ყოფს ადგილთა მათ, ვითარცა ხედვენ თუ-ალნი ყოველთანი და ახარებს სლვა მდინარეთა ქალაქსა ღმრთისა-სასა, დაღაცათუ სხეძვა პირისა მიმართ წინასწარმეტყუელებს სიტყვა ამით წინასწარმეტყუელი, არამედ ამასცა ზედა უმეტესად მოეზავების, ვითარმედ „სლვა მდინარეთა ახარებს ქალაქსა ღმრთი-სასა. წმიდა ყო საყოფელი თვესი მაღალმან, ღმერთი მის მორის და იგი არა შეიძროს უკუნისამდე.<sup>8</sup>

რამეთუ ესოდენთა ამათ ეამთა სიგრძემან ვერ დაფარა წმიდი-სა მის საკურველებად, ვერცა დაადუმა ყამთა მიმყოვრებამან დი-დებულებად საქმისა მის, არამედ დის მარადის და ქადაგებს წმი-დისა მის საკურველებათა და დუმილით მიუთხრობს დიდებულე-ბათა ღმრთისათა.

ესე სასწაული არა უდარეს. არს სასწაულსა მას მოსეს მიერ ქინილსა ზღუასა მას ზედა მეწამულსა და კუალად უდაბნოსა ჭ.ღ. კლდისაგან წმელისა აღმოცენებასა წყლისასა და მე ვპევნებ,<sup>9</sup>

<sup>1</sup> მისდევდა] ვიდოდა B. <sup>2</sup> მუხნარი] მუხნარი B. <sup>3</sup> მუხნანისა B. <sup>4</sup> დღეილე-ლად A.

\* ჩამატებულია აშიაზე A.

10

260

15

20

25

30

35



- უკუეთუ თქუენცა არა ურწმუნოდ აღგიჩნდეს, ვითარმედ უსე მძის  
სა მას სასწაულსა უაღრეს არს, რამეთუ მან შემდგომად წიაღსლვა-  
სა იერუსალემთასა მასვე უამსა მეგვიპტულთა ზედა მოქცეუოთ აღ-  
გილსავე თვასასა შერწყმით შეყყოფილ ქმნა და ეგრეთვე კლდე იგი  
5 მადინებელი წყლისა შემდგომად მცირედისა კუალადცა კმელ იქმ-  
ნა, ხოლო საქმე ესე უცხო, საკვრველისა მის კაცისა მიერ ქმნი-  
ლი, ვიდრე აღსასრულამდე ჰგიეს და ახარებს ყოველთა მხილველ-  
თა და უფროსად მჯუმეველთა მის აღგილისა მყოფთა არა თუ ერ-  
თსა დაბასა, ვინა სოფელსა, ანუ თუ მარტო წილვანსა, სადა-იგი  
10 მდებარე არს მრავალმოლუაწე იგი და სასწაულთა მოქმედი გუამი  
წმიდისა მის, არამედ მრავალთა დაბათა და სოფელთა მის კერძოსათა,  
აგარაკთა და ყანობირთა, პირუტყათა და საცხოვართა, მორწყავს-  
და განაძლებს. ესრეთ აღიდებს ლერთი მადიდებელთა თვსთა, ეს-  
15 რეთ დაუმორჩილებს ბუნებათა და ნივთთა მორჩილთა და ნების-  
მყოფელთა თვსთა, ვითარ ამათ ნეტართა დაუმორჩილნა ოთხნივე  
ნივთნი: ჰაერი<sup>1</sup>, ცეცხლი, წყალი და მიწა, რომლისა მიერ და რომ-  
ლისა შორის არს და იქცევის გრძნობადი ესე ყოველი, რამეთუ  
ერთმან მან საკვრველმან კაცმან განტევებითა ჭიქისათა ჰაერი<sup>1</sup>  
მორჩილ თვსა ყო, ვითარცა ჩემმან ქრისტემან ფერგთა ჭუშე  
20 თვსთა და მერმე პეტრესთა ლბილი იგი წყალთა ბუნებად ნივთთა  
სიზრქისა მტკრთელ-ყო, ეგრეთვე ნიეთისა მის სიმძიმე, რომელსა  
საესებად მოაქუნდა ლვნისა, უწვლილესი იგი და უსუბუქესი ჰაე-  
რი<sup>2</sup>, მტკრთელი ყო მისსა. ხოლო მეორემან მან ბუნებად იგი ცე-  
ცხლისა მოტყინარისა ნებთა ზედა ტკრთვთა არა შემწუცელ, არა-  
25 მედ ცუარ საკურნებელ ქმნითა ყრმათა მათ წმიდათა ემსგაესა, რა-  
მეთუ იცის ცეცხლმანცა შეკდიმებად წმიდათაგნ, რამეთუ ბუნებად  
თვსი სრულიად დაივიწყა და მორჩილ ექმნა წმიდასა მას. ხოლო  
რად ვთქუა ამის ყოვლად საკვრველისა კაცისათვს, რომელი-იგი  
30 ზეშთა ჰმატს სხუათა წმიდათა საკვრველებითა, რამეთუ მათ წმი-  
დათაგან მან თითოეულმან თითო ნიეთი დაიმორჩილნებს: ერთმან  
მან ჰაერი<sup>2</sup> და მეორემან ცეცხლი, ხოლო მან საკვრველმან კაცმან,  
ნიეთნი ორნი მორჩილ თვსსა ყო. ვიტყვ უკუ მიწასა და წყალსა.  
რამეთუ მიწად თვნიერ რომლისავე სათხროლისა და მკუეთელისა  
35 თვთ თავით თვსით დაღრმდებოდა და ლბილი იგი და ჭუშმსრბოლი  
წყალთა ბუნებად უვალსა და უჩუცელსა გზასა სრბით მავალობდა,

1 აჟერი B. 2 აჟერი A, ჸერი B.

1 ყველს B. 2 აღგილსა B.

მორჩილქმნილი კუერთხსა მას წმიდისასა და უფროსად პრანებასა მისა, რამეთუ ერთი იგი ემსგავსა პეტრეს, ვითარცა ვიტყოდე, ჰაერისა! დამორჩილებითა, და მეორე სამთა მათ ყრმათა ცეცხლისა უქმად გამოჩინებითა, ხოლო წმიდად ესე დიდსა მას ღმრთისმხილველსა მოსეს, წყალთა რაინდისა.

5

არამედ მე კუალად მოვატცვ თხრობასა ჩემსა და ვიტყვ, ვითარმედ ამის შორის უზეშთაესი მაღლი იხილვების და უაღრესი საკურველებად საცნაურ იქმნების, რამეთუ მათ, რომელთაცა ქმნება<sup>2</sup> დიდი იგი საკურველებანი ძუელთა შინა, პირველ ქრისტეს მოსლვისა, გინა ახალსა შინა შემდგომად ქრისტესა, შემდგომად საკურველებ/ისა ადრე მიიღეს აღსასრული, ხოლო ამის მიერ ქმნილი ესე საკურველებად ჰგიეს სამარადისოდ, აღუჭოცელად და წარუვალად დის და ახარებს ყოველთა მის კერძოთა აღვილთა კაცთა და საცხოვართა და შემოჰკრებს<sup>3</sup> ერთად დიდებად შემოქმედისა და ბუნებათა დამბადებელისა.

10  
261

ესევითარი საკურველებად იხილეს რაა მუნ მყოფთა ქრისტეანეთა და გარემოს მკლდრთა ქალაქთა და სოფელთა და შეესმა ყოველთა კიდეთა ქართლისათა სასწაული ესე უცხოე, აღიდებდეს დამბადებელსა ყოველთხსა და ბუნებათა და წესთა უცხოდ შემცვალებელსა და განმაძლიერებელსა მოშიშთა და მოყუარეთა მისთასა და იტყოდეს: „დიდებად მისა, რომელმან ჰყეის<sup>4</sup> საკურველი მხოლომან“. ხოლო პატრიაქი იგი წმიდად მუნ მყოფი, მხილველი ამათ საკურველებათა, მიიქცა მცხეთად აღვებული სიხარულითა და თანანუებინის ცემითა. ამათ წმიდათა მიერ მაღლობდა ღმერთსა, რომელმან მრავლითა სახიერებითა და ჩუენდა მომართითა მდიდრად წყალობათა მოავლინა ქუეყანისა ამას ჩუენსა მნათობნი ესე, დიდი წყარონი საკურველებათანი, მდინარენი უხუებით მომდინარენი სწავლათა სამრთოთანი, მომრწყველნი ყოვლისა სოფლისანი, სუეტნი და სიმტკიცენი ეკლესიათანი, საფუძველნი მართლმადიდებლობისანი, სიქადულნი და სასონი ქრისტეანობისანი, სათნოებათა კანონი და ძეგლნი ღმრთისმსახურებისანი. „დიდება შენდა, დიდება შენდა, დიდება შენდა ღმერთო ყოვლისა მპყრობელო და სიბრძნით განმგებელო ყოველთაო, რომელმან ესოდენი მაღლი და ნიჭი უხუებით მოგუფინენ და ესრეთ შემიყუარენ ჩუენ ცოდვილნი და უღირსნი მონანი ესე შენნი“. ესევითარი და უმეტესი ამისა მაღლობანი აღავლინნა. კათალიკოზმან ღმრთისა

20

25

30

35

1 ჰერისა B. 2 ქანეს B. 3 შემოუკრებს A. 4 ყვის B.



მიმართ და მის თანა ყოველმან ერმან, რომელთა იხილეს და რომ მელთა ესმა ესევითარი სასწაული.

ხოლო ამისა შემდგომად განძიყარნეს მუნ შეკრებილნი იგი და თვე-თვესა ადგილდ მიიქცეს. ხოლო წმიდად იგი თვესსავე მას მო-  
5 ლუაწებისა სარბიელსა იწყო საგრობად და უმჯურვალესად მწყსი-  
და სამწყსოსა თვესსა და სწავლითა კეთილითა ზრდიდა მისდა რჩმუ-  
v ნებულთა ერთა, ზედამსწერდა მიმ/ოვლიდა დაბათა და სოფელთა  
10 და ისწრაფდა განფხურად ძირსა ცოდვისასა და ეკლესიათა განაშ-  
ტყიცებდა და ხუცესთა და დიაკონთა დაადგენდა და ყოვლისა წვალე-  
15 ბისა და ურწმუნობისა ძირითურთ ისწრაფდა განფხურად და მრა-  
ვალთა და ურიცხუთა სასწაულთა მსგავსად მოციქულთა ჰყოფდა  
და ყოვლით კერძო მოსწრაფე იყო მოქცევად ცოდვილთა და  
ფრიადუა მოსწრაფე იყო, რამთა არავინ დაშთეს გარეგან ბავისა  
ქრისტეს მცნებათასა. ესრეთ აღვსებული დღეთა კეთილთა და  
20 ტვრთითა სათნოებათამთა გარდაცემული სიბერედ მიწვნენული ის-  
წრაფდა განკსნად საკრელთაგან ჭორცასა და მისლვად სასურ-  
ველსა მას თვესსა და შერთვად გუნდსა ყოველთა წმიდათასა და  
უფროოსად ერთ გუნდსა და მსგავსთავე მისთა მწყობრსა თანა წმი-  
დათა მღდელომოძღუართამსა და ჩუენებად პირსა შემოქმედისა.  
25 თვესისასა. ეუწყა წინათვე განსლვად თვესი ჭორცათაგან. დღესა ერთ-  
სა შემოქრიბნა<sup>1</sup> მოწაფენი თვესი და ყოველი მწყობრი ეკლესიისა,  
მრავალნი სულთა სარგებელნი სწავლანი წმრმოუთხრნა და განვტ-  
კიცნა და შეკურნა ლოცვითა და ობეჭდნა ჭუარისწერითა და მერ-  
მელა უბრძანა მოხუმა წმიდათა და უხრწნელთა საიდუმლოთა, ეზია-  
25 რა და ზე აღიძყრნა ჭელნი ლოცვითურთ და იტყოდა: „უფალო,  
ჭელთა შენთა შევვეღრებ<sup>2</sup> სულსა ჩემსა“ და ესრეთ შეისუენა  
თუესა აგვსტისა იტ. ხოლო განისმა რაა პამბავი ესე, მორბიოდეს  
ყოვლით კერძო და თვთ კათალიკოზი და ყოველნი მუნ მყოფნი  
ეპისკოპოზი და წმიდანი იგი მამანი მის თანა მოლუაწენი და სხუ-  
30 ანი ყოველნივე, რომელთა ესმა ესე, მუნ შემოქრებოდეს და ის-  
წრაფდეს თითოეული დიდითა სურვილითა და სარწმუნოებითა  
შეახლებად მისა. და მრავალთა უძლურთა მიიღეს კურნებად მის  
მიერ მას დღესა შინა, რომელნიცა სარწმუნოებით შეეხებოდეს.  
ხოლო მრავალმოლვაშე იგი გუამი მისი თვთ კათალიკოზმან და

1 შემოქრიბნა A. 2 შევვეღრებ B.

წმიდათა მღდელომოძღვართა და სხუათა წმიდათა მამათა შიშით  
და კრძალულებით დაკრძალნეს მუნკე\*, საღიღებელად წმიდისა  
სამებისა და ერთარსებისა, რომელსა შეენის ყოველიცე ღიღება.

შესხვა[ც]! წამებაა მიღისა და დიდებულისა მოჯამისა 228  
არჩილისი, გაფისა მის კართველთასა, რომელი იყო  
ნათესავი და ტომი ხუასროვანთა საარსთა გაფისა და  
იჯამა ჩართლს შინა პიჭუმ მძლავრისა მიერ,  
რომელსა ეროდა ასემ\*\*.

ბრწყინვალე არს და დიდებულ ქსენებაა ყოველთა მოწამეთა,  
რამეთუ მათ ადიდეს ღმერთი ასოთა თვეთა მიერ, რაუამს-იგი განი-  
ცადებოდეს ცეცხლითა და მახვლითა და სხვთა ფერად-ფერადითა  
სატანგველითა და მოსწყდებოდეს სიყვარულისათვს ღმრთისა.  
ამისთვის ღმერთმანცა ადიდნა იგინი თავისა თვესისა თანა დიდებითა  
მით ჩუენგან მიუგონებელითა და მიუთხრობელითა თქმულისაებრ  
წინასწარმეტყუელისა, ვითარმედ: „მე მაღიდებელნი<sup>2</sup> ჩემნი ვა-  
დიდნე და შეურაცხის-მყოფელნი ჩემნი შეურაცხვევნე“<sup>3</sup>. მოვედით  
ჩუენცა, მარტვლომიყუარენო და უფრომსად ღმრთისმოყუარენო,  
კეზიარებოდეთ ქსენებასა მოწამეთასა, ნუუკუ და ჩუენ მიერცა  
არა ულირს იჩინონ დიდებად და ქებად, რამეთუ დაღაცათუ იგინი  
საუკუნოდ დიდებულ არიან, არამედ ჩუენცა თანამდებ ვართ დი-  
დებად მათდა და ქებად ძალისაებრ, რამეთუ ძალისაებრნი გულს-  
მოდგინებანი მათ მიერცა მისათუალველ არიან, რამეთუ ზეშთა სა-  
ხიერსა მეფისა მსგავსად ესენიცა სახიერნი და ტკბილნი არიან, რა-  
მეთუ ჰენებავს წმიდათა, რამთა, სადაცა მეფიშ მათი იდიდებოდეს,  
ეგრეთვე მსგავსად ესენიცა მის თანა იდიდებოდენ და ჩუენ შემს-  
ხმელთა და მაღიდებელთა მათთა ნიჭთა უხრწელთა უხუცით  
განგვყოფდენ და მაღლთა უშერდელთა მდიდრად მოგუფენდენ,  
რამთა მობაძვად სიმწნეთა მათთა გამოგუაჩინენ, ბრძოლად უხი-  
ლავთა მათ მტერთა და სურვილად საუკუნომთა მათ კეთილთა მოს-  
წრაფედ აღგუადგინნეს.

\* მომღერენო ტექსტის ბოლო სტრიქონი დაწერილია მხედრულით, არა ბესა-  
რიონის ხელით. B-ში არ არის.

\*\* ხელნაწერები: S—3269 (1720-იანი წლ.), B: A—170 (1733 წ.).

<sup>1</sup> შესხვა AB. <sup>2</sup> მაღიდებენი B. <sup>3</sup> შეურაცხვენე A, შეურაცხვეუნე B.

10-

15-

20-

25-

30-



რამეთუ ქუეყანისა მეფეთაცა თქს ეყვის, რამთა სპუტნიკი  
მეცნიერება მათი უცველთა მიერ იძარივებოდინ, რამეთუ პატივინი  
მათი თავისიად პატივად შეურაცხის. ამ ვინამთვანი ესრეთ თანამ-  
დებ ვართ მოწამეთათვს ქებისა შეწირვად, მოვედით, მოჩქმუნე-  
ნო, განვაწყოთ ხორო შემასხმელთა და მედლესასწაულეთა და უძ-  
ნობდეთ დიდსა ამას მოწამეთა შორის მნათობსა, რამეთუ ვინ არს  
ესრეთ დიდებულ და სახელოვან ბრწყინვალებითა ღუაწლთათვა  
და წარჩინებულ/გვრცნოსნობითა, ვითარ ჩუენ ესე მოწამე, ვიტუკ  
უქუე ჩუენსა ამას სახელოვანისა მეფეთა შორის და წარჩინებულ-  
10 სა თვთმპყრობელთა შორის და უფროხსალგ ბრწყინვალესა გუნდ-  
სა შორის მოწამეთასა სამზნის სანატრელსა არჩილს. ვიცი, რამე-  
თუ ყოველნი მეწამნეთ სიმწნესა და სიქველისა მისსა შუენიერება-  
სა და ახოვანებასა მისსა, ტომ-კეთილობსა და შარვანდედითა მე-  
ფობისათა ზეშთა ქმნილობასა მისსა და სხუათა მრავალთა რამთმე-  
15 უხუებასა სიკეთეთა მისთასა, არამედ ესე არარად არს მის თანა,  
არცა რად საქმარ, რამეთუ ესე ყოველი დაუტევა და ნაგევად შე-  
რაცხა საუკუნოსა მისთვს დიდებისა და წარუვალისა მეფობისათვს  
სივრცე ქუეყანისა, სიმდიდრე ზღვსა, საუნგეთა სიმძიმენი, სამეუ-  
ფონი ტაძარი და გვრცნი, თვსნი და ტომნი, ცოლი და შეილნი და  
20 სხუამ, რაცა ითქმის და მოიგონების სოფლისა ამის საშუებელთა-  
განნი, ვითარცა მტუერი უნდოხ, ეგრეთ განყარა და ვითარცა ნა-  
✓ გევი განაბნია სიყვარულისათვს ქუეყანისა და იგი მხოლო შეიყუა-  
რა და ყოველისა განმსყიდვებან იგი მხოლომ<sup>4</sup>, ვითარცა ბრძენან  
ვაჭარმან, მოიყიდა და მისთვს დადგა სული თვსი. არამედ ჩუენ  
25 ძალისაებრ ვიტუოდით ღუაწლთა მიმართ სიმჯნით განწყობასა  
მისსა მძლავრისა მიმართ სიტყვს-გებასა და სიუდილისა მიმართ  
უშიშოებასა და თუ ვითარ ახოვნად გვრცნოსან იქმნა. დალაცათუ  
ყოველნი მაქებელნი თვსნი ძლეულად გამოჩინებულ არიან, რამე-  
თუ ღირსებითა ქებათა ვერავინ მეადრე ქმნილ არს, თვნიერ მის  
30 უამისა წმიდისა ეპისკოპოსისა ლეონტი მრუელისა, რომელსაცა  
მისი სანატრელი ცხორებად და ღუაწლი ვრცელად აღუწერია, ვი-  
თარცა მოგვთხოვთს მატიანე ქართველთა ცხორებისა. არამედ იგი  
უამთა მიმყოვრებითა ვიდრე ჩუენდამდე არა მოწევნილ არს, არცა  
გვეხილავს, არამედ მისივე ქართველთა ცხორებისაგან, რომელი  
35 მისთვს სულ მცირედ წერილ არსა, ანუ თუ ზეპირით საჩინოობს

<sup>1</sup> ვინამთვან B. <sup>2</sup> ღუაწლთათა B. <sup>3</sup> უფროსად B. <sup>4</sup> მხოლო B. <sup>5</sup> ვერვინ B.

უამთა სივრცისაგან ვერ დაფარული ბრწყინვალებად ღუაწლთა მის გადამდებრებისა და საფლავიცა მისი ჩუენ შორის ყოფი დუმილით მღალადებელი სიმჯნეთა მისთა. ამისთვის მცირედისა რამა მარტო და კნინოლენისა ვიკადრე/შეცა უნდომან და გლაზაქმან ამან აღწერად მისთვის ძალისაებრ ჩემისა და არა თუ სიდიდისაებრ სიმჯნეთა მისთასა და ბრწყინვალებისა. რამთა არა უმეტესმან დუმილმან უღრმესსა და ვიწყებასა მისცეს ბრწყინვალე იგი ღუაწლი მისი და ჩუენ დაგუჭირდეს დიდი იგი შესაძინელი ორკემოთა ნიჭთა უხუებისანი.

აწ მოვედით, ღმრთისმოყუარენო, მოყვენით ყურნი თქუენნი და გულშმდგინედ ისმინეთ: ესე სამგზის სანატრელი არჩილი იყო, ვითარცა უწყით, ყოველთა მეფე ქართველთა, რომელსა სრულიად ეპყრა საზღუარნი ყოვლისა საქართველოსანი ანაკოფსით ვიდრე დარწყმანდმდე. იყო ნათესავი დიდთა მეფეთა ხეასროვანთა დიდისა მეფისა ვახტანგის ძეთა ძე, მეხუთე შეილისშვილი, ძე სტეფანოს მეფისა. ამისათვის ვაჭსენ ნათესაობად მეფეთა და თვთმბყრობობამ, რამთა ამით უმეტესად<sup>2</sup> გამოვაჩინო დიდებულებად მისი, თუ ვითარ ესრეთ ნაგვევად შერაცხა ესოდენნი ესე დიდებანი და საწუთოსა<sup>3</sup> ამის სიმღიდრენი და სუფევანი.

მომეცით კადნიერებამ, რამთა ვთქუა რამე მცირედი არა უცხოდ აღსაჩენელი თქუენისაცა გულისკმის-ყოფისა, დაღაცათუ უცხო არს ესე, რომელსა მეგულების თქუმად.

რამეთუ ავდენნი გასმიერთ ყოველსა ქუეყანასა შინა დიდნი იგი წმიდანი მოწამეთა საჩინონი ბრწყინვალებანი, ვითარ იგი დიდებულ არიან და ქებულ ანგელოზთა და კაცთა მიერ, არამედ მე ესრეთ ვპერებ, ვითარმედ ესე მათ ყოველთა შორის უმეტესი თა საჩინოებითა ბრწყინვანეს.

რამეთუ არა სადა სმენილ არს თვთმბყრობელთა მეფეთა შოწამებამ, ვითარ ჩუენი ესე მოწამე სამგზის სანატრელი არჩილ. დაღაცათუ დიდნი არიან და საჩინონი სხუანი მოწამენი სასწაულთა და საკურველებათა მიერ ზეშთა გამოთქმისა<sup>4</sup>, არამედ სხუან არს სისხლი მეფისა და სხუან მკედრისა, სხუან მთავრისა და სხუან მონისა, არამედ რომელი იგი არს აღმწონელი და ყოველისა გამოძიებელი თუალუხუავითან მით განკითხვათა მსჯავრითა მან უწყის ასე ყოველი, არამედ თქუენ მეორედ მელოდეთ რაითა უწინარესი და დასაბამნი ღუაწლისა მისისანი წარმოგითხრნე<sup>5</sup> და მერმე გამოგისახო დიდი იგი ღუაწლი მისი, თუ ვითარ აღირჩია ნებსით

<sup>1</sup> მცირედისად B. <sup>2</sup> უმეტესად A. <sup>3</sup> საწუთოსა B. <sup>4</sup> ვაშოთქმისად B. <sup>5</sup> თუალუხუავითა A. თუალუხეთა B. <sup>6</sup> წარმოგითხრე B.



თვისით დადგება თვეისა თვესისა. და თუთ უწოდებელად იქმნა მსხუ-  
ერპლ წმიდად და საკურორთო უბიწოდ და თუ ვითარ სისხლითა თვესი-  
v თა განაშუენა/ეკლესიანი ჩუენი და ვითარ მძლე ექმნა ხილულთა  
და უხილველთა მტერთა და სისხლითა თვესითა ყო მშვდობად ქართ-  
5 ველთა შორის, ანუ პირველ, ანუ უკანასკნელ.

რამეთუ ემსა მას ოდეს მიშუებითა ღმრთისათა გამოსაც-  
დელად<sup>2</sup> ქრისტეანეთა გამოჩნდა ცრუ იგი მოციქული სარკინოზთა  
შორის, ბილწი იგი სჯულისმდებელი მოჰამედ, ვითარცა იტყვს  
მისთვის მოციქული პავლე, ვითარმედ: „ვინახთგან არა შეიწყნარე-  
10 სო სიყუარული<sup>3</sup> ცხორებისა, კეშმარიტი იგი სიბრძნე მოუვლინოს  
სული საცოტურებისა, რამთა ჩრდენესო მისი და მით დაისახნენო“.  
ესევითარი რად უკეთურებისა საცოტი გამოჩნდა თანა-შეწევნითა  
ეშმაკისათა, მყის განეფინა<sup>4</sup> გესლი იგი საცოტურებისა მისისა მრა-  
15 ვალთა თესლთა შორის, რომელთაცა წმიდათა მოციქულთა ქადა-  
გებად არა შეეწყნარა, რომელთა იგი სიტყუად ცხორებისა უქა-  
დაგეს ყოველსა სოფელსა.

ხოლო შემდგომად სიყუდილისა ცრუისა მის მოციქულისა დიხ-  
წულმან მისან ყრუმან, რომელსა მურვანცა ეწოდებოდა, ალიზა-  
ხა ყოველთა ქრისტეანეთა ზედა, ვითარცა ლომბან მძნვარემან და  
20 ვითარცა მჯეცმან ბოროტმან და პირველად მოიწია საქართველო-  
სა ზედა ფრიადითა რისხვითა და გულისწყრომითა დიდითა, რო-  
მელსა ყვა ლაშქართა სიმრავლე ურიცხვ, რომელსა ვერ იტევდა  
ქუეყანა ესე. მაშინ წმიდად ესე ჭერეთ ჭაბუკ იყო პასაკითა<sup>5</sup> მისის  
მისისა უხუცესისა თანა, რომელსა ეწოდა მირ, რამეთუ ორნი ესე  
25 ძმანი მირ და არჩილ მეფობდეს სრულიად საქართველოსა ზედა.

ხოლო მოწევნასა მას მურვან ყრუსასა ივლტოდეს აფხაზეთად,  
რამეთუ ვერვინ შემძლებელ იყო წინა-დადგომად სიმრავლისათვის  
ლაშქართასა. ამისთვის შიში დიდი მოიწია ყოველთა ქრისტეანეთა  
ზედა. ხოლო შემო-რა-ვიდა ქართლად. შემუსრა ყოველივე შეხე-  
30 ბული და სიმაგრენი საქართველოსანი და გარდავიდა იმერეთად და  
ალიგსნეს ყოველივე არენი იმერთანი და ვერლარა იტევდა სიმრავ-  
ლითა. ხოლო ესე ორნი ძმანი მიივლტოდეს აფხაზეთად, და მუნ-  
შეწყუდეულნი იმალვოდეს. და უსჯულო იგი დაბანაკებულ იყო  
ეგრის წყლით ვიდრე ცხენისწყლამდე. ხოლო წმიდად იგი არჩილ

1 მიშეუბითა A, მიშეებითა B. 2 გამოსაცლელ A, გამოსაცლელ B. 3 სიყ-  
ვარული B. 4 ამსაკითა AB.

\* მომდევნო „მცირელთა უამთა“ გადახაზულია A.

და მირ ეველტებოდეს ღმერთსა და უბიწოსა დედოფალსა ღმრთის-შშობელსა, რამთა მოუვლინოს/მათ შეწევნა მის მიერი, და იქსნეს იგინი ჯელთავან მათთა. მაშინ ისმინა ღმერთმან ლოცვად მართალ-თაა, რომელი-იგი განმზადებულ არს შეწევნად მოშიშთა სახელისა მისისახთა.

ღამესა ერთსა გამოუჩინდა წმიდად დედოფალი ღმრთისშშო-ბელი წმიდა არჩილს და პრქუა: „ალდეგ და ებრძოლე უსჯულოთა მათ, რამეთუ ანგელოზი უფლისად წინა წარვიძლუეს თქუენ და თქუენ წილ უფალი ბრძოლის“. მაშინ აღდგეს ორნი ესე ძმანი, მარ და სანატრელი არჩილ, მცირედითა ტაძრეულითა კაცითა და რა-ოდენიმე სხუანიცა კაცნი ეპოვა მათ და მიჰმართეს მათ ზედა მინ-დობითა ღმრთისამთა და შეწევნითა ყოვლად წმიდისა ღმრთისშ-შშობელისათა და დაესხნეს! ღამე იგი და მონანი მისნი მათ ზედა-მასვე ღამესა მოუვლინა ღმერთმან უსჯულოთა მათ ქარი სასტიკა და წვმა მძაფრი, ვითარცა იგი პირველ მეგვპტელთა ზედა, და ალ-დგეს მდინარენი იმიერ და ამიერ და ერთმან მან მდინარემან წა-რილო მკედრობად იგი, რომელი მიერ დაბანაკებულ იყო, და მიე-რითგან ეწოდა მდინარესა მას ცხენისწყალი და მეორემან მან მკერცხლი ერისა და ეწოდა მდინარესა მას აპაშა. და მათცა, რა-ოდენი ძალ-ედვა, დაიწყეს კოცვად და სრვად, არამედ სიმრავლი-საგან არა დააკლდა, რამეთუ მსგავს იყვნეს ფურცელთა ხისათა.

ესე რა იქმნა, ვერლარა დადგეს მუნ, არამედ ალიძრნეს მუნით, ჩავლეს გურია და წარვიდეს მისლვად სამეუფოდ ქალაქეად კოს-ტანტინეპოლედ, არამედ მუნცა რისხვითა ზეგარდამომთა ზოუასა შინა დაინთქნეს.

ხოლო ესე ორნივე ძმანი მეფენი ქართლისნი მოიქცეს შშვდო-ბით და იწყეს შენებად საქართველოსა თემთა, რამეთუ ძლიერად განერვნა უსჯულოსა მას.

შემდგომად ამისა წარჩდეს რაა ორმოცდათნი წელნი, კუალად მოვიდა უსჯულოა ჭიჭუმ, რომელსა ეწოდა ასიმ, იგიცა ნათესავი მოპმედისი. მანცა მოაონრა და შემუსრა ყოველი სიმაგრენი ქარ-ლისანი<sup>1</sup> და ეკლესიათა იწყო ძცევად და ოკრებად. და მიჰმართა შესლვად კახეთად, რამთამცა მოაონრა იგიცა და უმკუდრო ყო. და იყო შეში დიდი მეფეთა და მთავართა ზედა და ყოვლისა ერისა, რამეთუ ვერვინ შემძლებელ იყო წინა-აღდგო/მად. რამეთუ ვინა- v 35

1 დაესხნენ A. 2 ქართლისანი] საქართველოსანი B.

მოგან განერყუნა ყრესა მას. დაღთუ გარდაევლნეს ქამნი მრავალნი მშედობით, არამედ არღარა მოგებულ იყო კუალსა თვესსა.

ხოლო წმიდამან არჩილ შემსგავსებულად<sup>2</sup> სიმწნისა და ახოვნებისა თვესისა, და უფრომასად ვოჭუა, კეშმარიტი ფრიადისა მის ღმრთისმასახურებისა მისისა და ცეცხლებზ მოტყინარისა მის სიყუარულისა\*, რომელი ქუნდა ღმრთისა მიმართ, განიზრახა განმრახვად<sup>4</sup> კეთილი, არა უმსგავსომა სიქველისა მისისა, რამთა მივიდეს წინაშე ჰიკუმისა და დადგას სული თვესი ესეოდენთა ქრისტეანეთათვს მსგავსად<sup>5</sup> მეუფისა, ვითარ-ივი მან დადგა სული თვესი ჩუენთს. ეგრეთვე ამან ნეტარმან ესრეთ განიზრახა და ესრეთუა ქმნა, რამეთუ მოსლვასა მას ჰიკუმისასა, უხუცესი ძმა?<sup>6</sup> მის ნეტარისად<sup>8</sup>, რომელსა ეწოდა მირ, აღრევე გარდაცვალებულ იყო და არა დაეტევა ძე წული და ესე იყო მონაცვალე მეფობისა მისისა. მას უამსა იქცეოდა ოფხაზეთად ესე ნეტარი. ხოლო განმრახვად ივი ესე იყო, რამთა მივიდეს და ეზრახოს მძლავრისა მას უღმრთოსა მშედლისათვს<sup>7</sup> ქუეყანისა და დაცუვისათვ<sup>9</sup> ეკლესიათასა უვნებელად და არცალ იძულებად დატევებისათვს სჯულისა. და უკუეოუ ესრეთ არა იქმნეს, რამთა წამებისა მიერ გვრგვნითა უხრწნელებისათა შემცირ თავი თვესი და სისხლითა თვესითა განაშუენს ეკლესია ქრისტესი. რამეთუ იტყოდა წმიდამ. ივი, ვითარმედ: „უმჯობეს არს სიკულილი ჩემი, ვიღრელა კუალად განრყვნად ეკლესიათა ქრისტესთა და ოჯრებად ქუეყანისა ამის“. რამეთუ აღირჩია მსგავსად<sup>10</sup> ქრისტესა, ვითარცა ვოჭუ, სულისა თვესისა დიდებად საგსრად. ქრისტეანეთათვს, მსგავსად ქრისტესსა და ეგრეთუა იქმნა. რამეთუ, ვითარცა სისხლმან ქრისტემან, რომელი ჩუენთვს დაითხია, გვკსნნა ყოველნი ჸელთაგან<sup>11</sup> ეშმაკისათა. ეგრეთვე სისხლმან ამისმან, მობაძეად მქსნელისა ჩუენისა დათხეულმან, იქსნნა მას უამსა კელთაგან უსჯულოსა მის მძლავრისათა და ვიღრე აქამომდე იქსნის ეკლესიათა ჩუენთა, რამეთუ ვითარცა მდინარემან დიდმან მრავალ უამ დაგუბებულმან და მერმე გამოშუებით ზედა მიტევებულმან წარიღის ყოველივე წინა-დამთხე/ეული, ეგრეთვე სისხლმან მისმან წმიდამან ქრისტესთვს დათხეულმან ეკუეთა რამ მძლავრისა მას უკეთურსა, წარიღო და უკუნ-აქცია უსჯულო ივი მტერი ქრისტესი და ესოდენი ივი სიმრავლე მხედრობისად მისი-

<sup>1</sup> განერყვნა A. <sup>2</sup> შემზავსებულად B. <sup>3</sup> განიზრახა B. <sup>4</sup> განმრახვად B.

<sup>5</sup> უშეგავსო ა B. <sup>6</sup> მზგავსად B. <sup>7</sup> ძმა B. <sup>8</sup> ნეტარისა B. <sup>9</sup> დაცვისათვს B. <sup>10</sup> მსგავსად B. <sup>11</sup> ჸელთა B.

\* შემდეგ გადაშლილია „მისისა“ A.

სამ. და უკუეთუმცა ესე ესრეთ არა ქმნილ იყო, სრულიადმცა<sup>5</sup> აღ-  
კოცილ იყო საქართველოსა შინა ქრისტეანობამ, რამეთუ უმეტე-  
სითა გულისწყრომითა და უმძვნევარესითა რისხვითა, უფრომს  
ყრუმასა მის, ესე ბორგდა ჩუენ ქრისტეანეთა ზედა და ენება მოს-  
პოლევამ ჩუენი

წარმოვიდა მიერ და მოვიდა ჭიჭუმის თანა, რომელსა ეწოდა  
ასიმ. და ვითარცა ცნა მოსლვად სანატრელისა ამის, განიხილა  
ფრიად, აღდგა და მიეგება წინა და ღიღითა ღიღებითა და სიხა-  
რულითა უზომოხთა შეიწყნარა და, ვითარცა შუენოდა<sup>6</sup> ღიღებუ-  
ლებასა მისსა, ეგრეთ პატივით მოიკითხა. და დღე იგი დაყვეს 10  
ერთობით და აქო სიკეთე და სისრულე პასაკისა მისისა და უფ-  
რომასად შუენიერებად პირისა მისისა. და შეუყუარდა ქცევა და 15  
წესიერებად მისი. და ღიღითა ღიღ-ღიღითა ანიჭებდა, რამეთუ ღისტყა იყო  
სანატრელი ესე ზეშთა ღიღებულებისა და პატივისა არა ხოლო  
თუ ოდენ მეფობითა და გუართა სიმაღლითა, არამედ უფრომსად  
შესახულებითა და ანაგებთა ბრწყინვალებითა, და უმეტესად ჭეშ-  
მარიტი ითქუმოდენ, შინაგანისა სულისა ბრწყინვალებითა და სათ-  
ნოებათა სიკეთითა. რამეთუ იცის სათნოებათა სიკეთემან შეკლი-  
მება უღმრთოთაცა, ვითარცა იგი გასმიერს დანიელისათვეს წინა-  
წარმეტყუელისა, ვითარ-იგი განბრწყინდა ქალღეველთა შორის, 20  
ეგრეთვე ესე შძლავრი დაღაცათუ უღმრთო იყო, არამედ სიკეთისა  
მისისაგან და ღიღებულებისა კედიმებოდა და პატივსცემდა და  
გონებდაცა უგუნური იგი პატივთა მათ მიერ და ნიჭთა მრავალ-  
თა აღთქუმითა<sup>7</sup> აკუთუნოს ახოვანი ესე მჩედარი ქრისტესი, რამე-  
ლი-იგი თვთ ნეფსით თვსით უწიდებელად მოსრულ იყო, რამთა 25  
იქმნეს მსხუერპლ წმიდად უფლისად და საკუერთხ<sup>8</sup>, უბიწოდ შე-  
წირულ. ამისა შემდგომად იწყო ლიქნით სიტყუად მისა და ცოტ-  
ნებად და აწუევდა დატევებასა/ქრისტეანობისასა და აღუთქმიდა  
ნიჭთა ღიღ-ღიღითა, რამთა აკუთუნოს იგი, და წინა-უყოფდა პატივ-  
თა და საშუებელთა საწუთომსათა<sup>9</sup> და მეფობათა და წელმწიფე-  
ბათა მამა-პატურთა, უკუეთუ იქმნეს სარკინოზ და ერჩდეს სჯულ-  
სა ცრუ მოციქულისა მათისასა, რომელი ესე სმენადცა ძნელ უჩნდა  
ნეტრანსა მას. და არცალა თუ გონებით მოსაგონებლად, რამეთუ 30  
გონებითა განიცდიდა კეთილთა მათ საუკუნეთა, და მიხედვიდა ღი-

1 სრულიადცა B. 2 შესწოდა A, შვენოდა B. 3 აღთქმითა B. 4 საკურთხ, B.

5 საწუთოსათა B. 6 ჭელმწიფობათა A.



დებათა და პატივთა მოუგონებელთა და მიუწლომელთა, რომელი  
მიელის მოყუარეთა ღმრთისათა და მოთმინეთა სახელისა მისისათა.  
და მტკიცითა გონებითა და უშიშითა სიტყვთა მიუგო და ეტყოდა:  
„ნუ იყოფინ ჩემდა სმენადცა სიტყუად ეგე შენი, მ მძლავრო, ვი-  
5 თარმცა დაუტევე\* ქრისტე ღმერთი ცხოველი, რომელი იგი ოს  
ღმერთი ჰეშმარიტი ღმრთისაგან ჰეშმარიტისა, ძე დაუსაბამოხსა  
მამისა და თანასწორი ყოვლად წმიდის სულისა, რომელი იგი უკუ-  
ანასქენელთა ღლეთა ქსნისათვს კაცთა ნათესავსა გარდამოყდა ზე-  
ცით და ჭორცი შეისხნა ყოვლად უბიწოსა ქალწულისა მარიამი-  
10 საგან და ჩუენგან მიღებულითა მით ჭორცთა სიკუდილი დათ-  
მინა და დაეფლა და იღდგა ღმრთებისა ძალითა და მაღლდა ზე-  
ტად და მის თანა აღმაღლა ბუნებად ჩუენი და კუალად მომავალ  
არს ღიდებითა ღმრთივ-შუენიერითა განსჯად ცხოველთა და მკუ-  
დართა და მოგებად კაცად-კაცადისა საქმეთა მათთაბრ. და უკუ-  
15 ეთუ ვისმინო შენი, უწყოდე, ვითარმედ „შემდგომად მცირედისა  
მოვკუდე მეცა თქუენებრ! სიკუდილითა ბოროტითა და საკუნოდ<sup>2</sup>  
ვიტანჯებოდე. და უკუეთუ შენ მომქლა სახელისათვს მისისა, მის  
თანაცა აღვდგე და მის თანა ვიდიდო და მის თანაცა ვსუფლევდე სა-  
უკუნოდ და დაუსრულებელად“. და ესრეთ მოყლითა ამით სიტყვთა  
20 ღმრთივ-შუენიერად გამოუსახა საიდუმლოდ ჩუენისა ცხორებისა  
და განგებულებად განკაცებისა მისისა და მყის განუკუეთა ნებად  
25 იგი მისი საეშმაკოდ და უსიტყუელ-ყო ბილწი იგი მთავარი/და მის  
თანა სირცეკლეულ-ყო მთავარი ბნელისა<sup>3</sup> ეშმაკი, მომპოვნებელი  
იგი ყოვლისა ბოროტისაძ. ხოლო ანგელოზთა ესმა რად ეს აღ-  
30 სარებად, განიხილეს და აღტყუელვითა კელითათა აქეს განმაძლი-  
ერებელი მოწამისაძ და შესახმიდეს ახოვენებასა და უშიშად კად-  
ნიერებასა<sup>4</sup> მოლუაწისასა, ხოლო ქრისტე თანა-მღებ ექმნა კაღნი-  
ერად აღმსარებელსა მისსა წინაშე მეფეთა და მთავართა, რათა  
მანცა აღიაროს წინაშე დაუსაბამოხსა მამისა თვისისა და წინაშე ან-  
გელოზთა მისთა წმიდათა.

ხოლო ესმა რად მძლავრსა მას უკეთურსა ყოველი ეს სიტ-  
ყუანი მოწამისანი და იხილა სიმტკიცე მისი შეურყეველი, დაუკ-  
ურდა ფრიად. და შესცვალა სიმშვდე მისი რისხვად და ზაკუეით<sup>5</sup>  
მოპოვნებულნი ლიქნანი გულისწყრომად არა შეიკლიმა დიდებულე-

1 თქვენებრ B. 2 საქოდ A, საქდ B. 3 ბნელისა+ბნელისა B. 4 კაღნი-  
ერებმას A. 5 ზაფით B.

\* შემდეგ გადაშლილია „სკულ“ A.

ბისაგან მისისა, არცა პატივს უ შუენიერებასა მისია, არამედ მყინი უბრძანა შეპყრობად მისი და წარგზავნა იგი\* საპყრობილედ მრავალითა ჭირითა და იწროებითა, რამეთუ ჰეონებდა იგი, ნუ უკუე შიშითა სატანჯველთამთა მოღრიელს შეურყეველი გონებად მისი, რამეთუ ღონისძიებით ისწრაფდა გარდაქცევასა მისია. ხოლო წმიდაა იგი სიხარულით და არა მწუხარებით მივიღოდა<sup>1</sup> საპყრობილედ პირითა მხიარულითა, ვითარ თუმცა სასძლოდ მიიწოდებოდა და არა საპყრობილედ, და მაღლობასა აღუარებდა ღმერთსა, რომელ ღირს იქმნა სახელისათვს მისისა ესევითარსა აღსარებასა წინაშე მეფეთა და მთავართა და მერმე მისთვის პყრობილებასა. და ვითარცა მივიღოდა საპყრობილედ, მგზავრ გალობდა ფსალმუნთა დავითისთა და იტყოდა: „აღგმალლ შენ, უფალო, რამეთუ შემივედრე მე და არა ახარე მტერთა ჩემთა ჩემ ზედა“. და ვიღრე დასრულებადმდე სრულ-ყო ფსალმუნი ესე და შე-რა-ვიდა ღილევსა მას ბნელსა, იწყო უმეტესითა გულსმოდგინებითა ლოცვად და ვედრებად ღმრთისა მიმართ, რამთა არა მოუქლურდეს აღსარებისა მისგან და სრულ იქმნეს უ წამებად მისი და ითხოვდა შეწევნასა მის მიერსა, რამთა მრავლითა მით მოწყალებითა მისთა ღირს/ყოს ნაწილსა მკედრობისა წმიდათა თანა სუფევასა შინა დაუსრულებელსა, რომელთა იგი სიკუდილითა სანატრელითა უკუდავებად<sup>2</sup> მოიგეს. კუალად იხარებდა იგი სულითა და მაღლობდა ღმერთსა და უფროხს პალატთა სამეფოთა განისუენებდა მას შინა მხიარულებით შეკრული კელით და ფერქით ჯაჭვთა მრჩობლითა და ეცონდა უსჯულოსა მის სიცბილსა და პნატრიდა აღსასრულსა მართალთასა და ლოცვიდა მიმდემად და ზედავსზედა, რამთა არა დაიხრწიოს მტერისა მიერ ბოროტისა წინამდებარე იგი ლუაწლი მისი, არამედ მოწამესა ძალი მაღლისა ზეგარდმო ფარვიდა და მელავი უფლისად შეეწეოდა და განაძლიერებდა, ხოლო საპყრობილესა მას შინა ზეგარდამოჩუენებანი და ანგელოზთა ხილვანი და ნუგეშინისცმნი და განძლიერებანი უამთა მიმყოერებითა ჩუენგან ზედა-შიწევნით უსმენელ იქმნა.

ხოლო მძლავრი იგი ბოროტი განიზრახვიდა<sup>3</sup> ფრიად. თუ ვითარ რომლითაცა ღონითა მიაქციოს სჯულსა მისია, რამეთუ არა ენება სიკუდილი მისი შუენიერებისათვს ხატისა მისისა. და სიმაღლისათვს და სისრულისა ჰასაკისა მისისა, რამეთუ კორცომო-

30

25

v

5

10

15

35

35

1 მიერთოდ A. 2 უკუდავება B. 3. განიძრახვიდა B.

\* „იგი“ ჩამატებულია გადაშლილი „ბრძანა“-ს მაგივრად A.



ყუარე იგი და მსგავსი პირუტყუთა უგუნურთა წორულობადა<sup>1</sup> გა-  
ნიზრახვიდა<sup>2</sup> და პირუტყულად ხედვიდა და გარეშე კორცო ფე-  
როვნებასა აქებდა და დაუკარდებოდა ყუავილოვნება იგი სახისა  
მისისად. და ყოვლადვე უმეცარ იყო უგუნური იგი შინაგანსა მას

- 5 შუენიერებისა სულისა მისისასა, რომლისა სიკეთესა წინაწარმეტ-  
ყუელი განკვრვებით იტყოდა: „უფალო, ეც სიკეთესა ჩემსა ძალი“. ამის სიკეთისათვს იღუწოდა ახვანი იგი, რამთა უბიწოდ დაუმარ-  
ხოს უკუდავსა მას სიძესა, რამთა მის თანა სუფევდეს სასძლოსა  
მას ზეცისასა და მის თანა გამობრწყინდეს, ვითარცა მზე აღთქუ-  
10 მისა<sup>3</sup> მისებრ უტყუველისა სასუფეველსა მამისა, მათისასა, და  
ცხორებად ესე წარმავალი და დიდებად და სუფევად ქუეყანისა, ვი-  
თარცა მტუერი, განეყარა და არარად შეერაცხა.

- მაშინ უკუე წარმოდგა მთავარი ერთი გარდაბანელი, მიქცეუ-  
235 ლი საკინოზად, წინაშე ასიმისა, რომლისა მამის ძმად მისი მო/ეკ-  
15 ლა წანართა და მელეელნი იგი მისნი განერინნეს მშვიდობით პაპასა  
არჩილისასა, ადარნასე მეფესა. ამისთვის უკუე შერი იგო გარდაბა-  
ნელმან მან მთავარმან უკეთურმან და ჰრეჯა ასიმს: „არა უწყია,  
დიდებულო მთავარო, თუ ვინ არს ესე არჩილ? ესე არს ძე სტე-  
20 ფანოზ მეფისა, ნათესავი დიდისა მეფისა ვახტანგისი, რომელი იყო  
შვილისშვილი მირიან მეფისა, ძისა ქარესი<sup>4</sup>, მეფისა მის სპართა-  
სა. და ესე იყო მამისა თვისისა თანა, რაეამს-იგი დაპოლვიდეს სა-  
განძურთა სამეფოსა ქართლისასა. და იგიცა ყოველივე იცის, რო-  
25 მელ ჰერაკლე<sup>5</sup> მეფებინ ბერძენთ მან დაფლა საგანძური თვისი, რა-  
მეთუ ჰერაკლეცა<sup>6</sup> უჩევნებდა სადა-იგი დაჭლვიდეს“.

- 30 მ უსჯულოსა მას შემასმენელისა, მ ბოროტა მას განმზრახსა<sup>7</sup>.  
ვითარ ემსგავსა იუდას განმცემელსა და არა ჰრცხუენოდა პირვე-  
ლისა მის თვისისა განდგომილებისაგან და მერმე სჯულისა უარის-  
უოფისათვს. და იქმნა იგი შინა-განცემელ, არა შეიკდიმა პატიოსნე-  
ბისაგან მისისა და ესევითარისა მის კეთილისა პატრონისა თვისისა  
და არარას მავნებელისა და ესრეთ ალსძრა მის ზედა მძლავრი იგი  
უსჯულო და ალსჭურა სიკუდილად მისა. დაღაცათუ მას ნეტარსა  
ფრიადითა წადიერებითა აღრევე სუროდა სიკუდილი ქრისტესთვს,  
რათმაცა აღრე მიემთხოს სასურველსა თვისსა, არამედ, ვად  
მისთვის, რომლისა მიერ მოვიდეს საცოტრი სიტყვასებრ უფლისად.
- 35 ესმა რამ ესე ყოველი ასიმს გარდაბანელისა მიერ, ჭუალად

1 მზგავსი B. 2 განძრახვიდა B. 3 აღთქმისა B. 4 ქარესი B. 5 ჰერაკლე B.  
6 ჰერაკლეცა B. 7 განძრახსა B.

მოუწოდა წმიდა არჩილს საპყრობილით და წარმოადგინა წინაშე თვისა და ესრეთ ეტყოდა: „პირველ თუალ-გახუენ! სიეტისათვეს შენისა, რამეთუ ფრიად-ქმნულ-კეთილ ხარ, ხოლო აწ მითხრეს შენთვს, ვითარმედ შეილი ხარ დიდთა მეფეთა ხუასროვანთა და, ვინათვან ესე მეუწყა შენთვს, აწ უმეტესად განსდიდნე ჩემ წინაშე, უკუეთუ ისმინო ჩემი, და იყოს ყოველი სამეფო შენი შენდავე და საგანძურნიცა მამათა შენთანი მიგანიჭნე შენვე, არამედ მიჩუნენ/პირველად საგანძურნი მეფეთა ბერძნეთანი, რამეთუ შენ უწყინი ყოველი, ოდეს ჰერაკლე<sup>2</sup> მეფემან შემუსრო<sup>3</sup> სპარსეთი და საგანძურნი იგი მიერ მოხუმულნი დაფლნა საქართველოსა შინა. აწ 10 ჟიქეც სჯულსა ჩემსა და იქმენ სარკინოზ და სპასალარ გყო შენ ერთა ზედა ურიცხუთა და მეფე და უფალ ყოველსა საქართველოსა ზედა“.

და სხვთა მრავლითა ლიქნითა ეტყოდა და კუალად ნიჭთა და პატივთა დიდ-დიდთა ალუთქუმიდა<sup>4</sup>. და ფრიად აიძულებდა წმიდასა მას უარის-ყოფად ქრისტესა და დატევებად სარწმუნოებისა.

მაშინ მიუგო წმიდამან არჩილ და ეტყოდა: „უწყოდე მტკიცედ. მ მძლავრო, ვითარმედ არა დუტეო უფალი ღმერთი ჩემი, არცა უარ-კუოთ სახელი ქრისტესი, არცა განვყიდო წარუვალი იგი დიდებად წარმავალისა ამის და ცუდისა დიდებისათვს, არცა განვსცვალო საწუთოსა<sup>5</sup> ამის ცხორებისათვს საუკუნოდ იგი ცხორებად და მეფობისათვს უამიერისა უეამოდსა მისთვს ქრისტეს თან მეფობისა და სუფევისა. ხოლო საგანძურთა მათოვს, რომელსა ეძინებ ჩემგან, უწყოდე, ესეცა მტკიცედ, რამეთუ მცირე ვიყვა ჰასაკითა, ოდეს-იგი განვლო ქუეყანად ესე ჰერაკლე<sup>6</sup> მეფემან. ხოლო მამამან ჩემმან და ძმამან ჩემმან დასხნეს ყოველნი საგანძურნი მათი ციხესა მას, სადამთ-იგი შეიძცა ყრუდ ამირა, და აწ აქუსთ ციხე იგი ბერძნეთა“. მერმე მიუგო ასიმ და პრექა წმიდასა მას: „შენ უკუე იყავა დაცემასა მას სარკინოზთასა აფხაზეთს შინა?“ მიუგო წმიდამან არჩილ ბრწყინვალითა და მაღლითა კმითა: „ღმერთმან ცხოველმან, რომელი არს შემოქმედი ცათა და ქუეყანისამ, როშელი-იგი მოვიდა ზეცით ქუეყანად ქსნისათვს კაცთამსა და სიკუდილითა თვისითა მოკლა მკულელი ჩუენი და ჩუენ მოგუანიჭა უკუდაცებამ, მან უკუე ძლიერმან და ყოვლისა შემძლებელმან დასცნა და შემუსრნა იგინი“.

<sup>1</sup> თუალ-გახუენ A, თუალ-გახუენ B. <sup>2</sup> ჰერაკლე B. <sup>3</sup> შემუსრა A. <sup>4</sup> ალუ-ჭმიდა B. <sup>5</sup> უარ-კუო B. <sup>6</sup> საწუთოსა B. <sup>7</sup> ჰერაკლე B.

5

4

10

15

20

25

30

35



ესმა რად ესე უსჯულოსა მას, აღივსო გულისწყრომითა<sup>1</sup> და უცყრობელითა, არღარი სიმშვდით პირველისაებრ და ლიქნით ებრახა<sup>2</sup>, არცალა აღთქუმითა და ქადებითა ნიჭთა და პატივთამთა,  
284 არამედ მქანინვარედ და საზე ბოროტებით მიუგო წმიდასა მას.  
5 „ვინამთვან არა გნებავს ცხორებამ თავისა შენისა და უმჯობესი შენი და მოკუდავისა მიმართ დაგიც სასოებამ, ჯერარს, რამთა შენცა  
10 მოკუდე<sup>3</sup> ბოროტად“. მაშინ აღივსო სამგზის სანატრელი სიხარულითა და მიუგო წმითა მაღლითა და პრქუა: „მეყავნ მე და ყოველთა მეგობართა ჩემთა სიკუდილი ჩუენთვს მომკუდარისა მისთვის  
15 მეუფისა, რამთა მისთანაცა ვსუფევდეთ“. მაშინ ბრძანა უსჯულო-  
მან წარკუეთა თავისა მისისამ.

და ესრეთ უმსჯავროლენებანსცა მისთვს სიკუდილისა განჩინებამ, არა პრიდა სიკეთესა მისისა, არა შეიკავია დიდებულებისაგან წარ-  
15 ჩინებულებისა მისისა. განიყვნეს გარე ტარიგი იგი ქრისტესი, ნებ-  
სით<sup>4</sup> მოსრული იგი საკურთხეო შესაწირავად უფლისა<sup>5</sup>, რამთა შე-  
იწიროს სულად სულნელად<sup>6</sup> საკურთხეველისა მას ზეცისასა. და გა-  
მოვიდა პირითა მხიარულითა, ვითარცა სასძლოდ მიმავალი და არა  
20 თუ სიკუდილად. და ეგრეთცა ჯერ-არს თქუმად, რამეთუ ზეცისა სასძლოდ მიიწოდებოდა ქრისტეს თანა სულვად და დაუსრულებე-  
ლად მეფობად და ბრწყინვიდა პირი მისი, ვითარცა პირი ანგელო-  
ზისამ.

მაშინ მცირედ დრო ითხოვა, რამთა ილოცოს. და ვითარცა დრო  
სცეს, მოიღრიკნა მუკლი და ცრემლით იატაქსა ზაალტობდა. და  
25 მერმე წელნი აღიძყრნა ზე და დიდად მადლობასა აღუარებდა მე-  
უფესა, რომელ ღირს იქმნა ესევითარსა აღსარებასა სახელისა მი-  
სისათვს და სიკუდილისა<sup>7</sup> და ილოცა დაცისათვს ეკლესიათასა და  
საქართველოსა შინა გაძლიერებისათვს ქრისტეანობისა. და მერმე  
30 ილოცა მეულლისა და შეიილთა თვესთათვს, რამთა სარწმუნოებასა  
შინა ქრისტესა დაემტკიცნენ, რამეთუ ორნი ქენი ესხნეს ამას ნე-  
ტარსა და ორნი ასულნი და იგინი პირველივე შეპვედრნა სარწმუ-  
ნოთა კაცთა. და კუალად ილოცვიდა და იტყოდა: „უფალო ღმერ-  
თო, რომელნი აქსენებდენ ლუაწლთა ჩემთა და სახელითა ჩემ ცოდ-  
ფილისა მონისათა შენისათა გევედრებოდიან, აღუსრულე ჭოველი

<sup>1</sup> გულისწყრომითა B, <sup>2</sup> ეძრახა B, <sup>3</sup> აღთქმითა B, <sup>4</sup> მოჟკდე B, <sup>5</sup> უმაროდ

A, <sup>6</sup> ნეფსით B, <sup>7</sup> უფლისამ B, <sup>8</sup> სრუნელად B.

\* „სიკუდილი“ შემდეგ გადაშლილი „მშეთა“ A.

კეთილი თხოვად მათი და აღავსენ იგინი უხუებითა კეთილთა ნიჭითა შენთამათა". და მერმე ილოცვიდა და მკურგალედ ევედრ/ებოდა, რამთა ღუაწლი მისი სრულ-ყოს და აღრაცხოს სრულთა წმიდათა თანა, რომელთა მისთვეს სიკუდილი თავს იდვეს, და რამთა ღირს იქმნეს გვრგვისა ზეცისა ჩინებისასა. და ვითარცა სრულ-ყო ლოცვად იგი, აღდგა ზე და მერმე წარუპყრა ქედი თვისი და უბრძანა, რამთა სრულ-ყონ ბრძანებული მთდა.

ხოლო მტარვალთა აღმაღლნეს მარჯუენე მათი და უხეთქნეს ქედსა მახვლითა და ესრეთ წარკუეთეს თავი იგი ღმრთივ-შუენიერი თუესა მარტსა ოცხა. და აღვიდა უკუდავსა მას ცხორებასა, სადა იგი ბრწყინავს ნათელი თუალთშეუდგამი და მჯედრობანი უკორცოთანი დაუცხრომელითა წმითა ღალადებენ სამგზის წმიდა და გალობასა, სადა იგი არს სიხარული გამოუთქუმელი!, შუება დაუსრულებელი, დიდებად მოუგონებელი და სიმღიდრე დაულევნელი და ოხრად დღესასწაულთა მოუკლებელი, სადა იგი სუფევენ გუნდი წმიდათა მოციქულთა და წინაწარმეტყუელთანი, სადა იგი ზაღიკობენ მღდელთ-მოძღვართა და მამათა სიმრავლენი და წმიდათა მოწამეთა აღურიცხუელი<sup>2</sup> მჯედრობათა ბრწყინვალებანი და ღმრთივ-შუენიერად განსცხრებიან, მუნ შეერთო და მუნ იხარებს და მუნ იშუებს ძელითა მით ცხორებისათა და აღივსების სიტყბოებითა მით მიუწდომელითა და ხედავს პირსა ქრისტესა უსაზღუროსა<sup>3</sup> მას შუენიერებასა და ზეშთა ყოველთა სიკეთეთასა და განიცდის დიდებასა მას მოუგონებელსა წმიდისა და განუყოფელისა სამებისა ერთლმრთეებისასა თვნიერ სარკისა და სახისა და სხეუათა მათ მოუგონებელთა კეთილთა შინა იშუებს და განსცხრების, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა თვსთა, რომელი თუალმან არა იხილა, ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუკდა და ჩუენთვეს ჰყოფს მეოხებასა წინაშე მეუფისა, რომელნი აღვასრულებთ სურკილით დღესასწაულსა მისსა.

ხოლო, ვითარცა აღესრულა ღუაწლად შემოსილი იგი მოწამე, მას ღამესა მოვიდეს<sup>4</sup> გოდერძინნი იგი ტბელნი და მათ თანა სხუანიცა აზ/ნაურნი მამანინ. და იდუმალ აღილეს გუამი წმიდისა არჩილისნი, წარმოილეს და შემურნეს [და] დიდთა პატივითა დაქრძალეს საფლავსა შინა სოფელსა ნოტოკრას, მის მიერვე აღმენებულსა ეკლესიასა. ხოლო ცოლმან ამის ნეტარისამან უბოძა სოფ-

1 გამოუთქუელი B. 2 აღურაცხუელი B. 3 უსაზღროსა B. 4 მოვიდნეს B.  
5 მამანი AB. 6 შევამსხმილეთ A.

ლები კახეთს შინა სამკუდრებელად, რომელთა მოელო გუამი ჭმი-  
დისა მოწამისა არჩილისნი.

ხოლო აწ ჩუენცა, მორწმუნენო, ვადიდებდეთ ღუაწლითშე-  
მოსილსა ამას მოწამესა და სიმწნეთა და ახოენებათა მისთა შევამს-  
ხმიდეთ და უფროხსად განმაძლიერებელსა მისსა და გვრგვნოსან  
5 მყოფელსა მოწამეთასა, ქრისტესა თაყუანის-ესეებდეთ, რომელმან  
ესრეთ აღიდა მოწამე თვისი. და ესრეთ ბრწყინვალედ გვრგვნოსან  
ყო. ჩუენცა შევზაოთ სურვილი სურვილსა მისსა და გულსმოდგი-  
ნებად გულსმოდგინებასა მისსა და სიყუარული სიყუარულსა მის-  
10 სა თანა, რომელი აჩუენა ღმრთისა<sup>1</sup> მიმართ, რამთა ჩუენცა ვი-  
დიდნეთ მის თანა. და უკუეთუ ესე არა იქმნეს, ესეცა დიდ არს,  
უკუეთუ ვიხილოთ შუენიერებად იგი წმიდათა და ჩუენცა გუაქუნ-  
დეს რამე ნაწილი მათ თანა. დალაცათუ არავინ ვაიძულებდეს წა-  
15 მებად, არამედ წინა-ალუდგეთ ეშმაკასა, რამეთუ მარადის გუაიძუ-  
ლებს უარისყოფად ქრისტესა საქმეთა მიერ ბოროტთა, მოვაკუდი-  
ნეთ ასონი ქუეყანისანი, დავთრგუნნეთ გულისოქუმანი ბო-  
როტნი და გემონი საწუთოსანი<sup>2</sup>, შეურაცხ-ვყვნეთ ანგარებისა  
მძლავრებად და ვეცხლისმოყუარებისა სურვილი, მოვიმაღლოთ  
20 ღმერთი მიცემითა გლახაეთადთა და შემოსითა შიშუელთადთა<sup>3</sup>, მო-  
ვიგოთ სიყუარული უზავეველი, რამთა ჩუენცა შემიყვარნეს უფალ-  
მან ტებილმან და სახიერმან და გუადიდნეს წმიდათა თვისთა თანა,  
რამეთუ უშურველ არს მადლი მისი, რომელნი ხადიან მას და რო-  
25 მელნი ხადიან მას კეშმარიტებით, რამეთუ მისი არს დიდებად და  
პატივი დიდ შუენიერებად და დიდ გონიერებად უფალსა ჩუენსა და  
ღმერთსა იესუ ქრისტესა ძესა ღმრთისსა თანა დაუსაბამოდთ მამით  
მისით და ყოვლად წმიდით სახიერით და ცხოველსმყოფელით სუ-  
ლითურთ. აწდა მარადის და დაუსრულებელთა მით საუკუნეთა  
უკუნისამდე, ამინ.

<sup>1</sup> ღმრთისად AB. <sup>2</sup> საწუთოსნი A, საწუთროსნი B. <sup>3</sup> ვიშუტლთა A, ვიშ-  
ტლითამთა B.

დანართი

ცარიცალი  
გამზღვიული

## გაბრიელ მცირე

ცხოვრება და მოქალაქეობა ღირსისა და ნეტარისა 193  
მამისა ჩვენისან სევამოსან ღინიშვნებისან\*.

გვაკურთხეო მამაო

5

ლმერთმთავარმან სულმან ჰეშმარიტებისამან, რომელი იტყო-  
დის ჩუენ<sup>4</sup> შორის, ვითარცა მომცეს პირი და სიბრძნე, ეგრეთცა  
აღვწერო<sup>5</sup> ლვაწლი წინამდებარისა ამის ღირსისა კაცისა, რამეთუ,  
რომელნი სათნოდ ღმრთისა გამოსჩინდეს, სახელები მათი დაწერა  
ცათა შინა წიგნსა მას ცხოვრებისასა და ჩუენცა ქუეყანასა<sup>6</sup> ზედა  
არა უდებ-ეპყოთ<sup>7</sup>, რათა არავინ სთქუას<sup>8</sup>, ვითარმედ: „პირეველნი  
მამინი მხოლოდ გამოჩნდეს<sup>10</sup> ძლიერად მოვლაშენი და უამთა ამათ  
ჩვენთა არავის ძალ-უძს“ და უდებებად მოვიდეს. არამედ იგივე  
ლმერთი არს და იგივე სახარება იქადაგების და მათებრივე ჭორც-  
ნი გვმოსიეს, დაღათუ ღდენ ვინ მოუხდეს გულითა ჰეშმარიტთა  
მაცხოვარებასა ღმრთისასა, ვითარცა ესერა ისმინეთ.

იყო კაცი აზნაური ქუეყანასა ქართლისასა და სახელი მისი  
ოთარ. ესე იყო მდიდარი ფრიად და/ესუა ცოლი სახითა ქმნულ-  
კეთილი და შეილნი შესაბამ მისსა, მონანი და მხევალნი, აგარავი  
და ხუასტანგი უხვებით.

და ქუნდა უაღრესი სიმდიდრე სულისა — სტუმართმოყვა-  
რებამ, უცხოთშეწყნარება, გლახაეთმოწყალება და ყოველთა ჭირ-  
ვეულთა ნუეგემინისცემა. და სადაცა იხილნის მონაზონნი, ეგრეთ  
პერნებენ, ვითარმცა თვით ნათლისმცემელი იხილა და შეიყვანის  
იგინი სახიდ თვალი და დაბანნის ფერჯნი და განუსვენებნ კეთილად  
და პერთხან მათ მეტყველი: „პატიოსანნო მამანო, მარქუთ მე,  
ვითარი არს მეუდამნოეთა მონაზონთა ცხოვრება“<sup>9</sup> და ვითარცა ის-  
მინოს მათგან, თვითცა მობაძავ იქმნის მათდა, რამეთუ შინაგან  
კვართისა შთაიცვის ძაძამ, ხოლო გარეგან შეიმოსის ფერვანნი სა-

1 ჩვენისა B. 2 ცქემლისან A. 3 ონისიფორესი AB. 4 ჩუენ B. 5 მომცეს  
მე B. 6 აღვწერო A. 7 ქვეყანასა B. 8 უდებ-ეყოთ B. 9 თქვას B. 10 გამოსჩი-  
დეს B.

\* სკონაწერის ბოლოეს № 8 (R. XVIII, 2 (XVIII ს.) B. II—136 (XVIII ს.).

მოსელნი და იმარხავნ იგი და ილოცავნ და უვეღრებინ ღმრთისა, რათა ლირს ჰყოს იგიცა ცხოვრებისა მონაზონთასა.

- 195** და იყო დანერგულ გულსა შინა მისისა სიყვარული ღმრთისა<sup>1</sup> „ვითარცა მარცუალი<sup>2</sup> მდოგვისა და დღითი-დღედ<sup>3</sup> სათნოებათა.
- 5 წარმატებითა ოღონიძინდა იგი და იქმნა ხე დიდ ვიღრემდის მოვიდენ<sup>4</sup> მფრინველნი ცისანი და დაადგრეს<sup>5</sup> რტოთა მისთა“. ესე იგი არს, მოვიდენ ანგელოსნი<sup>6</sup> ღმრთისანი და დაიბანაკეს გარემოს მოშიშ-თა მისთა.

- 10 ხოლო მან ესრეთ<sup>7</sup> ოღტრფობილმან სურვილითა ღმრთისათა ვერლარა თავსიღვა ამბოხება სოფლისა მის და პრექუა<sup>8</sup> სჯულიერ-სა მეუღლესა თვესისა: „დედოფალო ჩემო, კეთილად უწყი, ვითარ-მედ უოველივე სიხარული სოფლისა მის მივიღეთ. ამა, სიკუდი-ლი<sup>9</sup> მოწევნულ არს ჩუენდა და მართალმსაჯული<sup>10</sup> უფალი ახლოს არს. აწ მნებავს მე უარისყოფა<sup>11</sup> სოფლისა და შედგომა ქრისტე-15 სი. ამის პირისათვე ვითხოვ კეთილ მორწმუნეობისაგან<sup>12</sup> შენისა<sup>13</sup>, რათა შენდობა მოვიღო თქუენ უოველთა<sup>14</sup> მიერ და მოტევება ბრალთა ჩემთა ნებისითოა და უნებლიერთა“.

- 196 ხოლო კეთილად გულისქმისმყოფელმან დედაკაცმან არა ჰსცა<sup>15</sup>. დაბრკოლება კეთილისა ორჩევისაგან/, არამედ მისცა მას შენდობა-20 გელიოწერილით, დუმილსა<sup>16</sup> ცრემლითა დამალტობელი ქარტისა.. ესე რა მიიღო, წარმოემართა ოთარ ქალაქიდ ტფილისისა და-25 თანა ჰყვნეს<sup>17</sup> ორნი უხუცესნი ძენი თვესნი, ხოლო მუნ ყოფასა მის-სა აქმნია სამოსელი სამონაზონო ყოვლითურთ და განვიდა ქალა-30 ქით, ძეთა თვესთა ამბორს უყოფდა მეტყველი: <sup>18</sup>: „შვილნო ჩემნო-25 საყვარელნო, ესე არს დღე აღსასრულისა ჩემისა, ესე არს მიცვა-ლებამ ჩემი და ესე არს უკანასკნელი ამბორის-ყოფად თქმუენი<sup>20</sup> და იყვენით მშვიდობით უფლისა მიერ“.

- 30 ხოლო იგინი აღივსნეს ცრემლითა მდუღარითა და დავარდეს ფერწა ქვეშე მისთა და ერყოდეს: „რად არს საკიდუმლო ესე და-40 ფარული, რომელი არა გვიცნობის აქამომდე, პატიოსანო მამაო? ჩვენცა ფერწა ქვეშე მოვეუდებით და არა სადა განვეშორებით, თუ დაგვიტევება<sup>21</sup> ჩუენ ობლად“. ხოლო იგი პლოვიღდა და ეტყო-45 და: „მამა თქვენი ღმერთი არს, რომელ არს ცათა შინა/, მას

1 ღ—სა AB. 2 მარცუალი B. 3 დღითი-დღე B. 4 მოვიდეს B. 5 დაადგრენ B. 6 ანგელოსნი. B. 7 ესრეთ—B. 8 პრექუა B. 9 სიკუდილი B. 10 მართალ-მსაჯუ-ლი B. 11 უარ-უოფა B. 12 მორწმუნებისა B. 13 შენისა] თქვენისაგან B. 14 უო-ველთა—B. 15 სცა B. 16 დუმილით B. 17 ჰყვანდა B. 18 ~ სამონზანო სა-მოსელიB. 19 შეტყვალი] და ეტყოდა B. 20 თქუენი—B. 21 დაგვიტეობ B.

პმსახურებდეთ სიმართლით<sup>1</sup> და იყვარებოდეთ<sup>2</sup> ურთიერთას<sup>3</sup> და პატივისცემდით მშობელსა თქუენსა დედასა, რათა დღეგრძელ იყვნეთ ქუეყანისა ზედა და თქუენცა პატივების იქმნეთ შეილთა თქუენთაგან<sup>4</sup>.

ესე<sup>5</sup> რა ესმათ<sup>6</sup> მათ, უკუმოიქცეს<sup>7</sup> ცრემლითა და გლოვითა, ხოლო იგი წარემართა გზასა თვესსა და მიიწია მონასტერსა წმიდისა დავით გარესჯისას<sup>8</sup>. და იყო მას უამსა მოურნე და მამა მის მონასტრისა კაცი გულითადი ღმრთისა არჩიმანდრიტი გერმანე. ვითარცა იხილა წინამდებუარმან ესე მომავალი მისდა, შეიწყნარა<sup>9</sup> კეთილად და პრეტუ კრებულსა თვესსა, ვითარმედ: „კაცი ესე დიდსა საზომსა მიწევნად არს, რამეთუ აწვე გამოსვლვით<sup>10</sup> სოფლით ალუსრულებიეს სიტყვა წმიდისა<sup>11</sup> სახარებისა, რომელსა ბრძანებს<sup>12</sup> უფალი<sup>13</sup>: „რომელმან დაუტეოს<sup>14</sup> სახლი ანუ ცოლი ანუ შეილნი, ანუ აგარაკი სახელისა ჩემისათვეს, ას წილად მიიღოს და ცხოვრება საუკუნო დაიმკვიდროს“. და ნუ ჰეონებთ და იტყვით, ვითარმედ კაცი ესე გარდასრულ არს უამსა სიჭაბუქისასა/, რამეთუ კუალად ბრძანებს<sup>15</sup>, ვითარმედ მრავალნი იყვნენ პირველნი უკანა და უკანანი წინა<sup>16</sup>.

და<sup>17</sup> ყოვლად ღირსმან არჩიმანდრიტმან არა მრავალთა დღეთა შემდგომად ალკვეცა და შემოსა მას სახე ანგელოსთა მობაძავობისა<sup>18</sup> და უწოდა სახელად ონოფრი<sup>19</sup> და შერთო იგი მწყობრსა მონაზონთასა და ალრაცხა ძმათა შორის.

ხოლო იგი ნეტარი<sup>20</sup>, ღამბარხველი მცნებათა<sup>21</sup> მოძღვრისა თვესისათა<sup>22</sup>, შევიდა ასპარეზსა მოლვაწებისასა, რამეთუ<sup>23</sup> აქუნდა სიმდაბლე ფრიადი, მორჩილება — უცილობელი და შრომა დაუტევებელი მოლვაწებისა.

და<sup>24</sup> ყოვლად ბრძენი არჩიმანდრიტი ჰედვიდა<sup>25</sup> რა ყოველსა ზედა გულსმოდგინებასა მისსა და წადიერად ალსრულებად წესსა მონაზონებისასა, მოიხსენა სიტყვა იგი<sup>26</sup> კლემაქსსა<sup>27</sup> შინა წერილი, ვითარმედ: „თანა-აძს მწყემსსა, რათა უძიოს მოწაფეთა თვეთა

<sup>1</sup> სიმართლით B. <sup>2</sup> იყვარებოდით B. <sup>3</sup> ურთიერთარს B (ყოველთვის). <sup>4</sup> ეს B. <sup>5</sup> ესმა B. <sup>6</sup> უკმოიქცეს A. <sup>7</sup> გარესისა B. <sup>8</sup> შეიწყნარა+იგი B. <sup>9</sup> გამოს-ვლით B. <sup>10</sup> წმიდისა B. <sup>11</sup> ბრძანებს] იტყვის B. <sup>12</sup> უფალი B. <sup>13</sup> დაუტეოს B. <sup>14</sup> პრძანებს B, ბრძანებს+უფალი B. <sup>15</sup> და] ხოლო B. <sup>16</sup> მობაძავობისა] მონა-ზონობისა B. <sup>17</sup> ონოფრი AB. <sup>18</sup> ნეტარი B. <sup>19</sup> მცნებასა B. <sup>20</sup> თვისისასა B. <sup>21</sup> რამეთუ] და] B. <sup>22</sup> და] ხოლო B. <sup>23</sup> ხედვიდა B. <sup>24</sup> იგი B. <sup>25</sup> კლემაქს A.

მიზეზი გვირგვინოსნებისა, რაზომცა შემძლებელ იყვნეს<sup>2</sup> თავს  
დებად<sup>3</sup>.

და ამის პირისათვს ოდესმე ეკლესიისაგან<sup>4</sup> ექსორია/ჰყვეს<sup>5</sup>,

- 199** მრავალგზის განხადის უკუმელად ტაბლისაგან, ოდესმე მონასტრი-  
5 თცა<sup>6</sup>, თვენიერ ყოვლისა<sup>7</sup> ბრალისა, რამეთუ გამოსცდიდა მას და  
გვირგვინსა მოთმინებისასა უთხზვიდა. ხოლო იგი უდრტვინველად  
შეკრული სიყვარულითა მწყემსისათა სიყვარულისათვს ქრისტე-  
სისა შეუტრდის ფერწოთა მხურვალითა ცრემლითა და ითხოვინ მო-  
10 ტევებასა და ეტყვიან: „შემინდევ სახიერო მამაო, რამეთუ შევს-  
ცდეთ“.

ესენეტარი ონოფრი, თვით შშვიდი და მყუდრო, ვითარცა იყო  
მოყვარე მყუდროებისა, მარადის ილოცავნ მყუდროებასა შინა ღა-  
მისასა და განთიად<sup>7</sup>, შემდგომად ცისკრისა<sup>8</sup> გალობისა, განვიდის  
მონასტრით ვიდრე ორგ უტევან, და არს მუნ ხევი რამე<sup>10</sup> და ხევ-  
15 სა მას შინა სენაკი მყუდროო, რომელ არა რამ ისმოდა<sup>11</sup>. არცალა  
თუ ჭმარ სირისა, და მუნ დასჯდის დღე ყოველ და იყითხავნ ფსალ-  
მუნსა, გულისკმის-ყოფითა იგლოვნ<sup>12</sup> და სტირნ<sup>13</sup> გარდასულთა  
ეამთათვს და ჰყვის მეტანია შრომისათვს ჭორცოთასა. და დარეკასა<sup>14</sup>

- 200** მწუხერისასა კუალად მოვიდის მონასტრად და შევიდის ეკლესიად<sup>15</sup>  
20 გულითა შემუსარვილითა და სულითა დამდაბლებულითა და მწუხერი-  
თი-მწუხერად მცირედ სახრდელი მიიღის და იგიცა ლიტონი პური  
და წყალი და მრავალგზის იმარხის ორ-ორით და ოდესმე სამ-სამიო  
და ეამსა დიდმარხეისასა<sup>16</sup> ხუთეულიცა<sup>17</sup> გარდავლის უშმელად.

ესევითარითა სათნოებითა შეკურვილი და მორჩილებითა მა-

- 25 მისათა განვიდა სტადიონად ბრძოლად სულთა მათ მიმართ უკე-  
თურებისათა, რომელი არიან ცასა ქვეშე და შთაგვდო თავი თვისი  
ლავავასა, მას კლდისასა, რომელი შორავს მონასტრით ვითარ სამ<sup>18</sup>  
უტევან, და იყოფოდა მუნ ფიცხელითა მოღვაწებითა ორმეოც დღე  
30 და ორმეოც ღამე. გამოიცადებოდა ეშმაკისაგან, ხოლო სულთა მათ  
ბოროტთა არამცირედი ბრძოლა აღადგინეს მის ზედა, გარნა<sup>19</sup>  
მხერმან<sup>20</sup> მან<sup>21</sup> ძლიერებითა ჭუარისათა უკუნ-აქცივნა მანქანებანი
- 201** მათნი და დასცა უძლური იგი ძალი მათი. და ესრეთ/სრულმყო-

<sup>1</sup> გვირგვინოსნობისა B. <sup>2</sup> იუნენ A. <sup>3</sup> ეკლესიისაგან A. <sup>4</sup> უვის B. <sup>5</sup> მონას-  
ტრით B. <sup>6</sup> ყოვლისავე. <sup>7</sup> განთიალ] განრიალ B. <sup>8</sup> ცისკრის B. <sup>9</sup> ორ] სამ B.  
10 რამე B. <sup>11</sup> ისმის B. <sup>12</sup> იგლოვნა B. <sup>13</sup> ტიროდა B. <sup>14</sup> დარეკასა B.  
15 ეკლესიად A. <sup>16</sup> დიდმარხეისასა] მარხეისასა B. <sup>17</sup> ხუთეულიცა] შეიღეული-  
ცა B. <sup>18</sup> სამ] ორ B. <sup>19</sup> გარნა] არამედ B. <sup>20</sup> მხერმან — B. <sup>21</sup> მან — B.

ფელი ორმეოცისა მოიქცა მონასტრად ბრწყინვალითა გვირგვინის გადასახლება.

ამისა შემდგომად ეველრა ღმრთივ სულიერსა მამასა, რათა 5  
შელ-ჰელს სხუასაცა მოღვაწებასა აღსრულებად და, ვითარცა მიიღო ბრძანება, შეაყენა თავი თვისი სენაკისა, რომელი არს წმიდისა დავითის საფლავისა<sup>2</sup> შთასავალისა<sup>3</sup>: საშუალ, სენაკი ბნელი და ყოვლად უნათლო, და დაჲყო მუნ დაყუდებულმან უმრავლესითა ღვაწლითა არმეოც დღე და ორმეოც ღმენე. ხოლო სატანა იგი, ვითარცა ას მთავარი ბნელისა, განძლიერდა სიბრძლესა მას შინა და მოიმარჯვნა<sup>4</sup> ყოველზი მანქანი და წარმოაცარიელნა<sup>5</sup> სამსალანი 10  
თვესი მის ზედა, გარნა იგი ეგო უმტკიცეს ანდამატისა შემოსილი სიმღაბლითა, გარემორტყმული<sup>6</sup> მორჩილებითა და გოდებით მგლოვარე ხსენებითა სიკუდილისათა. ესრეთ რა სრულ ჰყო რიცხვი დღეთა ძლევაშემოსილმან, მოეგო კუალად თვესავე სენაკისა და ძალითი-ძალად აღსლვითა ზესთა ექმნა ნივთთა საწუთოასთა, 15  
რამეთუ მოიძა/გა სოფელი და აღვირ-ახსნა ჭორცთა თვთა და 202  
სძლო გუნდსა<sup>7</sup> ეშმაკთასა.

და შემდგომად ამისას<sup>8</sup> ღმენა ერთსა შემოესივნეს ულთონი 20  
ლექნი მონასტერსა მას და მოახხეს, ეკლესიისა<sup>9</sup> სიმღაბლი იავარ-ჰეკეს და პირმეტყველნი ცხვვარნი წარტყუნეს<sup>10</sup>, რომელთა თანა იყვნეს მღუდელ-მონაზონი მაქსიმე და იოაკიმ და მონაზონი მნოფრი<sup>11</sup> და კერძო დიაკონნი ოთხი. ხოლო მნოფრი იყო უხუცეს<sup>12</sup> პასაკითა და მხცოვან<sup>13</sup> სახითა და ენებათ უწყალოთა მათ, რათა მოკლან იგი. გარნა ყოვლად სახიერი ღმერთი არა შეუნდობდა და უმეტესად მას სტანგვიდენ სარწმუნოებისა ჩუენისა მტერობითა. 25

ხოლო სატანგველთა ძათ თითოეულად<sup>14</sup> წარმოთქმად უძლურ-სა ენასა ჩემსა ვერ ძალუძს, არამედ, ესე ვთქუათ<sup>15</sup>, ვითარმედ კაცომოყვარემენ<sup>16</sup> ღმერთმან<sup>17</sup> ჩუენმან<sup>18</sup>, ვითარცა პირველ სმნი ყრმანი დაიცვნა სახმილისაგან და დანიილ მღვიმისა მას შინა მხეც-თაგან და მრავლითა მოწამეთა ჭორცნი ნაჭერ-ნაჭერნი დასციო-დეს<sup>19</sup> ქუეყანად და არა მო/კუდებოდეს, რამეთუ ღმერთი ჰეთარ-ვიდა<sup>20</sup> მათ, ეგრეთვე აქაცა იგივე საკვირველთმოქმედი ღმერთი

1 სენაკად B. 2 საფლავის B. 3 შთასავლისა B. 4 მოიმარჯვა B. 5 წარმოაცა-ლიერა B. 6 გარშემორტყმულ B. 7 გურნდთა B. 8 ამისა B. 9 ეკლესიისა A. 10 წარსტყვენს A. 11 ონოფრი A. 12 უხუცეს B. 13 მხცოვანი B. 14 თეთოე-ულად B. 15 ვთქუად AB. 16 კაცომოყვარე B. 17 ღმერთი B. 18 ჩენი B. 19 და-ცვითდათ B. 20 ჰუარევდა B.

პსკვიდა მონასა თვესსა ონოფრიის: უკეთუმცა არა ესრეთ იყო, არამცა ეძლო კაცობრივთა მათ წორცია ჩუქნთა ესოდენთა სატან-ჭველთა და წამებათა თავსდებად, რაოდენთა მღვდელმონაზონნი იგი მოგვითხრობდეს.

5 სახიერებით<sup>2</sup> მიუწოდომელმან ღმერთმან, რომელმან ძესაცა თვესსა არა პრიდა, ამის ღირსისა თვეცა უმჯობესი განიგულა და მო-ახსენებდა სიტყვასა წერილისსა, ვითარმედ: „მხენე იყავ და გან-ლიერდი და კუალად მოთმინებითა შენითა მოიპოვო<sup>3</sup> სული შენი“.

10 ყოვლად მოწყალე ღმერთი ჩუქნი, რომელმან სწყლის და მეყ-სეულად<sup>4</sup> კურნება ჰყვის, განათავისისუფლნა ესენიცა სისხლისმშელ-თა<sup>5</sup> ურწმუნოთა მათ<sup>6</sup> წელთაგან და მოიქცეს<sup>7</sup> წამებისა გვირგვინი-თა<sup>8</sup> მონასტერსავე, სადაც იყვნეს პირველ, და დაიმკვიდრეს თვე-თვესი სენაკები.

ხოლო არხიმანდრიტი პხედვიდა<sup>9</sup> რა ძმათა ნაკლულევანად  
204 15 საზრდელისაგან<sup>10</sup> პრქუა ონოფრიისა:/ „სულიერო შეილო ჩემო, სიყ-ვარულისათვეს ძმათასა წარვედ ქუეყანად ქართლისა და იღვაწე საზრდომ, რათა მიიღო გვირგვინი<sup>11</sup> უოხჭნო მორჩილებისა, და მეცა წარვიდე სხვით კერძო და, რაოდენ ძალ-მედვას, მოვირეწო“.

დაღაცათუ მძიმე უჩნდა განსლვა<sup>12</sup> მონასტრით ნეტარსა<sup>13</sup>  
20 მნოფრიის, არამედ ერჩდა ბრძანებასა<sup>14</sup> მამისასა<sup>15</sup>, რამეთუ აქუნდა-ცა ფრიადი მოწყალება და ლმობიერება ძმათა მიმართ. და ჰყვეს ამბორის-ყოფად და განვიდენ<sup>16</sup> ორნივე ზოგად, ხოლო არხიმანდრი-ტი წარემართა კერძოთა კახეთისათა და ონოფრი ქუეყანად ქარ-თლისა. მოვლიდა დაბნებსა და კალოთა ზედა იფქლსა ითხოვდა  
25 მოწყალებად მტვირთველი ვაშკარანისა.

ეპა კაცი ესე უფსკრულსა სიმდაბლისასა მიწევნილი, რამეთუ,  
სადაცა პირველ დიდებულ იყო, აწ სიგლახავით იხილვების მთხო-ველ პურისა. ხოლო მცნობელნი<sup>17</sup> მისნი ოსრვიდეს<sup>18</sup> და მკერდი-  
205 იცემდის მეტყველნი: „ნამდ/ვილვე ესე მიიტაცებს სასუფეველსა,  
30 რომელი განუშადა ღმერთმან მოყვარეთა თვსთა“.

და მი-რა-იწია მცირესა ქალაქსა ცხინვალს<sup>19</sup>, იხილა მუნ ერი კრებული და შფოთი და ღალადება ფრიადი. ხოლო წმიდა იგი იკი-თხვიდა, თუ<sup>20</sup> რაც არს ამბოხება ესე, და იგინი ეტყოდეს, ვითარმედ:

1 ონოფრიის+და B. 2 სახერებითა B. 3 მოპო B. 4 მყუსეულად B.  
5 მსმელთა+და B. 6 მათ — B. 7 მოიქცეს B. 8 გვირგვინითა B. 9 ხედვიდა B.  
10 საზრდელისაგან+და B. 11 გვირგვინით B. 12 განსვლა B. 13 ნეტარსა — B.  
14 ბრძანება B. 15 მამისა B. 16 განვიდეს B. 17 მცნობელნი] (მალველნი B.  
18 ოსრიდეს B. 19 ცხილვანს — 20 თუ — B.)

„ჭაბუქსა ვისმე ჰქვეთებიეს! ეშმაკი და მოპყავთ იგი ჰურიათა<sup>2</sup> თა-<sup>3</sup> ნა, რათა აუწყონ გრძნებით მიზეზი მისი“.<sup>4</sup> ხოლო იგი ლობიერი გულითა ეტყოდა: „შვილნო, არა არს საქმე ეს ყოვლადვე წესი ქრისტეანეთა, არამედ მომგვარეთ მე იგი აქა“. მაშინ მოპყვარეს იგი მას და დედა მისი შეუვრდა ფერწოთა მისთა და ეტყოდა ცრემ-<sup>5</sup> ლით: „წმიდაო ღმრთისაო, შეიწყალე ძე ესე<sup>6</sup> ჩემი, რამეთუ თვი-  
ნიერ ამისა სხუა არავინ მივის“<sup>7</sup>. პრქუა მას წმიდამან: „დასცხერ  
და დადუმენ, რამეთუ მაქვს მე აქა წმიდის“<sup>8</sup> დავითის<sup>9</sup> გარეჭელის  
საფლავისაგან მტკერი ევლოგიად“.<sup>10</sup> და მოითხოვა სტამნითა წყალი  
და შერთო მიწა წყალსა მას და გონებითა ზე მხედველი სულთ/ 206 10  
ითქმიდა ღმრთისა მიმართ და წელითა რკასითა მიუპყრა პირსა  
მის ჭაბუქისასა და ეტყოდა: „შვილო, ესე შესვი სახელითა იესუ<sup>9</sup>  
ქრისტესითა და ლოცვითა წმიდისა დავითისითა<sup>10</sup> განიკურნები“. და  
შესმასა მისსა მუნთქვესვე განთავისუფლდა ჭაბუქი იგი გვემულე-  
ბისაგან ეშმაკისა და მისცა იგი დედასა თვსსა.

ხოლო მხილველი ამის სასწაულისანი აღიდებდეს ღმერთსა  
და მონასა მისსა ონოფრის, გარნა<sup>11</sup> ღირსი იგი ლტოლვილი<sup>12</sup> კაც-  
თა დიდებისაგან მსწრაფლ წარმოემართა მონასტრად და სახლისა-  
გან თვისისა წარმოიყვანა ძე თვისი უმრწემესი, სახელით იოანე, რა-  
თა შესწიროს იგი მსხვერპლად<sup>13</sup> ცხოველად უფლისა ღმრთისა სა-  
ბაოთისა<sup>14</sup>, კითარცა ძველ-ოდესმე მამაომთავარმან აბრაჟამ<sup>15</sup> შეს-  
წირა ისაყი.

და მოიწია მონასტერსა და მოართუა ძმათა სახმარი და საჭირო  
საზრდელი სავსებით, რომელ სამსა და ოთხსა წელსა კმა საყო-  
ფელ იყო.

მაშინ შევიდა სენაკად და მოეგო თავსა თვსსა მეტყველი: „უბადრუქო თავო ჩემო<sup>16</sup>, არარად კეთილი გიქმნიეს ცხოვრებასა  
შინა შენსა, აქ იწყე დაწყებად კეთილისა“.

დღესა ერთსა მოვიდა კაცი აგარიანი, რომლისამე საქმისათვის  
და არავინ უწყოდა ენად აგარიანთა თვინიერ ონოფრისა<sup>17</sup> და იგი  
ეზრახებოდა. ხოლო კაცისა მის ერთი თუალი იყო საზარელ ხილვი-  
თა, რამეთუ ქვემორე ქუთუთო ჩიმოტევებულ იყო ღაწვთა ზედა  
და შინაგანი მეწამული კორცი იხილვებოდა ხენეშად. პრქუა მას<sup>18</sup>  
ონოფრი: „არა გელმისა თუალი შენი?“. და იგი მიუგებდა: „ჰე<sup>19</sup>,

1 ჰქვებია B. 2 ურიკო B. 3 ესე — A. . \* ძივის+მაშინ B. 5 დასცხე-  
რით B. 6 დადუმენით B. 7 წმიდისა B. დავით B. 9 იესო B. 10 დავითისათა  
B. 11 გარნა] ხოლო B. 12 ლტოლვილთა B. 13 მსხვერპლად A. 14 საეთისა A.  
15 აბრაჟა B. 16 თაო B. 17 ონოფრისა B. 18 ჰას — B. 19 ტე B.

მელმის ძლიერად, გარნა ვერვინ უძლო კურნებად<sup>1</sup>. პრქშა მას თუ ანოფრი: „არს აქა წყალი წმიდის<sup>2</sup> და ვითისა მიერ მოცემული ჩუ-  
ენდა სასწაულითა, რომელსაცა ცრემლის<sup>3</sup> წყალსაც უწოდებთ, იგი  
განგურნებს შენ<sup>4</sup>. და დაალტო კელი თვისი წყლითა მით და სამ-  
5 გზის სცხო<sup>5</sup> თულსა მისსა და წარვიდა აგარიანი იგი. და შემდ-  
გომად მცირედთა დღეთა კუალად მოვიდა და იყო თუალი მისა  
208 ცოცხალი<sup>6</sup> ვითარცა სხეუ იგი. /ესე მეორედ ჰქემნა სასწაული<sup>7</sup>  
ლირსმან ანოფრი, გარნა თავსა თვისსა ულირსისად სჯიდა<sup>10</sup> და  
10 უოველსავე წმიდასა და ვითარცა ლირსი ლი-  
ვერტინოს, რომელმნ დასხნა ჭამლნი მოძლვრისა თვისსა წმიდისა  
ონორატესნი მკერდსა ზედა მკუდრისასა და თვით მხურვალითა  
ცრემლითა ევედრებოდა ლმერთსა და წმიდასა მას ჸხადოდა და  
აღადგინა მეუდარი იგი და სასწაულსა მას წმიდასა ონორატეს მი-  
ახეხებდა, ეგრეთვე ესე ნეტარი ჰყოფდა, რამეთუ მოძულე იყო  
15 ცუდისა დიდებისა.

ხოლო ჩუენ მრავალთაგან<sup>11</sup> მცირედი მოვიხსენეთ სათნოებითა  
მისთავან აღსაშენებლად სულთა ღმრთისმოყუარეთა, რომელთა  
ჰქებავსთ<sup>12</sup> ცხოვრება, რათა მიიღონ საწერტელი სამღლოსა სურვი-  
ლისა. ხოლო არა თუ მრავალთაგან შრომათა, არამედ საჩშმუხო-  
20 ებითა შეუორგულებელითა და სიმღაბლითა ჰეშმარიტითა<sup>13</sup> მიე-  
თხუვიან<sup>14</sup> ლირსნი ერთისა მის ნამდვილ სატრფიალოსა<sup>15</sup>, რო-  
მელ არს ლმერთი.

რამეთუ დიდისა<sup>16</sup> მისთვს სიმღაბლისა<sup>17</sup> ამასცა<sup>18</sup> ჰყოფდა ნე-  
209 ტარი<sup>19</sup> იგი და დღე უოველ განტცხიდა განსავალთა/მონასტრისათა  
25 და უოველსა ეამსა სიმღაბლისა<sup>20</sup> ტრფიალ იყოს სანატრელი იგი მამა<sup>21</sup>.  
10 ამისსა<sup>22</sup> შემდგომად ევედრა ყოვლად<sup>23</sup> ლირსისა არხიმანდრიტისა  
მეტყველი: „ღმერთშემოსილო მამაო პატიოსანო, უკეთუ იყოს ნე-  
ბა ღმრთისა და სიწმიდისა შენისა, ლირს მყავ ძე დიდისა სქემი-  
30 სა კურთხევასა“. ხოლო იგი მიუვებდა: „დიდ არს სათხოველი შე-  
ნი და მაღალ საზომითა. არა ძალ მიძს განჩინებით დამტკიცება  
საქმისა მაგისთვს, არამედ ჭერ-არს, რათა ღმრთისა მიერ მოვილოთ  
გამოცხადება“.

1 კურნებად+მაშინ B. 2 წმიდისა B. 3 და ვითისა B. 4 ცრემლისა B.  
5 წყალს B. 6 განგჟეურნებს B. 7 სცხო B. 8 ცოცხალ B. 9 საწაული B. 10 ჸსჭიდა  
B. 11 მრავალისან B. 12 ნებავსთ B. 13 ჰეშმარიტითა — B. 14 მიემთხვევიან A.  
15 სატრფიალოსა] სატრელოს B. 16 დიდისა — B. 17 სიმღაბლისათვის B. 18 ამა-  
საცა B. 19 ნეტარი] ლირსი B. 20 სიმღაბლისაა B. 21 მამა — B. 22 ამისა B.  
23 ყოვლად ლირსა... ნება — B.

და დაწერა<sup>1</sup> ორი მცირე ქარტად ერთსა ზედა ესრეთ: „ონოფრი რი მაშრის<sup>2</sup> კურთხევას დასჭრდეს“, და მეორესა ზედა ესრეთ: „ონოფრი დიდისა<sup>3</sup> სქემისა<sup>4</sup> კურთხევას<sup>5</sup>“ ღირს ჰყავთ“, და<sup>6</sup> შთავიდა წმიდისა დავითის საფლავსა და წმიდასა ტრაპეზის<sup>7</sup> ზე-ქვეშე აღიკისა დასხნა ივინი პირდაქცევით. და პრეზუა ონოფ-რის არხიმანდრიტმან: „ჯერ არს შენდა, რათა დააგრე აქა ოც-გინა ოცდათ ოდენ დღე/ლოცვითა და ვეღრებითა, რათა ღმერთ-მან გამოაჩინოს ნება სიბრძნით განგებულებისა თვისისა<sup>8</sup>.“

და იყოფოდა მუნ ონოფრი ღამე და დღე მრავლის<sup>9</sup> ვეღრე-ბითა<sup>10</sup> და იტყოდა: „ღმერთო, ყოველთა კეთილთა მიზეზო, შენ განაგე<sup>11</sup> უმჯობესი სულისა ჩემისა, ნუ ნება ჩემი, არამედ ნება შე-ნი იყავნ“. და სრულ იქმნა რა დღე სამ ათეული, უბრძანა არხიმან-დრიტმან მლუდელსა მსხეურპლისა<sup>12</sup> შეწირვა მუნ. და შემდგომად ერისგანტევებისა ლოცვისა პრეზუა<sup>13</sup> მლუდელსა: „ოდიქსა ქვეშე ორი ქარტა არს და ერთი მათგანი გამოიღე<sup>14</sup>“. და გამო-რა-იღო, მისცა არხიმანდრიტსა და მან წარიკითხა, ვითარმედ: „ონოფრი დი-დისა<sup>15</sup> სქემისა<sup>16</sup> კურთხევასა ღირს ჰყავით<sup>17</sup>.“

და აღმო-რა-ვიდეს<sup>18</sup> მიერ კუალად<sup>19</sup> არხიმანდრიტი, სულგრ-ძელ ექმნებოდა მეტყველი<sup>20</sup>: „საქმით გამოსცადე წესი სქემოსნო-ბისა“<sup>21</sup>.

ხოლო მო-რა-იწინეს დღენი წმიდათა მარხვათანი, მაშინ შე-მოსა მას სახე დიდისა სქემისა<sup>22</sup> და უწოდა სახელი მისი ონისოფორე./ ეგრეთ ბრწყინვიდა<sup>23</sup> ღმრთივ-შევნიერი პირა მისი და სპეტაკი წვერი სქემასა<sup>24</sup> და ზავსა პალეკარტსა ზედა, ვითარცა ვინ ინილის გვირგვინითა და დიადიმითა პორფიროვანი<sup>25</sup> მეფე.

და შევიდა სენაკად სქემოსანი<sup>26</sup> იგი, ალილო სარეცელი თვის<sup>27</sup> და მხოლოდ ჭილსა ზედა დაჯდა<sup>28</sup> და ყოველი<sup>29</sup> წიგნები მიუთვალა იქონომოსსა<sup>30</sup> და მხოლოდ ფსალმუნსა იქითხვიდა დაუცხრომე-ლად, გულისქმის-ყოფით. და ჭავევი იგი რეინისა, რომელი არს მო-ნასტერსა მას შინა მოღვაწეთათვს განმშადებული, დაიღვა შიშ-ველთა<sup>31</sup> წორცა<sup>32</sup> ზედა თვისთა<sup>33</sup> და დაიღუმა ენად თვისი და არა-

1 დაწერა A. 2 მაშარის] ჩოხის B. 3 დიდის B. 4 ცემისა, A. სქემის B.  
5 კურთხევას B. 6 და] მაშინ B. 7 ტრაპეზისა B. 8 მრავლის] მარადის B. 9 ვეღრე-ბითა] ევედრებოდა B. 10 განაგენ B. 11 მსხეურპლისა A. მსეურპლისა B.  
12 აქვა B. 13 გმოილეთ A. 14 ღირდისა A. 15 ცემისა A. 16 ყავით B. 17 აღმოე-დეს B. 18 კუალად — B. 19 მეტყველი] და ეტყვოდა B. 20 ცემოსნობი-სა A. 21 ცემისა A. 22 ბრწყინვიდა A. 23 ცემისა A. 24 პორფიროსანი B.  
25 ცემოსანი A. 26 თვისი] თვისისა B. 27 დასჯდა A. 28 ყოველი — A. 29 იყ-ონიმოსსა A. 30 შიშველსა B. 31 ჭორცა B. 32 თვისსა B.



ვის ეუბნებინ ყოვლადვე და, უკეთე საჭირო რამე არს, ქარტებთან  
ეზრაბებინ. ამით სახითა მიიწია სრულსა საზომისა, რომლისათვეს  
იტყვს მოციქული იაკობ, ვითარმედ: „რომელი სიტყვითა არა  
5 სცოცბოდის იგი სრული კაცი არს, შემძლებელ არს იგი აღვირ-  
სხმად ყოველისავე გუამისა“.

**212** და სენაკისაგან არა ოდეს განვიდის, თვინიერ ეკლესიისა  
ლოცვისა და ჩაეგამს პრეკიან<sup>2</sup>, მყის ეკლესიისა<sup>3</sup> შინა იპოვის<sup>4</sup> და,  
სრულ რა იქმნის ლიტურღია ანუ ლოცვა, ყოველთა უკანასკნელ  
10 გამოვიდის და მსწრაფლ შევიდის სენაკად და დააგდის თავი თვისი  
ქუცანად, იგლოვნ და იტყებნ მცემელი მეტდასა და იტყვინ, ვი-  
თარმედ: „არა ღირს ვარ, რათა ვხედვიდე ნათელსა მზისისა“. და<sup>5</sup>  
დაიდვის თავი თვისი მეუღრად და მარადის სტირინ<sup>6</sup> მას ზედა და  
მრავლისა გლოვისა მიერ განიწმიდა გული თვისი, თვით წრფელმან  
15 და უმანქომან უვნებელობით დაყუდებულმან. ესრეთ აღლონ კიბე  
იგი სათნოებათა და მისწუთა სიყვარულსა მას, რომელ არს ღმერ-  
თი და მხოლოდ მხოლოდ მხოლოსა ზრახვიდა, რომლისა მიერ გა-  
ნათლდებოდა და სუროდა<sup>7</sup> განსლვა<sup>8</sup> ჭორცია ამათგან და მისლვად  
20 მისსა ნათლისა<sup>9</sup> მის<sup>10</sup> თუალთშეუდგამისა<sup>11</sup>, რომლისათვეს ანგელოს-  
თა გული უთქამსთ ჭვირობად.

**213** ამათ ეამთა სიბრძნისმოყვარე არხიმანდრიტი გერმანე ილყვა-  
ნებულ იქმნა ხარისხსა მღვდელმთავრო/ბისასა და გამორჩეულ იქ-  
მნა მამად მონასტრისა ღირსი არხიმანდრიტი თეოდოსი.

ხოლო ნეტარი ონისოფორე უზომოხსა მისგან მოღვაწებისა  
დასწეულდა და დაწვა<sup>12</sup> ქუცანად და არლარა<sup>13</sup> ეძლო ზე წარმოქ-  
25 დომად<sup>14</sup>. ეტყოდეს მას მამანი და ძმანი, ვითარმედ: „განუსვენე  
მცირედ თავსა შენსა და ცხედარი და სართუნალი მიიღე“. მაშინ  
აღალო პირი თვისი და ეტყოდა: „ალთქმა მიქმინეს<sup>15</sup>, რათა იყოს აღ-  
სასრული ჩემი<sup>16</sup> ჭილსა ამას ზედა“<sup>17</sup>. ვინაითგან<sup>18</sup> გაძლიერდა სენი  
30 მისი და აიძულებდეს მამანი, ერჩდა მათ და მიიღო ცხედა-  
რი, გარნა სნეულებისა მომთმენელი დიდად ჰმადლობდა<sup>19</sup> ღმერთ-  
სა და გონება მისი არა მოცილებულ იყო ღმრთისა ხედვისაგან და  
თუალნი მისნი უსასყიდლოსა<sup>20</sup> მირონისა დინებისაგან ცრემლთა-  
სა. და ჭელისაგან მისისა არა განვრდომილ იყო კირიელეისონი და  
პირისაგან მისისა ლოცვა იგი უფლისა იქსოს<sup>21</sup> მიმართ<sup>22</sup>, ვითარმედ:

1 ეკლესიის A. ეკლესის B. 2. რეკიან B. 3 ეკლესიის A. 4 იპოის B.  
5 და—B. 6 ტირინ B. 7 პსუროდი A. 8 განსვლა B. 9 ნათელისა B. 10 მას B.  
11 თუალთშეუდგამისა B. 12 დასწევა A. 13 არლა B. 14 წარმოქდომად B. 15 მიქმ-  
ნია. 16 ჩემი—B. 17 ზედა+და B. 18 ვინაღვან B. 19 მადლობა B. 20 უსასყიდ-  
ლოდ B. 21 იქსოს B. 22 მიმართ—B.

„უფალო იესუს! ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვის—გიოთისა ლი!“

/გრა ვინათვანზ უოველთა უწყოდეს მოლვაწება მისი, სხუათა-  
ცა<sup>3</sup> მონასტრით მოვიდოდეს<sup>4</sup> თაყვნისცემად მისია,<sup>5</sup> მეტანიით  
მუჯლომდომდრეველნი ეტყოდეს: „ღმერთშემოსილო მამაო, მოგვეც  
წელიზ შენი, რათა ამბორს-უყოთ“. ხოლო იგი სიმდაბლით არა  
უტევებდა და ეტყოდა: „არა ვარ ლირსი, რამეთუ ცოდვილ ვარ,  
არამედ უფროსცა თქუენ მიბოძეთ ფესვი სამოსლისა თქუენისა,  
რათა ამბორს-უყო, და ფერქნი თქუენი მომეცით?<sup>7</sup>, რათა დაგბან-  
ნე<sup>8</sup> ცრემლითა“. რამეთუ ჩვეულება არს მონაზონთა სტუმართა  
ფურქთა ბანაა.

და ყოველთა<sup>9</sup> მისდა მიმართ მისრულთა ჰლოცვიდა<sup>10</sup> გულითა  
წრფელითა და სიტყვითა მაღლით შეზავებულითა და არა ხოლო  
მათ, არამედ ყოველთავე, რომელთა ჰასაკი ანუ სახელი მოეხსენის,  
ვინა კეთილისმყოფელნი<sup>11</sup> ანუ ბოროტისმოქმედნი მისი ყოველ-  
თავე სიტყბოდებითა და გეროვანთა სიტყვითა ჰლოცვიდა<sup>12</sup>.

ხოლო იყო მსახურად მისდა განჩინებული ძე თესი იეროდი-  
აკონი იოანე და გულისმოდგინებით/მსახურებისა<sup>13</sup> მისისა<sup>14</sup> თვითო-  
ეულად აღწერისათვს არა მცირედი გონებისა შრომა უხმს, რამეთუ  
აქუნდა ფრიადი სიყვარული მამისა მიმართ ბუნებით და ზესთა  
ბუნებისაცა, რამეთუ ნამდვილვე მან აღასრულა სჯულისაებრ ჰა-  
ტივისცემა მამისა და დაიმკვიდრა კურთხევა<sup>15</sup> აბრამამიანი<sup>16</sup> რო-  
მელ კეშმარიტ არს შეტყველისა, ვითარცა იტყვის, ვითარმედ:  
„კეთილმან ხემან ნაყოფი კეთილი გამოიღის“, რომელიცა წინაშე  
თუალთა ჩუენთა განცხადებულად ჩანს<sup>17</sup>.

ხოლო სათონებათა საუნგეს, ონისიფორეს, უმეტესი გულ-  
მოდგინება აქუნდა ყოვლად პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა  
ქრისტეს კორცთა დაა სისხლთა ზედასზედა ლირსყოფისათვს, რა-  
თა განმზადებულ იყოს სიტყვისაებრ დავითისა, ვითარმედ: „გან-  
ვეზზადე და არა შევძრწუნდი<sup>18</sup>, რაეამს მოიწიოს მის<sup>19</sup> ზედა<sup>20</sup>  
კმად<sup>21</sup> ზეგარდამო წოდებისა“.

დღესა ერთსა მოუწოდა მოძღვარსა თვსსა მაქსიმეს და პრეზუა:  
„გივედრები ღმრთივ-სულიერო მამაო, უკუდავთა ქრისტეს საიდუმ-  
ლოთა ლირს მყავ მე ხვალე, ვინა/თვენ შაბათიცა არს“. ხოლო<sup>22</sup>

1 იუსუს] იესე B. 2 ვინათვან B. 3 სხუათაცა B. 4 მოვიდოდნენ B. 5 მისა  
B. 6 ხელით B. 7 მოცეკით A. 8 დაგბანო B. 9 ყოველთავე B. 10 ლოცვიდა B.  
11 კეთილისმყოფნი B. 12 ლოცვიდა B. 13 მსახურებასა B. 14 მისია B. 15 კურ-  
თხევა+იგი B. 16 აბრამამიანი B. 17 ჰანს A. 18 შევსძრწუნდი A.  
19 მისა B. 20 ზედა — B. 21 ვა B. 22 ხოლო — B.

მან მიუგო და პრქუა: „მარხვასა ამას შინა სამგზის ღირს-ქმნელ ხარ და ოთხისა ღლისა შემდგომად ქრისტეს შობა არს, კუალად მაშინ გაზიროოთ განმაცხოველებელთა საიდუმლოთა“.

ხოლო ონისიფორე პრქუა მას: „ნუ უგულებელსმყოფ. პატი-  
ოსანი მამაო, ნუ უკუე<sup>2</sup> ვერლარა<sup>3</sup> ვეწიფო ქრისტეს შობასა, რამეთუ ვიხილე ჩვენებად, ვითარმედ: „მოვიდა ტრედი სპეტაკი და ლმრთივ-შევნიერი და იქცეოდა პირსა ზედა ჩემსა. განვჰყავ<sup>4</sup> ქელი და ვიძყარ იგი და არა მცირედ მოხარულ ვიყავ მისთვის“.

ესე<sup>5</sup> რა ესმა მაქსიმეს, პრქუა<sup>6</sup> მას: „კეთილ, რამეთუ მიხილავს მადლი ყოვლად წმიდისა სულისა, და მიიღებ უხრწეველთაცა ქრისტეს საიდუმლოთა საგზლად ცხოვრებისა საუკუნოსა და მხიარულ იქმენ“.

მაშინ სამგზის ნეტარი ონისიფორე განმზადებულია ლ-ტსებ-  
სამებრ მისისა ცრემლითა მხურვალითა მიემთხვია უსასხაულოსა  
15 მარგარიტსა, რამეთუ ცნა<sup>7</sup> განსლვა თვისი ამიერ და მისლვა ზეცი-  
217 სა იქრუ/სალიმას.

და დღე იგი შე-რა-მშუხრდა, არლარა ეგო ონისიფორე გონე-  
ბასა თვისსა. აუწყეს ესე არხიმანდრიტსა თეოდოსის და შემოქრ-  
ბენ<sup>8</sup> მამანი და ძმანი<sup>9</sup>, იკითხვიდენ ლოცვასა სულობრძოლისასა,  
20 იატაკი იგი ირწყუებოდა<sup>10</sup> ნაკადულთა მიერ ცრემლითა მათთათა  
და ამბორს-უყოფდეს კელთა და ფერწოთა მეტყუელნი<sup>11</sup>: „ლოცვა  
ჰყავ ჩუენთვეს, ღმერთშემოსილო მამაო, და მეონ გვიქმენ ღმრთისა  
მიმართ, რომლისა წინაშე მიმავალ ხარ“.

გარნა<sup>12</sup> ჯერეთ არღა მოწევნულ იყო უამი აღსასრულისა<sup>13</sup> მი-  
25 სისა, არამედ გონება მისი ალტაცებულ იყო და შექციელ მაღალთა  
ხედვეთა მიმართ<sup>14</sup>.

არარად შთასრულ არს პირსა მისისა ყოვლადვე, არცა რად აღ-  
მოსრულ არცა ერთი რა სიტყვა, არამედ თუალნი მისნი განმარტე-  
ბულ იყვნეს ზე მხედველ და მარჯვენითა<sup>15</sup> გამოისახის ნიში ჯუა-  
რისა ნელიად.

218 /ეგრეთ განკაფულ იყვნეს ჭორუნი მისნი, ვითარცა ვინ ბრო-  
ლისა მინისა შინა შთააწყვნეს<sup>16</sup> ლელწამნი და გარეგან ჭვირინ ივი,  
ეგრეთ იხილებოდა პირისახე მისი და მკლავნი. კანსა მას შინა გან-  
სპეტაკებულნი სჩნდეს<sup>17</sup> ძვალნი მისნი, რომლისა მხილველნი გან-

1 კუალად] ვითარმედ B. 2 უკუც A. უკვ B. 3 ვერლარა] არლარა B. 4 გან-  
ვჰყავ B. 5 ეს B. 6 ჩქუა B. 7 სკუნ AB. 8 შემოქრბენ A. 9 ძმანი+ და B.  
10 ირწყებოდა A., ირწყუბოდა B. 11 მეტყველი A. 12 გარნა] ხოლო B.  
13 აღსასრულისა] აღსრულებისა B. 14 მიმართ] მიერ B. 15 გარჯენით A. 16 შთა-  
რეწყვნეს B. 17 ჩნდეს B.

განციფრებულ ვიყვენით, რამეთუ არავის ეხილვა ხილვაში ესევითარი.

ესრეთ მითვლემულმან<sup>1</sup> განვლო დღე ათრეამეტი<sup>2</sup> და<sup>3</sup> დღე იგი<sup>4</sup> იყო ნათლისლებად და შემდგომად ლიტურლიისა ვინილეთ იგი, რამეთუ ერთ კერძო<sup>5</sup> განციფრებულ იყო. და კუალად შემოქრბეს არხიმანდრიტი და ძმანი და ვიგლოვდით გოდებითა ლმობიერითა და ვიპქურებოდით ცრემლითა.

ხოლო მან აღმოიტშვინვა აღმოფშვინვა იგი უკანასკნელი და დაიძინა ძილი იგი მართალთა და ყოვლად განწმედილი სული თვისი ჰელთა ღმრთისათა შევედრა. ხოლო მოღვაწებისა მიერ განლეული გუამი მისი შემურეს წესითა სქემოსნობისათა<sup>6</sup>, აღანთეს<sup>7</sup> კე/როვნები მამათა და ძმათა და ღამე იგი გარდავლესა მღვიძარედ ლოცვითა და ფსალმუნითა და ჭილა ზედა მდებარე ეკლესიად<sup>10</sup> მივიღეთ და მემსხვერპლეთა<sup>11</sup> სამღლო წირვა აღასრულეს და ანდერძაღებული წარვიღეთ საფლავად, რომელიცა თვით განემზადა პირველ და ლოდი ზედა ედეა მას. მუნ დაიღვა მრავალმოლვაწე გუამი მისი, სადაცა არს სასაფლაო მამათა, წმიდის დავითის საფლავის<sup>12</sup> გარეთ, სამხრეთით კერძო საეურთხეველის სარქმელთან<sup>13</sup>. ღმრთივ-სანატრელმან ონისიფორემ ათორმეტ წელ მონაზონებით იღვაწა, ორ წელ სქემოსნობით<sup>14</sup> დაეყუდა და კუალად ორ წელ მდებარეობით პმადლობდა ღმერთისა, და იქმნეს ყოველნი დღენი ცხოვრებისა მისისანი სამეოცდაათცხრამეტ წელ.

ესე ყოვლად პატიოსანი მამა მიიცვალა ამიერ სოფლით საჟუნეთა მათ საყოფელთა წელსა განჯორციელებითგან<sup>15</sup> სიტყვისა ღმრთისა/ათას შეიღას ოთხმეოცდა ექვსსა, თთუესა იანვარსა, რი- 220 25 ცხუსა<sup>16</sup> მეექუსესა<sup>17</sup>, თვით საუფლოსა მას დღესასწაულსა<sup>18</sup> ღმრთისგანცხადებისასა, დღესა სამშაბათსა და ეამსა მეცხრესა დღისასა.

არამედ, შე ყოვლად სახიერო და კაცომოყვარეო ღმერთო, ლოცვითა ღირსისა<sup>19</sup> მამისა ჩუენისა ონისიფორესითა ღირს მყვენ ჩუენცა პირნათლად შემთხვევად<sup>20</sup> მისი<sup>21</sup> ნეტარისა<sup>22</sup> მერმესა მას კრებასა და მარჯვენით კერძო<sup>23</sup> დადგომად<sup>24</sup> თაყვანისმცემელნი მა-

<sup>1</sup> მითლემულმან A. მითვლეულმან B. <sup>2</sup> ათურამეტი B. <sup>3</sup> და—შეძლებობი B.  
<sup>4</sup> იგი—B. <sup>5</sup> კერძო+მისი B. <sup>6</sup> აღმოიტშვინა B. <sup>7</sup> ცემოსნობისათა A. <sup>8</sup> აღანთეს B. <sup>9</sup> გარდავლეთ B. <sup>10</sup> ეკკლესიად A. <sup>11</sup> მემსხვერპლეთა A, მემსხვერპლეთა B. <sup>12</sup> სასაფლავ B. <sup>13</sup> სარქმელთან] ფანგარასთან B. <sup>14</sup> ცემოსნობით A. <sup>15</sup> განჯორციელებიდგან B. <sup>16</sup> რიცხვს A. <sup>17</sup> მეექუსესა A. <sup>18</sup> დღესასწაულსა—B. <sup>19</sup> ღირსისა] წმიდისა B. <sup>20</sup> შემთხვევად A, შემთხვევად B. <sup>21</sup> მისა B. <sup>22</sup> ნეტარისა — B. <sup>23</sup> კერძო+შენსა B. <sup>24</sup> ღგომად B.

მისა დაა ძისა და წმიდისა სულისა დიდებად<sup>1</sup> და გალობად უკურნი  
თი უკუნისამდე, ამინ<sup>2</sup>.

### მოკლე მოთხოვნა თვით პორფირისათვეს\*

მ მე, საყუარელნო, ოდესლა მოიწია ღმრთივ სულიერი ესე  
წიგნი აქამომდე, მაშინ აღფრინდა ვითარცა ტრედი უმანკო სასურ-  
ველი შვილი ჩემი პორფირი.

დასდუმნა ორდანო ეკლესიისა, მოაკლდა სიტყვიერი საჭკაუ-  
ლი მონასტრისა, დაჭნა ყუავილი სათნოებისა, დაშრიტა სანთელი  
გულისჯის ყოფისაა, მიგვეფარა ანგელოსი შვეიცობისა, გარნა  
ღმრთივ შვენიერად გამობრწყინდა ლირსი იგი შვილი სასუფევე-  
ლისა.

რამეთუ იყო სანატრელი პორფირი შვილი ბრწყინვალეთა ტო-  
მთაგან და შესწირეს ღმერთსა მონასტერსა ამას შინა, ვითარცა  
აბელის ძლევი და აბრამამის მსხვერპლი, ჰასაკითა ათისა წლისა,  
ხოლო გონებითა იყო ვითარ ასისა წლისა. და აღიზარდა ყოველ-  
თა კეთილ შვენიერითა სწავლითა სულიერითა და საეკლესიოთა.  
და იქმნა რა ათექვსმეტისა წლის, შემოსა ხატი ანგელოსებრივისა  
სახისა და მიიღო კურთხევა ქრისტეს მიერისა და დიაკონობისა და  
წარე/მატა ყოველითა კეთილ-შვენიერითა სათნოებითა, რამეთუ  
25 მდაბალ იყო გონებითა და წრფელ სულითა, მოწყალე სიტყვით და  
20 საქმით და მოღაწე აზნაურებისა ხედვითა, შმარხველ უნებულო-  
ბით და მლოცველ სამღოს ტრფიალებით, ხოლო სიყვარული  
ღმრთისა აქუნდა ზესთა ბუნებისა და მოყვრისა უმეტეს თავისა  
თვისისა და ამით სახით იყო ყოველთა მიერ საყვარელ.

ხოლო იქმნა რა ოცისა წლისა, სრულ იყო ყოველითა სწავლუ-  
ლებითა, მწიგნობარ-მგალობლობითა და უმეტეს ყოვლად შვენი-  
ერ მწერლობითა და სიტყვა მაღლიან ენა-მჭევრობითა. და მონა-  
ზონებისა სრულება მიიღო მაზარის კურთხევითა და ჩემდა იყო  
რწმუნებულ მამობა სულისა მისისა, რომელიცა უმეტეს და უა-  
კიოსნეს წარემატა ყოველთა სათნოებითა.

1-დიდებადად გალობად] აუ და შერაცის .B. 2-ამინ+საჩწმუნოთა კაცთა  
მიერ სმენილი და უმრავლესი თუალითა. ჩემითა ზილულ აღვაწირი ყოვლად  
ულირსმან იქროდიაკონმან გაბრძილ. ურეკლოვე გავერტები ლოცვით მომისქ-  
ნებდეთ შეილველი B.

\* ხელნაწერი: A; ბოდლეს № 8 (Rf XVIII, 2, XVIII ს.).

და იქმნა რა ოცდაშეიდის წლის სურვიელ ვიყავ მღვდელ-შეკ-ნიერებით კურთხევასა მისისა/, გარნა, შე მე, ეწია საყვარელსა მას 231  
სალმობა უკურნებელი და წარიყვანეს სოფლად და ოთხისა თვისა  
ეძმი დაპყო ფიცხელსა სნეულებასა შინა და ყოველსავე მაღლო-  
ბითა ღმრთისათა ითმენდა დუშმილით და გონებასა თვისა ღმრთისა 5  
ხედვასა და ღმრთისმშობლის ტრაფიალებასა აჩ მოაცილებდა. და  
ოდეს განიწირა მკურნალთაგან, მღვდელმთავრისა მიერ ზეთის  
კურთხევისა საიდუმლო მიიღო და არხიმანდრიტისაგან ქრისტეს  
საიდუმლოთა ზიარებად და შემდგომსა დღესა იხილა ღმრთის-  
მშობელი ცხადად მეტყველმან. აპა, ღმრთისმშობელი მარიამ  
ღმრთივ ბრწყინვალე დედოფალი და მისთანა ანგელოსთ შეენიე-  
რებანიო. ეს რა წარმოსტქუა ყოვლითა დაწყნარებითა, გამოისახა  
ნიში პატიოსნისა ჭუარისა, მიწვა და მიიძინა ნეტარმან ძილი იყო  
მართალთა, ვითარცა ჰშევნის წმიდათა და ცათნოთა ღმრთისათა. 9

და რაეამს მოიწია ჩუენდა წმამ მიცვალებისა მისისა, შე მე,  
რაბამი სალმობა გულისა მოგვეცა და/ ვითარი ღმობა სულისა, 15  
მხურვალე ცრემლი თუალთა და სილრმით გულისად სულთქმამ,  
რამეთუ დავაკლდით მრავალსა კეთილობასა მისგან და სათნოება-  
სა სულისა ჩუენისა მოურნეობასა და შემდგომად ჩუენსა მემსხვერ-  
პლეობასა და ყოვლად სიყვარულსა მისსა. 237 20

გარნა ჩუენ მისთვის ვიწყეთ მიერ ღლითგან ძალისაებრ და  
გულსმოდგინებისა ყოველთა სამღრთოსა წირვისა და ვეღრებისა  
შეწირვად ღმრთისა და ერთმან უმოხუცებულესმან მამამან სწირა  
რა მისთვის ცხრად და მეათისა განემზადებოდა, იხილა ჩვენებით  
თავი თვისი ეკლესიასა შინა და მუნ საყვარელი პორტირი სამღუ-  
დელოთშევნიერებითა რამთამე მოსილი და წელთა ეპყრა კეთილ-  
შევენიერი წიგნები და მრქეაო: „აპა, მამაო პატიოსანო, ესე წიგნები  
არიან დიდებად ჩემდა, სიხარულ, სასოება და გვირგვინ სულისა  
ყმისა. ესე. რა პრქეუა, განელივდა მამასა და მოგვითხრა ჩუენ ყოველ-  
თა და მაღლი მივეცი მსმენელთა ყოვლისა შესაწი/რავისა სათნო-  
მყოფელსა ღმერთსა. 25 238

რამეთუ მე უწყი, რომელ იგი სასურველი მრავლად გულს-  
მოდგინედ სურვიელ იყო წმიდათ წერილებისა წერასა კეთილ-შევ-  
ნიერებით, რომელთაგან თვით განათლებულ იყო გონებითა და რო-  
მელთამე თვისთა მისთა წარსცემდა სულისა ნაყოფიერებად და უმ-  
რავლესთა ქველის-საქმედ გლახაჯთადმი მოწყალებად, რომელნიცა  
აშ დაუნჯებულნი პოვნა სავანესა მას მისთვის განმზადებულსა, და 35

იშვებს მათ მიერ გამოიტულ ნაყოფთა ზედა გვირგვინოსანი და იხარებს საუკუნოდ მაღიდებელი ღმრთისა.

ხოლო ოდეს მოიღეს სანატრელისა პორფირისა გუამი მონას-  
ტერსა და მამამან მისმან სულიერმან მოიყვანა მეგობარი თვის  
5 მღუდელმთავარი სტეფანე და აწირვინა მისთვს და კურთხევასა  
234 საფლავისა მისისასა წარწერა ესე: „ეპიტაფია სტატოფორესი  
საფლავსა ზედა პორფირისსა: ეპა, ღმრთივ სულიერო შვილო და  
სულებრ საყვარელო ძმაო და სარწმუნო მეგობარო პორფირი, აპა,  
10 მოსრულ არს მეგობარი მეგობრისა შენისა და სასურველი სიყვა-  
რულისა შენისა ღირსებისა. გვირგვინი მღუდელმთავრობისა და  
მეუფე საწადელი სიწმიდისა შენისა.

აღსდეგ, საყვარელო, და მიეგებუ ყოვლად საწადელითა მვა-  
ლობლობითა შენითა, აღსდეგ და თაყვანის-ეც შენთვს მოსრულსა  
მეუფესა, აღსდეგ და თანამწირველობით პმსახურე მღუდელ შევინ-  
15 ერებით მსხევრპლის შემწირველსა შენთვს და მიიღე მადლი და  
კურთხევა, ღმრთივ-კურთხეულო ძმაო.

შენი არს ჰეშმარიტად მადლი ესევითარსა სამლოცვა მსახურე-  
235 ბისა, შენდა მონიჭებულ არს კეთილ/გონიერებით პატივისცემა პა-  
ტივისცემელისა ღმრთისა და შენდა ჰშვენის, სასურველო, პატივის-  
20 ნება, ვინაითგან ღირსებით მსახური ძისა პატივცემულ იქმნების  
მამისა მიერ, რამეთუ სადაცა მე ვიყო, მუნცა მსახური ჩემით.

სადა არიან, სანატრელო ძმაო, პირისა შენისა შევინი-  
ერებანი, სადა არიან ბრწყინვალენი ნათელნი თუალთა შენთანი,  
სადა არიან საწადელნი ტებილნი სიტყვანი ბაგეთა შენთანი, სადა  
25 არიან წმა კილოვნებით შემკულებანი გალობათა შენთანი, სადა  
არიან კეთილ შევინიერებით მწერლობანი თითთა შენთანი. მ მე,  
რამეთუ დეცადა უეძოდ.

შ, საყვარელო, რად დაგიწუხავნ თუალნი, თუალო ყოვლისა  
კეთილობისაო, რად დაგიდუმებია ენა, სულისა ცხოველისა ორლა-  
30 ნო, რად დაგიცადებია წმა ანგელოსებრ წმიდა არსობით გალო-  
ბად და რად დაგიყოფიან ოქროს წყაროდ სიტყვათა შენთა სათნო  
236 მყოფელი/ სულთა მრავალთა.

გარნა შენ, ყოვლად ღირსო, წინაშე წმიდისა სამებისა იშვებ  
სულითა, სულო მართალო და საწადელო, და განიცდი ღიდებასა  
35 ღმრთისასა, რომლისად სიყრმითგან სურვილ იყავ და ჩუქუნა გა-  
მოგვიცხადე. ბრძენო. სერატიმი უზესთაეს არიან, ანუ საყდარნი,  
რომელთათვს გმეოგობდით ჩუქ წერილთა გამოძიებითა.

ესე შეიწირე, ლირსო, გვირგვინისაგან მემსხვერპლიობა და მა-  
მისაგან გულსმოდგინება და მეტა მსწრაფლ წარმიყვანე შენ თანა  
სავანესა მას შემსა სამკვიდრებლსა და შეწირე შვიდ მუხლედნი  
სიტყვანი გულისტყვილით აღმოთქმულნი, ვითარცა ჯვარზე დამს-  
ჭვალულისა შვილნი სიტყვანი ძისა და ღმრთისანი, რომელი არს 5  
კრისტეოლ უკუნისამდე\*.

## საინიდონ გრძელიშვილი

ცხოვრება და მოღვაწება სანატრელისა მამისა რჩისტესია  
მონაზონისა, რომელი ზევდგომად წოდებულ იქნა  
რჩისტეზორედ, რომელიცა ცხოვრებდა მოღვაწებით  
უდაბნოსა უინა მრავალმათის იოანე ნათლისმებლისას,  
გარესჯად წოდებულისა, თავსა ჟარაიისას\*\*

/უარსოსა არსებად დამწყებელო, მიუწოდელო, აუგებელო და  
ყოველთა არსთა მარსებელო, წმინდაო სამებაო სრულო ერთო არ-  
სებით და სამო პირებით. პირო მამაო, პირო ძეო და პირო სულო  
წმიდაო, სამო პირებით და ერთო არსებით. არცა სამსა პირებსა  
ერთ პირად ვიტყვი, არცა ერთასა არსებას სამ პირად ალვიარებ,  
არამედ სამსა გვამოვნებასა შინა ერთსა არსებასა ვირწმუნებთ,  
რომელ არს ღმერთი. სამებაო წმინდაო ღმერთო, რომელსა გეონა  
მაღლთა საუნჯენი, რომელსა გმსახურებენ მრავალნი დასწი უხორ-  
ცოთა ძალნი, რომელმან მიუვლინე ისაის სერაფიმი და აქვნდა  
განწმენდელი ცეცხლი მარწუხითა და შეახო ბაგეთა მისთა.

/და განწმინდა და ალიგსო პირი მისი მაღლითა შენითა, შენვე  
აღაზვენ ბაგენი ჩემნი და შეახენ ნაპერწყალი მაღლისა შენისა უძ-  
ლურსა კონებასა ჩემსა. აღანთე სხეული ჩემი, ვითარცა ცვილი, გა-  
ნანათლე ქალაქი ჩემი და განსდევნე მას შინა დაფარული მთავრო-  
ბა ბნელისა, დასკი მთავრად განწმენდილი მაღლითა შენითა სული

\* ეპატაფის ტექსტი დამუხლულია (სულ 7); ხელნაწერში გამოყოფილია  
როგორც ცალკე ერთეული.

\*\* ხელნაწერი: A — 1036 (1880 წ.).

ჩემი და გონება, შეზღუდე მადლითა შენითა, რათა ვიტჟოდე სათ-  
ნოთა შენთა, რამეთუ არა თვისით ძალ-მისს, რამამე ყო-  
ფად, არამედ შენგან მოველით სარბიელისა ჩვენისა სრულყოფასა  
ყოვლისა სრულმყოფელო მეუფეო ქრისტე ღმერთო ჩვენო.

- 3 5 იტყვის მოციქული ქრისტესი იაკობ კა/თოლიკესა შინა თვის-  
სა: რომელმან იცოდეს კეთილი საქმე და არა ქმნეს, ცოდვა არა  
მისსა. (თავ ე. მუხ. იზ).

მომებესენა დამფლული ტალანტისა მონა ბოროტი და შე-  
მეშინა, რათა არა სიტყვა მიმებადოს წინაშე ქრისტესსა. ში საყვა-

- 10 რელო ქრისტეს იესოს მიერ ძმაო მიხეილ გობრონად წოდებული!  
ჩემგან შეუძლებელსა მაწვევ რაიმეს ხელყოფად, გარნა ძალსა  
ღვთისასა მიუტევებ ზრუნვასა ჩვენსა და მრწამს, რომელ ძალ-უძს  
ყოველთა სრულ მყოფელსა ღმერთსა, რათა არა ვიტყოდე მართლისა  
ნაცვლად სიცრუესა, ანუ ნათლისა ნაცვლად ბნელსა და მწარისა  
ნაცვლად ტკბილსა, არამედ რაიცალა მიხილავს თვალითა და ყურითა  
15 ვ მომისმენიეს მას აღვიარებ, /რომელსაცა ძმანი მრავალმთის ითანე  
ნათლისმცემლის უდაბნოსანი მეწამებიან, შეცნიერნი მისნი და  
თვალით მხილველნი ქრისტესია მოღვაწისანი, რომელი თქუენცა  
უწყით ცხოვრება მის სანატრელისა ბერისა.

- 4 20 /მეათრვამეტესა საუკუნესა შინა სცხოვრებდა კაცი იგი ღვთისა  
ქრისტესია. ეს სანატრელი და ღირსი სხენებისა იყო დასავლეთის  
საქართველომათ მინგრელით, მდაბითა ერისაგანი. იქორწინა  
სჯულიერითა ქორწინებითა და ესვა მხოლოდ შობილი ძე. მეუღ-  
ლე და შვილი მისნი აღესრულნენ შემდეგ რაოდენისამე წლისა. არა  
25 აქვთ სურვილი ცოლთა შეუღვლისა, გარნა ბირებითა და იძუ-  
ლებითა ბატონისათა იქორწინა.

ხოლო პირველსავე სიტყვასა ჩვენსა მივექცეთ. აღესრულნეს  
რა მეუღლე და შვილი მისნი, აწვევდა მეორესაცა ქორწინებასა მე-  
ბატონე მისი, გარნა იგი ნეტარი ყოვლად არცალა თუ ყურად იღო-

- ვ 30 განზრა/ხვა მისი, არამედ მიისწრაფა სულიერისა მოძღვრისა თვა-  
სისა და მიუთხრა ყოველი, რაცა გულსა დაეღვა, აღუარა სანატ-  
რელსა მას მოძღვარსა თვისსა, რომელმანცა ჩწმუნებელი მისდა  
ცხოვარი კეთილსა და მშვენიერსა სულისა აღმაორძინებელსა სა-  
ძოვრისა გზასა ამცნო წარსლვად. ეტყოდა მოძღვარი: „შვილ  
35 ქრისტესია, პირველადვე სურვიელი იყავი მაგას განზრახვასა, გარ-  
ნა არა წარგემართა შიშისაგან ბატონისა შენისა და აწ განუსაკუთ-  
რე თავი შენი უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესა, რომელმანცა ჩვენ

განვათვისუფლნა! მონებისაგან ეშვებისა, მანვე სახიერმან და კაცი თავის სისხლისა თვისისა ღამთხვეველმან, მოგეცინ სრულყოფა სიყვარულისა მისისა.

/გარნა, შვილო, გამცნებ მოძღვარო შენი, რათა წარხვილე ქვე-  
ნასა საქართველოსა, უდაბნოსა გარესჯისასა, რომელ არს თავ-  
ში ყაჩაისასა, სადაცა ჩავლის მდინარე მტკვარი, რომელსა ეწო-  
დების მრავალმთა გარესჯა, სადაცა ღირსი მამა ჩვენი დავით მოლ-  
ვაწებით და ოფლ-მწოლვარებით და ტირილითა და მარხვითა და  
მრავლითა სათნოებითა მკვიდრობდა.

სადაცა ღირსი მამა დოდოს გარესჯელი და მოძღვარი უწმინ-  
დესისა თვისისა, ვითარცა მზე, მნათობდა, რომელმან ნათელს-სკა  
მთავარსა რუსთავისას ბუბაქარს-ბარბაროსს<sup>2</sup> და ძეთა მისთა და  
მრავალსა რიცხვესა კრებულსა მწყსიდა. და/ საფლავი მისი ყოველსა  
დღესასწაულსა მისსა სურნელებასა განუტევებს.

წარვედ, შვილო, სადაცა ღირსი მამა და პირმშო მოწაფე ლუ-  
კიანე ნაცვლად მოძღვრისა თვისისა კრებულსა მონაზონთასა მწყსი-  
და და ირემთა, ვითარცა ზროხათა, სწველავდა.

სად ღირსი მამა და წინამძღვარი გარესჯისა პავლე ეტყოდა  
ძმათა: იოანე ღვთისმეტყველი მოგვცემსო, ძმანო, საზრუნვა  
თქვენსა და მყის მოიტან ცოცხალი თევზი ირბმა და შთამოუტე-  
ვა ძმათა დღესასწაულსა იოანე ღვთისმეტყველისასა.

წარვედ, შვილო ქრისტესია, სადა ღირსი მამა არსენი წინამძღ/-  
ვარი დიდისა მონასტრისა, რომელსაც აწ „წამებულად“ უწოდე-  
ბენ, რომელიცა წინასწარმეტყველების მადლითა ნიჭებულ იქმნა  
და შეკრიბნა მამანი მრავალმთისანი, იტყუიან, და ამცნო მოსვლა  
ულმრთოთა აგარიანთა უწინარეს ერთისა შვიდეულისა. განუცხა-  
და, რათა არა უარყონ ქრისტე, არამედ დაეფარნენ, უკუეთუ არა  
თავს იდებდენ სიკვდილსა ქრისტესათვისა. მაშინ მიექცნენ შეტყველ-  
ნი და კითხვიდეს მამა არსენის: „მამაო მამათაო, შენ რამა გვაუ-  
ბის ყოფად. ოდეს მოვიდენ ულმრთონი იგი“. ხოლო მან მიუგო და  
რქვა: „შვილნო, მე ოდეს ალვილე ჭვარი და შეუდეგ ქრისტესა, ძესა  
ღვთისასა, მაშინ მოვკედ ქრისტესთვის“. და ვითარცა ესე სთქვა,  
მაშინ ხმა ჰყვეს ყოველთა ერთითა პირითა მეტყველთა: „ყოვლად  
პატიოსანო მამაო, არა ეგრეთ ჩვენცა შეუდეგითა ქრისტესა, ვი-  
თარცა შენ იტყვი, ღვთის-სულიერო, არაოდეს დავფარავთ თავ-  
თა ჩვენთა შიშისათვს სიკვდილისა, რამეთუ თანა-გვაცს ერთ-

ნუსხაში: 1 განვათვისუფლნა. 2 ბარბაროს. 3 რაო.

- გზის სიკვდილი და მერმედა საუკუნო საშვებელი, გარე ესრება არსა სარბიელი ჩვენისა მონაზონებისად არა მისთვის დაუტევთა ქალაქნი და სოფელი და გამოვედით, რათა მოვადეო ქრისტესთვის ჩვენთვის სიკვდილისა თავსმდებელისა? უწყით, პატიოსანო მამაო, რომელი ჩვენთვის გელმის, ნუუკუე დავბრკოლდეთ. ნუ იყოფინ უარის-ყოფა ქრისტესი, /რამეთუ უჭიობეს არს სიკვდილი, ვითარცა სთვა ქრისტემან: რომელმან წარიწყმიდოს სული ამა სოფელსა ჩემთვის და სახარებისთვის, მან აცხოვნო!
- 10 კვალად, შვილო, მუნ სცხოვრებდა ღირსი მამა წინამძღვარი მესამე თევდოსი დოდორქელი წმინდა და მადლითა განშუენებული. ესენი წინამძღვარი იყვნენ, ოდეს ულმრთოთა აგარიანთა აწამნეს წმინდანი ღირსი მიმანი მრავალმთისანი, სადაცა მონაზონნი, ვითარცა ფუტეარნი სიტებობასა შეიკრებდენ.
- v 15 სადაცა წმინდა ეპისკოპოსი/იოანე მანგლელი ალიზარდა მონაზონებითი წესითა და მრავალი წელი დაპყო ქვაბსა შინა ბერთუბნისასა, რომელ სენაკი მისი აწცა იხილვების, ცრემლითა მისითა მორწყული, რამეთუ სასწაული მისნი წერილ არიან წიგნსა შინა „ჯვარშემოსილ“ წოდებულსა. რომლისა მოღვაწე გვამი განუხერწნელად არს დღებარე ტფილისის სიონის სობოროსა შინა, რამეთუ პირველად მდებარეებდა უდაბნოსა გარესხისასა, და მუნით აღმოიღეს წმინდა გვამი მისი ყოვლად მრთელი მირონმწოლვარე შეფის თეიმურაზის ბრძანებითა, რათა სცვიდეს სამეფოს/ქალაქსა.
- 20 წარვედ, შვილო, სადა სამგზის სანატრელი ილარიონ ქართველი იმყოფებოდა!, სენაკი<sup>2</sup> მისი იხილვების ზემორე ხევსა შინა, პირს-პირ ცრემლის წყლისა, სადაც მამისა ძმა თვისი ცალთვალი განკურნა და განუტევა სახიდ თვისა.
- 25 კვალად, შვილო, მიგითხრა სხვაცა საკვირველი: რომელი ოდესუა ღირსი მამა დავით სანატრელი წარვიდა იერუსალიმს თაყვანის-ცემად საფლავისა ქრისტეს ღვთისა ჩვენისა და მოიქცა მუნით მადლისა წარმომლებელი და მოიკითხნა ძმანი და მიმართ გარე მონასტერთა და ნაპრალებთა/კლდეთასა, სადაცა მარტოვებით ცხოვრებდენ მონაზონნი. მიმავალმან ბერთუბნად იხილ ბერი ვინმე და მოიკითხეს ურთიერთარს და ამბორს-უყო ბერმა და რქვა მას დავით: „ვითარ სცხოვრებ ძმაო?“ ხოლო ბერმან სულთა-ითქვნა დარქვა: „მამაო, წყალი ესე ორივე თვალი მწარე არს და ნიახური

მიღება გარემოს წყაროსა ამას და სასმელი წყალი მწარე და ნიახური პურად მაქვს და იგიცა მწარე, რამეთუ ამით ვრწყავ და ესრეთ სიმწარით არს ცხოვრება ჩემი". მაშინ ულოცა ღირსმა მამა დავით და დაუტებო წყალი ერთი თვალი ხოლო მეორე დაუტევა მწარედვი.

/იხილა რა ბერმან საკვირველი ესე, განიხარა ფრიად და ადიდებდა ღმერთსა, რომელმან მისცა სასწაული საკვირველი. ხოლო ბერსა მას აქვნდა სენაკი მცირე, ერთი საწოლი გამოკაფული კლდესა შინა და თავსა ქვეშე სართავად ედრა მისგანვე გამოკვეთილი ლოდი და ედგა კაელისა ხენი და ნუძი და ლელვი მისგან დანერგულნი და წყარონი ვიდრე აქამომდე იხილვებიან, ერთი მწარე და მეორე ტკბილი და გარემოს ნიახური. დღესაც მიმავალნი იხილვენ წამოფარებულსა კლდესა ქვეშე".

მოისმინა რა მოძღვრება სულიერისა მამისა კაცმან ლვთისამან, მყის განუნათლდა გონება და/ვითარცა ძილისაგან განიფრთხო და v 15 ეტყოდა მოძღვარსა თვისსა: „მამაო სულიერო, ვინა უწყოდი ეგოდენი საკვირველნი ადგილნი და სასწაულითა ოსავსე წმინდათა კაცთა საყოფელნი". მიუგო მამამან სულიერმან: „შვილო ჩემო, მე ყოვლად ცოდვილი და ულირსი მას სანატრელსა და გულის-სათქმელსა ადგილთა აღეიზარდე — ითანე ნათლისმცემლის უდაბნოსა შინა. და უწყი ესეცა, მიგითხრა, შვილო, რომელ მეფეთაგან პატივული ადგილი არს, ვითარცა ლვთისაგანცა მაღლითა და სასწაულითა ოსავსე არს ადგილი იგი მრავალმოთისანი.

მეფე კახთა ალექსანდრე მოვიდაო/ ხილვად სამხოლოესა ლირსისა მამისა დავით სანატრელისასა, რამეთუ აქვნდა სასოება ფრიადი. და ვითარცა იხილა ყოველნი მონასტერნი და მცხოვრებნი მამანი მოღვაწებით, სთნდა. წესნი და საყოფელნი სულთა სატრუნი, დაუტევა მეფობა ქვეყნიური დიმიტრის, ძესა თვისსა, და თვით შეიმოსა სახე მონაზონებისა და უწოდეს სახელი ათანასი!, რომელმანცა მრავალი ლვაწლი დადგა, რამეთუ აღაშენნა კოშენი და ზღუდენი მის მონასტრისანი, რომელიცა ვიდრე აქამომდე უწოდებენ ალექსანდრე მეფის კოშენად და აქვნდა სენაკად თვისად. შეამკო მხატვრობით და/ ხრანთლებით ოქროცურვებულით. მასვე მეფესა აღუშენებია სამარტვილო წმინდათა ღირსთა მოწამეთა და მას თანა მოსრულნი მხედარნი იქმნენ მონაზონ, აღიცსო მთანი და ნაპრალნი მრავალმოთისანი, ვითარცა იხილეს მეფე არღარა მიიქცა

ქალაქიდ თვისისა, არცა სპანი მისნი, მიმხედველი მეფისანი, გმირუ-  
კეთნეს სენაკი მრავალნი და ეკლესიანი სავანეთა მაფიადა საფ-  
ლავი მის მეფისა და სხვათა მეფეთა და კათოლიკოსთა, მთავართა  
და ეპისკოპოსთა ითანე ღვთისმეტყველის ეკლესიასა შინა არს.

5 ამა სანატრელთა ადგილთა ორნი ოდენდა მონასტერი დამთა,  
11 რომელთა / შინა მონაზონი სცხოვრებენ. სულთა სატრფოსა მას მო-  
ნასტერთა არიან მრავალნი ეკლესიანი და სენაკი, აღსაესენი ნა-  
წილთაგან წმინდათა ღირსთა მოწამეთა“.

პირველსაც მას სიტყვასა ჩვენსა მივიქცეთ. აღსდგა მსმენელ-  
10 ამათი სანატრელი ქრისტესია, ვითარცა ფრთაშესხმული სიტყვათა-  
გან სულიერთა, აღფრინდა გონება მისი და დაუტევა მოძღვარი  
თვისი და სახლი თვისი. არლარა მიმხედველმან არავისდა წარმო-  
v მართა იღუმალ ღამით მიტაცებული სიყვარულითა ქრისტე ღვთი-  
სათა და ღამე, ვითარცა დღე, ვიღოდა./ მიიწია სატრფოსა მას  
15 თვისისა უდაბნოსა ითანე ნათლისმცემელისასა გარესჯად, სადაც  
სცხოვრობდნენ ძველნი მამანი, სიყრმიდგან აღზრდილნი მოღვაწე-  
პირ. მივიდა რა მათ თანა, შეიწყნარეს სიყვარულით, ვითარცა აქვთ  
ჩვეულება მონაზონთა, რომელთათვის სტიროდის მამა ქრისტესია  
და ინატრიდა მათ დროს სიკვდილსა, რამეთუ წურთილებითა მონაზო-  
20 ნებრივითა იყვნეს აღზრდილ, რომელთაცა უცხო, ვითარცა შეიღო  
შემიწყნარესო და იგინი გარდაიცვალნესო და მე აქა უღირსად, ვი-  
თარცა ბრძა მიმოვედევთებით. ში ჩემდა, მამებო, რომელთა არლარა  
12 გხედამთო. ესრეთსა და მრავალსა გოდებდა გულმტკივნეული./ ხო-  
25 ლო დაჟო ნეტარმან ამა უდაბნოსა შინა მრავალი წელი მორჩი-  
ლებასა შინა ფრიადსა, ვითარცა არს ჩვეულება ძმათა შორის მის  
უდაბნოსათა. ზიღვიდა ტვირთითა ფიჩხსა და წყალსა, რამეთუ და-  
რჩინან ზარი და წარვლენედ ძმინი ყოველნი, ვიღრე წინამძღვარი-  
ცა, და მოკაფენ მრავალსა და აღვიდიან და მოაქვსთყე ამას და სხვა-  
სა ყოველსაც მორჩილებით და გულსმოდგინედ შერებოდა. რამე-  
10 თუ წიგნისა კითხვა ყოვლად არა უწყოდა, გარნა პირი მისი არა-  
ოდეს არა იტყოდა ამათსა, არამედ ვითარცა მდინარე ედემით სდა-  
ოდა თაფლ-მწითოლვარენი საღმრთონი სიტყვანი, ვითარცა სულ-  
ერისა საუნჯისაგან აღსავსე.

v 30 /იყო სანატრელი მამა ქრისტესია მოხუცებული, ოდეს შემო-  
სეს სახე ოდენ მონაზონებისა. ხოლო ცხოვრება მისი ესევითარი  
იყო. აქვნდა ჩვეულება, ვითარმედ: უდაბნოიდგან იყო შეიღი ვერ-  
სი, სადაცა ეღვა ჭური ანუ ქოცო, აღსავს წყლითა, რამეთუ ზიდ-  
ვიდა ტვირთითა ორითა სპილენძითა კოკითა. აღიკიდებდა დიდსა  
შინა სიცხესა და ერთსა კოქასა წყალსა ზედა დაისხამდა და.

სრულებით დაილტობდა სამოსლითურთ, მაშინდა წარილის და გარეულის აღავსის ქოცო იგი. ხოლო ამას ქოცოსა ზედა იყო მცირე ქოხიდა მის ქოხსა ზედან დაკიდებული მცირე ჩარექა, რათამცა მით მიეღოთ წყალი იგი. რა/მეთუ შორით სჩნდა ჩარექა იგი, ხოლო მოგზაურნი მომავალნი ანუ მიმავალნი ქალაქით ანუ სოფლით დღისა ერთისა სავალსა ვერასადა ჰპოვებდენ წყალსა, ვიდრე არა მოვიდოდენ ქოცოსა მას ქრისტესია ბერისას და მაშინდა მაშერალნი სიცხოთა და სიშორითა ღონე მოკლებულნი მიიწეოდენ და მიიღებდენ წყალსა დიდითარე სასოებითა და მაღლობითა ღვთისათა და მონისა მისისა ქრისტესია ბერისათა.

აქვნდა მას თანა მცირეცა ბოსტანი მწვანეილთა მუნეე ქოცოს თანა, რომელსაცა იხმევდენ მგზავრნი, ვითარცა ზეციურსა მანანასა და წყალსა, ვითარცა დამტყბარსა მოსეს მიერ მერარისა, მას უდიაურსა ადგილსა. ესრეთ განავრილებდა სიცხითა შემწევარსა სხეულსა კაცთა მაშერალთა, რამეთუ ყოველსა დღესა ზაფხულისასა ესრეთ საკვირველსა მოღვაწებასა შინა იყვის ღირსი მამა ქრისტესია. რაით-მე ვთქვათ, ძმანო, ნუუკვე მცირე არსა შრომა ესე, ანუ არა? დაღათუ წიგნი არა უწყოდა, არამედ! აღასრულა სიტყვა სახარებისა, რომელსა გვამცნებს იქსო ძე ღვთისა, ვითარმედ: რომელმან ასვის წყალით ერთი გრილი სახელითა ჩემითა, სასყიდელი არა წარუწებდესო. აპა, ვითარ მტკიცედ აღასრულა მცნება, რაიცა ესმინა. ნუთუ/ ესე აღასრულა და სხვანი მცნებანი დაიღუმა და არ აღასრულა?

კაცსა მას ღვთისასა აქვნდა ჩვეულება, ვითარმედ რასაცა ვინ მისცემდა, ყოველსავე სხვათა განუყოფდა. რამეთუ წარვიდის სოფლად რაოდენმეგზის და მი-რა იწიების სოფელსა, რომელსა რევიან ხაშმი, და მოითხოვის ლობით, ანუ ხორბალი, თაფლი და ძაფი, ვისაცა რაა აქვნდის, ყოველნივე სიხარულით მისციან, რამეთუ უწყოდენ,. რომელ ქეთილი მოღვაწე იყო და მაღლითა განბრწყინვებული და არავინ განუტევებდა ცალიერსა. არცა თვით განეშორებოდა, ვიდრე არა მიეღო ქველის-საქმე მათგან, რამეთუ იტყოდა ნეტარი: ნუუკვე საცოტრი და/უგოო მოსვლითა ჩემეთა, მან არა მომცეს მოწყალებაო და ბოროტმან ეშმაქმან ცოდვათა დაუწესაო, ჩემის ძალით წარწყმდესო. და რომელნიმე განხრახვით ეტყოდენ მცნობნი მისნი: „არა მაქვს, მამაო, რამცა მოგცე“. „ლობით მამე, შვილო, უკვეთუ არა ხორბალი, ანუ თაფლი, ანუ ძაფი, ანუ კავალი“. მიუგის: „არა მაქვს არცა ერთი, რასაცა ითხოვ, ბერო“. მაშინ

და მიუგის: „შვილო, ცალიერი უკეთუ მიმაქციოზ, ეშმაკი განიხარებს მეტყველი, ანგელოსისა შენისა დამქენებელი, ვითამედ: არა მისცა მოწყალება გლახაქსა მას ბერსაო და მით მე ვწუხ: ნუკვე ჩემითა მისელითა შენ წარწყმდე და მე ცოდვილი საფრ-  
 15 5 თხე/ შენდა ვიყო წარწყმედისა, ამისთვის არა წარვალ ცალიერი,  
 ვიდრე მცირე რამე არა მამცე და ბოროტი იგი ეშმაკი არცხეინოს  
 ანგელსოსმან შენმან და მე არა მიზეზ წარწყმენდისა გეჭმნე“. ამას  
 და ესევითართა სიტყვათა მრავალთა ეტყოდის ტირილითა და ძრწო-  
 ლითა და მაშინ მისციან სიხარულით, ოდეს ისარგებლებდენ სიტ-  
 10 10 ყვითა მისითა. ხოლო იგი ნეტარი რასაცა მოირწყდის, ყოველსავე,  
 სადაცა იხილვის ქვრივი და ობოლი უღონო ცხოვრებით, მას მის-  
 ცის დაფარვად. თვინერ თაფლისა და ხორბლისა ყოველსავე მის-  
 ცემდა ობოლთა-ქვრივთა: „ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგი-  
 ნი შეიწყალნენ“.

v 15 /კვალიდ ქვენდა ჩვეულება სანატრელსა მას კაცსა ღვთისასა, რომელ უკეთუ ისმინის სიძულვილი რამე, ანუ ძმათ შორის. ანუ მამისა და შვილისა შორის, ქმარსა და ცოლისა შორის, ისმინის რა, წარვიდის მათ თანა მონასტრით და მშვიდობასა ჰყოფდის. მი-რა-ი-წივის სახლსა მათსა, მოუწოდის ორთავესა და ეტყოდის მშვენიერ-  
 20 20 თა და ლმობიერთა სიტყვათა, ვიდრე იტირიან სიტყვითა მისითა და შეინანიან. და მერმე ეტყოდა: „შვილნო, უკეთუ არა ისმენთ! ჩემსა, რომელიცა თქვენის მიზეზით მოველ აქა, წარვალ მწუხარე-  
 25 25 ბით სავსე და განიხარებს ეშმაკი იგი, რომელსა არა ნებავს მშვი-  
 16 16 დობა კაცთა, და მოაწევს უაღრესსა განსაცდელსა/ თქვენ ზედა. და ვითარცა მოველ მშიერი, მშიერივე წარვალ თქვენგან“. მაშინდა და-  
 25 25 ეგებოდნენ ურთიერთარს და ჰყოფდნენ მშვიდობასა. განიხარის, ვითარმედ ბოროტი ეშმაკი განვსაცდევნეო, ღმერთმა დაწყეველოს. აღუთქმიდენ არლარა ყოფას. რაა მე ვსთვეათ, ძმანო, არა არსა მცნება უფლისა, რომელსა იტყვის: „ნეტარ იყვნენ მშვიდობის  
 30 30 მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღვთისად იწოდნენ“.

მერმე ესევა ჰყევის, რომელ მისციან ხორბალი და თაფლი მცხოვრებთა სოფლისათა, რათა შემზადებდეს ყოველთა შაბათთა მიცვალებულთა მათთათვის კოლითსა, ხოლო იგი წარიღის მონას-  
 v 35 35 ტრად და შეამზადის ყოველსა/ შაბათსა სამითა კურვლით: ერთი ვინ-  
 ცა მისცის თაფლი და ხორბალი, მისთა მიცვალებულთათვის, მეო-  
 რე მუნ მდებარეთა მამათა მიცვალებულთათვის, მესამე ყოველთა მართლმადიდებელთათვის. ამას წლითი-წლად ყოველთა შაბათთა

ყოფდა და უკეთ აქვნდის ფული, მოსახსენებელი მისცის. ესრეთ მეურნეობდა, რომელ თვისთა მიცვალებულთათვის ვერა თავ-იდებდენ მრავალნი. იხილეთ საყვარელნო! ვითარ ღვთისა სიყვარულისა თანა, მოყვისისა სიყვარულიცა შეაულლა, ვითარცა იწყვის უფალი: „შეიყვარო მოყვისი შენი, ვითარცა თავი თვისი“.

წარვიდა მამა ქრისტესია დღესა ერთსა/ ჩვეულებისაებრ შექ-  
ლებ მწუხრის ლოცვისა სოფლად, რამეთუ სიცხისა გამო ღმევ წარ-  
ვიღოდა, და ვითარ წარვიდა, იქმნა ღამე ბრელი ფრიად. მიიწია  
ადგილსა, რომელსა რევიან მეგვიანი, და ვერდარა ეძლო სლვა სიბ-  
ნელისაგან ღამისა. დასდგა და ილოცვიდა, ვითარცა აქვნდა ჩვე-  
ულება ლოცვად და ტირილად, და მეყვესულად გამოუჩნდა მოე-  
ბარე რამე, ვითარცა სანთლითა მავალი, განუნათლა გზა იგი შეც-  
ომილი, დადგა მოებარე იგი და ელოდა მას ბერსა წარსლვად. და  
იგი მძრწოლარე შიშისაგან არა თავს-იდებდა წარსვლასა, არამედ  
ილოცვიდა და ეველრებოდა ღმერთსა, რათა არა მიეცეს განსაც-  
დელსა: გონებდა, ნუუკვე მხეცი რამე არს და თვალთა ანათებსო.  
ვითარცა/ იხილა, რომელ არღარა იყო ღონე, გამოისახა ნიში ჯვა-  
რისა და წარემართა და იგიცა წარუძღვა წინა და სადაცა განისვე-  
ნებდის ბერი იგი, მოებარეცა დასდგის და ელინ მას. და ვითარ  
არა განეშორა, მაშინ მოეგო გონებასა და თქვა: „ნუუკვე ღმერთმა  
მომცა შემწედ უბადრუესა ამას და მე განვარისხო“. აღსდგა და  
მისდევდა. მას ღმერთსა ვლეს, ვიდრემდინ მიიწივნენ სოფელსა მას  
სართიჭალისასა და მაშინ განუტევა ბერი იგი და უჩინო იქმნა  
მოებარე იგი. ესე სასწაული დიდთა მოღვაწეთა არს, ძმანო, რამე-  
თუ ჰეთამდა ნეტარი ღირსებასა მისსა.

ეშმაკთა, ვითარცა ქანგართა, სდევნიდა ქვისა ტყორცნითა თა-  
ნა. კახეთად მიმა/გალსა გამოუჩნდა გზასა ზედა სახითა დედაკაცი-  
სათა, საღაცა არაოდეს ყოფილა მუნ დედაკაცი, რამეთუ ხვრელი-  
დან ამოძრაო და დგაო წინაშე ჩემსაო. მაშინ აღილო ნეტარმან  
ქვანი და დევნიდა ტყორცებით. მლტოლვარე ჩახტა ხვრელსა გზი-  
სასა და იწყოლა სროლა ქვისა. მივიდა ხილვად, რა-ძი იქმნა დედა-  
კაცი, და ვერდარა პპოვა და არცა იყო ხრამსა შიგან განსაძრომი,  
რათამცა დაფარულიყო. მაშინ დაუტევა და კვალად ამოძრა სხეა-  
სა ნაპრალსა გზისასა და კვალად სდევნიდა, ვიდრემდის დაუტევა  
ბოროტმან.

ხოლო მონასტერსა შინა არა აქვნდა ძილი ღამით!, რამეთუ  
იჭდის გინა თუ იდგის, აქვნდა ბრძოლა ეშმაკთადმი/ და აველრებდა



- კაცთა მიმართსა ბრძოლასა და მერმელა მოიქცეოდა მათგან და იწყის ლოცვად მშვენიერნი და ზარისასახდელნი სიტყვანი წარმოსთქვნის ტკბილად და ჩაურთვის თანავე გოდება და ტირილი მწარე და შესაძრწონებელი მსმენელთათვის და გარდამოუტევნის ნაკადი ცრემლთა მჩქეფარე, ამხილის სინდისსა თვისსა განუკრძალები ცხოვრება, ვითარმედ: „ნაყროვანი ხარ, ბერო, უძღები ხარ, ცოდვილი ხარ, დაღაცათუ ხორცს ორა სჭამ, პურსა მაძლრივ სჭამო და ოდესცა პპოვებ, ლვინოსაცა სვამ, უბადრუკო ბერო. ორა 19 გეშინისა? დაგავიწყდა სიკვდილი და სულისა და ხორცისა/განშორება? დღესა თუ ხვალე მოვალს წამყვანებელი შენი. მზა უყავ თავი შენი“. და იწყის ტირილი მწარედ, ვითარცა შვილმკვდარი დედა, რომელ განსაკურვებელი იყო სასორბა მისი, რამეთუ იცის პირსა და თავსა მჭილითა და ესრეთ განვლიდა დღეთა ცხოვრებისა მისისათა, მყვედრებელი და დამქენებელი თავისა თვისსა, ვიღრემდის დაშერებოდა, მაშინდა მცირედ მიიღულის ძილად.
- იწყინ რა რეკა ზართა ძმათა მის მონასტრისათა, ეკკლესიად ცისკრისა აღსდგის და შევიდის, დადგის მიყრდნობილი კვერთხსა, სთვლემდა ძილისათვის და იტყოდა: ბოროტი ეშმაკი დაწყვევლის ღმერთმაო.
- v 20 /ხოლო სენაკი მისი, ვითარცა უწყით ყოველთა მხილველთა, ფრიად იწრო იყო და ერთი ოდენ კაცი დაწვის. სიგრძე და სიგანე სულ მცირე, ვითარცა საფლავი, რომელსა შინა აქვნდა საწოლად ტახტი ერთისა ფიცრისა და საგებელად ტყავი ცხოვარისა, ერთი იგიცა ძველი, რომელი ვიდრე წელამდის კმა-ეყოფოდა, ოდეს დაწვებოდა. და თავსა ქვეშე სასთაულად ედვა ქვა დიდი და მას ზედა ნაგლეგი ტყავისა ეფარა, რათა არავინ იხილოს. და ზედა საბურველი მისი იყო, რამცა ტანზე ემოსა ტყავისაგან ცხოვრისა დაბებკული, უნდო. და ფერხთა ქალაბანი ოდენ, ვითარცა<sup>2</sup> გიხილავთ-ყე<sup>3</sup>, და თავსა მისსა კუნკული და ბარტყული, რამცა პირველ შემოსად 20 30 მამათა იგი აქვნდა ნეტარსა მის მოღვაწესა./ დაღაცათუ სწყალოდეს უცხონი და მისციან რამე სამოსი, იგი გლახაკთა მისცენ და თავისა თვისისათვის არარას ზრუნვიდა საწუთოსათვის და ამაოსა, არამედ ყოველსავე იუნგებდა მერმისა მის საუკუნისათვის.
- ესეცა აქვნდა ჩვეულება, უკეთუ აქვნდის სენაკისა თვისსა პური ანუ ღვინო, ანუ თაფლი, მომავალთა მგზავრთა მიიყვანებდა სენაკად თვისა და დაუგებდა, რამცა აქვნდა ლირსსა მას ბერსა.

აქვნდა ჩვეულება სანატრელსა მას და წრფელსა, ვითარცა  
კრავსა არა აწყენდა/ ხმათა, არცა სიტყვითა, არცა საქმითა და უკე-  
თუ ვინმე ეტყოდა განწრან, ვითარმედ მაწყინე შენ სიტყვითა, ამის-  
თვის გულძვირად ვარ შედა, წარვიღოდა რა ეკველსიად კამა  
ლოცვისასა და შემდგომ აღსრულებისა უწინარეს მათსა გამოვი-  
დოდის და დასდგის კარისბჭესა და ოდეს მოიწივის ძმა იგი, შე-  
უვრდის! ფერთა ქვეშე და ეტყვინ: „მომიტევე, მამაო, რაცა  
გულდე მე ცოდვილმან“. ვიდრე თანა წარვის სენაკადმდე და  
ითხოვდა მოტევებასა და ესრეთ მზა იყო აპარესსა მას სასულევე-  
ლად მიმყანებელსა და სამოციქულო მოძღვრებასა, რომელსა იტყ-  
ვის პავლე: „მზე ნუ დავალნ განჩისხებასა თქვენსა“.

/ხოლო აღსარული ესრეთ იყო, ძმანო, რამეთუ უძლურებასა  
შინა იყო მოხუცებული ფრიად, ვითარ ვგონებ, ოთხმეოცისა წლი-  
სა, უფროსი და არა ნაცლულებან წლოვანობით. რამეთუ თმა და  
წვერი სპეტაკი, ვითარცა თოვლი, პირი მისი განათლებული მად-  
ლითა, რომელ არასადა მიხილავს ეგრეთ განბრწყინვებული პირი  
კაცისა, ვითარცა მისი ნათელმჯრომარე, რომელსაცა მეწამებიან  
მცნობნი მისნი.

აღესრულა სანატრელი იგი მასვე მოღვაწებით მყოფსა უდაბ-  
ნოსა ითანე ნათლისმცემელისასა, რამეთუ ლამესა მას, რომელსა  
ეგულვებოდა დატევება და განშორება საყოფელისა თვისისა და  
მისვლად/ ისწრაფდა სასურველისა თვისისა, მას ღამესა გმოვიდაო  
გარე სენაკისა თვისისა და ხმა უყო მამათა მის მონასტრისათა სამ-  
გზის, ვითარმედ: „თეოფილაკტე, თეოფილაკტე, თეოფილაკტე“, და  
ვითარ არავინ ისმინა, მიიქცა სენაკსა თვისისა და დაიძინა ძილი  
მართალთა, და ესე ხმა ესმინათ მსახურთა და არა მისრულ იყვნეს  
მის თანა, ვიდრე არა განთენდა და მამინ იხილეს აღსრულებული  
და დაფლეს მოღვაწე გვამი მისი მუნ წინაშე ეკალესისა, სადაცა  
მამანი მდებარე არიან, მუნ იგიცა.

ზი ქრისტეს მოყვარეო ძმაო მიხეილ! აპა, სასოებითა და სიყვა-  
რულით შენგან/ძიებული ნაყოფი ქრისტესიასი ბერისა აწყვისა  
უმსა შინა ყოფილი, ლირსებით შემკობილი, რომელიც იყო დაშ-  
თომილი ტალანტი ძველთა მამათა მეუდაბნოეთა, რომელიცა აღს-  
რულდა უწინარეს ცხრა წლისა, 1871 წელსა. ესე ყოველი, რაცა  
აღწერე, რომელიმე მიხილავს<sup>2</sup> თვალითა და რომელიმე მისგან  
მსმენიეს: ოდეს იყვის უდაბნოსა ლირსის მამა დავითისას, ჩემ თა-

v

5

10

15

20

v

25

30

22

35

ნა დაპყვის ღამე და დღე და არარას დამიფარავდა მე ულიობსაც, ცოდვილსა. ვითარება უწყოდი ცხორება მისი, ესრეთ უნიკლუ-  
ლოთ აღვწერე. უწყის ღმერთმან და მამა ქრისტესიას განა/თლი-  
ბელმა სულმან, რომელ არარად შემიმატებიეს, არამედ რომელიმე  
დამიდუმებიეს, რათა არა მოსაწყინელი იქმნეს წარმყითხველთათ-  
ვის ამის წიგნისა. მწერალი ამისი მთავარდიაკონ სპირიდონ გძელიე-  
რი. 1880 წელსა.

## XVIII საუკუნის ქართული ჰაგიოგრაფია

### I. გრიგოლ ვახვახიშვილი (დოდოჩქელი)

„წამებად წმიდისი ქეთევანისი“ ვეინფეოდალური ქართული  
სასულიერო პროზის პირველი ორიგინალური თხზულებაა, რომე-  
ლიც მხატვრული პროზის ანთოლოგიებში — ქართულ ჰაგიოგრა-  
ფიულ კრებულში — შევიდა როგორც ძირითადი და ორგანული ნა-  
წილი. ნაწარმოებმა თავისი იდეური და მხატვრული ჩანაფიქ-  
რით და მისმა აეტორმა მკითხველი საზოგადოების ყურადღება  
და, ამავე დროს, მაღალი შეფასება დამსახურეს. ანტონ ბაგრა-  
ტიონმა ერთ-ერთმა პირველმა განიხილა კრიტიკულად თხზულება  
და შეიძლება იოქვას, მოგვეცა ძეგლის როგორც მხატვრული  
ფენომენის და, ამავე დროს, როგორც საისტორიო წყაროს პირ-  
უთველი შეფასება. მანვე განსაზღვრა აეტორის ადგილი ქართუ-  
ლი სიტყვაკაზმული მწერლობის ოსტატთა შორის. ანტონი თავის  
სამ შრომაში მსჯელობს გრიგოლ დოდოჩქელის მხატვრული შე-  
მოქმედების შესახებ სპეციალურად. „წყობილსიტყვაობაში“ —  
ქართული კულტურის ისტორიის პირველ სახელმძღვანელოში —  
საგანგებო პარაგრაფი შეიტანა სათაურით: „თვის მამისა გიორგი  
ხუცესმონაზონის დოდოჩქელისა, ვაჭვახის ძისა ანუ ბაზიერთ-  
უხუცესის ძისა“. ხოლო „მარტირიკაში“ — ქართული ჰაგიოგრა-  
ფიული კრებულის მეტად საინტერესო და თავისებურ რედაქცია-  
ში. — რომელშიც ქეთევან დედოფლის „წამების“ საკუთარი თხზუ-  
ლება შეიტანა, იძლევა გრიგოლის ნაწარმოების კონკრეტული ეპი-

მ. ქავთარია, XVIII საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან, თბი-  
ლისი, 1977, გვ. 78—85.

ზოდების ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში არ ერიდება სამართლუსტრაციის მასალის, ვრცელი ციტატების მოტანასაც კი. მესა-  
მე თხზულებაში — „საღლესასწაულო“ კი ანტონი სპეციალურად  
საუბრობს გრიგოლის, როგორც საეკლესიო მოღვაწის, კულტუ-  
რულ საქმიანობაზე და მიუთითებს იმ მონაწილეობაზე, რაც მან  
საეკლესიო რეფორმების ჩატარებაში მიიღო.

### „წყობილსიტყვაობაში“ ვკითხულობთ:

„გრიგორისა ვარ წერილთა შესწავებულ,  
ამინ, სიბრძნისა ქუშმდებარებინ კაცრან,  
ისტორიუმსა ქეთევან დიდისათვეს,  
რამეთუ ღუწლნა მოუთხრნა ამან მისნი,  
ვრცელ და წესიერ, ბრწყინვალედ, არა ძნელად  
გრიგორი მისა აკრძალოთასცა  
გამომჟერე იქმნა და სხუათაცა წმინდათა  
შუშნიერ მისტყვა, სათოთა ბრძენთაცალმი,  
კაცი შეარხებული საქმითა გამოცდილი  
და საქებელი ქემარიტად ყოველთად<sup>2</sup>.

ანტონის ეს შეფასება თითქვის უცვლელად გაიზიარა მომდევ-  
ნო თაობის სალიტერატურო კრიტიკაშ (ცხადია, ამ ტერმინს პირო-  
ბითად ვხმარობთ). ითანე ბატონიშვილმა სათაურიც კი არ შე-  
უცვალა, ისე გადმოიტანა ანტონის თვალსაზრისით თავის ენციკლო-  
პედიურ თხზულებაში „კალმასობა“: „მამა გრიგორი ვახვანის ქე-  
ბაზე ითვარებულებისა, და მონაზონი დოდორქელისა მონასტრისა-  
ცე იყო სწავლათა შინა გამოცდილი, მონაზონებითა სრულ და-  
სიბრძნის მოყვარე. ამან შეთხნა რომელთამე ქართველთა წმინდა-  
ნებითაც აკოლოთიანი მშვენიერ ენასა ზედა (!). და მანვე აღწერა-  
წმიდისა ქეთევან დედოფლისა ცხოვრება და წამება მისი უღმრთოსა  
შაპ-აბაზისაგან: და ამან იღვაწა დოდოს მონასტრისა შინა მარხვითა  
და ლოცვითა და ესრეთ გარდავლო წელნი თვისნი<sup>3</sup>. ვახუშტი ბა-

<sup>2</sup> ანტონ ბარათიონი, წყობილსიტყვაობა, ტექსტი გამოსაცემად მო-  
აშადა რ. ბარათიძემ, თბილისი, 1972, გვ. 184. წევნ ვიყენებთ ამ გამოცემას და-  
ასა 3. იოსელიანისას, თბილისი, 1852. 1980 წ. ივ. ლოლაშვილმა კვლავ გამოსცა ეს  
თხზულება.

<sup>3</sup> გრიგორის პიმოვრაფიული მემკვიდრეობიდნ მხოლოდ ქეთევანისაღმის  
მიღწენილი საგალობელია ცნობილი. თუ რას გულისხმობს ითანეს ცნობა, ჩვენ-  
თვის გუვებარას. ქაც ვეტორი ანტონის იამბიკოს ეყრდნობა.

<sup>4</sup> ითანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, კ. ეკველიძის ა. და-  
ა. ბარამიძის რედაქციით, 1948 წ. გვ. 181, თემერაზ ბატონიშვილიც  
ანტონისაც ცნობებს იმჟორებს. იხ. თემერაზ ბატონიშვილი, სა-  
ქართველოს ისტორია, პარმა.

ტონიშვილი გრიგოლის თხზულების ისტორიულ ფაქტურას დიდად უწევს ანგარიშს და თავის „ისტორიაში“ სათანადოდ იყენებს მას როგორც მნიშვნელოვან საისტორიო წყაროს.

მოუხედავად ქველ ქართველ ლიტერატურთა და ისტორიკოსთა ასეთი დაფასებისა, გრიგოლ დოდორქელი-ვახვაძეშვილის სახელი და მისი ჰაგიოგრაფიული თხზულება თანამედროვე სპეციალისტთა უურადლების საგნად მხოლოდ ტრ. რუხაძემ იქცია. 1949 წელს მან ჰაგიოგრაფიულ კრებულებში მოიძია გრიგოლის ნაწარმოები და გამოაქვეყნა კიდეც მიმოხილვითა და წინასიტყვაობით, რომელშიც ძირითადად განსაზღვრა და დაადგინა გრიგოლი ვახვაძეშვილის (დოდორქელის) მოღვაწეობის ქრონოლოგია. ტრ. რუხაძის სამართლიანი დასკვნით: გრიგოლ ხუცესმონაზონის ხენება ქართულ საბუთებში XVII საუკ. გასულიდან იწყება. ამ საბუთებიდან ჩანს, რომ გრიგოლ ხუცესმონაზონი, ვარად ვახვაძეშვილი, ძე რომელილაც უცნობი კახელი ბაზიერთუხუცესისა, ცხოვრობდა XVII საუკუნის გასულსა—და XVIII საუკუნის დამდეგს.<sup>5</sup>

ანტონის „წყობილსიტყვაობის“ ზემოთ ციტირებული აღვილის კომენტარში პლატონ იოსელიანი მიუთითებდა, რომ გრიგოლ დოდორქელი მოღვაწეობდა XVII საუკუნის პირველ ოცეულში<sup>6</sup>. რამდენადმე მოვინანებით ზ. ჭიჭინაძემ გაიმეორა პლ. იოსელიანის ცნობა და თავის მხრივ დაუმატა: „ზოგიერთნა მოვითხრობდნ, რომ გიორგი ვახვაძის ძე ლექებმა დაუწეს, დოდორქელის მონასტერში“<sup>7</sup>.

ღლესდღეობით ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტები მხარს არ უჭირენ არც პ. იოსელიანის და არც ზ. ჭიჭინაძის სიტყვებს. არსაიდან არ ჩანს, რომ გრიგოლ დოდორქელი XVII საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა და რომ იგი ლეკთა თარეშს შეეწირა (რაც, იმ დროს, საერთოდ, შეუძლებელი არ იყო).

ქართული მწიგნობრობისა და მწერალთა პირველი დამფუძნებლის ანტონ კათალიკოსის მოწმობით გრიგოლ დოდორქელი ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის (მემდომში რუსთველი ეპისკოპოსი) თანამედროვეა. იგი ნიკოლოზთან ერთად მონაწილეობს ქართულ ლი-

5 ქართლის ცხოვრება, ქV, გარონიშვილი ვახუშტი, ლექტრა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგნილია უფლა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაფულ ჩვითი მოებ, 1973, გვ. 582, 583, 592 და სხვ.

6 ტრატურ ხარის დასახულებული წერილი, გვ. 235.

7 „წყობილსიტყვაობა“, 787, სერიით.

8 ზ. ჭიჭინაძე, ქართულ მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩეთშეტევა და მეოცრამეტე საუკუნეში, 1888, გვ. 14.

ტურგიულ წესში რეფორმების ჩატარებაში. ანტონი 1758 წელს „საღლესასწაულოს“ წინასიტყვაობაში წერს: „ახალი იყო განწესება დღესა თბ იანურისა თთვისა ანტონი მარტო-მყოფელისა, ვითარმედ ნიკოლაოზ ჩერქეზმან რუსთველმან და გრიგორი ხუცეს-მონაზონმან დოდორქელმან განაწესა დღესა მას იზ იანუარისა...“<sup>9</sup> ამ ცნობიდან აშკარაა, რომ გრიგოლი და ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი თანამედროვენი იყვნენ და ერთად საქმიანობდნენ კიდევაც. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი XVII საუკუნის მიწურულისა და XVIII საუკუნის 30-იანი წლების მოღვაწეა. რ. ბარამიძის დაკვირვებით, იგი გარდაცვლილა 1735 წელს<sup>10</sup>. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი ერთხანს მოღვაწეობდა დავით გარეჯის ითანა ნათლისმცემლის სავანეში. აქ მას 1704 წელს გადაუწერია დავითი, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტში Q—430 ნომრითაა დაცული. ხელნაწერის ანდერტში ვკითხულობთ: „... მე ცოდვილი მონა მსახურებისა ღმრთისა ჩერქეზის ძე, პაპის, მამეულად ავარიანი, ხოლო აწ ღმრთისმოყუარისა მამა-დედისა შვილი, დიაკონ-მონაზონი ნიკოლოზ ქსენებით მყავთ ლოცვათა შინა თქუენთა... განსრულდა დღესა ოცდახუთსა. ქორონიკონს ტუბ (1704 წ.)“<sup>11</sup>. ისტორიული დოკუმენტების ჩვენებითაც გრავოლ დოდორქელისა და ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის მოღვაწეობის ქრონოლოგია ემთხვევა ერთმანეთს. მართლაც, გრიგოლის სახელი დავით გარეჯის მონასტრის საბუთებში იხსენიება 1704—1711 წლებში<sup>12</sup>. გრიგოლი დოკუმენტებში ყოველთვის დოდოს მონასტრის კრებულში იხსენიება. სხვაგვარად არც იყო მოსალოდნელი. მისი გარდაცვალების ზუსტი თარიღი ცნობილი არაა. სავარაუდოა, რომ იგი XVIII საუკ. პირველ ოცეულში გარდაიცვალა. დოდოს მონასტრისა და საერთოდ დავით გარეჯის უდაბნოს სიგელ-გუჯრებში ამ პერიოდიდან აღარ გვხვდება გრიგოლის სახელი.

გვიანდებული ქართული პაგიოგრაფიული მწერლობის ისტორიის განვითარებაში ისეთი მნიშვნელოვანი როლი არც ერთ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს არ უთამაშია, როგორიც დავით გარეჯის ლიტერატურულმა კერამ შესრულა. მთელი ასი —

12 თ. ეორდანია, ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, ფოთი, 1903, გვ. 34—41.

9 ჰ. კეკელიძე, ანტონი კათალიკონის სალუტურგიუმ მოღვაწეობიდან, ერთოდები, IV, გვ. 182.

10 რ. ბარამიძე, მასალები ნიკოლოზ რუსთველის მიოგრაფიისათვის, საიმპილო კრებული ალ. ბარამიძის დაბადების 70 წლისთვზე, თბ., 1974, გვ. 15—20.

11 Q—430, 246 რ—247 ვ

ასორმოცდაათი წლის მანძილზე დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა ხელმძღვანელობდა ქართლ-კახეთში სასულიერო ცხოვრების ყოველ უბანს. გარეჯის ლიტერატურული სკოლის წრთობა გაიარეს XVII—XVIII საუკუნეების ცოტად თუ მეტად გამოჩენილდა მწიგნობრებმა, რომელთაც გარევეული წელილი შეიტანეს ჩვენი ეროვნული მწერლობის და კულტურის განვითარების საქმეში.

გრიგოლ ვახვახიშვილი-დოდორქელიც დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლის ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომელი იყო. მის განსწვლულობასა და შემოქმედებით უნარს, როგორც ჩანს, გარეჯაში დიდად აფასებდნენ მაშინაც კი, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს ეს უმნიშვნელოვანესი კულტურული კერა დაკომპლექტებული იყო გამოჩენილი მწიგნობრებით. სწორედ ამიტომ მოხდა, რომ გარეჯის კულტურული ცენტრის შესვეურებმა გრიგოლს დაავალეს ზოგიერთი რეფორმის ჩატარება ზეკლესიო ცხოვრების წესში და XVII საუკუნის გამოჩენილი მოღვაწის — ქეთევან დედოფლის თავგადასავლის და ტრაგიკული აღსარულის აღწერა. თვით გრიგოლ დოდორქელი სავანგებოდ აღნიშნავს ამ ფაქტს: „მაძიულეს მე კაცთა ვიეთმე ღმრთისმოყუარეთა აღწერად საქმისა ამის, რამთა არა დავიწყებასა მიცემულ იყო ცხრებად ესე ყოვლად-სანატრელისათ, რამეთუ ყოველნი წმიდანი ღმრთისანი, აღმოსავლისა და დასავალისანი, თქ-თქსთა ქუეყანათ და სოფელთა ილუაწინა და შემწე და მეოს არიან მათთვა...“

პირველი ოფიციალური მითითება გრიგოლის ლიტერატურულ საქმიანობაზე ეკუთვნის ანტონ კათალიკოსს. იგი ქეთევან დედოფლისადმი მიძღვნილ თხზულებაში („მარტირიკა“) წერს: „ამისნა უკუ ისტორიანი, ვჰვინებ, ვითარმედ პირუელად აღწერა ვინძე თანამედროვებან წმიდასამან, და თვთ ქეთილმსახურმან ძემან მისმან მეფემან თემიურაზ პირუელმან შაირსიტყუაობით<sup>13</sup>, და მესამემან არჩილ იმერთა მეფემან, მამის ბიძამან ჩემმან, მოიქსენა შაირსიტყუაობათა შინა თემიურაზ პირუელისა საქმეთა ისტორიისათა, კუალად გრიგორი ხუცესმონაზონმან გარეპსხას ლირსის დოდოს მონასტრისამან...“ (გვ. 34). გრიგოლის თხზულებას ერთ-ერთ მნიშვ-

13 ამ ბოლო ხანებში გამოიწვევა ეჭვი, რომ პოემა „ქეთევანიანი“ არ ეკუთვნის თემიურაზ პირველს და მაშიადამე, ანტონის ეს ცნობაც მიჩნეულია არა ეფთენტურად (ხს. შ. ონიანი, ლიტერატურამცოდნეობის საერთოდინაციო საბჭოს XIV სამეცნიერო სესიის თხისები, 1979 წ. გვ. 16—17. ჩ. ბურჯულაძე, „წმება ქეთევან დედოფლისა“, „კისერი“, 1980, № 4; სამასუბო წერილი: ალ. ბარამიძე, მ. გუგუშვილი, ქეთევან დედოფლის წმების გარეშემო „ცისკარი“, 1981, № 1, გვ. 127—134).

ნელოვან ნაწარმოებად მიიჩნევს ანტონი. როგორც ჩანს, ეს აზრი ანტონზე აღრე შემუშავდა სამწიგნობრო ცენტრში და ამიტომაც იყო, რომ გრიგოლის თხზულება შეიტანეს როგორც ძირითადი და ორგანული ნაწილი ქართულ პაგიოგრაფიულ კრებულში<sup>14</sup>, რომლის შედეგნაზე ფიქრობდნენ და პრაქტიკულ ნაბიჯებსაც უკვე დგამდნენ გარეგაში. ორიგინალური მწერლობის განვითარება ყოველ-დღიურად აყენებდა ახალ-ახალ საკითხებს, რომლისათვისაც ანგარიში უნდა გაეწია მოწინავე საზოგადოებას: ამ პერიოდის კულტურული ცხოვრების მამოძრავებელი ძალა, ეროვნულ-პატ-რიოტული განწყობილება იყო. იგი ცხოვრების ყველა უბანს მოიცავდა, საერონაც და სასულიეროსაც. განსაკუთრებით გააქტიურდა ეკლესია, რომელიც XVII—XVIII საუკუნეების მიջნაზე ფაქტიურად ხელმძღვანელობდა ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლას, ლიტერატურულ საქმიანობას. სწორედ ამ პერიოდში მოწიფდა აზრი მხატვრული პროზის ანთოლოგის შედეგნისა: პირველი შევი სამუშაო შესრულდა ონოფრე მაჭუტაძის მეთაურობით. ონოფრეს კრებული, რომელიც 1699 წელსაა გადაწერილი, A—160 ნომრითაა დაცული ხელნაწერთა ინსტიტუტში. ონოფრეს კრებულის ნაკლ თვით მისი შემდგენლები გრძნობდნენ უპირველეს ყოველისა. და ამიტომაც მოხდა, რომ მის სრულყოფაზე, უფრო სწორად, თვით კრებულის ახლებურად გააზრებაზე და აგებაზე XVIII საუკუნის გარემონაზე იწყეს ზრუნვა. XVIII საუკ. მწერალთაგან, ერთ-ერთი პირველი იყო გრიგოლ დოლორქელი, რომლის თხზულება შეიტანეს პაგიოგრაფიულ კრებულში. ქრონოლოგიურად ყველაზე ძველი ხელნაწერი, რომელშიც გრიგოლის თხზულებაა მოთავსებული, არის A—130, დომენტი კათალიკოსის რედაქციის პაგიოგრაფიული კრებული (ჩვენს გამოცემაში A ლიტერით აღნიშნული).

XVII საუკუნის 70-იანი წლებიდან დავით გარეგის სამონასტრო კომპლექსისადმი აშკარად გაიზარდა ქართლ-კახეთის მეფეთა და დიდ ფეოდალთა ყურადღება. აზრილ მეფეებ, რომელმაც თავისი სამეფო მოღვაწეობა კახეთში დაიწყო, რამდენიმე პირველმიშვნელობის ღონისძიება ჩაატარა მონასტრის გამართვისათვის. უპირველეს ყოვლისა, თავი მოუყარა მონასტრის მკვიდრთ, დააბრუნა სხვადასხვა კუთხეებში გაბნეული ბერები, აღადგინა დანგრეული ნაგებობები, დაუბრუნა მიტაცებული სახნავ-სათესები, ზერუ-

<sup>14</sup> ვ. მეტრეველი, ქართული ვითოგრაფიული კრებული და მისი შემგენელი, პუშკინის სახ. პედინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, გვ. 415—420.

ბი და საძოვრები. ფაქტურად დაიწყო კომპლექსის უქრინომიური საფუძვლების გამაგრება. 1672 წელს საგანგებო განკარგულებით (Ad—61) არჩილმა დავით გარეჯის მონასტერს გაუჩინა ჯამაგირი, მანვე სპეციალური ღონისძიებებით სცადა მონასტრის საორგანიზაციო და სამეურნეო საკითხების მოვარება, საშური და საჭიროროორო პრობლემების გადაწყვეტა. დაწყებული საქმე აქტიურად გაგრძელდა შემდეგშიც. შესამჩნევად მოლონიერდა მონასტრის ეკონომიური საფუძვლები ცნობილი წინამძღვრის ონოფრე მაკუტაძის მამობის პერიოდში. 1690 წელს საეკლესიო კრებამ ონოფრე წინამძღვრად დაადგინა. ონოფრეს უშუალო მონაშილეობით და ქართველ ხელმწიფეთა აქტიური მხარდაჭერითა და შეწევნით გარეგაში კვლავ გაიზარდა მობინადრეთა რაოდენობა. დავით გარეჯის უდაბნო მრავალი გამოჩენილი მამულიშვილის ნავსაყუდელა გახდა. ქართლ-კახეთის მეფენი, მიუხედავად მათი აღმსარებლობისა, დიდ შემწეობას იჩენდნენ მონასტრისადმი, არ აკლებდნენ მეფეურ ყურადღებას და მდიდარ შეწირულებებს. სწორედ ამის გამო და სწორი სამეურნეო ხელმძღვანელობის გამოც XVII საუკ. მოწურულისათვის დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი უკვე დიდ და ონიერ ფეოდალურ ერთეულად გადაიქცა. იგი სამეფო მონასტერი იყო, ძლიერი მატერიალურ-ეკონომიური ბაზისით.

XVIII საუკ. ქართული მხატვრული პროზის აღორძინება მთლიანად დაკავშირებულია დავით გარეჯის ლიტერატურულ-შემოქმედებით ქერასთან. გვიანდებული საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში დავით გარეჯის სამშიგნობრო ცენტრი ერთერთ წამყვან როლს თამაშობდა. თავის საქმიანობაში მას ფართო საგანმანათლებლო პროგრამა და მკაცრად განსაზღვრული პრიკციპები ჰქონდა, რომელიც შექმნილმა ისტორიულმა სიტუაციებმა განაპირობებს.

XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ საქართველოში დაიწყო ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის შძლავრი მოძრაობა. მთელი სიმწვავით იქნა დასმული ქართველობის შენარჩუნებისათვის სხვადასხვა გზების ძიების აუცილებლობა. მოძალებული მაპმადიანური სამყაროს მოსაგერიებლად ბრძოლის ახალი ხერხებისა და საშუალებების ძიება გადაუდებელ ამოცანად იქცა. ეროვნული ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებმა ჩამოაყალიბებს ეპოქის ამაღლობინებელი მამოძრავებელი იდეის ფორმა და მისი გამოსახვის საშუალებანი. მწერლობა, ლიტერატურა და ხელოვნების თითქმის ყოველი დარგი ქვეყნის დამზადებლობისათვის ბრძოლის სამსახურში ჩადგა, ეროვნულ-გრა-

მათავისუფლებელი ბრძოლის პათოსით დაიმუხტა. მხატვრულ დაწერა გამოიყვეთა ე. წ. „მართლის თქმის“ თეორია, გაფართოვდა პრობლემატიკა, გაცხოველდა ინტერესი ისტორიული თემატიკისადმი<sup>15</sup>. ეს პროცესი ერთნაირი ინტენსივობით მიმდინარეობდა როგორც სასულიერო მწერლობაში, ასევე საერო ლიტერატურაშიც<sup>16</sup> (მაგ. „ქეთევანის წამება“, „დიდმოურავიანი“, „შაჰნავაზიანი“, „თეომურაზიანი“, „კათალიკოზ-ბაქარიანი“, „ვახტანგიანი“ და სხვ.).

XVII—XVIII საუკ. საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მოძრაობის იდეის პროპაგანდა და აქტიური ხელმძღვანელობა დაკავშირებულია ვანტანგ V-ის გამოჩენილი მეცნიერების სახელებთან, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილს.

მძლავრად მოქმედებდა ქართული ეკლესია — იდეოლოგიური იარაღი, რომელიც შეუდგა ეროვნულ „წმინდანთა“ (ძველის და ახლის) ღვაწლის დაფასებას და მათი მოქმედების ახალ ასპექტში წარმოაჩინებას. ნატომაპმადიანური საქმიანობა და მისი თეორიული პროპაგანდა, მათა-პაპეული თრთოდოქსალური განწყობილების დაცვა, პრაქტიკული შეიარაღებული ბრძოლა მარბევი ტომების წინააღმდეგ მოელი ქართული საზოგადოების და ქართული ეკლესიის ყოველდღიურ მოცავას შეადგენდა. ქართული მწერლობის ერთ-ერთ აქტიურ ფრთას — პაგიოგრაფიულ-პიმნოგრაფიულ ეანრს არ აქმაყოფილებს ფაქტების მხოლოდ მეისტორიეს სტილით შპრალი გადმოცემას, ან მხოლოდ მეტაფრასული ენაწყლიანი აღწერა. შექმნილი სინამდვილე ყველასაგან მკაცრად მოითხოვს ეპოქის მოთხოვნილებათა თვალით მოხდეს ფასეულობათა გადაფასება, ყოველი „წმინდანის“ საქმიანობის განსაზღვრა. ქართული ეკლესია ახალი თვალსაზრისებით და ახალი პოზიციებიდან აფასებს ისტორიულ მოვლენებს და მათ მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული პატრიოტული თვალსაზრისით განიხილავს. ამიტომა სწორედ, რომ „წმინდანთა“ რიცხვში მოხვდნენ და ქართული ეკლესიის ეორტალოგიურ კალენდარში დაიმკვიდრეს ადგილი ისეთმა მოღვაწეებმა, რომლებსაც მოწამებრივი სიკვდილი არ მიუღიათ და მხოლოდ მოთარეშე ლეკთა გუნდების შემოსევათა შედეგად დაიღუპნენ.

ეს დიდი პოლიტიკური და სოციალური შინაარსით გამსჭვა.

<sup>15</sup> პ. დედოლიძე, ძელი • ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, 1952., გვ. 387.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 387—437.

ლული ტენდენცია დაედო ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად. დაწილა გარეჯის ლიტერატურული სკოლის საქმიანობას. ეგვევ საფუძვლა გახდა მისი მთელი პროფილის განმსაზღვრელი.

დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლის აღორძინების შეორე გადამწყვეტი პირობა იყო კულტურული ფერორები, რომლებიც მოწესრიგებული ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში აშკარად გააქტიურდნენ. XVIII საუკ. დასაწყისშივე გამოიკვეთა დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლის არსებითი ნიშნები: 1. ჟაგიოგრაფიულ-პიმნოგრაფიული კრებულების დამუშავება; 2. დოგმატიკურ-პოლემიკური ლიტერატურის დამუშავება; 3. კულტურული საქმიანობა, ხელნაწერების გადანუსხვა-გამრავლება და ბიბლიოთეკების შექმნა<sup>17</sup>.

საბუთების მოწმობით, XVII—XVIII საუკუნეებში დავით გარეჯის ლიტერატურულ-შემოქმედებითი კერიდან ფართოდ ვრცელდებოდა მთელ საქართველოში საჭირო ლიტერატურა. ოვით გარეჯაში არსებობდა უაღრესად მდიდარი და მნიშვნელოვანი სამონასტრო ბიბლიოთეკა მდიდარი წიგნადი ფონდით, რომლითაც სარგებლობდნენ საერო და სასულიერო საზოგადოების წარმომადგენლები. დაწურად დავითიშვილი რამდენიმე დოკუმენტს: „დავით გარეჯის წიგნები აქვს ტფილელს — ძველი ხრონიკები; კუალად სვანე-სარი; კუალად მამათ ცხოვრება.

ბატონიშვილს გიორგის მღუდელს ნიკოლაოს აქუს ქალწულთა შეტაფრასი.

ნინოშვილელს აქუს დოდოელთა გულანი... ცრამბის ერთი ზაღიკი.

ერთი მარხუანი დოდოელთ ითანე მღუდელსა აქუს.

ერთი მარხუანი კელწერილი აბრამ მღუდელს აქუს, გიორგი წმინდას<sup>18</sup>.

დაცულია დავით გარეჯის ბიბლიოთეკის წიგნების კატალოგი (თუ შეიძლება ეს ტერმინი ვიხმაროთ). ვიძლევით ამ ნუსხას, რადგან იგი კერ არსად გამოქვეყნებულა, მას კი გარკვეული მნიშვნელობა აქვს ჩვენი კულტურისა, და კერძოდ, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლის ისტორიის შესწავლისათვის:

1. გულანი დიდი და პატიოსანი;
2. წლის შეტაფრასი, ერთი;

17 დაწვილებით იხ. მ. ჭავთარია, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, 1965, გვ. 44.

18 ხელნაწერთა ინსტიტუტის Hd ფონდი, № 317.

3. სახარების თარგმანი მათეს თვისია;
4. ეფრემი, ერთი;
5. სტამბის სამოციქულოები, ხუთი;
6. პარაკლიტონი სტამბისა, ერთი;
7. სამი წელით ნაწერი პარაკლიტონები.
8. და ერთი კიდევ ხელით ნაწერი პარაკლიტონი;
9. კიდევ მეტაფრასი, ორის თვისა, ერთი;
10. კურთხევანი დიდი რუსული, ერთი;
11. კლემაქსი, ერთი;
12. სტამბის სამოციქულო, კიდევ ერთი;
13. კლემაქსი, ერთი;
14. სტამბის სამოციქულო, კიდევ ერთი;
15. კიდევ სახარების თარგმანი მათეს თვისია, ურთი;
16. მამათ ცხოვრება, ერთი;
17. მამათ ცხოვრება, ერთი;
18. სტოლიერი, ერთი;
19. მგრავლოვანი სახარება;
20. უამნ-გულანები, ორი;
21. ტვიბიკონი, ერთი;
22. წელით წერილი უამნი, სამი;
23. წელით წერილი დავითნი, ორი;
24. წელით ნაწერი კონდაკი, ხუთი;
25. და ორი სტამბის კონდაკი;
26. საუფლოს ათორმეტები, ერთი;
27. წელით წერილი პატარა კურთხევანი, ერთი;
28. სეიმერნ საკვირეელომოქმედის საკითხევი;
29. სტამბის კვერექსი ერთი;
30. სამსგებსო სამოციქულო და თვე, ერთი;
31. ორი წერილი წიგნები წელით წერილი;
32. ერთი სტამბის კონდაკი”<sup>19</sup>.

ამ ნუსხას იმეორებს Ad — 307. სავარაუდებელია, რომ Ad — 307 უფრო გვიანდელია. მასში გადახაზულია ჩვენი ნუმერაციით № 4, 6, 10.

დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრების ბიბლიოთეკით სარგებლობენ როგორც თვით მონასტრის ბერები, ისე სხვებიც. მაგ., ერთ-ერთ საბუთში (Ad—416) ვკითხულობთ: „დავით გარეჯას აქუს დოდოს წიგნები:

<sup>19</sup> Ad—367.

გულანი — 1  
 მეტაფრასი — 4  
 ეფრემი — 1  
 კლემაქსი — 1  
 მამათა ცხოვრება — 1  
 ორი ბარკლიტონი ჸელი[თ] წერილი  
 სტანდის სახარება — 1  
 სტანდის სამოციქულო — 1  
 სტოდიელი — 2  
 სახარება — სამოციქულო, ჸელით წერილი — 1  
 კიდევ სახარება — 1, ბერძნული,  
 კიდევ სხვა სახარება ჸელით წერილი — 1  
 კიდევ სხვა სახარება... ქაღალდზე წერილი — 1  
 მარხვის საწინასწარმეტყველო — 1  
 სინქასარი (!) — 1  
 ჸელით დაწერილი სამოციქულო — 1  
 მარხვანი — 1  
 დავითნი — 2.“

ანდა კიდევ: Ad — 404 გვაუწყებს: „იოანე ბოდბელს, ნეტარ-სენებულს, ახლდა მონასტრის წიგნები: კლემაქსი, დიდიოლოლო-ნი (sic) ერთად შეკრული, თავისაგან შემოწირული: ქალ-წულთ ცხოვრება, ირინე მონაზონისაგან შემოწირული, იოანე ოქროპირის სწავლა და ლავსაიკონი ერთად შეკრული ეტრატისა, მამათ ცხოვრება ნახევარი; კონდაკი, ლექსიკონი“<sup>20</sup> და სხვ.

ქართული პაგიოგრაფიული კრებული ძველი ქართული სიტყ-ვაყაზმული მწერლობის ერთ-ერთი პირველი ანთოლოგია, რომ-ლის ტიპი XVII—XVIII საუკუნეების მიზნაზე გამოიყვეთა. პაგიოგ-რაფიულ კრებულებში ორიგინალური ქართული მოთხრობა (ცხა-დია, პაგიოგრაფიული უანრისა) იყო თავმოყრილი. კრებულის კომ-პოზიცია, აგების არქიტექტონიკა, მასალათა თავმოყრის, დალაგე-ბის თავისებური პრინციპი XVIII საუკუნის გარეკანზე შემუშავ-და და იგი კრებულიდან კრებულამდე იხვეწებოდა, ივსებილდა და გამოხატავდა XVII—XVIII საუკუნეების ქართველ მწივნობართა დამოკიდებულებას ძველი ქართული მხატვრული პროზისადმი.

20 სავარაუდებელია, რომ იგულისხმება სულხან-საბას ლექსიკონი, ამ მხრივ საყურადღებოა ეს საბუთო.

იდეა პაგიოგრაფიული კრებულის შედგენისა ახალი იყო. თუმცა ერთგვარი ტრადიცია უკვე არსებობდა. ჩვენი მწერლობის ისტორიის აღრეულ ეტაპებზე პაგიოგრაფიული კრებულების (იადგარებისა და თვენების) გვერდით დგებოდა მრავალთავები, ცოტა მოვინანებით პაგიოგრაფიულ თხზულებათა კრებულები, რომლებშიც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ავტორთა (ძირითადად არა ქართველთა) თხზულებანი. დასახელებულ კრებულთა შედგენის გამოცდილება სავარაუდებელია რამდენადმე გათვალისწინებული იყო XVII საუკუნის მიწურულისა და XVIII საუკუნის დამდევის ლიტერატორთა მიერ, მაგრამ უფრო მართალნი ვიქნებით აღმართ, თუ ვიტყვით, რომ ძველი ქართველი მწიგნიბარ-რედაქტორთა გამოცდილება XVII—XVIII სს. კრებულთა შემდგენლებს ნაჯლებად გამოადგებოდათ თუნდაც იმიტომ, რომ თვით კრებულები თავიანთი მიზანდასახულებით, მასალათა შეჩრჩევით და დალაგებით არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მართალია, ცალკეულ ავტორთა ორიგინალური თხზულებების თუ თარგმანების კრებულები არსებობდა ძველად (მაგ. ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანების კრებული A—1103), ხოლო აღორძინების ხანში განსაკუთრებით მომრავლდა პოეტური კრებულები<sup>21</sup> (მაგ. თეიმურაზ I-ის, არჩილის, ვახტანგ VI-ის, თეიმურაზ II-ის და სხვ.), მაგრამ ქართული მხატვრული პროზის ანთოლოგია, რომელსაც ელ. მეტრეველმა „ქართული პაგიოგრაფიული კრებული“ უწოდა, თავისთავად დიდი სიახლე იყო აღორძინების ხანის ლიტერატურულ ცხოვრებაში. ამიტომაც მოხდა, რომ სულ რაღაც სამ ათეულ წელიწადში ამ ტიპის კრებულის რამდენიმე რედაქცია შეიქმნა და გახდა მკითხველისათვის ხელმისაწვდომი. და, რაც მთავარია, ეს კრებულები („მარტირიკის“ გარდა), რომლებიც ძირითადად ერთსა და იმავე თხზულებებს აერთიანებენ, შედგენის არქიტექტონიკით, თხზულებათა განაწილებით, ტექნიკურად გაფორ-

21 აჩ აჩის გამორიცხული, რომ ქართული პოეზიის ანთოლოგიები, პროზის ანთოლოგების — პაგიოგრაფიული კრებულების — ანალიგით იყო შედგენილი. ლ. ქუთათელაძის დაკვირვებით XVIII ს. მეორე ნახევრამდე არ არსებობდა, ჩვენში პოეტური კრებულები. ორიგინალური პოეზიის ანთოლოგიები, რომელთა უკეთეს სრული ნუსხები XIX ს. პირველი ოცენების დროიდანაა ცნობილი (დავთ რექტორის კრებულები S—1511, S—1512), მხატვერ. ორიგინალური პროზის კრებულების შეხედვით უნდა იყოს გაკეთებული.

მების მიხედვითაც კი, განსხვავდებიან ერთომეორისაგან<sup>22</sup>. A—130 თავისთავად უკვე მოცულობით (სხვას რომ თავი დავანებოთ) სხვაობს A—160-ისაგან და ორივენი კი A170-ისა და H—2077 ხელნაწერი კრებულებისაგან. ასევე ცალკე დგას S—3269 ხელნაწერა კრებული. ყოველი მომდევნო ცალი ივსებოდა თანამედროვე ავტორთა ნაწარმოებებით. ასე შევიდა ჰაგიოგრაფიულ კრებულებში გრიგორ ვახვაძეშვილის (დოდორქელის), ბესარიონ ორბელიშვილის (კათალიკოსის) თხზულებები.

ქართული ჰაგიოგრაფიული კრებულების ვრცელი დახასიათება, მათი ურთიერთმიმართება, შემდგენელ-რედაქტორთა მოღვაწეობა კარგა ხანია სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია<sup>23</sup>. ამიტომ მას აღარ გვიმეორებთ, ვიტყვით მხოლოდ, რომ პირველი კრებული ონიფრე მაჭუტაძის ინიციატივით შედგა და იგი წარმოდგენილია 1699 წლის ხელნაწერში A—160. XVIII საუკუნის დამდეგს ღომენტი კათალიკოსმა განსხვავებული თვალსაზრისით შეადგინა ახალი კრებული (რიგით მეორე), რომელიც გაბრიელ საგინაშვილმა გადაწერა 1710—1713 წლებში (A—130 ხელნაწერი); ჰაგიოგრაფიული კრებულის მესამე რედაქტია შეტყვა ბესარიონ ორბელიშვილის ხელმძღვანელობით ამავე საუკუნის 20-იან წლებში (S—3269), რომლის ყველაზე სრული ნუსხა 1733 წლის ხელნაწერითაა (A—170) წარმოდგენილი.

XVII საუკუნის დასაწყისში სპარსეთი გარკვეული სიფრთხილით, მაგრამ ენერგიულად ემზადებოდა ქართლ-კახეთის ხელში ჩასაგდებად. თავისი ზრახვების განსახორციელებლად სპარსეთმა

22 მხატვრული პროზის ანთოლოგიებისათვის, როგორც წესი, გამოყენებული იყო ნუსხა-ხუცური შრიფტი, პოეტური ანთოლოგიებისათვის კი მხოლოდ მხედრული. ეს ფაქტი გარტო ეკლესიის კონსერვატულობით არ შეიძლება აიხსნას, რადგანაც XVIII საუკ. მიურულში ეკლესია ისევ ისეთი იყო, მაგრამ ჰაგიოგრაფიული კრებული ჩავა მხედრულად გადაიწერა. საყურადღებოა შემავაკიც, ანტონ პირველის „მარტინიეს“ ერთ-ერთი პირველი ცალი (S—1272), სამუშაო ეგზემპლარი, მხედრულად დაწერა, ხოლო იუიციალური ნუსხა, რომელმაც ავტორის სანქცია მიიღო გავრცელებისათვის, ნუსხა-ხუცურად იყო გაფორმებული (Q—78). ნუსხა-ხუცური შრიფტის გამოყენება ტექნიკურ რედაქტორთა ჩანაცემების ერთ-ერთი კომპინენტთაგანი უნდა ყოფილოყო თავის საზედაო ასოციაცია და მელანთა ფერადოვნებით (სინკრისის გამოყენებით).

23 ე. ლ. შეტრანსალი, ქართული აგიოგრაფიული კრებული და მისი შემაგრება, ა. ს. პეტერინის სახ. პედიონსტრიტების შრომები, ტ. VIII, 1949, გვ. 415—420. მ. ქავთარაძე, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, 1965, გვ. 45—64; მისიევე, ძველი ქართული პოეზიის სტორითან XIX—XVIII ს., 1977, გვ. 21—32.

გამოიყენა ქართველი ბატონიშვილი კონსტანტინე, რომელიც ჩეგნის რეზიდენციას ისტორიაში მამისა და ძმის მეცნიელის სახელით შევიდა. რამდენდან მე მოვიანებით შაპ-აბაზი აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა, ააოხა კახეთი, ტყველ ჩაიგდო ქეთევან დედოფალი და სამეფო ოჯახის სხვა წევრები. 1624 წ.-ს ქეთევან დედოფალი არაადამიანურად აწა-მეს და მოკლეს.

საქართველოს ისტორიის ეს მეტად ამაღლვებელი ეპიზოდი აიღო გრიგოლ დოლორქელმა თვეისი თხზულების სიუკეტად და მთელი სიცხადით და ისტორიული ობიექტურობით გააშუქა იყი. ამით გამოხატა XVIII ს. საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულება XVII საუკუნის ისტორიულ ფაქტებთან.

ისტორიული თემატიკით გატაცება XVII—XVIII საუკუნეების ქართული მწერლობისათვის, განსაკუთრებით მხატვრული პროზისათვის, დამახასიათებელია. ეროვნული მოტივი, პატრიოტული განწყობილება მთავარი ძარღვია ამ ხანის ჰაგიოგრაფიულ-პიმნო-გრაფიული მწერლობისათვის.

გრიგოლ დოლორქელის თხზულება XVIII საუკუნის პირველი პროზაული ნაწარმოებია, რომელიც უანრის შესაბამისი მხატვრული ხერხებით აღადგენ XVII საუკუნის დასაწყისის ისტორიულ სურათს და ამ ეპოქის დიდი მამულიშვილის — ქეთევან დედოფლის მიმზიდველ პორტრეტს.

გრიგოლის თხზულება მრავალბლანიანია, — პირობითად საჭარილად შეიძლება გაიყოს. პირველი — კონსტანტინეს ამბავი, მეორე — ლუარსაბ მეფის ამბავი და მესამე — თვით ქეთევანის მოწმებრივი სიკვდილი. სამიერ ნაწილი შინაგანი ლოგიკური ხაზით არის გაერთიანებული და შერწყმული. პირველი ორი ნაწილი ავტორს სჭირდება მხოლოდ ფონისათვის, ისტორიული მდგომარეობის შესაბამისად წარმოაჩინოს ქეთევანის ძლიერი ნება და ხელმწიფური ბუნება. ავტორი სიუკეტის განვითარების სწორ ხაზს უხვევს, მაგრამ მისი გამძაფრებისათვის ეს გადახვევები აშერად საჭიროა. გრიგოლი თვით წერს: კონსტანტინეს შესახებ თხრობა „არ უვებოდა, ვინათვან ცხორებად და წამებაა აღვსწერეთ დედოფლისა, რაათმცა ესევითარი უსჯულოდ კაცი შემოვიხუენ და ამის მიერ განვაგრძენე სიტყვანი ჩემნი და მათსა ცხორებასა მცირედ უამდრო ვეც, არამედ რავდენცა მრავლის შემეტყულებდე უსჯულომასა ამისთვის, ეგრეთცა უშეტესად იდიდოს სახელი მოწამისა ამის“. არივე ეპიზოდის — კონსტანტინე ძმისა და მამის მკვლელისა და ლუარსაბის წამების — გადმოცემა ქეთევან დედოფლისაღმი მიძღვნილ თხზულებაში ავტორს არ მიაჩნია გამართლებულად, მაგრამ ფართოდ

მოფიქრებული გეგმა, რომელიც XVII საუკუნის პირველი უცხულის აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობის ჩვენებას ისახავს მიზნად, თავისთვავად ვარაუდობდა ორივე ეპიზოდს. ორივე ეპიზოდის დამთავრებისას ავტორი მოვაკონებს ძირითად მიზანდასახულებას და წერს: „ხოლო ჩუენ პირველსავე გზასა ვიწყოთ სლვა“, ან „ხოლო ჩუენ აღვიდეთ პირველსავე მას სიტუაციასა ზედა“.

გრიგოლ დოდორქელი ქართული პაგიოგრაფიული და საისტორიო მწერლობის შესანიშნავი მცოდნეა. იგი იმ მდიდარი ტრადიციების ბეჭითი მიმდევარია, რაც ქართულმა პაგიოგრაფიამ საუკუნების მანძილზე დაამკიდრა ჩვენში. თხრობის ლალი მანერა, რაც დამძიმებული არ არის ბიბლიური წიგნებიდან ნასესხები დახვებული სტრიქონებით. პირიქით, ავტორისათვის ნიშანდობლივია ციტატთა მარჯვედ მოხმობა და თხრობის მდინარებაში ოსტატურად ჩართვა, იმდენად ისტატურად, რომ იოტისოდენად არ წყდება ამბის ბუნებრივობა და დინამიურობა, არ ფერხდება მოვლენათა განვითარება.

გვიანდეოდალური ქართული პაგიოგრაფიისათვის გამოიყეთა ერთი მომენტი. ავტორები ცდილობენ რაც შეიძლება მეტი სისრულით ასახო ეპოქა, და ამავე დროს, დაიცვან ისტორიული სიმართლე. რა თქმა უნდა, ამ სიმართლისადმი დამოკიდებულება, უფრო სწორად, ზოგიერთი, თუნდაც მნიშვნელოვანი ფაქტისადმი ავტორის დამოკიდებულება შეიძლება ტენდენციურიც იყოს, მაგრამ ეს ტენდენციურობა არ ცილდება გარევეულ ჩარჩოებს და ხელს უწყობს მხოლოდ ავტორის ჩანაფიქრის რეალიზაციას. ეს მოვლენა დადასტურებულია გრიგოლ დოდორქელის თხშულებაშიც. გრიგოლი ქეთევანის მეისტორიე, მისი სულიერი მხნეობისა და არაჩვეულებრივი თავდადების წარმომჩენია და ურყევი ხასიათის მქონე დედოფლისა და მეტად ფაქიზი სულის და ქალური სასუსტების მეობელია. მაგრამ გრიგოლისათვის ქეთევანი, უპირველეს ყოვლისა, ქართული ეკლესის მიერ აღიარებული წმინდანია და, მაშასადამე, მისი პაგიოგრაფიული მოთხრობის აქტეული ური თუ იმქვეყნიური სიეთით აღქურვილი გმირია. ამიტომ არის, რომ მოთხრობაში იშვიათად, მაგრამ მაინც დედოფლის ცოცხალ სახეს ხატი ცვლის, რომლის ნიმბი გაჭიანურებული ლოცვა-ლაღარისითაა შემკული.

ქეთევანი უკეთოლშობილესი დედ-მამის ასული, „ალიზრდებოდა, ვითარცა შვილი იგი მამისა ზეცათასა“. მომხიბვლელობა მომავალი დედოფლისა საარაკო იყო. „იყო ეს ნეტარი ხილვითა ხატისათა ფრიად შუენიერ და ბრწყინვიდა პირი მისი, ვითარცა მზე,

და პეტროვნებამ მისი დაპტარვიდა პირსა ყოვლისა ქუცყანისასა". იგი კახეთის მეფის ალექსანდრეს მემკვიდრის — დავითის თახაშე-ცხედრე გახდა და ზნექეთილი ოჯახის დედა.

ავტორი შეგნებულად არჩილებს ფერებს ქეთევანის მეუღლის დახასიათებისას. დავითის გოროზი ხასიათის და ძალაუფლების მოყვარეობის ნალი ჩვენება ავტორს არ აწყობს, მის გეგმაში არც შედის, რადგანაც ნებსით თუ უნებლივთ მაშინ ქეთევანიც უნდა გახდეს მისი ამპარტავნობისა და ურჩობის ერთგვარი მონაწილე, რასაც პაგიოვრაფი ვერ დაუშვებდა. ამიტომ ავტორი მობოდიშებით რამდენჯერმე წერს: „დავითს და მეუღლესა მათსა ნეტარსა ქეთე-ვანს არა ენებათ...“ მეორე ადგილას „არა ენება საქმისა ამის გელ-ყოფად...“ და სხვ. ისტორიული ფაქტი — დავითის მიერ მეფობის ძალით მიტაცება — გრიგოლ დოლორქელის ხელში მხოლოდ ალექ-სანდრე კახთა მეფის სანქციით და ლოცვა-კურთხევით მოხდა. „წარვიდა მამისა თვისისა თანა და თაყუანისცემით შენდობასა ითხოვდა მისგან. ხოლო მამა მისი, ჰედვიგა რა ესევითარსა მოქ-რძალვასა მისსა, მანცა ნება-სცა“. ავტორი აქ ბოლომდე ვეღარ დალატობს კეშმარიტებას, მაგრამ მაინც მოქრძალებით წერს: „ნე-ბა-სცა გულითა არა კეშმარიტითა“.

ერთი სიტყვით, ავტორისათვის მთავარია ქეთევანი. ავტორი-სათვის პირველი სიძნელე იყო დავით კახთა მეფის გვერდით დე-ლოფლის წარმოჩენა. დავითისა, რომელმაც მამას მიუღო მეფობა და თვით იგდო ხელთ ძალმომრეობით. ამ ეპიზოდს გრიგოლმა რამ-დენადმე გაართვა თავი. მაგრამ უფრო ძნელი იყო მეორე ფაქტი. ამპარტზე გამოჩენდა რენეგატი კონსტანტინე, ქეთევანის მაზლი, რომელსაც „დავიტყა მამული, სარწმუნოება ქრისტიანობისა და ისმაიტელ და ბარბაროზ ქმნილ იყო“. კონსტანტინემ მოკლა მამს ალექსანდრე და ძმა გიორგი, დაიპყრო კახეთი და შუამავლები გა-უგზავნა ქეთევანს. კახეთის საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია ამ უტიფარმა საქციელმა და კახეთის თავად-აზნაურებიც ქეთევა-ნის მეთაურობით დაირჩიმნენ და დაამარტეს კონსტანტინეს ლაშ-ქარი, ხოლო თეთი მამისა და ძმის მკელელს კი „მოუკდეს მას სამ-ნი კეთილცხენოსანნი: დავით, თამაზ და ბებურ და ჰერქეს მას შუბი და გარდმოაგდეს იგი ცხენისაგან... და ორად განაპეს თავის მისი“.

კონსტანტინე ბატონიშვილის ავკაციობის ისტორია საკმაოდ ვრცელადა მოთხოვნობილი „ქეთევანის წამებაში“. პაგიოვრაფიული თხზულების კომპოზიციური ტრაფარეტი მაინც დამაინც არ თხოვ-ლობდა ამ ეპიზოდს იმ ოდენობით, როგორც „წამებაშია“ და ამი-ტომაცაა, რომ ნაწარმოებში იგი საგანგებოდ, გარკვეული მიზნით

ჩართულის შთაბეჭდილებას ტოვებს. აյი თვით გრძნობს იმს კავკაციური ტორი და წერს კიდეც: „არა ეგებოდა, ვინამთვან ცხორებად და წამებად აღვსწერეთ დედოფლისა, რამთამცა ეს უსჯულო კაცი შემოვიხუენ და მის მიერ განვაგრძნე სიტყუანი ჩემნი“. მაგრამ, ამავე დროს, ერთი შეხედვით სწორედ ეს ხელოვნურობა ანიჭებს მოთხოვნას მეტ ბუნებრივობას და ქმნის რეალისტურ ფონს მოქმედი გმირის ენერგიული და მტკიცე ხასიათის წარმოსაჩენად.

კონსტანტინე ბატონიშვილის ავტოპონის ამბავი შემზარევ ეპიზოდად დარჩა ჩვენს ისტორიაში. ამ პერიოდის მემატიანენი საგანგებოდ აღნიშნავენ მას, როგორც გაუგონარ ფაქტს და აღარებენ კაენის საქციელს. არჩილ მეფემ თვის ცნობილ პორმაშიც „გაბასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ კი შეიტანა კონსტანტინეს ამბავი და ეს მონაცემთი ასე დაასათაურა: „ამბავი საზარელი და სათქმელად საძნელო, და სასმენელად საძაგელი, მეორეს კაენისა და ლამექის შეიდგზის გამოვრდომილის კონსტანტინესი, რომელმან ესევითარი განხრახვა გულს იდვა და მოკლა ლვოთისმოყვარე ხელმწიფე — მამა ალექსანდრე და ძმა თვისი გორგი. უყურეთ მანქანებასა ბელიარისასა“.

გრიგოლ დოდორქელი იცნობს არჩილის მონათხოვნას და ერთგვარად ითვალისწინებს კიდეც მას. მაგრამ უშუალო დამოკიდებულება არჩილის პორმასთან „წამებისა“ არ ჩანს. ამბის გაღმოცემისას პორმასა და „წამებაში“ ზოგადი მსგავსება დიდია. მაგრამ დეტალებში არ იგრძნობა.

ქეთევან დედოფალი ამ ეპიზოდშიც გმირია. მან ბიბლიური მოსეს დის — დებორის მსგავსად შეიმოსა „სიმწე მამაქაცობრივი“ და უწინამძღვრა ლაშქარს. ქეთევანის ამ გმირულ საქციელს, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის კეთილდღეობის დაცვით იყო ნაკარნახვე, ავტორი უძებნის რელიგიურ სამოსელს, ასევე ისტორიული აუცილებლობით. ქეთევანის ყოველგვარ მოქმედებას ავტორი ამართლებს ქრისტიანული მორალის პოზიციებიდანაც. ეს მას სჭირდება იმისათვის, რომ მოამზადოს მკითხველი ქვეყნისათვის თავდადებულ წმინდანთა შესახვედრად, რომ მსმენელ-მკითხველისთვის ქეთევანის თავგანწირეა, ქეთევანის უპრეცენდენტო გმირობა აღქმულ იქნეს როგორც ლოგიკური დასასრული ქვეყნის ბედზე მოქირნახულე დედოფლისა.

გრიგოლ დოდორქელის თხზულებიდან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ორი საკითხი: 1. ლუარსაბ მეფის წამება და 2. ანტიკათოლიკური ტენდენცია. დავიწყოთ მეორეთი.

XVII საუკუნის დამდეგიდან მოყოლებული კათოლიკური-

მრწამისის პროპაგანდა საგრძნობლად მოღონიერდა ჩვენში, ეს სამართლებრივი კითხი განსაკუთრებით მწვავედ დაღვა XVII საუკ. გასულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში. ევროპეიზაციის კურსი, რომელსაც საერო ხელისუფლების წარმომადგენლები უპერდნენ მხარს, რომელიც პაპიზმის პროპაგანდასაც გულისხმობდა და მისიონერთა მთელი წყების საქმიანობასაც, ორთოდოქსალურად განწყობილ საეკლესიო წრეებში, პიროქით, მეცაც რეაქციას იწვევდა. ქართველ ხელისუფალთ კათოლიკობა მიაჩნდათ ერთადერთ საშუალებად ცი-ვილიზირებულ ევროპასთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირისათვის. მაშინ, როდესაც თვით კათოლიკობას, როგორც რელიგიურ მოძღვრებას კი თავისი კონკრეტული მიზნები ჰქონდა. რომის ეკლესია უფრო მეტად კოსმოპოლიტურია, ვიდრე მართლმადიდებლობა და მას ეროვნული გეოგრაფიული საზღვრები არ სწამს. აქედან გამომდინარე მისი საქმიანობის ძირითადი დანიშნულება ის იყო, რომ ყველა ქრისტიანისათვის სამშობლოდ ვატიკანი გახეადათ. პაპი ურბანოს მერვე თემურაზ პირველს 1624 წ. 4 ივლისის თარიღით წერდა: „იტალიისათვის დიდად სასიქადულოა, რომ კახეთის მეფემ მოუსმინოს რჩევა მღვდლებს, რომელთაც უნდათ განამზადონ გზანი უფლისანი და წრფელ ყონ ალაგნი მისნი... უკეთ თქვენი უმაღლესი ნიჭი ნატრობს დიდებას, ცხადია, არაფერს დაზიგავთ, რათა თქვენი სახელი იქნება და იდიონის ქრისტიანების დედაქალაქსა და ყველა ტომთა საერთო სამშობლოში“<sup>24</sup>. მეორე საბუთიც ანალოგიურია. 1633 წელს პაპი ურბანოს მერვე დადიანს წერს: „ყველა ნათესავთა სამშობლო რომაც, რომელსაც ძრიელნი მეფენი პატივს სცემენ“<sup>25</sup> კათოლიკობა საფრთხეს უქადა ჩვენს ეროვნულ მწერლობასაც, რადგანაც ერთადერთ ენდო როგორც ღვთისმსახურებისათვის, ისე ლიტერატურისათვისაც, ვატიკანი მხოლოდ ლათინურს სცნობდა.

ვატიკანის პოლიტიკური ზრაცვებიდან გამომდინარე, როგორი მოქნილიც არ უნდა ყოფილიყო მათი დიპლომატია, ჩვენში კათოლიკობის გაბატონება ქართველ ორთოდოქსთა თვალსაზრისით დღეს თუ ხვალ გამოიწვევდა ეროვნული მწიგნობრობის შესუსტებას (ხსნაზე რომ არაფერი ვთქვათ). ეს ფაქტორი პრინციპულობამდე იქნა აყვანილი დავით გარეჯის ლიტერატურულ სკოლაში, სადაც შემუშავდა სწორედ კათოლიკობის წინააღმდეგ ბრძოლის

24 ვ. თამარა შვილი, ატორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბილისი, 1902, გვ. 91.

25 იქვე, გვ. 169.

პროგრამა, დაიწერა სპეციალური თეორიული ანტიკათოლიკური, და ანტიპაპისტური ობზულება „გრდემლის“ სათაურით, რომელ-შიც თრთოდოქსალური პოზიციებიდან ჰუნძტობრივად განციებულია კათოლიკობის, როგორც რელიგიური მოძღვრების საფუძვები.

როგორც ჩანს, გრიგოლ დოდორქელი ეპუთვნოდა გარეგელ შერ-მოლვაწეთა ისეთ წერეს, რომლებიც ამ საკითხზე სერიოზულად ფიქრობდნენ და ყოველ ხელსაყრელ მომენტში გამოთქვამდნენ თავიანთ აზრს. სწორედ ამ თვალთახედვით უნდა ავხსნათ ანტიკათოლიკური ერთი ფრაზა (ერთი შეხედვით, თითქოს უმნიშვნელო და ძალზე ჩვეულებრივი), რომელიც გრიგოლს შეუტანია თავის შრომაში და ამით ერთგვარად მოუხდია თავისი ვალი.

გადაწყდა ქეთევან დედოფლის არაადაშიანური დასჭა. წამები-სათვის გამზადებული დედოფალი აღავლენს მხურვალე ლოცვას<sup>26</sup>. ავტორი შეგნებულად იჩერებს ყურადღებას ამ ფაქტზე და ერთი შეხედვით წერს სრულიად უმნიშვნელო ფრაზას: „წარმოსოქეა მრწამსი სრულიად, თკთოეულად ბრწყინვალედ...“ სურათი დასრულებულია, სათქმელი ნათქვამია. მოთხოვობისათვის სავსებით ბუნებრივი იქნებოდა, თუ ავტორი აქ დასვამდა წერტილს. ყველაფური უკვე ითქვა. მრწამსის თითოეული მუხლი, როგორც ავტორი ამბობს, დედოფალს ბრწყინვალედ წარმოუთქვამს. მაგრამ გრიგოლ დოდორქელი საგანგებოდ აგრძელებს ამბაეს, ლოგიკურ და-სასრულშე არ ჩერდება. იგი წერს: „და თქუა: მრწამს მამაკა-ძისა თანა სულიშმიდითურთ და უხრწნელი იგი დედოფა-ლი, მშობელი სიტყვისა ღმრთისაძ“. არ შეიძლება ეს ფაქტი მწერლის გულუბრყვილობით აგხსნათ ან იმის სურეილით, რომ დაიმოწმოს ზუსტი ციტატა. ავტორს საგანგებოდ მოაქვს მრწამსის დასაწყისი სტრიქონი, რომ ნათლად გამოჩნდეს სპარსეთში დატყვევებული დედოფლის, რომელიც კათოლიკ მისიონერთა წრეში ტრიალებდა, რელიგიურ-აღმსარებლობითი კრედო და თანაც გა-მოაჩინოს თავისი პოზიცია.

<sup>26</sup> ლათინელი მისიონერების ცნობით, ქეთევანს შირაზში თავისი მცირედი სამლოცველო ჰქონია. დოდორქელი პირდაპირ წერს, რომ ჰქონდა ეკულერი, სა-დაც „იურულდა ლოცვითა და ველრებითა დაც და ლმე წინაშე ღმრთისია“. თკორანით „ქრისინიების“ მეორე წიგნში ასახულებს ქეთევანის ნაქონ ლოც-ვანს, რომელსაც თითქოს დედოფლის ცრემლების დაქა და, სანთლის ნალვენთი ემბეჭვა“ (იხ. თ. ეორდანია, ქრისინიები, ქ. I, გვ. 438, მდრ. მ. გუგუშვილი, რეიმურაშ პირველი, 1983, გვ. 26).

ქეთევანი ლოცვის დროს ამბობს, რომ სწამს მამად და ქეტუ-  
ლიშმიდითურთ.

მართლმადიდებლური ოლმსარებლობის მიხედვით სული წმინდა  
მხოლოდ მამისაგან გამოვა და არა ძისაგან. მაშინ, როდესაც კათო-  
ლიკები აღიარებენ, რომ სული წმიდა გამოვა როგორც მამისა-  
გან, ასევე ძისაგანაც (Filioque). ეს დოგმატური განსხვავება მეტად  
პრინციპულია დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის.  
იგი იმთავითვე იქცა ცხარე პოლემიკისა და დისკუსიის საგნად  
რომისა და კონსტანტინოპოლის შორის. დავით გარეჯის სავანეში,  
როგორც ვთქვით, გრიგოლ დოდორქელის მოღვაწეობის პერიოდ-  
ში იწერება სპეციალური ანტიკათოლიკური წიგნი — „გრძეშლი“.  
ცხადია, გრიგოლიც იმ განწყობის გამომხატველი იყო, რაც ქარ-  
თველ ორთოდოქსალურად მოაზროვნე ადამიანებში იყო გაბატო-  
ნებული. ამიტომ სავსებით კანონზომიერი ჩანს, როდესაც გრი-  
გოლ დოდორქელი ქეთევან დედოფალს ლოცვის ჟამს თითქოს უშ-  
ნიშვნელო ფრაზით ხაზგასმულად თქმევინებს მართლმადიდებ-  
ლურ მრწამსს, ხოლო ამ უკანასკნელის ძირითად დებულებას განსა-  
კუთრებულად გამოკვეთილად. მართლმადიდებლური მრწამსის ხაზ-  
გასმა იმითაც იყო გაპირობებული, რომ ავტორმა იცის, რომ ქეთევა-  
ნის ნეშტი ფრანგმა მისიონერებმა და მლვდლებმა გადაასცენეს და  
წმ. ნაწილები მოართვეს თემურაზს. კათოლიკე მლვდლების ჰუმა-  
ნურობით რომ არ შეიქმნეს სენტიმენტალური ილუზია, ავტორი  
ერთი სიტყვით გამოთქვამს თავის თვალსაზრისს მლვდლებისად-  
მი (კათოლიკობისადმი) დამოკიდებულებაში. „აგონა მლდელსა მას  
შევალებელსა ფრანგთასაც“. გრიგოლისათვის შევა-  
ლებელი ყველა კათოლიკე და საერთოდ არამართლშადიდე-  
ბელი.

XVIII საუკუნისათვის ქართულმა ეკლესიამ და განსაკუთრე-  
ბით სამონასტრო ფრთამ, ამჟარად გამოკვეთა თავისი დოგმატური  
თვალსაზრისი კათოლიკობისადმი, როგორც რელიგიური მოძღვრე-  
ბისადმი, და ეს დამოკიდებულება პირველ შესაძლებელ შემთხვე-  
ვაში ხაზგასმით გაატარა გრიგოლ დოდორქელმაც თავის თხზულე-  
ბაში.

ამ ბოლო ხანს ქეთევან დედოფლისადმი საგრძნობლად გაი-  
ზარდა ინტერესი. ევროპაში გამოქვეყნდა რამდენიმე შრომა, რო-  
მელთა შორის აღსანიშნავია 1972 წ. ლისაბორში დასტამბული

Roberto Gulbenkian-ի Բոգնո<sup>8</sup>. Բոգնո Կորպուլած ցամացչեցնձաշը տեղանու առասսրուլուն Ըստատեծու, հոմելենու պատրուն առաջարկեցնու լուսածոննու դա ցրասա պատուլ թոնասէրէ՛՛.

Կատուլոյց Թօնոնեցրեծու Ենոմեծու ուզուստացած թերած Տափուր Երևանու առաջմու պատգաճու մուստուրեծու, հոմ յետեցանմա մուլու յատուլոյունու, հոմ յետեցանու Եղմունու նաֆուլեծու Թօնոնեցրեծու յըրումաժու թառլու դա Տեզ մացրամ յահովուլո մասալութու ծըցրու լունու, հոմլունու Թօնոնեցրեծու յըստունու, առ առստուրութու առաջարկեցնու պատգաճու մույր յատուլոյունու մուլու

\* \* \*

յետեցանու „Քամեծամու հահովուլո յահովու մեցու լուսածածու Քամեծու մունիւրուլու յընթուրու. մահուալու, այդուրու մէ յընթուրու առ ուզուս տեխուլուցու մուրուած դա մուսու դամացարեծու սպալ մոծուրութեծու թյուրու: „Եռլու հիյուն ալզուրու Կորպուլսաց մաս Տուրու յանասա նշաւա“, մացրամ լուսածածու մէծացու Սուսցերուրու յահովու յանցուարեծուստուս յըքես սեյսուլած առ հան; Տորոյուտ, ոյո Տայսեծու ծոյնեցրուց դա այցուրեծուրու ոյո. յըրուլու լուսուրությունու սպան- ացայցու մունանու յետեցան լուսուրուլու մութամեծուրու առասսրուլու առ- բյուրա, մացրամ մուսու տեխուլուցու մենիշեցնուրու Սթորու օմանու, հոմ մուրուածու մունենու ցունած միյրուալու յըրուլած թյամուացցուն յահովու- յանու յանցու յանցու յայրուուր մացրամարյունաս Մայ-անանու Մեմոսեցու յըրուուրու, Մայ-անանու լուսու.

յահովու մեցու մութամեծուրու առասսրուլո մոմենծուրու ոյո մացրամարյունատուս, մուտ սպանցու, հոմ յըր կուրու առ-

\* L'Ambassade en Perse de Luis Pereira de Lacerda et des Peres Portugais de L'orde de Saint-Augustin, Belchior dos Anjos et Cuilherme de Santo Agostinho 1604—1605, Lisbonne, 1972.

Յ Բոգնո հիյուն Տայսեցնուրու Տանոցանուրու յէրուրած յամոյքմայրու: Nino Salia, Dokuments Portugais sur le martyre de la Reine Ketevane de Céor-Karlisa, Paris gie, Bedi 1973, vol. XXXI, p. 31, 63—70.

Ո. Ժամալուա անալու Ենոմեծու յետեցան լուսուրուլու թյամեծու Մեսանցէ, յան. „Տաթ- Ցութուն“, 1973 թ. ոյլուս № 13 (318). մուսուց, ուստուրու մէրմունանա, Առներուց- ալուրու Ենոմեծու յետեցան լուսուրուլու թյամեծու Մեսանցէ, յան. Կոմենցիւրու, 1973, 3 ոյնուս. մուսուց, անալու Ենոմեծու յետեցան լուսուրուլու Մեսանցէ, յալու, 1974, № 1, ց. 111—121. յետեցան Տայսեցնուրու — առնենու (հոմ), ունու Րածալու, յահո- վուլու լուսուրու յըրումաժու (Խոյութուրու որհանու — XVII և). Ֆրազալուցու, ը. Խ., ց. 199—210. ալ. ալյունուց, Առներուցալուրու գլուրուրու, 1978 թ. ց. 157—198. 1981 4. Շալեցունու Բոգնո ուսանցման յահովուլած.

სებობდა ლუარსაბის წამების ამსახველი პაგიოგრაფიული ტექსტები. ამიტომ დაუოკებელმა შინაგანმა მწერლურმა უინმა ლუარსაბოან დაკავშირებულ ამბებთან აშეარად იჩინა თავი. ავტორს არ ავიწყდება თავისი თხზულების ძირითადი მიზანი, მაგრამ კითარუა პაგიოგრაფიაში მომუშავე მწერალი ყოველნაირად ცდილობს ლუარსაბ მეფის, როგორც დიდი მამულიშვილის და ქვეყნისათვის თავდადებული მოღვაწის, პორტრეტის დახატვის და, ამავე დროს, მოწამებრივი აღსასრულის წარმოჩენას. და ამით პირდაპირ და ქვეტექსტებითაც წარმოადგენს ქართლის პოლიტიკურ სურათს.

ავტორს თავმდაბლური მობილიშებით ლუარსაბის თავგადასავალი თითქოს არ სკირდება მოთხრობას, ამიტომ იგი მოკლედ ვადმოსცემს ლუარსაბის წამებას, არც ერთი ზედმეტი შტრიხი ამ ამძიმებს თხრობას და თავმოსახეზრებლად არ ხდის მას: „მას უას-სა მეფობდა ქართლს მეფე ლუარსაბ, ხე მეფისა გიორგისი, კაცი მჯნე და ახოვანი, მცცნიერი უფროს ყოველთა ძეთა კაცთასა და იყო ჯერეთ ყრმა და გამოუცდელი“. ავტორის აზრით, სწორედ ახალგაზრდობის და გამოუცდელობის შედევრად შეაცდინა შავმა მეფე, ან როგორც მწერალი ამბობს „სიტყვთა მოაღორა მეფე ესე უსწულომან“, შეიძყრეს და რა „იხილა უსჯულომან მან მიუდრეკელობაა“ მოაშორ საბლიოთ.

უბირველს ყოვლისა, დგება საკითხი თუ რა წყაროთი ხელმძღვანელობდა გრიგოლი, როდესაც წერდა ლუარსაბ მეფის „წმების“ ეპიზოდს და შექქონდა იგი თავის თხზულებაში. პაგიოგრაფიული და პიმნოგრაფიული მასალა, რომელშიც ლუარსაბ მეფის თავგადასავალია მოთხრობილი, მოვგიანო პერიოდისაა და ქრისტიანურად არც ერთი არ უსწრებს გრიგოლ დოდორქელის შრომას. ლუარსაბის მარტვილობის ამსახველი ყველაზე აღრეული სეინაქ-სარული რედაქცია კი პირველად გვხვდება გაბრიელ საგინაშვილის მიერ გადაწერილ ხელნაწერში (A—130)<sup>27</sup>. სწორედ იმ ხელნაწერში, რომელშიც წარმოდგენილია თვით გრიგოლის თხზულებაც. მაშინადამე, ამ თრ ძეგლს შორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი ვერ დადგება, ორივე თხზულება ერთ ხელნაწერშია.

დადასტურებული და, საფიქრებელია, სწორედ ამ ხელნაწერისათვის საგანგებოდ ერთდროულად დაწერილი. ლუარსაბ მეფესთან დაკავშირებული ამბის მონაცემები და ქეთევან დედოფლის შესახებ

27 პირველად გამოაქვეყნა მ. საბინინმა, იხ. საქართველოს სამოთხე, გვ. 580—582; მეორედ კ. გაბიძეშვილმა, იხ. ძეგლი ქართული აგოგრა- ფიული ლიტერატურის ძეგლები, წეგნა IV, 1968, გვ. 433—437.

გამოყენებული ფაქტები ამ ორ თხზულებას შორის (ლუარსაბ შეფის სვინაქსარი და ქეთევანი „წამების“ ვრცელი რედაქცია) შეტად განსხვავებულია და მსგავსებას არ ამჟღავნებს. განსხვავებულია თხრობის მანერა, მოწამეობრივი აღსასრულის სცენები, დეტალების გადმოცემის ხერხებიც. რაც ორივე თხზულებაში საერთოა, ესაა იმ ფაქტის ხაზგასმით აღნიშვნა, რომ ქართლის მეფე ლუარსაბი ახალგაზრდა იყო და გამოუცდელობის წყალობით აკთუნა ირანის შაპმა იგი. მაშასდამე, გრიგოლ ხუცესმონაზონის თხზულებაში შეტანილი ლუარსაბ მეფის მარტვილობის ეპიზოდი თერთული ერთ-ერთ ძირითად წყაროდ გამოუყენებია ბესარიონის თავისი ვრცელი თხზულებისათვის. ეს ფაქტიც იმაზე მიუთითებს, თუ რამდენად პოპულარული და აღიარებული იყო გრიგოლის შრომა საერთოდ და, უპირველეს ყოვლისა, თვით დავით გარეჯის ლიტერატურულ-კულტურულ ცენტრში. ნარატიული წყაროების გულდასმითმა შეჯერებამ აჩვენა, რომ ლუარსაბის წამების გადმოცემისას გრიგოლს რაიმე კონკრეტული წყარო არ ჰქონია, ან, ყოველ შემთხვევაში, იგი გამოვლენილი არ არის. საფიქრებელია, გრიგოლი ლუარსაბ მეფის თავვადასავლისათვის ეყრდნობოდა ინადროცებებს, რომლებიც ჩვენში არსებობდა.

ლუარსაბ მეფის ცხოვრების სვინაქსარული რედაქციის ვეტორი, რომელსაც A — 130 ხელნაწერისათვის (თუ მისი დედნისათვის) საგანგებოდ დაუწერია ლუარსაბ მეფის სივნაქსარული „წამება“, საძიებელია დავით გარეჯის სავანის კრებულთა შორის. მასაც, ცხადია, არ უსარგებლია და არ გამოუყენებია გრიგოლის შრომა (როგორც ვთქვით, ვერც გამოუყენებდა). ისიც, როგორც ჩანს, გადმოცემების საფუძველზე აგებდა თავის თხზულებას. თავისთავად ეს ფაქტიც საინტერესოა, გარეჯაში მიმდინარეობს სამზადისი ახალ ქართველ მოწამეთა შესახებ პაგიოგრაფიული მასალების შედგენისათვის და ერთდროულად რამდენიმე პირს ევალება ახალ მოწამეთა შესახებ თხზულებების შედგენა. რიგ შემთხვევაში არ იყო გამორიცხული სხვადასხვა ასპექტით ფაქტების გამეორებები და დამთხვევებიც კი. ასე მოხდა ამ კონკრეტულ მაგალითზეც. აგ საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ ქართული პაგიოგრაფიის ისტორიიდან თითქოს არ ჩანს მაგალითი, რომ ერთ რომელიმე წმინდანზე განსაზღვრულ ქრისტიანულ მონაცემში ორ სხვადასხვა ვეტორს


შეექმნა ვრცელი ჰაგიოგრაფიული თხზულება. ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოტანილი მაგალითი ამ წესის დარღვევის ნიმუშად არ გამოდგება და იგი კლავ ძალაში რჩება. ლუარსაბის მარტვილობის ეპიზოდის „შეტანა ქეთევან დედოფლის წამებაში“ არ ნიშნავს, რომ გრიგოლ დოდორქელის საგანგებოდ დავალეს ამ ეპიზოდის დაწერა. გრიგოლ დოდორქელის სამუშაოს საერთო გეგმამ, მწერლის ჩანაფიქრმა და თხზულების კომპოზიციურმა ქარგამ მოითხოვა ლუარსაბ მეფის ეპიზოდის „შეტანა ქეთევან დედოფლის „წამების“ ეტესტში.

გრიგოლ დოდორქელის თხზულებამ—„ქეთევან დედოფლის წამება“—შესამჩნევი კვალი დატოვა XVIII საუკუნის სიტყვაკაზმულ მწერლობაში. იგი, როგორც ვთქვით, იყო XVIII ს. პირველი ორივინალური მოთხრობა, ეპოქის შესაბამისად გაფორმებული. თავისი მიზანდასახულობით, პათოსით, ჩანაფიქრით მან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მომდევნო პერიოდის მწერლობაზე. პირველ რიგში უნდა დავისახელოთ ბესარიონ თრბელიშვილის შემოქმედება.

ბესარიონ თრბელიშვილი და გრიგოლ ვახეახიშვილი ერთი პერიოდის შემოქმედნი არიან (შესაძლებელია, ბესარიონი რამდენადმე უმკრთსი) და მით უფრო საგულისხმოა, რომ მან თანამედროვე მწერლის — ბესარიონის შემოქმედებაზე მოახდინა საქმაოდ დიდი გავლენა. ბესარიონ თრბელიშვილს გრიგოლ დოდორქელის თხზულებიდან თითქმის სიტყვასიტყვით ამოუკრებია ის აღვილები, რომლებშიც ლუარსაბის შესახებაა ლაპარაკი, სათანადო საილუსტრაციო ნიმუშებს დაგიმოწმებთ ქვემოთ, როდესაც ბესარიონის შემოქმედებაზე და მის წყაროებზე გვექნება საუბარი. აქ ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს, ალბათ, მოხდა იმიტომ, რომ ბესარიონსაც ვითარება დავით გარეჯის უდაბნოს მკვიდრს, ეცოდინებოდა ის გადმოცემები, რომლებიც უდაბნოში იყო გავრცელებული და რომელთა პირველი ფიქსაცია დოდორქელმა და სვინაქსარულ თხზულების ავტორმა გააკეთეს. ბესარიონმა, როგორც ჩანს, დოდორქელს გამოუცხადა მეტი ნდობა და იგი გამოიყენა უშუალო წყაროდ.

გრიგოლ დოდორქელის თხზულებამ დიდი გავლენა მოახდინა ე. წ. პარიზის ქრონიკაზე, რომელიც ამ უკანასკნელ ხანს<sup>28</sup> XVIII საუკ. 30-იან წლებში შედგენილად დაათარილეს. ამ გავლენის ზო-

28 ცხოვრება საქართველოში, (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესვალი, შენიშვნები და სამიებელი დაურთო გიუ ლი ალასანი, 1980, გვ. 35.



გიერთ ადგილზე მიუთითა ჯერ კიდევ ტრ. რუხაძემ<sup>29</sup> „მართლაც, ე. წ. „პარიზის ქრონიკა“ XVIII საუკუნის ქართული ანონიმური საისტორიო წყაროა. ჯერ კიდევ ე. თაყაიშვილმა დაადგინა, რომ ქრონიკა კომპილაციური თხზულებაა და მრავალ წყაროს იყენებს.

გაირკვა (ტ. რუხაძე), რომ ერთ-ერთი წყარო ყოფილა გრიგოლ ხუცესშონაზონის თხზულებაც. „პარიზის ქრონიკის“ შემდგენელი დავალებულია გრიგოლის თხზულებით. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

### გრიგოლ დოდორქელი

1. „დღესა ერთსა ყო მანცა კუნსტანტინემ<sup>30</sup> სერი დიდი და მოუწოდა მამასა და ძმისა თვისა, და დასხდეს სერობად და იწყეს ჭამად პურისა... და ჰყევს მას ბოროტსა კაცნი შემსგავსებული სიხენეშისა თვისისანი. და განეზრახა მათ-თვს, რამთა ფარულად გააგუშმირონ ლახურითა მამა და ძმა მისი. ოდეს იყო შუა სერობად, მოვიდეს ავაზაკნი იგი ბოროტნი და უხეთქნეს თავსა მეფესა ალექსანდრეს და მასვე უამსა აღმოუტევა სული თვისი, ეგრეთვე ძესა მისსა გიორგის და მანცა დაუტევა ცხორებათ...

და მკუდარნი ესე, მის მიერ მოკლულნი, ალკიდა აქლემსა ზედა თვისსა და წარგზავნა ალავერდს სასაფლაოსა მათსა. და დამარხეს, ვითარცა ჯერ იყო, და აღასრულეს მცირე რამშე წესი დაფლვისა...“

### „პარიზის ქრონიკა“

1. „დაპეატიუა კონსტანტინემ მამას, ბატონს ალექსანდრეს და ძმას, გიორგი ბატონიშვილსა. და და ჰყენენ ჭამად. მაღამდი კაცები დარიგებული ჰყავდა, რომ მალეთ ვეკრათ რამეო მამასა და ძმასა ჩემსა, მოკალით.

შუა ჭამა რომ შეიქმნა, შემოყენებულნი კაცნი მივიღნენ და ჰყრეს თავსა ბატონს ალექსანდრეს და მოკლეს და (60) წლისა. მერმე გიორგი ბატონისშვილს შემოჰყრეს თავსა და მოკლეს.

მის მიერ მოკლულნი აპკიდა აქლემსა და გაგზავნა ალავერდს. და აღასრულეს მცირე რამე წესი დაფლვისა“<sup>31</sup>.

<sup>29</sup> ლიტერატურული ძეგბანი, ტ. V, გვ. 238—240.

<sup>30</sup> დასახელებული გამოცემა, გვ. 60.

## გრიგოლი

## პარიზის ქრისტიანები

2. „შემდგომად ამისა და-  
იპყრა კოსტანტინე სამკვდრე-  
ბელი მამისა თვესისა და წარ-  
მოვიდა ბილწი იგი საყოფალ-  
თაგან თვესთა და ახლოს  
მისისა მოიწია და ენება, რა-  
თამცა შეერთო იგი ცოლად.  
და არა ინება სანატრელმან  
ამან დედაკაცმან, რამეთუ არა  
კადნიერებად მიჩნს დედაკაც  
წოდება... და ფრიად წინა-  
აღუდგა და არა ინება ნებისა  
მისისა აღსრულებად...“

3. „და წარვიდა იგი ტახტსა  
ზედა თვესსა... შირვანს და ვი-  
თარება შუენოდა სჯულსა მათ-  
სა, ეგვეითარსა მრავალსა ბო-  
როტსა აღასრულებდა. და ყო-  
ველსა სარცხუენელს საქმესა  
იქმოდა.

ამას რაა ხედვიდეს თავადნი  
კახეთისანი, იტყოდეს გულსა  
შინა თვესსა და ურთიერთსა  
ეზრახებოდეს: „არავინ არს  
მომთხრობელი ანუ მაჯსოვარ  
ძუელთა კაცთაგან, რომელთა  
ასმიოდა, რომელმანცა კელ-  
მწიფერმან ესევითარი ურიცხვ  
ბოროტი აღასრულა: მოგვკლა  
მეფე ჩვენი ალექსანდრე და ძე  
მისი გიორგი... ჯერ იყო ჩუ-  
ენდა, რათა ჩუენცა მის თა-  
ნა მოწყველილ ვიყვენით, და  
არღარა ესევოდენი ბოროტი  
გუეხილნეს ცხორებასა ჩუენსა.  
11.

2. „შემდგომად ამისა დაიპყ-  
რა კოსტანტინემ, წავიდა სამ-  
ყოფითგან მისით და მიეიდა  
სიახლოესა, უნდოდა, რომ რძა-  
ლი, ბატონის დავითის ცოლი  
დედოფალი ქეთევან შეერთო.  
დედოფალმა შორს დაუჭირა.  
მამაცად დახვდა, არ ინდომ;  
და გალანძღა, არ დაემორჩი-  
ლა“ (გვ. 60—61).

3. „და წარვიდა შირვანთა  
და ბევრს ავსა და სასირცხო  
საქმეს იქმოდა. ჰკვირობდენ  
კანი — თავადნი დიდნი და  
მცირენი. „იმისთანა საქმე არც  
ძველთა და არც ახალთ არ უქ-  
ნიათ. ჩიოდნენ და ტიროდნენ  
მათის ბატონისა და ბატონის-  
შვილის სიკვდილსა და ინატ-  
რიდნენ: „ნეტაი ჩვენც თქვენ-  
თან ამოვსწყვეტილიყავითო,  
ამოონი ავი არ გვენახოა“. ამა-  
ზედ შეითქნეს კაცნი კვანძის  
რომ განუდგნენ, აღარ აბატო-  
ნონ კახეთისა. ესეც არჩივეს.  
მალვით მოვკლათო, ლაშითაო“  
(გვ. 61).



ამას ზედა შეითქვნეს კაც-  
ნი ესე ქრისტეს მორწმუნები  
და ინებეს, რამთამცა განუდ-  
გენ და არლარა აუფლონ მათ  
ზედა: და ესეცა განიზრახეს,  
რამთამცა დაფარულად მოკ-  
ლან იგი ღამით”.

ვფიქრობთ, მაგალითების გაგრძელების საჭიროება აღარ არის. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ მონაცემზე ე. წ. „პარიზის ქრონიკის“ შემდგენელი უშუალოდ გრიგოლ დოდორქელის თხზუ-  
ლებაზეა დამოკიდებული<sup>31</sup>.

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ გრიგოლ დოდორქელის ნაწარმოები ერთ-ერთი წყაროა ვახუშტი ბატონი-შვილის „ისტორიისა“. ვახუშტი, როგორც ქეთილსინდისიერ ისტო-რიკოსს შეეფერება, თავისი ისტორიის შედგენისას ხშირ შემთხვე-ვაში უთითებს წყაროებზე, რომლითაც იგი სარგებლობდა. ამ წესს იგი არ ლალატობს, როდესაც გრიგოლ დოდორქელის თხზულებას გულისხმობს. გრიგოლის ნაწარმოებს იგი „მეტაფრასს“ ეძახის, ხოლო თვით ავტორს კი „მემეტაფრასეს“.

ვახუშტის „ისტორიაში“ გრიგოლ დოდორქელის თხზულების გამოყენების თავისებური მეთოდი გვაქვს. ვახუშტი ძირითად თხრობაში თითქმის არასოდეს სიტყვა-სიტყვით არ იმოწმებს ჰა-გიოგრაფიული თხზულებიდან არც ერთ აღილს, იშვიათად კო-მენტარის გარეშე იღებს ფაქტს, ხშირად კი პირდაპირ ეკამათება ჰაგიოგრაფს, არა როგორც პაკუთარი შრომის კონკრეტულ წყა-როს. არამედ როგორც საერთოდ წყაროს. სწავლული ისტორიკოსის ასეთი დამოკიდებულებაც კი იმაზე მეტყველებს, რომ თავისთავად იგი გარევეულ ანგარიშს უწევს გრიგოლ დოდორქელის ნა-წარმოებს, მაგრამ ჰაგიოგრაფის მიერ მოწოდებული ზოგ-ერთი ფაქტის, ეპიზოდის კვალიფიკაცია ტენდენციურად მი-აჩნია და ამის დამალვას არც ცდილობს. მხოლოდ ერთი შემთხვევაა, როდესაც ვახუშტი იღებს ჰაგიოგრაფის ცნობას ქეთევანის არნახული წამებით დალუპვის შესახებ. ვახუშტი წერს: „და ამან [შაპ-აბაზ] მოპელა ქრისტესთვის ტანჯვითა ფერად-ფერა-დითა, ვითარცა მოგვითხრობს მეტაფრასი მისი“ (გვ. 182). ვახუშტი არ ჭერდება ფაქტის კონსტატაციას, მაგრამ აქვე აქრიტიკებს

31 „პარიზის ქრონიკის“ ერთ-ერთი წყარო რომ გრიგოლ დოდორქელის თხზულებაა, ამაზე პირველად მიუთითა ტრ. რუხაძე.

პაგიოგრაფიული თხზულების დანარჩენ პასაუებს და მათგან გამომდინარე ქრონოლოგიას. „ისტორიაში“ ვკითხულობთ: „მემე-ტაფრასე სწერს წამებასა მას პირველვე ყორჩიხის მოწყვეტისა, არამედ ბატონი თეიმურაზ ლექსთა შინა თვსთა მისთველე იტყვის აწელსა ტყვეობასა დედისასა და შემდგომად წამებასა მისსა. და ეს აწელი რომ შააბაზისა მოსლეასა დავადევით, ეს ქრონიკონი იქმნა...“ მაშასადამე, წმინდა მეცნიერული წიაღსვლების შეძლება ვასუშტი აკეთებს დასკვნებს.

მოვიტანთ კიდევ ერთ მაგალითს: თეიმურაზ მეფის ირანში გაგზავნასთან დაკავშირებით ვახუშტი ბატონიშვილი „ისტორიაში“ წერს: „დავით დაშთა ქეთევანის თანა ძე მხოლოდ თეიმურაზ და ზრდიდა მას პაპა ფუფუნებით დედისა თანა. არამედ ვინამთვან მონუცებული იყო ალექსანდრე, ამისთვე განიზრახა ქეთევან, რამეთუ თუ მოკუდეს ალექსანდრე, დაიპყრას გიორგიმ კახეთი და შურ-აკოს ძესა ჩემსა, ამისთვე მოიყვანა ჩოლოყაშვილი შერმაზან, აფუცა და წარატანა ძე თვსი და წარგზავნა წინაშე შააბაზისა. ხოლო შააბაზ კეთილად შეიწყნარა და პატივსა უყოფდა თეიმურაზს და ისწავებდა წიგნსა და ენასა სპარსთასა“ (ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 171).

იგივე ეპიზოდი დოდორქელს ასე აქვს აღწერილი: „და ჰყვა მას ძე უსრული პასაკითა ყოვლადშუენიერი და მსგავსი ანგელოზისა, სახელით თეიმურაზ, და მსოფლიოსა ამის განსაკუდელისა-მიერსა ურვასა და მწუხარებასა იქარვებდა მის მიერ. ამას ყოველ-სა თანა არა ინება ეშმაქმან განსაცდელი დაცხრომად მის ზედა, არამედ დასძინა კუალად განსაცდელი უმწარესნი პირველთა და მისტაცა პაპამან თვსმან წელთაგან მისთა ყრმა ჩული პასაკითა თეიმურაზ და ძლუნად წარუგზავნა მეფეესა სპარსთასა. რაღა ვთქუა მისთვეს, რაოდენმან მწუხარებამან მოიცავა სანატრელი დედამ იგი“....

ვახუშტის წყარო ამ კონკრეტული ეპიზოდისათვის (ისე როგორც მრავალი სხვა ეპიზოდისათვის) არის არჩილის „გაბაასების“ 247 და 248 სტროფები, სადაც ვკითხულობთ:

„ამ საქმეებს წინას ხნითვე დედამ ყაენს შემახვეწა,  
აქ გიორგის შეუშინდა, ამად მისკენ გარდამხევეწა,  
გან შემიტებო ვთა შეილი, არ თუ შიმით მე დამხევეწა,  
გამზებარნეს გასთან მისკვლა, ლაშვი ცრემლმან არ მიხეწა.  
მე შერმაზან თან გამომყა ზნეობისა სახწავებლად,  
მწვრთნიდის სალვო-შავაცობის, თავი ჰქონდის თავსავლებად:  
წისა შინა გამიმაგრის, გული ქეონდის ვით სალებალ,  
გამის და მსახურებლის, ლაშვთა მწევბლის არ სალებალ“  
(საუნკე, გვ. 162).

ვახუშტი თეიმურაზის სპარსეთში გამგზავრებასთან დაკავშირებით გრიგოლ ხუცესმონაზონის თვალსაზრისს არ იზიარებს, არ მიაჩნია სარწმუნოდ და ამით გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ჰაგიოგრაფიული თხზულებისადმი და მისი ივტორისადმიც. ვახუშტი წერს: „მემეტაფრასე ქეთევან დედოფლისა იტყვის: პაპისაგან წარგზავნასა თეიმურაზისასა შერისათვს ძისა თვესისა დავითისა, ვინამთვან ენება ქახეთი ძისა თვესისა გიორგისათვს, მიერითვან ოდეს შეიპყრა დავით ძემან თვემან და ამისთვე წარავლინა თეიმურაზ, რათა დარჩეს კახეთი გიორგის“. ვახუშტი ამ პერიოდის ფაქტების გადმოცემისას როგორი მოულოდნელიც არ უნდა იყოს, უფრო მეტ ანგარიშს უწევს იოსებ სააკაძისა და არჩილის ცნობებს, ვიდრე ჰაგიოგრაფიული მწერლების, კერძოდ გრიგოლის მონაცემებს.

ვახუშტის „ისტორიაში“ დამოწმებული სხვა მაგალითებიც (კიდევ სამი) ამ რიგისაა. ვახუშტი ყველა შემთხვევაში კრიტიკულად უდება გრიგოლის ცნობებს და მათ, მისი აზრით ვითარცანაკლებ სარწმუნოსა და დასაჯერებელს, უნდობლობას უტადებს და მხოლოდ შესაძარებელ მასალად იყენებს. ვახუშტის არ ჯერა, რომ მამისა და ძმის მკვლელმა კოსტანტინემ დახოცილები აღეჭანდრე მეფე და გიორგი ბატონიშვილი გააპატიოსნა და ალავერდის საგვარეულო საძვალეში გაგზავნა ქრისტიანული წესით დასაკრძალვად.

გრიგოლ დოდორქელის თხზულებაში ვკითხულობთ: „და შეუდარნი ესე, მის მიერ მოელულნი, ალკიდა ქლემსა ზედა თვესა და წარგზავნა ალავერდს სასაფლაოსა მათსა და დამარხეს, ვითარცა ჯერ იყო, და აღასრულეს მცირე რამე წესი დაფლვისა, რამეთუ შემსგავსებულსა პატივისა მათისასა ვერ შემძლებელ იყვნეს ამბოხებითა მით უსჯულოსათა“. ვახუშტი არ იღებს ჰაგიოგრაფის ამ ცნობას, მას უფრო ლოგიკურად მიაჩნია, რომ ეს მოქმედება სწორედ ქეთევან დედოფლს უფრო შეეფერება, და მართლაც ვახუშტის „ისტორიით“ ქეთევანმა კონსტანტინეს დამხობის შემდეგ „მოილო ალექსანდრე ძით გიორგით და დაფლა ალავერდს<sup>32</sup>.

32 საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ ყველა შემთხვევაში, როდესაც ვახუშტი იმიწმებს აღვილებს ჰაგიოგრაფიული თხზულებიდნ, იგი ავტორს არ ასახულებს. ამავე ტრის, ციტაცია ამსოდებულად ზუსტიც არ არის, არის განსხვავებები. ჩვენი აზრით, ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ ვახუშტი თხზულების სხვა რედაქციით სარგებლობდა და რომ გრიგოლ დოდორქელის სახელით ცნობილი ნაწილოები სხვა და ვახუშტის წყარო სხვა. არა, ვახუშტი გელისშობს სწორედ ამ ნაწილოებს, მაგრამ იგი აშკარად ტენდენციურია მისდამი.

გრიგოლ დოდორქელის თხზულებისადმი „ცხოვრება და შეკვეთისა მება ქეთევან დედოფლისა“ ვახუშტი კეთილად განწყობილი არ ჩანს. იგი დიდ ნდობას არ უცხადებს მას და ერთგვარად ტენდენ-ციურიც კია. არც ერთი წყარო ისე ფართოდ არ გაუქრიტიკებია ვახუშტის, როგორც დასახელებული თხზულება. სწორედ ამის წყალინდაა, რომ ისეთი ფაქტებიც კი, რომლებიც მხოლოდ „ქეთევანის ჭრებაშია“ დაცული, უგულებელყო და საერთოდ არ ახსენა. გრიგოლ დოდორქელი საგარებოდ მიუთითებს, რომ „კონსტანტინე იცავნეს თავისთა კახეთისათა“, „მიუკდეს სამნი კეთილცხენისანი: დავით, თამაზ, ბებურ და პერეს მას შები“. კონსტანტინე შეევერა, რომ არ მოეკლათ, მათ არ ისმინეს თხოვნა-მუდარა და მოკლეს კი, მიართვეს დედოფლის, რომელმაც განიხარა ფრიად. ვახუშტი საგანგებოდ არაფერს ამბობს დასახელებულ პირებზე, იგი დამოუკიდებლივ არავის გამოყოფს, არამედ ზოგადად წერს, რომ „ეკვეთნენ კახნი ქეთევანისა თანა მყოფნი და სძლეს კოსტანტინეს, მუკლეს კოსტანტინე და მოსწყვიტნეს სპანი მისნი“.

გრიგოლ დოდორქელის მიერ ქეთევან დედოფლის წამების ცოცხლად დახატულმა ამაზრზენმა სურათებმა, რომელნიც, მართლია, რამდენადმე გამძაფრებულია, მაგრამ შეულამაზებლად გადმოსცემენ ობიექტურ სინამდვილეს, დაიდი გავლენა მოახდინეს მომუნით თაობის მკითხველ საზოგადოებაზე. ამიტომაც მოხდა, რომ ვახუშტისაგან განსხვავებით, ანტონ ბაგრატიონი, იოანე ბატონი-შვილი, თეიმურაზ ბაგრატიონი და რამდენადმე დიმიტრი ბაგრატიონიც ვარბად ესესხებიან გრიგოლ დოდორქელის შრომას და არც ვალავენ თვითით დამოკიდებულებას და სიმპათიებს.

## 2. ბასარიონ ორგანიზაციი

XVIII საუკუნის ქართულ პაგიოგრაფიულ მწერლობაში<sup>1</sup> ბესარიონ ბევრის ძე ორბელიშვილი (გარდ. 1737 წ. მიწურულს ან 1738 წ. დამდეგს) თვალსაჩინო ფიგურაა. იგი ეკუთვნის იმ სვებედნიერ მწერალთა რიცხვს, რომელთა ნაწერები ძირითადად ავტოგრაფების სახითაა ჩვენამდე შემორჩენილი. ეს გარემოება მეტად უწყობს ხელს მისი ლიტერატურული საქმიანობის მონოგრაფიულად შესწავლას.

ბესარიონ ორბელიშვილი დავით გარეჯის კულტურული კერის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელია, რომელიც აქტიურადაა: ჩაბმული მჩქეფარე ლიტერატურული ცხოვრების ფურხულშა.

ბესარიონი ახლო ურთიერთობასა და შემოქმედებით კონტაქტშია ქართული კულტურის ბევრ მეცნეურთან. იგი წარმოდგება როგორც დამკვეთი მეცნენატი, გადამწერი, შემკაზმველი. მას გაუვლია მაინტერესონ გზა მწიგნობრისა, სანამ იგი საკუთარი შემოქმედებით წარდგებოდა საზოგადოების წინაშე.

ჩვენ მიერ შესწავლილი და დამუშავებული მასალების საფუძველზე ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყოველი მომენტის გათვალისწინება და მთლიანი სურათის აღდგენა ვერ ხერხდება. გაურკვევილი რჩება მისი ცხოვრების ზოგიერთი მხარე.

ბესარიონის დაბადების თარიღი ცნობილი არაა. ვერც ჩვენ მიერ იქნა რაიმე მანიშნებელი საბუთი ნაპონი. ბესარიონის მშობლებს რქმევიათ მარიამი და ბევენი. 1697 წელს გადაწერილი ხელნაწერის ანდერძში ვკითხულობთ: „მე, ხუცეს-მონაზონი, ნათესავით ბარათაშვილი, ტომობით ორბელიშვილი ბესარიონ, წმიდისა ამის წიგნისა... აღწერად უდაბნოს გარეჭისასა,... ლოცვა ყავთ... მშობელთა ჩემთა ბევენისა და მარიამისა“.

როგორც თვით მრავალგზის მიუთითებს, ბესარიონი ჰყუთვნებია ორბელიშვილ-ბარათაშვილთა საკმაოდ გავლენიანსა და კულტურული ტრადიციების მქონე გვარს, რომელმაც ჩვენს ქვეყანას მისცა მრავალი გამოჩენილი სახელმწიფო და კულტურის დაუღალავი მოღვაწე.

ჩვენ მიერ გასინჯული მასალების მიხედვით გაირკვა, რომ ბესარიონი სულხან-საბა ორბელიანთან და მის ოჯახთან ახლო ნათესაურ კავშირში არ ყოფილა, უფრო მეტიც, ორივე ორბელიანი—სულხან-საბაც და ბესარიონიც ერთდროულად მოღვაწეობენ ერთ მონასტერში და მათ შორის რაიმე ურთიერთობის მანიშნებელი როკუმენტიც კი არ შემონახულა. მათი ურთიერთობის დასადგენად, რა თქმა უნდა, არ კმარა ერთ დოკუმენტში მათი სახელების მოხსენიება<sup>33</sup>.

მშობლებს—მარიამსა და ბევენს, ბესარიონისახვის კარგი განათლება მიუციათ. განსაკუთრებით დახელოვნებულა ბესარიონი ფილოსოფიურ-დოგმატიკურ მწერლობაში. ამას მოწმობს მის მიერ გადაწერილი თუ შეკაზმული ხელნაწერები.

ბესარიონი დავით გარეჭის უდაბნოს იოანე ნათლისმცემლის მონასტერში მოღვაწეობს. თუ როდის მივიდა ბესარიონი ნათლისმცემლის მონასტერში, ამის ზუსტი განსაზღვრა ჭირს. ერთი

33 ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წიგნი V, 1913 წ. გვ. 19,29.

კია, რომ XVII საუკუნის 90-იან წლებში იგი ხუცესმონაზონიად ადგი აქტიურად ეწევა ლიტერატურულ საქმიანობას.

მრავალი საბუთი და მინაწერი ბესარიონს წარმოაჩინებს როგორც მონასტრისათვის თავდადებულ პრაქტიკულ მოღვაწესა და ახალგაზრდა ბერების მოძღვარს.

1713 წლის ერთ-ერთი ხელნაწერის მინაწერში გაბრიელ საგინაშეილი ბესარიონს ასახელებს როგორც მოძღვარსა და მასწავლებელს<sup>34</sup>. იგივე გაბრიელი 1718 წელს ბესარიონის შესახებ წერს: „...მოძღვრისა და მასწავლელისა უფლისა ჩემისა, დიდისა ორბელის ძის ბესარიონის ბრძანებით“<sup>35</sup>.

მასწავლებლად და მოძღვრად თვლის ბესარიონს იოსები, არავის ერისთავის ძე. „მე უღირსმან ხუცესმონაზონმან იოსებ, არავის ერისთავის შვილმან... ვიქცეოდე წელთა შინა სულიერთა მათ მამათა თანა. ვიტყვა წმიდასა ხარიტონს და ლირსა მოძღვარსა ჩუტნსა და მასწავლელსა ბესარიონს, დიდის ორბელის ძესა“<sup>36</sup>.

ბესარიონს ახლო ურთიერთობა აქვს იმ დროისათვის ცნობილ საეკლესიო მოღვაწეებთან და იერარქიულად სხვადასხვა საფეხურზე მდგომ პირებთან. სამებელი იოსები, ბოვნელი მაქსიმე და სხვები ბესარიონთან საქმიან და კულტურულ ურთიერთობაში არიან.

ბესარიონი დავით გარეჯის უდაბნოს იოანე ნათლისმცემლის მონასტერში მოღვაწეობს. დავით გარეჯის უდაბნო XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართლ-კახეთის და საერთოდ მთელი საქართველოს კულტურული ცენტრია. მიუხედავად პოლიტიკური უამინდობისა, დავით გარეჯის სავანეში საქმიან ძლიერი იყო კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციები. განსაკუთრებით გამოცოცხლდა და ჯა: ტიტურდა დავით გარეჯა მას შემდეგ, რაც იქ წინამდლერად ონთფრე მაჭუტაძე იქნა დადგინებული. კახეთისა და ქართლის მეფეების ხელისშეწყობით მაჭუტაძე ფართო აღმშენებლობით საქმიანობას ეწევა, რადგან „თუ ძნელბელობის პირობებში მოხერხდებოდა ეკლესიის აღდგენა და განმტკიცება, ეს საერთო ხელისუფლების გამტკიცების საიმედო საწინდარი იქნებოდა“, ამას-

<sup>34</sup> კ. კავკალიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდის № 1557 ხელნაწერი, რომელიც დღეს შეუერთდა A—130 ხელნაწერს როგორც მისი ორგანული ნაწილი.

<sup>35</sup> ძველი საქართველო, ტ. II, განყოფილება I, გვ. 112.

<sup>36</sup> A—100-ის ანლერი. შტრ. ქართ. ხელნაწერთა აღწერილობა, კოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, შეაღინეს და დასაბეჭდად მოაშალეს. მ. ბრეგაძემ, გ. ქავთარიამ და ლ. ჭითათელაძემ, 1973, ტ. I, გვ. 452.

თანავე „იმ დროს ეკლესია წარმოადგენდა საერთ ხელისუფლების ბურგა და მძღვანელი იარაღს და რომ ეკლესის ბედი უშემცილოესად უკავშირდებოდა ფეოდალური სახელმწიფოს ბედს“<sup>37</sup>.

ოფიციალურ მატიანეებში ბესარიონი კათალიკოსად კურთხევის შემდეგ ჩანს. თუმცამა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი ძველი ისტორიკოსები დიდ ადგილს ას უომობებს მისი საქმიანობის გადმოცემას.

ბესარიონის კათალიკოსად კურთხევა სხვადასხვა ისტორიულ-მა ფაქტმა განაპირობა.

ქართული სასულიერო მწერლობის განვითარებამ XVII საუკ. გასულსა და XVIII საუკუნის დამდეგს გადაუდებელ ამოცანად დააყენა საკითხი ისეთი კრებულების შედგენისა, რომლებშიც გაერთიანებული იქნებოდა მხოლოდ ქართველ წმინდანთა საკითხავები. განსაკუთრებით მომწიფდა ეს საკითხი დავით გარეჯის ლიტერატურულ შემოქმედებით ცენტრში. მოსამზადებელი სამუშაო ამ მიმართულებით ჩატარდა კიდეც დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვრის ონოფრე მაჭუტაძის ხელმძღვანელობით. მისი დავალებით 1699 წელს დავით გარეჯის მონასტრის მიზნებისათვის შედგა პირველი პაგიოგრაფიული კრებული (A — 160 ნომრით ინახება კ. ექელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში). პროფ. ი. აბულაძე ამ კრებულს უწოდებს „ცხოვრებათა (იგულისსმება ასურელ მამათა ცხოვრებანი, მ. ქ.) მეტაფრასტული რედაქციების კრებულს“<sup>38</sup>, მივრჩი ეს კრებული მაინც არ იყო იმ დანიშნულებისა და მიზნის მქონე, რომელსაც იმდროინდელი საზოგადოება უყენებდა შას.

ინიციატივა კრცელი ქართული პაგიოგრაფიული კრებულის შედგენისა კუთვნის დომენტი კათალიკოსს.

დომენტი ლევანის ძე ბაგრატიონი, ვახტანგ VI მმა, ქართული კულტურის ისტორიაში, კარგად ცნობილი პიროვნებაა. მისი როლი და დამსახურება ქართული პაგიოგრაფიული კრებულის შედენაში გარკვეული აქვს პროფ. ელენე მეტრეველს<sup>39</sup>. ელ. მეტრე-

37 ქ. შ. ბ. შ. შ. ძ. ე., პირველი სტამბა საქართველოში, თბილისი, 1955, გვ. 67.

38 ი. ლ. აბულაძე, ასტრელ მოლექტო ცხოვრების წიგნთა ძეელი რედაქციები, თბილისი, 1955, გვ. 214.

39 ე. ლ. მ. ტ. რ. კ. ვ. ე. რ. ე. ქართული პაგიოგრაფიული კრებული და მის შემდგენელი პეტერინის სახ. პეტ. ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1950, გვ. 415—420. 1949 წელს ქართულ პაგიოგრაფიული კრებულის ხასიათს გაკვრით შეეხო პროფ. ტ. რ. რ. უ. ხ. ძ. და შეს „მრავალთავისა და მეტაფრასტული (ტრადიციისაშებრ) კრებულის სახელით იხსენიებს. იხ. ლიტ. მიებანი, ტ. V, გვ. 231.

ველის დაკვირვებით, დომენტი კათალიკოსს სპეციალურად დაუძებინა, ქართველ წმინდანთა საკითხავები და შეუღენია პირველი ორიგინალური პაგინგრაფიული კრებული. ეს სამუშაო მას უნდა გაეფორმებინა 1710 წლებში<sup>40</sup>. დომენტის კრებულს ჩვენამდე არ მოუღწევია, ყოველ შემთხვევაში ჯერ იგი მიკვდეული არ არის. 1713 წელს გაბრიელ საგინამვილს გადაუწერია დომენტის კრებული, რომელიც წამოღენილია ხელნაწერში A — 130.

დომენტი კათალიკოსის მიერ შედგენილი პაგინგრაფიული კრებული არის პირველი ეტაპი ქართველ წმინდანთა წამება-ცხოვრების შედგენის ისტორიაში. როგორც ჩანს, იმთავითვე დასტულა საკითხი აღნიშნული კრებულის შევსებისა. ამ საქმისათვის ხელი მოუკიდია ბესარიონ რებელიშვილს.

ბესარიონის ღვაწლზე პაგინგრაფიული კრებულის სრულყოფაში მიუთითებს ანტონ კათალიკოსი „წყობილსიტყვაობაში“:

„ქართულთ წმიდათა მოთხრობა — ისტორია  
მასოვან, რომელ სწად იყენეს მასმენელთა.“

ანტონის ცნობაზე დამყარებით პ. კეკელიძე წერდა: „ბესარიონის საკუთარი, ორიგინალური თხზულებანიც უწერია. მას ეკუთვნის, სხვათა შორის, პაგინგრაფიული ნაწარმოები, რომელიც ქართველ წმინდანთა ცხოვრებას შეიცავს. ეს არის ახალი რედაქცია ქართველ წმიდათა ცხოვრებისა, რომელიც მაინცდამაინც ვერ ვაკრცელებულა, რაც იქიდან ჩანს, რომ მისი ნუსხები ახლა იშვიათად, შეიძლება ითქვას, სულაც არ მოიპოვება“<sup>41</sup>.

პ. კეკელიძის მოსაზრება გამოიჭევა მაშინ, როდესაც ბესარიონის შრომიდან ცნობილი იყო მხოლოდ ორი თხზულება: „ღვაწლი წმიდისა და სანატრელისა მოწამება და მეფისა ლუარსაბაძისი“ და „შესხმა წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელისბარისი და უწყება წამებისა მათისა“. პირველი თხზულება დასტამბა ს. ყუბანევიშვილმა პირველად<sup>42</sup>, ხოლო მეორე გამოქვეყნებული იყო ჯერ კიდევ მ. საბინინის მიერ „საქართველოს სამოთხეში“.

ბესარიონის დომენტის შრომისათვის დაუმატებია ხუთი პაგინგრაფიული თხზულება და ამით შეუცია დომენტის კრებული (ჩვენ პიმნოგრაფიაზე არაფერს ვამბობთ) და მოუცია ქართული

<sup>40</sup> მ. კავთარია, ძელი ქართული პოეზიის ისტორიიდან, XVII—XVIII სს. 1977, გვ. 25—26.

<sup>41</sup> პ. კეკელიძე, ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, გვ. 326—327.

<sup>42</sup> ძელი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I,

ჰაგიოგრაფიული კრებულის თავისი რედაქცია. ბესარიონის შრომა დაცულია ხელნაწერში S—3269, რომელშიც ბესარიონის საკუთარი თხზულებანი ავტოგრაფის სახითა წარმოდგენილი. ესენია:

1. „შესხმა და წამებად წმიდისა და ღიდებულისა მოწამისა და მეფისა ლუარსაბისი“.

3. „დაძინებად წმიდათაგანისა მამისა ჩუენისა ისე წილკანელ ეპისკოპოსისა საკურველომოქმედისა, რომელი იყო ერთი ოთორმეტთა მამათაგანი, რომელი შუამდინარით მოიწინეს“.

4. „შესხმა წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელისბარისი და უწყება წამებისა მათხა“.

5. „წამებად და ლუაწლი წმიდისა ღიდისა მოწამისა რაედენისი, რომელი იქამა უამთა ღიდისა მეფისა ვახტანგისათა, სპარსთა მიერ ქართლს შინა, სოფელსა შინა წრომს“.

დასახელებული თხზულებანი არის ვრცელი რედაქციისა. ხელნაწერ S—3269-ში ბესარიონის შრომას უკავია 6 რევული; ამეამად წარმოდგენილია 5 რევულითა და 4 ფურცლით. ყველა საკითხავი მოთავსებულია ერთად ფ. ფ. 227—261, ხოლო რაედენის წამებას კი უკავა ფ. 217—275. თველაქოველად თხზულებათა თანმიმდევრობა ასეთი არ იყო. S—3269-ზე დაკვირვება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ აღდგეს ბესარიონის შრომის პირვანდელი სახე და, მაშასადამე, გავითვალისწინოთ თვით S—3269-ის რედაქტორის როლიც.

თხზულებათა თანმიმდევრობა კრებულის შეღენამდე ასეთი უნდა ყოფილიყო:

1. რაედენის წამება
2. არჩილის წამება
3. ლუარსაბის წამება
4. შესხმა ბიძინასი, შალვასი და ელისბარისი
5. დაძინება ისე წილკნელისი

1733 წლის ხელნაწერი A—170, რომელსაც ასევე ბესარიონის ხელი ატყვაია, ზუსტად ასეთ თანმიმდევრობას იძლევა. ეს იმას ნიშნავს, რომ A—170-ში თხზულებათა განაწალებისას რედაქტორი არ ითვალისწინებს S—3269 ხელნაწერის მონაცემებს. იგი ამ მონაცევეთში უშუალოდ ბესარიონის შრომის პირვანდელ სახეს იმეორებს. S—3269-ის შეტყენისას, ბესარიონის საკუთარი თხზულებები თავისი შეხედულებისამებრ გაუნაწილებია<sup>43</sup>.

<sup>43</sup> ვრცელად ამ საკითხის შესახებ იხ. ჭ. ჭავჭავაძე, ბესარიონი თრბელი შეიძლის ცხოვრება და შოლაქერობა. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამზე, ტ. I, 1959, გვ. 92—93.

ბესარიონ ორბელიშვილმა შეავსო დომენტი კათალიკოსის შრომა XVIII საუკუნის 20-იან წლებში და მოვცა ქართული პაგინგრაფიული კრებულის მეორე რედაქცია, რომელშიც მხოლოდ მხატვრული პროზის ნიმუშები არ იყო გაერთიანებული. მასში პოეტური (პიმოგრაფიული) მასალაც იყო წარმოდგენილი. ბესარიონ ორბელიშვილის შემოქმედებით ქართული მხატვრული პროზის ერთგვარი გამოცოცხლება დაიწყო. ბესარიონ ორბელიშვილი XVIII საუკუნის 20-იან წლებში ქართული მხატვრული პროზის ერთადერთი წარმომადგენელია, რომლის თხზულებებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს მომდევნო ხანის მწერლებზე (ვახუშტი, ანტონი, იოანე ბატონიშვილი და სხვ.).

ბესარიონის მხატვრულ შემოქმედებაში უდიდესი ადგილი აქვს დათმობილი ისტორიულ თემატიკას. ბესარიონ ორბელიშვილი აგრძელებს იმ ვზას, რაც ვეიანფეოდალური ხანის ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობაში დამკიდრდა. გარდასულ დღეთა გაცოცხლება მხატვრული პროზის მთავარი თემა იყო.

ფაქტობრივი მასალის გამოცემის თვალსაზრისით ბესარიონის თხზულებიდან გამოსაყოფია „ლუაწლი წმიდისა და სანატრელისა მოწამისა და მეფისა ლუარსაბისი“ და „შესხმა წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელისბარისი“.

ქართულმა ეკლესიამ ლუარსაბ მეფე შერაცხა წმინდანად და მას მოსახსენებლად სპეციალური დღეც მიუჩინა. შედგა ლიტურგიისათვის საგანგებო განვება.

ლუარსაბ მეფის ხსენების დღესთან დაკავშირებით საინტერესო სურათია ხელნაწერებში. მოვციან ხანის ნუსხებში მეფე ლუარსაბის და მეფე არჩილის ხსენებანი გაერთიანდა და დაიდო 20 მარტს, მიუხედავად იმისა, რომ პარიზის ლექციონარი არჩილის ხსენებას 8 იანვარზე იძლევა, ხოლ იოანე-ზოსიმეს კალენდარი კი 15 იანვარს (იხ. პ. კაპელინე, ეტიუდები, V, გვ. 258). ღომენტის პაგინგრაფიულ კრებულში A—130 ხელნაწერში ორივე მეფის ხსენება ცალ-ცალკეა წარმოდგენილი 20 მარტს. „თუესა მარტსა კ. წამებამ წმიდისა და ნეტარისა მეფისა ჩუენისა ლუარსაბისი“ (136 რ—v): „თუესა მარტსა კ. წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი, რომელი-ეს იყო მეფე ქართლისა“ (138 რ—»39 რ). ასეთსავე სურათს იძლევა ბესარიონის რედაქციის პაგინგრაფიული კრებულის კანონიზირებული ხელნაწერი A—170 (1733 წლისა). აქაც ორივეს ხსენება ცალკეა 20 მარტს. სხვა სურათს იძლევა S—3269 ხელნაწერი, რომელშიც პირველიც ჩნდება ლუარსაბისა და არჩილის კრებული

თხზულებები. აქ ვკითხულობთ: „თუესა მარტსა კ. წმიდათა და-დებულთა მოწამეთა ორთა დიდთა მეფეთა ქართველთანა არჩილ და ლუარსაბისი“ (219 r—220 v). „თუესა მარტსა კ. შესხმა და წა-მებად წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი, მეფისა შის ქართველთასა...“ (228r—235 r). „თუესა მარტსა ა. ლუაწლი წმიდისა და სანატრელისა მოწამისა და მეფისა ლუარსაბისი (235v—243r). მაშასადამე, ერთ ხელნაწერში არჩილ მეფისა და ლუარსაბ მეფის ხსენება არის ერთადაც და ცალ-ცალკე. როდის უნდა მომხდარი-ყო მათი გაერთიანება ან ვის მიერ, ხელნაწერების მიხედვით არ ჩანს. ერთი უკველია, რომ სავარაუდოა 1713 წლის შემდგომ (A—130-ის გაფორმების ზემო ზღვარი). ამ ქრონილოგიურ ზღვარს, ალბათ, ხელს ვერ შეუშლის გულანების A—111-ისა და A—379-ის მონაცემები. ორივე გულანში მათი ხსენება 20 მარტსა მოცემული და ორივე ხელნაწერი ზოგადად თარიღდება 1704—1713 წლებით.

S—535-ში ნათქვამია: „მეფე არჩილ

მეფე ლუარსაბ 1 მარტს, ვინა 20“.

20 მარტს მათ ერთად ახსენებს შემდეგი ხელნაწერები: S—1097 (1725—26 წ.), Q—627, H—2335, S—67, A—152, A—1093 და სხვ. ანტონ ბაგრატიონმა თავის სადღესასწაულოში ორივე მეფის ხსენება ერთად დატოვა, მაგრამ გადაიტანა 21 ივნისს (S—1464) და გაუკეთა შემდეგი კომენტარი: „დღესასწაულიცა უკუც ქარ-თუტლთან შევპსუალენ. და რომელნი ოცა მარტსა იყო პქსე-ნება მარტლობისა დიდთა მოწამეთა არჩილ და ლუარსაბისა... სხუასა ადგილსა განვაწესენ ესენი, რამეთუ წმიდათა მამათა, რო-მელთაცა პქსენებანი და დღესასწაული წმიდათანი განაჩინნეს თი-თოვეულთა შინა თთუტეთა და დღეთა, მარტსა და პრილსა ორნი თდენ მოვალნნ დღესასწაული დიდთა წმიდათანი. ამისათვე ვი-თარმედ, რათა არა დააყენნეს მარხუამან დღესასწაული წმიდა-თანი... ამისათვესცა მეცა, ვინადგან ჯერ ცყრ დიდ დღესასწაულო-ბად მეფეთა დიდთა მოწამეთა, დავპსდევ ქსენება იუნისსა კა... ანტონი არჩილის და ლუარსაბ მეფეების დღესასწაულთა შეერთ-ბაზე არაფერს ამბობს. არც ლუარსაბის ხსენების დამოუკიდებელ დღეზე — 1 მარტზე ამბობს რამეს.

ლუარსაბის წამებიდან ბესარიონის შრომის დაწერაშდე სულ ცოტა ასი წელი გავიდა. ლუარსაბის მოლვაწეობა აისახა თფიცა-ალურ ისტორიაში, ნარატიულ წყაროებში, მაგრამ ბესარიონის თხზულება თავისი სისრულით, ფაქტების სიუხვით და განსაკუთ-რებით მიმზიდველი მხატვრული ენით მაინც ლირსშესანიშნავია.

ბენარიონის მოთხრობა პაგიოგრაფიული უანრის ნაწარმოებია, მას ახასიათებს სასულიერო პრიზისათვის დამახასიათებელი ყველა ელემენტი. მაღალი პატეტური სტილი კი თხზულებას აძლევს ჰომილეტიკურ ელფერსაც. კომპოზიციურად ნაწარმოები აგებულია ისე, რომ მასში ნათლად გამოჩნდეს XVII საუკ. ქართლის პოლიტიკური სახე. თხზულების ძირითადი ნაწილი ისტორიული ამბების გაღმოცემისადმია მიძღვნილი. კერძოდ, თხზულებაში ჩართულია *memento* საქართველოს ისტორიიდან — თათარხანის შემოსევა, რომელსაც არავითარი პირდაპირი და უშუალო კავშირი არა აქვს ლუარსაბის მარტვილობასთან. დეტალურადაა მოთხრობილი შეპარასის შემოსევა და ლუარსაბის წამების ბოლო დღეები.

საგულისხმოა, რომ ბესარიონის თხზულების ისტორიული ნაწილი ბევრ რამეში სცილდება ოფიციალური ისტორიის ცნობებს. ამ შემთხვევაში იგი მოქმედებს ვითარება მხატვრული სიტყვის ისტატი, ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი — როგორც უამთააღმწერელი. ბესარიონს განსაკუთრებული სიზუსტით და ვრცლად აქვს გაღმოცემული თათარხანის შემოსევა, უფრო ვრცლად და დეტალურად, ვიდრე იოსებ თბილელს „დიდმოურავიანში“ და მასზე დაყრდნობით, როგორც ეს აკად. ივ. ჭავახიშვილმა გაარკვია, ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ცხოვრებაში“<sup>44</sup>. ბესარიონის ცნობები ავსებენ ბერი ეგნატაშვილის „ისტორიას“, თუმცა ბევრ რამეში განსხვავდებან მისგან. ჩვენ აღარაფერს ვამბობთ ფარსადან გორგიჯანიძის მეტად მწირი ცნობების შესახებ. ამდენად, ბესარიონის თხზულებას წმინდა ისტორიული თვალსაზრისითაც აქვს გრძელები წონა და მნიშვნელობა.

აღნიშნავთ ზოგიერთ განსხვავებას ბერი ეგნატაშვილის ისტორიასა და ბესარიონის თხზულებას შორის:

### ეგნატაშვილი<sup>45</sup>

„ხოლო დედა მეფისა იყო  
ქალი ლიპარტიანისა, სახელით  
მარიამ“.

### ბესარიონი

„ლუარსაბის დედასა [ეწო-  
დებოდა] თამარ“.

<sup>44</sup> ი.ვ. ჭავახიშვილი, ქველი ქართული საინტორიო მუზეუმით, 1945, გვ. 358—359. „დიდმოურავიანშე“ დამყარებული ე. წ. პარიზის ქრონიკა, როგორც მაცევ წიგნში გარკვია ი.ვ. ჭავახიშვილმა.

<sup>45</sup> ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება.

მართალია, ვახუშტი ბატონიშვილიც იმეორებს ეგნატაშვილის კნობას: „დედასა მეფისასა დედოფალსა მარიამს, ასულსა ლიპარტიანისას...“<sup>46</sup>, მაგრამ სიმართლე მაინც ბესარიონის მხარეზეა. თამარს ადასტურებს ლუარსაბის მარტვილობის მოკლე რედაქცია — „მამასა ეწოდებოდა გიორგი და დედასა თამარ...“<sup>47</sup> — ე. წ. პარიზის ქრონიკა — „გიორგი ლიპარტიანის ასულმან, დედოფალმან თამარ“<sup>48</sup>, ანტონის „მარტირიკა“ — „იქორწინა ჩინებულისა მთავრისა ლიპარტიანის ასულისა თანა, ზედწოდებით თამარ“ და ისტორიული დოკუმენტები. ერთ-ერთ მათგანში ვკითხულობთ: „დედოფალთა დედოფალმან, პატრიონმან თამარ... და ძისა ჩუენისა პატრიონისა მეფის ლუარსაბის საღლევგრძელოდ“<sup>49</sup>.

თითქმის ყველა დოკუმენტი ლუარსაბის დედას თამარს კოცხლად ასახელებს შვილის დაქორწინებისას, მათ შორის ბერი ეგნატაშვილიც: „მაშინდა კუალად აცნობა მოურავმა დედასაცა მეფისასა“. ბესარიონის შრომით ლუარსაბის დედა ქმარჩე ადრე გარდაიცვალა: „ვითარცა გარდაიცვალა მამა ამის ნეტარისამ — მეფე გიორგი, რამეთუ დედოფალი თამარ პირველივე გარდაცვალებულ იყო“.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში თავდადებული ხუცის სახელად დაბკვიდრებულია თევდორე, ბესარიონი კი მას ს ვ ი მ თ ნ ს უწოდებს.

სომხის ტერტერას იოსებ თბილელი, ეგნატაშვილი და სხვები თვლიან გორელად, ბესარიონი კი უცლის ციხე ლად.

შაპ-აბასის დაბანაების ადგილად ეგნატაშვილი ასახელებს გორს; ე. წ. პარიზის ქრონიკა, ფარსადან გორგიგანიძე ნიქოსი, ხოლო ბესარიონი კი ალ ს<sup>50</sup> და სხვ.

„ლუარსაბის მარტვილობა“ პეგიონგრაფიული ხასიათის თხზულებაა. მისი იდეა სამშობლოს სიყვარული და ქართული ეკლესიის დაცვაა.

ავტორი ქართლის პოლიტიკური ისტორიის რეალურ სურათს იძლევა. XVII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველო წარმოადგენდა როგორც საგარეო, ისე შინაური მტრების სათარეშო

<sup>46</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დაღვიწოდო ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, 1973, გვ. 423.

<sup>47</sup> ქართული აგიოგრაფიული დაბერატურის ძეგლები. წ. IV, გამოსაცემა მოამზადა და გამოვლევა დაურთო ე. გ ა ბ ი ძ ა შ ვ ი ლ მ ა, თბილისი, 1968, გვ. 430.

<sup>48</sup> პარიზის ქრონიკა ანუ ცხოვრება საქართველოსი, 1903, თბილისი, გვ. 39.

<sup>49</sup> ს. კ ა გ ა ბ ა ძ ე, ისტორიული საბუთები, წევნი IV, 1913, გვ. 7.

<sup>50</sup> სამართლანობა მოითხოვს აქვე ითვეს, რომ აღნიშნულ განსხვავებებს პირველად უკრალება მიაქცია ანტონ I.

არენას: „მრავალნი ბოროტნი აღდგომილ იყვნეს საქართველოს ზედა. პირველად ოსმანთაგან, რომელთა დაეპყრა მეფობამ, მერმე სპარსთაგან და მერმე მახლობელთა ჩუენთა მთიულთა ოკსთაგან, რომელი დამკვდრებულ იყვნეს მახლობელად ჩუენსა, რამეთუ იგინიცა ფრიად ჭირვებდეს, რამეთუ მოწევნასა ზაფხულისასა ვიდრე უამამდე ზამთრისა ჭირდეს და ტყუ-ყოფდეს ცხადად და იდუმალ. და ესოდენთა ძროთაგან მოცულ იყუნეს ქართველნი“.

ქვეყნის არც ეკონომიკური სურათია სახარბიელო. ავტორის სიტყვით, „მაშინ ქუეყანაა აბოცისამ, ტაშირი, ჯავახეთი და თრიალეთი სრულიად ოქერ იყო და უშენ კაცთაგან და მიმდგომნი ყოველნი ამათ თემთანი“. ასეთ დროს შემოესია ქართლს თათარხანი. „მას უამსა, ოდეს ხუანთქარმან აღილაშერა ბაბილონსა ზედა ძალითა დიდითა, მუნ თანა-უკეს მჯედრობამ თათარხანთა, რომელ არაან ყირიმნი. მაშინ შეითქუნეს მუნ მყოფნი იგი თათარხანნი, კითარ თხხმეოცი ათასი მჯედრობამ რჩევული, რამთა მოვიდენ საქართველოსა ზედა და წარტყუუნონ და სრულიად ასწყუდონ და სახესნი ტყვთა და ალაფითა მიიქცენ მუნვე, რამეთუ უმეფოდ ჰგონებდეს ქართველთა“. თათარხანის შემოსევის ეპიზოდი ლუარსაბის მარტვილობისათვის ლოგიური და ბუნებრივი, უფრო შეტიც, აუცილებელი სულაც არ არის. ეს ისეთი პასაუია (თავისთავად ძალზე საინტერესო), რომელიც პაგიოგრაფიულ ნაწარმოებს არ სჭირდება.

თათარხანის შემოსევა ბესარიონშია მხოლოდ ორი გარემოებით შეიტანა „ლუარსაბის მარტვილობაში“. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეჩვენებინა ქართველთა ლაშერის გამარჯვება მრავალრიცხვობან მტერზე. მეორეც, ერთხელ კიდევ წარმოებინა უბრალო ადამიანების თავგანწირვა მშობლიური ქვეყნის სამსახურში.

განსაკუთრებით ნათელ ფერებში აქვს დახატული ავტორს ლუარსაბის პორტრეტი. ლუარსაბის პირით შეტყველებს ორთოდოქსალური ეკლესიის წარმომადგენელი ბესარიონი. ლუარსაბის შეხედულებანი და თვალსაზრისები ეს არის XVII—XVIII სს. ოფიციალური ქართული ეკლესიის აზრები და შეხედულებანი. ბესარიონი ლუარსაბს ახვევს ქართულ საკლესიო წრეებში მიღებულსა და დამკვიდრებულ მსოფლმხედველობას და ამიტომაცაა, რომ ლუარსაბი მოთხრობიდან წარმოგვიდგება არა როგორც მებრძოლი მეფე, არამედ როგორც რელიგიური სათნოებით გაუღენიოლი პიროვნება, რომელიც ძირითადად მხოლოდ ლოცვა-ველრებაში პოულობს შევძას და მხოლოდ უფლის განვებას ავედრებს მშობლიურ ქვეყანას.

„ლუარსაბის მარტვილობის“ ვრცელი რედაქციის დასაწერად ბესარიონს გამოუყენებია სხვადასხვა ისტორიულ-ლიტერატურული წყაროები. არც ისაა უგულებელსაყოფი, რომ ბესარიონის დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იქნებოდა ლუარსაბის შესახებ ისეთი ცნობები, რომლებიც ოფიციალურ ისტორიაში არ ასახულა.

ბესარიონის შრომის წყაროთაგან უნდა, უპირველეს ყოვლისა, დასახელებულ იქნეს დოდორქელის თხზულება „ქეთევან დედოფლის წამება“. ბესარიონის გრიგოლის შრომიდან თითქმის სიტყვა-სიტყვით ამოუკრეფია ის ადგილები, რომლებშიც ლუარსაბის შესახებაა საუბარი. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

### ქეთევანის წამება

„მას უამსა მეფობდა ქართლს  
მეფე ლუარსაბ, ძე მეფისა გი-  
ორგისი. კაცი მკნე, ახოვანი,  
შუენიერი უფრომს ყოველთა  
ძეთა კაცთასა და იყო გე-  
რეთ ყმა და გამოუყდელი.  
დაშორმილ იყო იგი მამისა  
მისგან ღმრთისმოყუარისა და  
მორწმუნისა. ხოლო მეფე იგი  
სპარსთამ ლიქნიდა მას ფრიად  
და ეტყოდა ფიცით, ვითარმედ:  
უკეთუ მოხვდე და მერჩდე მე,  
მეგობრად ჩემდა გყო შენ და  
მიგცნე ყოველნივე სამეფონი  
საქართველოსანი. შენი და  
უშენნი, რამეთუ მიყუარ შენ  
ფრიად ჰასაყისათვს და შეენი-  
ერებისათვს და ახოვნებისათვს  
გუამისა შენისა. მეფე იგი კა-  
თამ ამისათვს მოვთოჭრე, რა-  
მეთუ იყვნეს ივინი მეგობარ  
კეისრისა, ხოლო შენ გყო სწო-  
რად თავსა ჩემისა და მეორე-  
დად მეფობისა ჩემისა გყო“  
ვ. 261).

### ლუარსაბის მარტვილობა

„ხოლო მეფე თეიმურაზ და მე-  
ფე ესე, ლუარსაბ იყლტოდეს  
იმერეთად... [შაპაბაზ] სიტყვა-  
ლიქნისამთა აღუთქუმიდა უდ-  
იდესთა ნიჭითა და პატივთა,  
რამთა ერჩდეს და მოვიდეს  
მის თანა და ზედამსზედა მი-  
უწერდა ესრეთ: ჟყეთუ მოხვ-  
დე ჩემ თანა, გყო შენ შევილად  
ჩემდა საყუარელად და მე-  
გობრად სარწმუნოდ და მოგ-  
ცნე ყოველნივე სამეფონი შენ-  
ნი: ქართლი, კახეთი და სამცხე.  
და არცა სჭულისა შენისათვს  
სიტყვად გიგო. ვითარცა გე-  
ნებოს, ეგრეთ იქცეოდა და ყო-  
ველნი საკელმწიფონი ჩემნი  
შენ გნატრიდენ და გმორჩილებ-  
დენ, რამეთუ დიდად მიყუარ  
შენ ტომ-კეთილობისა შენი-  
სათვს, რამეთუ წინამსწარმეტ-  
ყუელთა ნათესავი ხარ შენ და  
კუალად სიკეთისათვს შენისა  
და შუენიერებისა მნებავს  
ხილვად შენი. ხოლო ქუეყანად  
იგი თეიმურაზისი პმისთვს მო-

ვაონტრ, რამეთუ ურჩ ცყვნებ  
ბრძანებისა ჩემისა და იყვნებ  
მეგობარ კეისრისა, მეცა ამის-  
თვს გულითად მოვიძულე  
იგი. ხოლო უკუეთუ მერჩდე  
და მოხვდე ჩემდა, გვი შენ  
დიდებულ და მეორედად მე-  
ფობისა ჩემისა განვაჩინო და  
ყოველნი შენ გმორჩილებდენ"

### მეორე მაგალითი

"დღესა ერთსა ჯდა მეფე  
უსჯულოდ და, უჯდა მეფე  
იგი მორწმუნე დღეთა მათ  
მარხვისათა წმიდათა მათ ორ-  
მეოცთა და აიძულებდა მას  
ჭამად თევზისა. ხოლო მან  
პრეზა: არა ვეპამ წმიდათა  
მათ მარხვათა, რამეთუ ესრეთ  
განწევებულ არს, და უკეთუ  
ვჭამო თევზი, კუალად მაიძუ-  
ლებდე ქორცაცა ჭამად მარ-  
ხვათა შინა. არა უწყია, მეფე,  
რამეთუ ქრისტიანე ვარ? და  
ილვტოდა მისგან. ხოლო ვი-  
თარცა გათენდა, შეიბყრეს მე-  
ფე იგი შეუნიერი, ცხებული  
ღმრთისად და წარგზავნეს საპ-  
ყრობილედ იგიცა ქალაქსა მას  
შირაზისასა. და ვითარცა იხა-  
ლა უსჯულომან მან მიუღრე-  
კელობად სარწმუნოებისაგან,  
განიხრახა გულსა შინა თვსსა:  
უკეთუ ვაიძულო უარის-ყო-  
ფად ქრისტესა, არა მერჩდეს  
ზიარებად სჯულთა ჩემთა. და  
წარავლინნა კაცნი საპყრობი-  
ლესა შინა და საბლითა მოაშ-  
12,

"დღესა ერთსა ჯდა მეფე  
იგი უსჯულოდ პურობად მოს-  
მურთა თვსთა თანა შუებით  
და განცხრომითა მრავლითა.  
და მოუწოდეს ამასცა ღმრთის-  
მოყუარესა მეფესა და ინა-  
ჭით ჯდა იგი მახლობელად მის.  
ხოლო იყვნეს დღენი იგი წმი-  
დანი ორმეოცთა მარხვათანი და  
ვითარცა სხდეს იგინი და იყო  
განცხრომად ფრიადი, მაშინ  
აიძულა მას ჭამად თევზისა და  
ფრიადცა აიძულებდა, რამთა  
ერჩდეს ბრძანებასა მისსა და  
ჭამოს თევზი. ხოლო მას ნე-  
ტარსა უცხოდ აღუჩნდა სიტ-  
უად იგი მძლავრისამ, რამე-  
თუ სიჩრომათვან მარხვითა აღ-  
ზრდილი იყო და განცოხებულ  
მსგავსად დანიელისა და იტ-  
ყოდა: არა ჯერ არს, მეფეო,  
დღეთა ამათ შინა წმიდათა  
ორმეოცთასა ჭამად თევზისა,  
რამეთუ ესრეთ განწევებულ  
არს წმიდათა მიერ, და მე არა  
ოდეს გარდავეკდე საზღუართა  
მამათასა და არცა დავკისნა

თვეს წმიდად იგი, გერგვნ—  
შემოსილი წარვიდა წინაშე  
ღმრთისა, შემყული ღუაწლი-  
თა წამებისაჲთა“.

აჭულისდებად მათ კარგი შემდეგ  
თუ აშ გერჩდე და ვეამო  
თევზი, მერმე კუალად მიძუ-  
ლო კამად ჭორცისა და ესრედ  
მცირედ-მცირედ დაიქსნას ყო-  
ველი წესი. არა უწყია, მეფეო,  
რამეთუ მე ქრისტიანე ვარ და  
არაოდეს ვერჩდე ბრძანებასა  
შენსა, არცა გისმინო ამის  
ქრისათვეს სიტყუად შენი. უძ-  
ჭობეს არს სიჯუდილი ჩემი,  
ვიდრე მცირედისაცა სარწმუ-  
ნოებისა ჩემისა შეცვალებად.  
და ვითარ კუალად აიძულებდა,  
მყის ალდგა და ივლტოდა პი-  
რისაგან მისისა და წარვიდა  
კარვად თვასა“.

ეს მაგალითები აშკარად აჩვენებს, თუ როგორ ჭარბად იყე-  
ნებს ბესარიონი თავისი თანამედროვე მწერლის თხზულებას. ამა-  
ვე დროს, ეს ფაქტი იმასაც მიუთითებს, თუ როგორი მაღალი  
შეხედულების იყო ბესარიონი გრიგოლ დოდორქელის ნალვაწზე,  
მხატვრულ შემოქმედებაზე. აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ სხვა ფაქ-  
ტების გაღმოცემის დროს ბესარიონი არ მიყვება გრიგოლს, მათ  
შორის არის წინააღმდეგობა.

### ქეთევანის წამება

„იესუ ქრისტე, უწყი, რა-  
მეთუ ყრმად ვარ და უსწავ-  
ლელ“ — ამბობს ლუარსაბი.

### ლუარსაბის წამება

„ხოლო აღიზარდა იგი  
ღმრთისმსახურთა მათ მეფეთა  
კეთილად სწავლულებითა და  
უფროდსად ღმრთისმსახურე-  
ბითა და ასწავეს სწავლად ყო-  
ველი ღმრთივსულიერთა წე-  
რილთამ, რომელი შეეტყიში-  
ბოდა სიმტკიცესა სარწმუნოე-  
ბისა მათისა. არცაღა საერთოა  
და სამჯედროთა სწავლულება-  
თა და სიმარჯვეთაგან დაკლე-

ბულ ყვეს, რამეთუ ყოველიც იკითხა  
სრულებით შემოკრიბა ნეტარ-  
მან მან მცირედსა უმსა“.

ბესარიონის თხზულება დაახლოებით მაშინ იწერებოდა, რო-  
დესაც მუშავდებოდა „სწავლულ კაცთა“ მიერ „ქართლის ცხოვ-  
რების“ გაგრძელება. ამიტომ ბესარიონის მხატვრული ნაწარმოე-  
ბიდან ისტორიულ ნაწილს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც  
„სწავლულ კაცთა“ კომისიის მიერ შედგენილ ნაშრომს. ბესარიონი,  
საფიქრობელია, იმავე ქრონიკალურ მასალას, გადმოცემებსა და ნა-  
რატიულ წყაროებს ეყრდნობოდა, რასაც ზემოთ ნახსენები კომი-  
სია. ამიტომ განსაკუთრებული საგულისხმოა და ფასეული ბესარი-  
ონის თხზულებიდან და კომისიის ნაღვაწიდან ის ადგილები, რომ-  
ლებიც ერთმანეთთან ახლოს დგანან და რამდენადმე ემთხვევიან  
ან ავსებენ ურთიერთს კიდეც. მაგ.:

### ლუარსაბის შარტვილობა

„მას უამსა, ოდეს ხუანთქარ-  
მან აღილაშქრა ბაბილონს ზე-  
და ძალითა დიდითა, მუნ თა-  
ნა ყვეს მჯედრობად თათარხან-  
თა, რომელ ორიან ყირიმინ. მა-  
შინ შეითქმნეს მუნ მყოფნი  
იგი თათარხანი, ვითარ ოთხ-  
მეოცი ათასი მჯედრობად რჩე-  
ული, რამთა მოვიდნენ საქარ-  
თველოსა ზედა და წარტყუე-  
ნონ და სრულად ასწყვდონ და  
საესენი ტყვთა და ალაფითა  
მიექცენ მუნეე.“

### ახალი აქრთლის ცხოვრება

„ხოლო მას უამსა შინა ხონ-  
თქარი სულთან მურად ბალ-  
დადს მოწევნულ იყო და ყი-  
რიმის გარი თან ახლდენ. და  
რავამს ხვანთქარს სულთან  
მურადს ბალდადის საქმე გაე-  
რიგებინათ, მაშინ ყირიმის  
გარისთვე დასტური მიეცა. მა-  
შინ ერთსა ვისმე თათარხან-  
თათვეს ერჩია, რომე რადგან  
წავალთ, ქართლის გზა დიალ  
კარგი არის და ჩევნშედაც  
მარგვე არის... წარმოემართნენ.  
ქართლზედ, ვითარ სამოცი  
ათასი კაცი!“

ანტონ პირველი „მარტირიკაში“, ქეთევანისადმი მიძღვნილ  
ნაშრომში წერს: „ამისნი უკუე ისტორიანი, ვპგონებ, ვითარმელ  
პირველად აღწერა ვინმე თანამედროებან წმიდისამან..., ნეტარმან

51 ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ვ.ვ. ჭავა-  
ხიშვილის გამოცემა, გვ. 114.

ბესარიონ, მამათმთავარმან ჩუენმან“... ანტონის ცნობილან გამოშედინარე საძიებელია ბესარიონის შრომა ქეთევან დედოფლის შესახებ. ანტონის მითითება უთუოდ საგულისხმოა და მისი უყურადლებოდ დატოვება არ ეგების.

საკითხის გამოწველილით შესწავლის შემდეგ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ბესარიონს ქეთევან დედოფლის შესახებ არ დაუწერია დამოუკიდებელი თხზულება. ანტონის მხედველობაში აქვს „ლუარსაბის მარტივილობის“ ის აღვილი, რომელშიც ნათქვამია ქეთევან დედოფლის დატყვევების შესახებ, კერძოდ: „მაშინ წარმოემართა ძალითა დიდითა და სპითა ურიცხვთა და მოიწია არეთა ქართლისათა და მოვიდა განძის და დადგა მცირედსა უამსა ქალაქ-სა მას განძისასა. მაშინ შიში დიდი მოიწია საქართველოსა ზედა, რამეთუ ვერვის ძალ-ედვა წინადადგომად მისსა. ხოლო მეფე-მან კახთამან დედა თვალი და ორნი ძენი წინა მიაგებნა და ძლუენი ურიცხვ და ითხოვა მშვდობით დაცვა ქუეყანისა თვესისამ. ხოლო მან უსჯულომან ალუთქუა მშვდობამ და რისხვით ზაკვასა განიზრია-ვიდა — ეცრუვა ფიცთა, რომელი ფიცებულ იყო: შეიძყრა სანატ-რელი იგი დედოფალი და წარგზავნა ქალაქსა შირაზისასა და მუნ ტყუე ყო და ორნი იგი ძენი მისნი გამოასაჭურისნა. მერმე შევიდა კახეთად და იწყო წუვად, დაქცევად და ოწრებად და სრულიად უმკუდრო ყო კახეთი“.

რა საფუძველი არსებობს, რომ ვამტკიცოთ ზემოთ წამოყენებული ვარსუდი: ა) ანტონ კათალიკოსს „მარტირიკაში“ არც ერთი ციტატი არ მოაქვს ბესარიონის თხზულებიდან. ხოლო იმ შემთხვევაში კი, როცა ბესარიონს დამოუკიდებელი ნაწარმოები აქვს იგი ყოველთვის იმოწმებს ბესარიონს და მოაქვს მისთვის საჭირო ციტატები. ასე იქცევა ანტონი ლუარსაბის, არჩილისა და რაედენისადმი მიძღვნილ სიტყვებში. ანტონი არ იმოწმებს ბესარიონის თხზულებიდან აღვილებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ბესარიონს ქეთევანის შესახებ დამოუკიდებელი თხზულება არ დაუწერია.

ბ) ანტონი ზემოთ დამოწმებულ სტრიქონებში ზოგადად წერს თავის წყაროებზე. მიგვანიშნებს, რომ იცნობს ყველა მასალას, დიდს თუ პატარას (ეს არ ითქმის მხოლოდ ვინმე თანამედროვეს შესახებ). ანტონი ახდენს წყაროებიდან აღვილების პერიტრაზირებას, ზოგჯერ კი ზუსტ ციტაციას. ასე აქეთებს იგი თემიურაზის, არჩილის, არქელა შირაზელის, გრიგოლ დოლორქელის, ვახუშტის შრომებიდან. ეს ხდება იმიტომ, რომ მათ ვრცლად აქვთ მოთხრობილი კახეთის ამბები. ანტონი ბესარიონის შრომიდან ერთი აბზაცის, ფრაზის ციტირებასაც არ ახდენს. ანტონისათვის ქე-

თევან დედოფლისა და ლუარსაბ მეფის „მარტვილობანი“ ერთო ხაზნის ლიტერატურული ნაწარმოებებია. ამიტომა, რომ ისტორიული მბის თხრობა იწყება ქეთევან დედოფლის „წამებაში“ და სრულდება ლუარსაბ მეფის „მარტვილობაში“. ანტონი ქეთევან დედოფლისადმი მიძღვნილ თხზულებაში წერს: „წარვიდა მლტოლუარე მეფე თეიმურაზ იმერეთად, და მეფეცა ლუარსაბ ივლტოდა მუნ. ხოლ ქართლისათვის რაცა იქმნა, რაცა სათანადო იყოს თქმად, მოვინარენოთ ლუარსაბ წმიდისა ბრწყინვალეთა ღუაწლთა მოთხრობათა შინა“. ლუარსაბის მარტვილობის წერისას კი ანტონი ერთერთ ძირითად წყაროდ იყენებდა ბესარიონ ორბელიშვილის თხზულება.

მაშასადამე, ანტონის ცნობა, რომ ბესარიონს ეკუთვნის „ამისნი (ქეთევანის) ისტორიანი“, გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ იმ ადგილს ბესარიონის თხზულებიდან — ლუარსაბის მარტვილობიდან — სადაც ლაპარაკია კახეთზე და მის გმირ დედოფალზე. ბესარიონს რაიმე დამოუკიდებელი თხზულება ქეთევან დედოფლის მარტვილობაზე არ დაუწერია (ისევე როგორც ვახუშტი ბატონიშვილს, მაგრამ ანტონი მასაც ასახელებს თავის წყაროდ), არ დაუწერია, რადგანაც ამის აუცილებლობა არ იყო. ქეთევანის მარტვილობის ვრცელი თხზულება დაწერა გრიგოლ დოდორქელმა, მანვე შეადგინა ქეთევან დედოფალზე ლიტურგიული განგება-კანონი და სეინაქსარული თხზულება. ყველა ტექსტი წარმოდგენილია 1713 წელს გადაწერილ ქრებულში A—130.

მაშ, რას უნდა ნიშავდეს ანტონის მითითება — „ამისნი უკუე ისტორიანი, ვკვინებ, ვითარმედ პირუელად აღწერა ვინმე თანამედროვემან წმიდისამან“ — აუცილებლად მოითხოვს ახსნას.

ანტონის მონაცემები ყოველთვის ანგარიშგასაწევია, იგი როგორც წესი, მუდამ ეყმარება რაღაც წყაროს და მის მიხედვით მსჯელობს ხოლმე (ეს მისი მუშაობის მეთოდია). სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე ვერ არის დადგენილი ანტონის ამ კონკრეტული ცნობის წყარო. არც ისაა დადგენილი, ანტონი დამოუკიდებელ თხზულებას გულისხმობს, თუ რაიმე სხვა რიგის შრომას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ანტონი ამ კონკრეტულ შემთხვევაში გულისხმობს ხელნაწერ A—485-ზე, ე. წ. ალავერდის ოთხთავზე ნუსხურით გაკეთებულ მინაწერს, რომელიც მართლაც თითქმის თანამედროვეს, „სახეოთა ოდენ მონაზონს, ხოლო საქმით ჩემებით მღდელობისა წინამდლუარ ზებედეს“ ეკუთვნის. ზებედეს ამ ცნობისათვის ყურადღება არავის მიუქცევია. თავისითავად ზებედეს ჩანაწერი მეტად საინტერესოა და შეიცავს ჩვენი ისტორიისათვის საყურადღებო ფაქ-

ტებს, რომლის ერთ ნაწილს, როგორც ჩანს, პირველად ცუცურადღებული შა ანტონმა მიაკუთა და ქეთევან დედოფალზე დაწერილ ცნობებში მიუჩინა ერთ-ერთი პირველი ადგილი.

„ვინაოთგან ღმერთი მოწყალე არს და კაცომოყუარე და არა მოავლენს ცოდვათათვეს დღითი-დღეთთა(!) რისხვათასა, უკუეთუ მოავლინოს რისხვამ ზეგარდამო, ვინდა დაუთმოს, ანუ რამ მოიგონოს განრინებად, თუ შური იძიოს ღმერთმან — აქად მოსრვად, სირცხვლი და ყუცდრებამ, ხოლო მუნ საუკუნოხ და დაუსრულებელი წარწყმედამ, ტირილი და ღრმენამ კბილთამ სხუათა სასტიკ-თა სატანჯველთამ თანა. ხოლო უკუეთუ ვინ მოიგოს შემწედ თვსად პატიოსანი ესე და მახარებელი ხსნისა და ცხორებისა და მოძლუარი ყოვლისა სოფლისამ, სახარებამ, პირი ღმრთისა შინაგან გულსა თვსსა, მას არა ხოლო ყუცდრებამ და სირცხვლი, არამედ ვითარცა სანთელი ელვითა განანათლოს მოჩჩილნი თვსნი, ხოლო დიდსა მას დღესა განკითხვისასა ჰპოოს სიხარული წარუვალი და მცვდრობამ წმიდათა თანა. გარნა მე, არცა ერთისა კეთილისა მოქმედი და ცოდვითა აღტკრთული, მწარედ დასასჯელი და ფრიად საწყალობელი, უნდომ, უდები და ნაშავთა(!) ყოველთა უნარჩევესი ესე, სახითა ოდენ მონაზონი, ხოლო საქმით ჩემებით მღლელობისა წინამძღვარი ზებედე ლირს ვიქმენ/მონებად ყოვლად სამეაულისა ამის ეკლესისა მას უამსა, ოდეს მოაოქრნა უღმრთომან და მტერმან ქრისტესმან შაპ-აბაზ ქართლი, მეფის სვიმონის სახლი, და მეფე ლუარსაბ და დედოფალ დედამ მათი, პატრონი თამარ, ტყუცობასა შინა ალასრულა. საღარიბომ ომფორი და დიდი განძი მცხეთისა და წმიდანი სამეაულნი კათოლიკე ეკლესისანი შეურაცხვყო. ამასვე შინა ცხოვრებასა მოაოქრა კახეთი და ალასრულა წამებითა მეფეთა ნათლისა ქრისტეს მოსავისამ, მოთმინისა და პირველთა ღმრთისმოყუარეთა მეფეთა მობაძავისა თემიურაზის დედამ, მეფეთა ასული, დიდი მოწამე ქრისტესი, დედოფალი, წმიდამ პატრონი ქეთაონ. ვითარ ალვწერნე სატანჯველნი მისინი? სიმჩავლე იქმნების წერილთა, ათხუთმეტ წელ ტყუცობამ მოკუცთა ასოთამ, ქუაბისა მფოფინარისა დარქუმაძ სატურფალთა და პელმწიფურისა შეუნიერისა თავისა მისისამ და მერმე დაწუვამ ასოთა მისთა. ნეტარ არს და უსანატრელეს პირველთასა, რამეთუ მაშინ აღგილ-აღვილი იქმნებოდა ესევითარნი წამებაძ/ ფრიადი და ურიცკ, ხოლო აწ სჯული მოუძღურდა და წერილნი სრულ იქმნეს და ძალით სადალ-მე იქმნებიან ესევითარნი. მას უამსევ, ოდეს გაილაშერა მეფის თემიურაზის საშუალად ძემან კურთხეულისა დადიანისა შანუჩარისმან, ნაშობმან მეფეთა შზისამ კახთ კელმწიფისა კახელი-

სამ პატრონის (ადგილი გამოტოვებულია) ასულისა დედოფლისა ნესტანდარეგანისამან, დაღიანმან პატრონმან ლეონ და ბიძამან შისმან ლიპარიტიანმან ბატონმან გიორგი, რამეთუ საფლავისა შაოისა წინამდლუარი ვიყავ, მივედით გეგუთს, იმერეთს მეფეთ მეფობასა გიორგისა. მუნ მოიღეს კაცთა სარწმუნოთ და ვიყიდე ჩემითა ალალითა თეთრითა და განვამზადე, სადამ-იგი დამარხვად ვარ. და ვინცა გამოაჭუათ საძუალესა ჩუებია, ჩუენთამცა ცოდვათა მზღველი იქმნების წინაშე ღმრთისა ჩუენისა.

აწ, გევედრები, წმიდანო მამანო, ღმერთშემოსილნო და სულიერნო ძმანო და ყოველნო ქრისტიანენო, მოვიდრეკ ცოდვილთა მუჯლთა და გევედრები თუალითა სულისათა და შეგივრდები ვითარცა მანდა მყოფი, რამოდენიცა მიემთხვეთ წმიდასა ამას წიგნსა, წმიდამ ლოცვა თქუენი გარდამომიცლინოთ და ევედროთ ჩემთვს მოწყალესა ღმერთსა და სიძისა ჩემისა კაյახსათქს, რამთა არა დავისაჭოთ, რამეთუ ბოროტ არიან საქმენი ჩემი, შებღალული ცხორებად ჩემი და შეგინებულ ყოვლითურთ. და თქუენცა მოგმადლოს ღმერთმან სასყიდელი შრომათა თქუენთა, ამინ და კორიელებისონ.

წინამდლუარსა ულირსსა ზებედეს და კაქას და მამა-დედათა, ძმათა, დათა თუსთა და ნათესავთა ჩუენთა ყოველთავე შეუნდვეს ღმერთმან. და ვინცა შენდობად გვიბრძანოთ, თქუენცა შეგინდვეს ღმერთმან" (01 r—02 v).

თავისთავად ზებედეს ჩანაწერი მეტად საინტერესოა და ჩენი ისტორიისათვის საყურადღებო ფაქტებს შეიცავს. ისტორიკოსთავან და მწერალთაგან მხოლოდ ანტონ კათალიკოსმა მიაქცია ზებედეს მონაცემებს ყურადღება და ქეთევან დედოფალზე დაწერილ მასალებში მიუჩინა ერთ-ერთი პირველი ადგილი. ზებედეს ცნობებში დაწერილებით არ არის მოთხრობილი ქეთევან დედოფლის წამების სცენები. ამიტომაც ერთგვარად ძნელდება მისი კვალის აღმოჩენა მომდევნო თაობის მწერალთა შემოქმედებაში. წამების ძირითადი ფაქტები კი ყველგან ერთნაირია. მეტნაკლებად იმეორებენ მას ლათინელი მისიონერებიც. მაგ. 1626 წელს 26 ავგისტოს დოკუმენტში „შაპი ქეთევანისაგან გამაპმადიანებას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილი ემუქრება. ქეთევანმა დაიბარა წმ. ტერეზის წესის მორჩილი ძმა, ფეხშიშველი კარმელიტი და აღსარება თქვა. შემდეგ შაპმა ბრძანა მისთვის ტანხე გაეხადათ და ბეჭებზე ორი მოზრდილი მუგუზლით ხორცი ამოეწვათ. აქლემზე დაკრეს და მთელი ქალაქი შემოატარეს, შემდეგ ჩამოსვეს და

ადულებულ ქვებში ჩასვეს, სპილენძის გავარვარებული ჭურჭელი თავზე დახურეს და ასე სული ამოხადეს<sup>52..</sup>

\* \* \*

1659 წ. კახეთში მოძალადე მტრის წინააღმდეგ იფეთქა აჯინ-ყებამ, რომელშიც თითქმის მოელმა აღმოსავლეთ საქართველოშ მიიღო მონაწილეობა.

XVII საუკ. 50-იან წლებში ქართლ-კახეთის პოლიტიკური სურათი საქმიან მმიმე იყო. შაპ-აბას პირველის შემოსევებისაგან გატეხილი და დაძაბუნებული კახეთი ჯერ კიდევ არ იყო წელში გამართული, როდესაც სპარსეთმა კვლავ ახალი იერიში მოიტანა — კახეთში თურქმენების ჩამოსახლება დაიწყო. ირანის შაპმა გადააყენა გამაპმადიანებული როსტომ მეფე და მის ადგილას განჩის მმართველი დანიშნა. ამ უკანასკნელმა აქტიურად მიჰყო ხელი თურქმენების ჩამოსახლების საქმეს. მომთაბარე ტომები თანდათან მკვიდრდებოდნენ და იყავებდნენ იორ-ალაზნის ბარაქიან ჭალებს. ეს კი ქვეყნის ფიზიკურ არსებობას ემუქრებოდა. ამ ეროვნული კატასტროფის საშიშროებამ, მშობლიური მიწა-წყლის დაცვის სურვილმა აამხედრა კახეთი და 1659 წელს მთის მოსახლეობის მხარდაჭერით ქვეყანა აჯანყების ცეცხლში გაეხვია, კახეთის სიკვდილის საშიშროებას სახალხო ომი მოჰყავს<sup>53.</sup>

ქართლ-კახეთის მთიულეთი თავის მხრივ ენერგიულად იბრძოდა სპარსელების წინააღმდეგ და ჯერ კიდევ 1657 წელს თუშები რუსეთის მეფის ალექსისადმი მიმართულ წერილში წერდნენ : „ჩვენ მაგარს ალაგას ვართ და არას კაცს შევეპოვებით. ამდენი ხანი არის, საქართველოს ყავნი ებრძების და ჩვენც არ შემოვიშვია ყავნის კაცი. სადაც მოვითხელებია, მოვიყლავს და მისი სარდარი გაგვიცევია და ლაშქარი გაგვიწყვეტია“.

„შესხმა წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელისბარი-სი და უწყება წამებისა მათისა“ გარკვეული მიზნით დაწერილი თხზულებაა. ავტორი თითქმის თანამედროვე ნაწარმთებში გადმოცემული ამბებისა და, მაშასადამე, თხზულება საიმედო წყარო.

52 ქეთევან ბაგრატიონი — ორსინი (რომი), ილ. ტაბალა, ქართული ელ-ჩიბა ევროპაში (ნიკიფორე ირბაზი, XVII, მმრავალთავი, X, 1983 წ., გვ. 205). იგივე წერილი გამოქვეყნდა პარიზში 1981 წ. იხ. Bedi Kartlisa, revue de Kartvelologie, voi. XXXIX, pp. 143—152.

53 6. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის ისტორიულ, მიმმხილველი, III, 1953, გვ. 81.

იგი მდიდარია ისტორიულ-ფაქტობრივი ცნობებით, რითაც ჩატაც მას ჩვენს საისტორიო მწერლობაში ერთ-ერთი საპატიო აღვილი უკირავს. „მარტვილობა“ ერთ-ერთი ძირითადი წყაროა, რომელიც 1659 წლის აჯანყების შესახებ იძლევა დაწერილებით ცნობებს. იგი როგორც წყარო გამოუყენებია ვახუშტი ბატონიშვილს, ანტონ კათალიკოსს, იოანე ბატონიშვილს და სოლ. ყუბანეიშვილის დაკვირვებით, გიორგი ერისთავს<sup>54</sup>.

თხზულება პირობითად შეიძლება ორ ნაწილად წარმოვიდგინოთ. პირველში მოთხერობილია ამბავი, ხოლო მეორე ნაწილი წარმოადგენს ლირსეულ მამულიშვილებისადმი მიძღვნილ ხოტბას. ვრცლად და ენაწყლიანად არის დაწერილი მათი სულიერი მხნეობა და თავდაჭრა შაპის კარჩე, ვაჟა-ცობა და მოწამებრივი სიკედილი. თხზულების ეს მონაკვეთი არის შესხმა, ქება, ენკომია, რომელშიც ვარბად ჩქეფს მაღალი რიტორიკული კილი პატრიოტი მოძღვრისა და მოღალადე მქადაგებლის ტონი, თხზულების მიზანია გამოჩენილ ქართველ მამულიშვილთა ქვეყნისათვის თავდადების მაგალითის ჩვენებით თანამედროვეებში ლრმა პატრიოტული გრძნობების გაღვიძება: „არა თუ ძევლთა და აღრინდელთა მოწამეთათვს—ამბობს ბესარიონი — სიტყუა ჩემი, არც შორთა და ჩვენთაგან უცხოთა ქუეყანათა შინა გამობრწყინებულთათვს, არმედ უმეტეს ჩუენი ესე აზალნი მოწამენი, ნამდა ჩუენი და ჩუენთა ქუეყანათა შინა გამობრწყინვებულნი“.

თხზულებაში ბესარიონი რეალისტურად ხატავს ქართლ-კახეთის პოლიტიკური მდგომარეობის სურათს. იგი კარგად ერკვევა შექმნილ სიტყუაციაში: „უწყით, ყოველთა ძმანო, თუ ვითარ უფლებს ჩუენ ზედა სპარსენი და ქუეყანად ჩუენი მათ მიერ ბორტად იმძლავრებოდა და უფროსლა ქუეყანა კახეთის, რამეთუ უღმრთობან შაპ-აბაზ, რომელი იყო მეფე სპარსეთისა, სრულიად ოვერ და უმკვდრო ჰყო კაცთაგან და სხუა ვერვინ შემძლებელ იყო წინააღმდეგომად მათდა და ყოველნივე შიშა და მძლავრებასა ქუეშე ვიყუენით“.

ჩუენი ქვეყნის მიმართ შაპ-აბაზი პირველი ყველაზე თანმიმდევრი ყიზილბაში იყო. მისი პოლიტიკა საქართველოში თურქ-მენ-ყიზილბაშ მომთაბარეთა მიერ ქართული მიწების მიტაცები-სათვის შეტევის ახალ ეტაპს მოასწავებდა<sup>55</sup>.

54 ზ. ყუბანე შვალი, ბათქრიონის გმირები, 1953, თბილისი, გვ. 7.

55 ზ. ყუბანე შვალი, ბათქრიონის გმირები, 1953, თბილისი, გვ. 7.

56 ნ. ბერძნე შვალი, აღმოსავლეთ კახეთის ისტორიიდან, მიმომხრო- ველი, III, გვ. 78.

XVII საუკუნის შუა წლებში სპარსეთის მმართველმა წრეუბა-  
მა გააცოცხლეს შაპ-აბაზის გეგმები: „მყის ალიძრნეს და მრიწივნეს  
კიხეთად, რამთა სრულიად აღხოცენ ქრისტეანობა“, „რამეთუ დი-  
დისა შაპ-აბაზისა ოჯრებითგან მცირედ-მცირედ იწყეს შენებად  
ოჯერთა აღგილთა კახეთისათამ, თუ სადამელა იპოვებოდეს კაცნი.  
ხოლო ესმა რა სპარსთა კუალადცა შენებაა, ფრიად შეუძნდა ეს და  
იწყეს მისთვის კუალად განზრახვა ბოროტისა. მაშინდა წარმოგზავ-  
ნეს ურიცხვი ულუსი“.

ქვეყნის განსაცდელმა აამოქმედა კახეთის თავადი ბიძინა  
ჩოლოყაშვილი. „მოსცა [ლმერთმან] გონებასა სანატრელისა ბიძინა-  
სისა განზრახვად კეთილი“. დაუკავშირდა იგი არაგვისა და ქსნის  
ერისთავებს — ელისბარსა და შალვის და აუწყა ყოველი ძვირი  
კახეთისა: „იხილეთ ჩემი ესეოდენი ჭირი და განსაცდელი, ვითარ  
მწარე ესე ოჯრება კახეთისა და აწ სრულიად დაპყრობა თათართა-  
გან და აღხოცა ქრისტეანობისა. დღეს ჩუენ მიერ არამედ ძალითა  
და შეწევნითა დამბადებელისა და ღუთისა ჩუენისათა და წინა-  
ძლობითა და განძლიერებთა ცხოველს-მყოფელისა ჭუარისათა და  
თანადგომითა ახოვენისა მხედრისა, წმიდისა გიორგისათა... აწ აღუდ-  
გეთ მათ ზედა და ბრძოლა ვჰყოთ, ნუ თუ ინებოს ლმერთმან და  
ვძლიოთ და ვიოტოთ, ანუ თუ მოესწყდეთ სახელისა მისისათვის, რა-  
მეთუ ვითარცა ქრისტემან მეუფემან ჩუენმან დადგა სული თვისი  
ჩუენთვის და რამ საკურუელ არს, უკეთუ ჩუენცა დავდგათ სული  
ჩუენი მისთვის და ძმათა ჩუენთათვის და მთვასწყდეთ სახელისა მი-  
სისათვს. დაღაცითუ მრავალ არიან, იგინი და უფრო რიცხვსა და  
ჩუენ შემცირებულ ვართ დღეს ცოდუათა ჩუენთათვის და არა არს  
ჩუენ თანა მთავარ და წინამძღვარ, არცა მხედართა განწყობილება  
და ძალი საჭურველთა, არამედ თავითა დამდაბლებულითა და სუ-  
ლითა გლახაჯობისათა აღუდგეთ მათ ზედა და უკუეთუ ინებოს  
ლმერთმან, ერთით იოტის ათასეულნი და ორმან წარაქციოს ბევ-  
რეულნი და უკუეთუ ესე არა ინებოს ლმერთმან და ვერ მძლე ვექმ-  
ნეთ, აგრეთცა ზოვსწყდეთვე სახელისა მისისათვს“.

ბიძინა ჩოლოყაშვილის მოწოდებას ენერგიულად დაუჭირეს  
მხარი ქსნისა და არაგვის ერისთავებმა. ქვეყნის განსაცდელმა შეა-  
კავშირა ქართლ-კახეთი და მთა და ქართველთა გერთიანებულმა  
ლაშქარმა. „ღამესა ერთსა ბნელსა და უმდევარისა გარდავლნეს მთა  
იგი და ჩავლეს ახმეტა და მივიდეს უგრძნულად მათ ზედა და  
დაეხსნეს მუნ მდგომთა თათართაშვედა... და დაუწყეს სრვად და  
ხოცად და ესოდენ ასწყვდეს ვიღრე სრულიად მოსპობადმდე, და  
აოტეს და განაბნენეს და მოსრუნეს... ოთხმციცი ათასო სახლი, რო-

მელთა დაებანაკა კახეთსა შინა. და ესოდენ ასწყუდეს და განაბნინეს, ვიღრელა არცა თუ ერთი იპოვებოდა კახეთსა შინა“.

მოძლავრებულმა ძალამ მაინც იმსხვერპლა კახეთის აჯანყების სულიასიამდგმელები. ბიძინა, შალვა და ელისბარი შაპის კარზე იქნენ წარგზავნილნი. შაპმა კი მათი დასჭა დამარტებულ სულთანს მიანდო. ეს უკანასკნელი სხვადასხვა ხრიეულით შეეცადა მათ გადაბირებას მაპმაზის რჩულზე, მაგრამ ყოველი ცდა უშედევოდ დაწიავრდა. ამიტომ მათ მოწამებრივი სიკუდილი ერგოთ. ხოლო „სისხლითა მათითა ყუავის ეკლესიანი ჩუენნი, რამეთუ არა თუ ერთისა და ორისა ძმისათვა დასხნეს სულნი თვენი, არამედ... სრულიად საქართველოსათვს თავნი თვენი სიკუდილად განსცნეს და ისხნეს იგინი, რამეთუ უკეთუმცა ესე არა ქმნილიყო, სადამცა აღხოცილ იყო ჩუენ შორის ქრისტეანობა“.

1659 წლის კახეთის აჯანყების მესვეურები ქართულმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა და მათი მოქსენიების დღეც განსაზღვრა. ბიძინა, შალვა და ელისბარის სხენების დღედ XVIII-XIX საუკ. ხელნაწერთა უმრავლესობა იძლევა 18 სექტემბერს. ამ დღეზე მათი განვება მოცემული. მაგრამ არის რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელნაწერი, რომლებიც მათ სხენებას 24 ივლისს მიუთითობს. ესენია A—366 — გულანის სადლესასწაულოს ნაწილი 1714—1716 წლების, A—515 — ეფთვიმე ბარათაშვილის რედაქციის ე. წ. შერეული ტაბის სადლესასწაულო 1736 წლისა; H—970, 1742 წლის ხელნაწერი; A—1048—1766 წლის ხენაწერი: ლენინგრადული ფრაგმენტი XVIII საუკ. და სხვ.

ბესარიონის თხზულებაში, რომელიც აფტოგრაფის სახითაა მოღწეული ჩეენამდე, არ არის მათი ხსენების დღე. „შესხმა“ უშეალოდ მოსდევს ლუარსაბის „მარტვილობას“, რომელიც 1 მარტის საყითხავადაა განკუთვნილი. ჩეენთვის აუხსენელი დარჩა, თუ რატომ მოხდა ამ წმიდანთა ხსენების დღის გაორება. მით უმეტეს, გაუგებარია, რომ 1714—16 წლების ხელნაწერში 24 ივლისია მითითებული. ამ გაუგებრობის გამოა, ალბათ, რომ საქართველოს ცენტრარქიის ხელნაწერი № 488 საგანგებოდ შენიშვნაეს: „ამასვე დღესა ბიძინა დატრილისა. ამათი ხსენება და წამება ამას დღესა არს, ძმანო, და არა თუ ივლისსა კდ (24). ვისაც დაუწერია, ტყვილად დაუწერია. ივლისს არა არს, არამედ იც სექტემბერს ეწამნეს“<sup>57</sup>.

<sup>57</sup> ჩეენ არ გვვინია, რომ გაღმოსვენების უას დაწესეს შეორე ლე. ტაქ-სტრი ვეითხულობთ: „შემდგომად მისა წარხდეს წელი არამცირედნი. ცოლმან წმიდისა შალვასმან დუთისმოყვარემან ქვეოეან და ძემან ერისთავმან დავით, წარგზავნეს კაცინ სარწმუნონი მუნ, სადა-ეფი დაკრძალულ იყუნეს გუამნი იგი წმიდათანი. ამოილეს იგინი და მოიხუნეს ქართლად და დასხნეს ერთსა სამარხოსა შინა იყორთას“.

ბიძინა, შალვა და ელისბარის განგება შეადგინა და მოსახულის თავში. საგალობლები შეტანილია ბესარიონის კრებულში — S—3269-ში, ოღონდ იგი ამოღებულია სხვა ხელნაწერიდან და შემდეგ არის ჩართული კრებულში. ეს ჩანს იქიდანაც, რომ ხელნაწერს შემოუნახავს ძეველი პაგინაცია (ამავე ღროს, განსხვავდება ხელიც).

ბესარიონის კრებულიდან საერთოდ დღემდე არ გამოქვეყნებულა ისე წილქნელის „დაძინება“. ასურელ მამათა მოღვაწეობის ისტორიაში ბესარიონის შრომას რაიმე ახალი არ შეაქვს, მაგრამ იგი როგორც ლიტერატურული ფაქტი, ფრიდა საყურადღებოა. ირკვევა, რომ ბესარიონს ხელთ არ ჰქონია იმზე მეტი მასალები, რაც დღეს ჩვენთვის ცნობილი არ იყოს. იგი იყენებს იოვანე ზედაზნელისა და შიო და ევაგრეს „ცხოვრებებს“. ბესარიონს უკლებლივ ამოულია ყველა ის ეპიზოდი, რომელიც ისეს შეეხება და რომლებიც ასურელ მამათა „ცხოვრებაშია“ გაბნეული. მოვიტანოთ რამდენიმე ნიმუში:

### შიოსა და ევაგრეს ცხ-ბა

„ამას ეძისა შინა აღსრულებულ იყვნეს ეპისკოპოსნი ორნი, ერთი წილქნისა და ერთი ნეკრესისა. და ზრახვა ყვეს კათალიკოზმან და ეპისკოპოსთა, რამთა მათგანნი ყვენენ ეპისკოპოს ორთავე შინა საყდართა და განიზრახეს ესრეთ, რამთა რომელთაცა დღეს შეწირინ უსისხლო მსხუერპლი, მათ დაასხნენ წელი თვნიერ ყოვლისა ცილობისა.

ხოლო მოიწია რამ ეამი წმიდისა ეამისწირევისამ, აბიბოს იქნა მსახურ წმიდისა ეამისწირევისა და ისე — დიაკონი.

და აღსრულა რამ ეამისწირვამ, შეიპყრა კათალიკოზმან ერთითა კელითა ისე, ხოლო ერთითა აბიბოს და ამბორსუყო აბიბოს] და პრქეუა: გი-

### ისეს დაძინება

„ხოლო შემდგომად არა-მცირედისა ეამისა აღსრულნეს ეპისკოპოსნი ნეკრეს ქალაქისა და წილქნისა ეკლესიისანი. ეუწყა ესე წმიდა კათალიკოზმა ავლავიოსს. მყის აღდგა და წარვიდა წმიდათა მათთანა მთასა მას ზედა. სადა იგი მცვდლ იყვნეს. და ვითარცა დასხდეს და მოიკოთხნეს ურთიერთას, მრავალი რამდესულისა სარგებელი სწავლანი პირთა მათთაგან აღმოდიოდა მსგავსად მდინარისა ედემით მომდინარისა. ხოლო მეორესა დღესა, მოიწია რამ ეამი წმიდისა ეამისწირევისამ, უბრძანა მამამან ითანე მსხუერპლისა შეწირვამ და წმიდა ისეს, რამეთუ მღდელობისა პატივი მას აქცნდა, რომელი

ხაროდენ აბიბოს ეპისკოპოსონ ნეკრეს ქალაქისათ! და ამბორსუყო ისეს და პრექუა: გიხაროდენ ისე ეპისკოპოსონ წილენისათ! ხოლო ივინი განცვებრდეს მოულოდებულსა მას ზედა სმენასა, შეწუხებულნი იჯმნიდეს, უღირსებასა იტყოდეს, ევედრებოდეს, შეუვრდებოდეს ფერჩთა ცრემლითა განტევებად მძიმისა მისგან საქმისა, გარნა კათალიკოზმან ესრეთ პრექუა მათ: ცხოველ არს უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, არა გარე-მივაკციონ სიტყუად ესე, რომელი იქმნა ჩემ გლახაგისა მიერ გამორჩევითა ღმრთისათა.

ესე რამ ესმა ოთანეს, პრექუა მათ: შვილნო, ნუ ხართ ურჩ განგებისა საღმრთომასა და წმიდისა ამის მეუფისა ჩუენისა და რამეთუ მოვიწიერით აქა ამისცოცს, რამთა ვიღუაწოთ აღგილ-აღგილად ღმრთისათვს, რომელმან-იგი მიბრძანა ჩუენ მოსლეად ესმა რამ სიტყუად მოძღვრისამ, ერჩდეს ბრძანებასა მისსა. და წარიყვანა კათალიკოზმან და ყვნა ორნივე ეპისკოპოს. და წარავლინა აბიბოს საყდარსა ზედა ნეკრისისასა, ხოლო საკურველი ისე წარავლინა საყდარსა წილენისასა, რომელსა შინა მდგომარეოს ხატი ყოვლად უბიწოდსა ღმრთისა დედისად.

იგი წმიდითა გონებითა და უბრალოებითა წელთამთამა მარადის განკრძალულ იყო მსახურებასა მას მღდელობისასა, ეგრეთვე წმიდად აბიბოს დიაკონობითა მსახურებითა უბრალოდ ღმერთსა. მაშინ დღესა მას მუნ ყოფასა წმიდისა მის კათალიკოზმისასა მათ წილ-ხედა მსხუერპლისა მის საუფლომასა შეწირვამ. და ვითარცა აღესრულა უსისხლო იგი მსხუერპლი და ეზიარნეს ყოველნივე, შემდგომად ერის განტევებისა, უპყრა კელი წმიდამან კათალიკოზმან იყლავის სანატრელსა ისეს და პრექუა: გიხაროდენ, ეპისკოპოსონ წილეანისაო; და მერმე წმიდა აბიბოს უპყრა კელი და პრექუა: გიხაროდენ, აბიბოს — ეპისკოპოსონ ნეკრეს ქალაქისაო. ხოლო მათ ნეტართა ესმა რამ ესე უცხოდ და ალუჩნდა საქმე ესე და იწყეს თითოეულმან ჯმნად და სივლტოლად. და უფრომსად წმიდად ისე იჯმიდა საქმისა მისგან და უღირსად და ცოდვილად შეიდა თავსა თვსსა და რაოდენ ეძლო ცრემლით და ტირილით ითხოვდა განტევებასა, რამეთუ იყოცა წმიდად ესე ფრად დაყუდების მოყუარე და სრულისა სიმდაბლისა მუშაკი და ყოველთა სათნოებათა წესი და კანონი ხოლო კათალიკოზი იგი ფრიად აიძულებდა და არა განუტევებდა პელ-

თაგან... ხოლო მან წილავლითა  
იგი საყდარსა წილკანისასა, რა-  
მელსა შინა ღამტყიცებულ ოს  
ეკლესიად ყოვლად უბიშოსა  
მის დედოფლისა ჩუენისა  
ღმრთისმშობელისა...“

შიო და ევაგრეს „ცხოვრებიდან“<sup>58</sup> აქვს აღებული ბესარიონ ორ-  
ბელიშვილს შემდეგი ადგილიც:

„ამისა შემდგომად მიხედნა  
წმიდამან იოანე ღირსა ისეს  
და პრქუა: მამაო, მწყემსო კე-  
თილო სიტყვერთა ცხოვართაო,  
გუნდავს, რამთა კურთხევად  
მივიღოთ შენგანცა, რომელი  
გუაქუნდეს საქსენებელად შენ-  
და.

ხოლო იგი ვინამთვან მორ-  
ჩილებასა განსწავლულ იყო  
და ოსაესე სულითა წმიდათა  
ყოვლად არა უჩჩ ექმნა ღირ-  
სა იოანეს, არამედ მყის სიტ-  
ყუასავე თანა აღდგა და აღი-  
პყრნა კელნი თვასნი ზეცად მი-  
მართ და მყოვარ უამ ევედრე-  
ბოდა ღმერთისა მდუმრიად. ამი-  
სა შემდგომად ქუეყანად დავ-  
რდომილი ცრემლითა დაალ-  
ტობდა იატაქა. და მერმე  
პრქუა ბერსა: ლოცვა-ყავ  
ჩემთვს, წმიდაო მამაო, და  
მცირედ შემომიდევ მე და მიპ-  
მართა წმიდამან ისე მდინარედ  
მიმართ, რომელსა ეწოდებას  
ქსანი, ღირსთა მათ მამათა თა-  
ნა.

და ვითარცა მიიშივნება

„მერმელა აწვა წმიდასა ამას და  
საკურველომზემდედა ისეს, რა-  
მთა მანცა აჩუენოს ესევითა-  
რი რამე საკურველი. ხოლო  
იგი მორჩილქმნილი ძმისა მის  
სულიერისა. მყის აღდგა იგი-  
ცა მტკიცედ პყრობითა სრუ-  
ლისა და მიუღრეკელისა სარ-  
წმუნოებისათა. არა ჰაერთა  
შინა განტევებითა ჭიქისათა,  
არცა ნებთა ზედა აღებითა ნა-  
კუერცხლისათა, დაღაცათუ  
საკურველებანი ესე დიდ იყვ-  
ნეს, არამედ ესეცა აღვილ იყო  
მის წინაშე ქმნად და ამისა  
უმეტესსაცა; ხოლო ამან შსგავ-  
სად მოსესა წყლითა მიერ და  
წყალთა ზედა იყყო ქმნად სას-  
წაულთა საკურველთა, ვითარცა  
მან, ეგრეთცა ამან კუერთხი-  
თა. რამეთუ კუერთხი აღიღო,  
რომლითა მწყსიდა სამწყსოთა  
თვასთა და რომლითა ჰყოფდა  
სასწაულთა საკურველთა და  
იოტებდა უხილავთა მათ მალ-  
თა, რომელსა ზედა გამო-  
სახულ იყო პატიოსანი ჭუ-  
რი. მით ჭელთა მქონებელი

58 ასურელ მოლვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძეველი რედაქციები, გმოსტა  
ილ. აბულაძე, 1955, გვ. 87—89.

წყალსა მას ზედა ყოვლად ქუბულნი ესე და საკურველომოქმედი, კუალად იწყო წმიდა-მან ისე ლოცვად და მოუწოდ-და შეწევნად მისა სახიერსა უფალსა და ყოვლად უბიწოსა ქალწულსა ღმრთისმშობელსა... რამთა წყალი ესე დამემორჩილოს და შემომიდგეს მე, ვინააცა-იგი ვიდოდი. და ვითარ მიმყოვრებულად ილოცა, გან-მარტა მდინარესა მიმართ კუერ-თხი იგი, რომელი ქუნდა ჭელთა თვესთა და თქუა: სახე-ლითა უფლისა ღმრთისა ჩუე-ნისა ისეუ ქრისტესითა შენ გეტვ მდინარესა ამას, წოდე-ბისაებრ შენისა კსინვით ვიდ-რე-მე კსინევდი, გარნა კუ-ერთხსა ჩემსა შემოუდევ. ხო-ლო წყალი იგი, მ საკურველე-ბათა შენთა, ქრისტე, უწევე-ველსა გზასა და უვალსა მისგან პირველად ვიდოდა შეფერმი-ლი ღმერთშემოსილთა წმიდა-თა მათ მამათა, რამეთუ ქუე-ყანად იგი, მყარი უწინარეს და ეკლოფანი, განიძებოდა და და-ლრმდებოდა თვნიერ რომლი-სავე აღმომთხრელისა. ვითარ-ცა ქუერთხი იგი მიეთრია ღირსსა ისეს, უკუანა მივი-დოდა წყალი იგი მდინარე, მსმენელი ბრძანებასა წმიდი-სასა, და ესრეთ მიყვანებულ იქმნა მახლობლად ტაძარსა ღმრთისა დედისასა წილკანს, რომელიცა ვიდრე აქამომდე

წარვიდა ზემომთ კერძო მდი-ნარესა მას, რომელსა ეწოდე-ბის ქანი, და შეუდეგს მას მუნ მყოფნი იგი წმიდანი მა-მანი და სხვსა ერისა სიმრავ-ლე ფრიადი, რამეთუ გულსავ-სებით უწყოდეს მისგან სას-წაულისა რახსამე ქმნად, რა-მეთუ მრავალგზის ეხილვა მის მიერ საკურველებანი დიდ-ნი.

ხოლო მი-რამ-წინეს მუნ მდი-ნარესა მას ზემოვსენებულსა, აღ[ი]პყრა კუერთხი იგი მარ-ჭუენითა ჭელითა და გამოსა-ხა მით სახე პატიოსნისა ჭუა-რისა, დასცა მით წყალთა მათ ზედა და ეტყოდა: „მდინარეო, სახელითა უფლისა ჩუენისა ისეუ ქრისტესითა, გიბრძანებს ჟემ მიერ კსინვით ვიდოდე და შემომიდევ, ვიდრეცა ვიდო-დე“. ეჲა, ძლიერებათა შენთა, ქრისტე, რომელმან მსახური შენი ესრეთ ადიდე: ეჲა, უცხო საკურველი, მყის მორჩილ ექ-მნა მდინარე იგი მძაფრი და წინადაუდგრძომელი და კსინ-ვით ვიდოდა და შეუდგა ბრძა-ნებასა მისსა, ვიდრეცა ვიდო-და წმიდამ იგი და მისდევდა მას. ხოლო წმიდამ იგი მგზავ-რი გალობდა ფსალმუნთა და იტყოდა: აღილეს მდინარეთა, უფალო, აღილეს მდინარეთა ქმანი მათნი, აღდგეს მდინარე-ნი სლვისა თვსსა ჭმითა წყალ-თა მრავალთამთა. საკურველ-არიან განცხრომანი ზოსანი,

დის სადიდებელად ღმრთისა ჩუენისა და ცხადმყოფელად ღმრთისა მიმართსა კადნიერებასა წმიდასა ისესსა.

ესე სასწაული საკურველი იხილეს ყოველთავე მკვდრთა მცხეთისათა და მახლობელთა დაბათა და განკურვებითა შეპყრობილნი ადიდებდეს ღმერთისა და მოქმედსა დიდთა საკურველებათასა, რომელმან მისცა ესევითარი ძალი მონასა თვალსა სანატრელსა რესა<sup>59</sup>.

საკურველ არს მაღალთა შინა უფალი. წამებანი შენი უფალო, საჩქმუნო იქმნეს ფრიად“. ესრეთ უძლოდა წმიდად იგი წყალთა მათ და იგი სრბით მისდევდა, რამეთუ ლბილი იგი და ქუედამზიდველი ბუნებად უვალსა და უჩუეველსა გზასა სრბით მისდევდა და მიწა იგი მყარი და ფიცხელი და ადგილ-ადგილ კლდოვანი და ეპლოვანი თვინიერ სათხროლისა და მკუეთელისა რასავე ქუედალრმდებოდა და წყალი იგი თვთ მავალობდა, იძულებული წმიდისა მისგან. მოვლო სრულიად მრგლივ მუხნარი (მუხრანი) და ვიდრე ეკლესიადმდე წილკანისა მიიწეოდა და გარე მოვლიდა, რამეთუ ფრიად ურწყული იყო ადგილი იგი, და სრულიად კერძო მუხნარისა (მუხრანისა), რომელსა ზედა წარვლო მდინარემან მან და ვიდრე დღეინდელად დღედმდე დის და მწყურნებაონ ყოფს ადგილთა მათ, ვითარცა ხედვენ თუალნი ყოველთანი და ახარებს სლვა მდინარეთა“.

ბესარიონი თავის თხზულებაში ჭარბად იყენებს პიმნოგრაფიისა და საგალობლების პოეტურ სახეებს, სიტყვიერ მასალას და ფრაზეოლოგიას.

ბესარიონ არბელიშვილს მივაკუთვნებთ ჩვენ ისე წილკნელის შესახებ არსებულ სეინქსარულ საკითხავს და საგალობელს<sup>60</sup>, რომლებიც თავისი ფაქტურით ვრცელ თხზულებაზეა დამყარებულია.

59 ი. იბრაელ ადე, ასურელ მოღაწეთა... გვ. 120—122.

60 პ. ქავთარია, ძეველი ქართული პოეზიის ისტორიიდან, XVII—XVIII ს. 1977, გვ. 173—182.

ორი ათეული წლის შინ გაირკვა, რომ არჩილ მეფისა და რაე-დენ პირველმოწამის მარტვილობათა ვრცელი რედაქციები ეყუთ-ვნის ბესარიონ ორბელიშვილის კალამს! და რომ ისინი XVIII სა-უკ. დასაწყისის ძეგლებია და არა XII—XIII ს.

არჩილ მეფის წამება მოკლედ მოთხოვბილი აქვს ლეონტი მროველს და იგი ჩართულია ქართლის ცხოვრების ტექსტში<sup>61</sup>. ბე-სარიონის თხზულება ფაქტობრივი მასალის გაღმოცემის თვალსაზ-რისით თითქმის მთლიანად დაფუძნებულია ლეონტი მროველის ტექსტზე და ნაწილობრივ ჯუანშერზე. ლეონტი მროველის თხზუ-ლებიდან ბესარიონს არ გამოუტოვებია არცერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ეპიზოდი და ფაქტი. ბესარიონი არც ამ შემთხვევა-ში ღალატობს თავის მეთოდს. იგი თითქმის სიტყვასიტყვით იწერს ადგილებს წყაროდან (ლეონტი მროველიდან) და შემდეგ ავრცობს მას მეტაფრასტული ჰავიოგრაფიისათვის დამახასიათებელი ხერხე-ბით. აღბათ, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ ბესარიონი ისტო-რიულ მასალას ლიტერატურულად ამუშავებს და აფორმებს, ემ-ციურად მეტად ტვირთავს ფრაზას და თანაც მას არ ავიწყდება ეპოქის განწყობა. ბესარიონი არ მალავს თავის ძირითად წყაროს. იგი დიდი მოკრძალებით ეყიდება მას და მის ავტორს. მეორე შემ-თხვევაში კი ჯუანშერს უშუალოდ არ ასახელებს: „ყოველი მაქე-ბელი თქსნი ძლეულად გამოჩინებულ არიან, რამეთუ ღირსებითა ქებათა ვერავინ მყადრე ქმნილ არს თვინიერ მის უამისაც“ წმი-დისა ეპისკოპოსისა ლეონტი მრუელისა, რომელსაცა მისი სანატ-რელი ცხორებამ და ღუაწლი ვრცლად დაუწერია, ვითარცა მოგ-კოხობს მატიანე ქართველთა ცხოვრებისა. არამედ იგი უამთა მიმ-ყოვრებითა ვიდრე ჩუენდამდე არა მოწევნულ არს, არცა ვკი-ლავს, არამედ მისვე ქართველთა ცხორებისაგან, რომელი მისთვის სულ მცირედ წერილ არს“.

ბესარიონი არჩილის ბიოგრაფიის გაღმოცემისას თავისებურ

61 პ. ქავთარია, ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მომბეჭ, ტ. I, 1959, გვ. 89—90.

62 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგნილი ცველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. კაუშ ჩი შვილის, მიერ, ტ. I, 1955, გვ. 244—248.

63 ბესარიონი აქ შეცდომას უშევბს, როლესაც ლეონტი მროველს არჩეულის თანამედროვედ მიიჩნევს. შერ. კ. კიკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 352.

კომბინაციას მიმართავს ჭუანშერისა და ლეონტი მროველის ცნობებისას. თვით ორჩილის წამებამდე ფაქტები ბესარიონს მოთხოვდილი აქვს ჭუანშერის მიხედვით, მაგრამ რამდენადმე უფრო გავრცობილად. იგი ჭუანშერის ცნობებს ისე ზუსტად, თითქმის სიტყვასიტყვით არ იმოწმებს, როგორც ამას ლეონტი მროველის გამოყენებისას აკეთებს. სანიმუშოდ მოვიტანთ თითო მაგალითს ორივე წყაროს გამოყენებისას:

### ჭუანშერი

„... გარდამონქდა წვმა ფიცხელი, ალდგეს მდინარენი სასტიკად. და მიმართა უმცროს-მან წყალმან სპასა აბაშითასა, და წარიღო ცხენი ოცდათხუთ-მეტი ათასი. და მიერითგან სახელ-ედვა ორთა მათ მდინარეთა: ერთსა ცხენისწყალი და ერთსა აბაშა“<sup>64</sup>.

### ბესარიონი

„მასვე ღამესა მოუვლინა ღმერთმან უსჯულოთა მათ ქარი სასტიკი და წვმა მძაფრი, ვითარცა-იგი პირველ მეგვპ-ტელთა ზედა. და ალდგეს მდინარენი იმიერ და ამიერ. და ერთმან მან მდინარემან წარილო მქედრობად იგი, რომელი მიერ დაბანაებულ იყო და მიერითგან ეწოდა მდინარესა მას ცხენისწყალი. და მეორემან მან მკვრცხლი ერისა და ეწოდა მდინარესა მას აბაშა“.

### ლეონტი მროველი

„და ვითარ გარდაქდეს წელიწადნი ორმოცდაათნი, კუალად მოვიდა ჭიჭნუმ, ძე მოპამედისი, მოაონქრა და შემუსრა ყოველი შენებული ქართლისა, და მიმართა შესლვად კახეთად, რამთამცა მოაონქრა და ყოვლითურთ უმკდრო ყო. და იყო შიში დიდი მეფეოთა და მთავართა და ყოვლისა

### ბესარიონ თბელიშვილი

„შემდგომად ამისა წარჩდეს რამ ორმეოცდაათნი წელნი, კუალად მოვიდა უსჯულოდ ჭიჭნუმ, რომელსა ეწოდა ასიმ, ივიცა ნათესავი მოპამედისა. მანცა მოაონქრა და შემუსრა ყოველი სიმაგრენი ქართლისანი და ეკლესიათა იწყო ქცევად და ოჯრებად. და მიმართა შესლვად კახეთად, რამთამცა

<sup>64</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ფარ ხეილის რედაქციით, 1955, გვ. 238.

ერისა, და არა შემძლებელ იყვნეს წინააღმდეგომად, რამეთუ რამოგან განერყუნა ქუცანა ესე ყრუსა, დაღაცათუ გარდავლნა უამნი მრავალნი მშვდობით, არღარა მოგებულ იყო კუალსა თვისსა”<sup>65</sup>.

მოაონტა იგიცა და უმქვდრო ყო. და იყო შიში დიდი მეფეთა და მთავართა ზედა და ყოვლისა ერისა, რამეთუ ვერვინ შემძლებელ იყო წინააღმდეგომად, რამეთუ ვინამთგან განერყუნა ყრუსა მას, დაღათუ გარდავლნეს უამნი მრავალნი მშვდობით, არამედ არღარა მოგებულ იყო კუალსა თვისსა”.

უფიქრობთ, მოტანილი ნიმუშები საქმიარისია იმისათვის, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ სურათი, თუ როგორ ესესხება ბესარიონი წყაროებს.

ბესარიონის მიზანი არჩილის წამების კვლავ აღწერის დროს იმ საერთო განწყობილებიდან იღებს სათავეს, რაც XVII საუკუნის მიწურულიდან გამოიყეთა ჩვენში. ეროვნული განწყობილებით დამუხტული მოუწოდებს ავტორი მკიონელს, რომ არჩილ მეფის მაგალითი საქმიარისია ქვეყნის თავდადებისათვის, მით უმეტეს მაშინ, როდესაც „დაღაცათუ არავინ გუაიძულებდეს წამებად, არამედ წინააღმდეგთ ეშმაქსა, რამეთუ მარადის გუაიძულებს უარისყოფად ქრისტესა საქმეთა მიერ ბოროტა... დავთრგუნეთ გულისთქმანი ბოროტნი და გემონი საწუთოსანი, შეურაცხვყენეთ ანგაპრებისა მძლავრებამ და ვერცხლის-მოყუარებისა სურვილი”...

\* \* \*

ბესარიონის კალამს ეკუთვნის რაედენ პირველმოწამის მარტვილობის მეტაფრასული რედაქცია. ბესარიონს რაედენზე მთელი განგება შეუქმნია, რომლის ნაკლებობა ყოველთვის იგრძნობოდა. ბესარიონს პაგიოგრაფიული კრებულისათვის დაწერილ თხზულებებს შორის პირველად რაედენის „წამება“ შეუქმნია. ეს ჩანს, უპირველეს ყოვლისა, კრებულის იმ თავდაპირველი სახიდან, რომლის აღდგენის შესაძლებლობას იძლევა ხელნაწერი 8 — 3269.

65 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუჩინშვილის მიერ, ტ. I, 1955, გვ. 245.

მეორეც, თხზულების შესავალიც აეტორს ისე აქცს გაყეობული, რომ იგი როგორლაც გათვალისწინებულია ყველა ძეგლისათვის<sup>66</sup>.

აეტორი განსაყუთორებით აქცენტირებს აკეთებს იმაზე, რომ რაედენი ქართველ წმინდანთა შორის პირველმოწამეა. აეტორი წერს: „იხილეთ, რამაც ვიტყვ, მორწმუნენო... საჩინო იგი მნათობი, თუალი დასაბამი მოწამეთა წმიდათ იგი და სამგზის სანატრელი მოწამე რაედენ, დასაბამი მოწამეთა, რათ ვთქვ, არა თუ სახითა ყოველთა მოწამეთა დასაბამად ვთქვ, არამედ ჩუენთა ამათ და ქართველთა შორის გამომტრყინვებულთა მოწამეთა დასაბამ იქმნა სანატრელი ესე... პირველ ამის ნეტარისა არა ვისი სმენილ არს მარტივობად ქუეყანასა ამას საქართველოსას“.

ბესარიონის ნაწარმოებამდე რაედენზე პაგინგრაფიული მასალა არ არსებობდა. მიტომ იგი ძირითადად ეყრდნობა ჭუანშერის ცნობებს, რომელსაც იგი „ძუღლ მატიანეს“ ეძახის. ამ შემთხვევაში ბესარიონი სიტყვა-სიტყვით არ ესესხება წყაროს, იგი შედარებით უფრო თავისუფალია, რადგანაც ფაქტები თვით წყაროშიც არაა უხვად წარმოდგენილი. დავიმოწმებთ რამდენიმე მაგალითს:

### ჭუანშერი

### ბესარიონი

„ესე რაედენ იყო მამამძუძე ვახტანგის ცოლისა, რომელი-იგი პირველ მოეყვანა სპარსთა მეფის ასული“ (ვვ. 199).

„ესე სამგზის სანატრელი... იყო ნათესავით სპარსი დიდთა და დიდებულთა მთავართა-განი და საკუთართა შორის სპარსთა მეფისათა წარჩინებულ... რომელსაცა არწმუნეს ასული მეფისა აღსაზრდელად, რამეთუ წესი იყო მაშინ სპარსთა შორის, ვითარცა ჩუენ ქართველთაცა შორის, რომელსა მამამძუძედ უქმობდეს... მას უამსა დიდმან მეფემან ვახტანგინება მზახობად სპარსთა მეფისა და მოსთხოვა ცოლად ასული იგი, რომლისადა მამამძუძე ქმნილ იყო სანატრელი იგი“.

66 დაწერილებით ის. 2. ქავთარია, ძველი ქართული პოეზიის ინტორიიან, XVII—XVIII სს., 1965, გვ. 182—183.

## ჭუანშერი

## ბესარიონი

„ხოლო მეფე და ჭუანშერ სპასპეტი დადგეს მცხეთას და ნასრა და მირდატ დაუტევნა სპათა ზედა სომხითისა და ქართლისათა, რომელი დგეს არმაზით კერძო. და რა ბრძოლიან სპარსი არმაზით კერძო, მცხეთით განვიდიან; და რა განვიდის ლაშქარი იგი მიერ კერძო მცხეთით, ეწყუნიან არავსა ზედა. და ოდესმე განვლიან ფონი მტკურისა და შეიძნიან ფონსა ზედა ტფილისისასა, და რომელსამე დღესა მათ სძლიან და რომელსამე დღესა ამათ... განგრძელდა მათ შორის ბრძოლა ოთხ თუე ოდენ“ (გვ. 180).

„მაშინ მეფემან ვახტანგ განამაგრნა ციხენი და ქალაქ-ნი და თვთ დადგა მცხეთას, სამეფოსა მას ქალაქსა შინა. მოვიდეს სპარსი და აღავსეს ქართლი სპარსთ სიმრავლითა და გარემოიცეს მცხეთა. მაშინ განიყვნეს ივინი, რამეთუ ზოგნი დადგეს ავჭალას, ზოგნი ქულბაქევს, დილუმით კერძოდ, და უმრავლესი მკედრობად მუხრანით კერძოდ და შილა ქართლს, იმიერ და ამიერ მტკურისა. და იყო მიმდემი ბრძოლად და ურთიერთას კუეთებად, რამეთუ გამოვიდიან მცხეთით რჩეული მკედრები და დაუცხრომელად ებრძოდიან და ზოგჯერ სძლევდენ სპარსთა და მშვდობით შემოიქციან ქალაქად და ზოგჯერ იძლინიან ქართველნი და მოისროდეს მათ მიერ. და განგრძელდა ბრძოლა იგი ვიდრე ოთხ თუემდე“.

ბესარიონი ძალზე დეტალურად აღწერს რაედენის წამებას, იმდროინდელ აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ამბებს, მაგრამ მისი ცნობები სანდო არ არის, რადგანაც საკუთარი ფანტაზიის ნაყოფია და ისტორიულ სინამდვილეს მხოლოდ შორეულად და ზოგადად ასახავს. ამიტომ იგი როგორც წყარო ვახტანგ გორგასალის ეპოქის შესასწავლად არ გამოდგება<sup>67</sup>.

ბესარიონ ორბელიშვილი, უპირველეს ყოვლისა, იყო მწერალი-შემოქმედი და მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას საპატიო აღვილი უჭირავს სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორიაში.

67 სხვა წყაროების შესახებ ჩეენ აქ სიტყვის აღარ გავაგრძელებთ. იბ. კიკელიძე, მეცნ ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 351.

მისამართი

## 3. გაბრიელ შეიხ

ქართული ორიგინალური პაგინგრაფიული მწერლობის ერთ-ერთი უკანასკენელი ძეგლი დაწერა დავით გარეჯის ლიტერატურულ სკოლაში. მისი ავტორია ძეველი მწერლობის ისტორიაში კარგად ცნობილი პიროვნება გაბრიელ მცირე (გარდ. 1802 წ. 11 მარტს).

გაბრიელ მცირე გარეჯის შემოქმედებითი კერის აქტიური მონაწილე ყოფილა. მისმა მწიგნობრულმა საქმიანობამ სათანადო კვალი დაამჩნია გვიანთვეოდალური ხანის ქართულ ლიტერატურას. მის მიერ შედგენილი ასკეტიკურ-პომილეტიკური კრებულები ერთ-გვარად ხელს უწყობდა ამ დარგის დაწინაურებას ჩვენს მწერლობაში. გაბრიელ მცირეს შეუძლებენია: 1. ღმრთივშეუნიერი თხრობანი, სულისა ფრიად სარგებელნი, რომელსა ეწოდების გვრცვნი (A—228); 2. სამოთხის ყვავილი, რომლის განმარტებასაც თვითვე იძლევა: „ღმრთივსულიერსა ამას წერილსა ეწოდების სამოთხის ყუავილი მით, რამეთუ წიგნსა მისგან მამათამასა, რომელ არს სამოთხე, რჩევით აღმოჩერილი არს და დატებობილ საღმრთოთა და განათლებულ სარგებელად სულთა ღმრთისმოყუარეთა (A—224); 5. ოქროს წყარო (S—2436, S—2600); 6. სუფევა (A—22, A—232) და სხვ.

გაბრიელ მცირეს ორიგინალური თხზულებებიდან, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ მემუარული ხასიათის შრომა „სულიერნი თხრობანი სულთა ღმრთისმოყუარეთანი“ და პაგინგრაფიული კანრის თხზულება „ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა მამისა ჩვენისა სქემოსან ონისიფორესი“<sup>68</sup>. პირველი თხზულების შემცველი ხელნაწერი დაცულია ბოდლეს ბიბლიოთეკაში. ამავე ხელნაწერშია მეორე თხზულებაც „თხრობა სულიერი“ 98—192 გვერდებზე, ხოლო ონისიფორეს ცხოვრება გვ. 193—220. ჩვენში გაბრიელ მცირის მემუარული თხზულების პირველი პუბლიკაცია ეკუთვნის ივ. ლოლაშვილს. მანვე გამოაქვეყნა „ონისიფორეს ცხოვრებაც“ როგორც შემაღებელი და ორგანული ნაწილი თხრობა სულიერისა. მისცა მას რიგის ნომერი — 16. მაგრამ დაკვირვებამ აჩვენა, რომ ონისიფორეს „ცხოვრება“ არ უნდა იყოს „თხრობა სულიერის“ ნაწილი. იგი დამოუკიდებელი პაგინგრაფიული თხზულებაა

68 დასახელებულ თხზულებათა ტექსტები პირველად გამოაქვეყნა ივ. ლოლაშვილმა. იხ. XVIII საუკ. ქართული მწერლობის საკითხები, I, 1965, ვე. 119—150; მისვე, მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის, 1982, ვე. 121—150.

თავისი მიზნდასახულობით, კომპოზიციით, სიუჟეტით და ფორმითაც. ჩვენი ფიქრით, ონისიფორეს ცხოვრება და „მოკლე მოთხრობა თვით პორფირისათვს“ დართულია უბრალოდ „თხრობა სულიერზე“. ამიტომაცა, რომ ავტორი კონკრეტულადაც კი ასე განსაზღვრავს თავის მიზანს: „არავინ სთქუას, ვითარმედ პირველნი მამანი მხოლოდ გამოჩენდეს ძლიერად მოღვაწენი და უამთა ამათ ჩვენთა არავის ძალუბს და უდებებად მოვიდეს“. ამ ფრაზაში „პირველ მამანი“ ეკვს გარეშეა გულისხმობს იმ მოღვაწეებს, რომლებიც „თხრობა სულიერზი“ არ არიან მოხსენებული და გულისხმობს XVIII საუკ. მიწურულის მდგომარეობას.

„ონისიფორეს ცხოვრება“ გაბრიელ მცირის თანამედროვე მყითველთათვისაც დამოუკიდებელი თხზულება იყო და არა „თხრობა სულიერის“ შემადგენლი ნაწილი. ამიტომაცა, რომ იყი ცალკე გვხვდება სხვა ხელნაწერშიც, მაგალითად H—436-ში.

თხზულება თავისი შინაარსით, აგებულებით, კომპოზიციური ქარგით, ფორმით ჰაგიოგრაფიული ხასიათისაა. მას მეტ-ნაკლებად ახასიათებს ჰაგიოგრაფიის ყველა განმსაზღვრელი შაბლონი. განსაკუთრებული აღილი აქვს დათმობილი ნაწარმოებში ონისიფორე-ონოფრეს ლოცვა-ვედრებას, სასწაულებს, ასკეტიკურ-განდეგილური და რელიგიური განწყობილებების გადმოცემას. მართალია, ავტორი ზოგჯერ ურთავს ისტორიულ რეალიებსა და ფაქტებს, რომელთაც გარეგის უდაბნოს ისტორიისათვის შეიძლება გარკვეულად ჰქონდეს მნიშვნელობა. გაბრიელ მცირის ნაწარმოები არის ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიული მწერლობის უკანასკნელი კუდის მოქნევა, რომელსაც, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ჰაგიოგრაფიული პროზის თუნდაც იმ დონეზე გამოცოცლება, როგორც ეს შეძლო ანტრონმა თავისი „მარტინიკით“. ამიტომაც იყო, რომ მას თითქმის არავითარი კვალი არ დაუტოვებია<sup>69</sup>. „ონისიფორეს ცხოვრება“ დიდი ლირსების ლიტერატურული ძეგლი არ არის. იყი გაცილებით დაბლა დგას იმავე გარეჭული სკოლიდან გამოსული ძეგლებთან შედარებით.

გაბრიელ მცირის თხზულებები, როგორც ითქვა, ქვეყნდება მეორედ. წინა გამოცემები ეკუთვნის ივ. ლოლაშვილს. ივ. ლოლა-

<sup>69</sup> 1853 წ. მღვდელ-მონაზონს ისაკს აღუწერია „წამება წმიდათა შემოკლებული ისტორია“ (H—649), რომელშიც მოთხრობილია ლექციების მიერ 1851 წ. გარეგის დაჩხევა და ჭერთა მოსრეების მშავი. ავტორი თვითმხილველი ყოფილა. გმოქვეყნებულია „საქართველოს მახარებელში“ 1853 წელს. ცხადია, ეს 2—3 გერბიდან აღწერა ქართული ჰაგიოგრაფიის საუკეთესო ნიმუშების გერბით ვერ დასახელდება.

შვილის პუბლიკაცია ემყარება მხოლოდ ერთ ხელნაწერს (ზოდღესას ბიბლიოთეკის, მარჯორი უორდროპის პირად არქივში დაცულ ხელნაწერს). ამავე დროს ტექსტი სრულად დასტამბული არ არის. რედაქტორმა შეგნებულად შეიმოკლა ტექსტი, არ დაბეჭდა მისი აზრით არაფრის მოქმედი ადგილები, გამოტოვა ზოგიერთი სასწაული და სხვ.

წინამდებარე გამოცემით ქვეყნდება თხზულების კრიტიკული ტექსტი, რომელიც ემყარება ორ ხელნაწერს (ერთი ზემოთ დასახელებული ნუსხა და მეორე კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი H—436). ტექსტი ქვეყნდება სრულად (პირველად), სათანადო ტექსტოლოგიური პპარატით.

#### 4. საირილო ჩამონაბილი

„ქრისტეფორეს ცხოვრების“ ავტორი, როგორც თვით ტექსტით დან ჩანს, არის სპირიდონ გელიშვილი (გელივეგი). დაწერილია თხზულება 1880 წელს. სპირიდონ გელიშვილის შესახებ საინტერესო ცნობა დაუცავს H—40 ხელნაწერს. ცნობის ავტორია მიხეილ საბინინი. მოგვაქვს მთლიანად:

„ეს მთავარდიაკონი სფირიდონ ახლო მეგობარი იყო ნეტარი ქრისტეფორესისა. და იყო ვიდრე ოცი წელი მორჩილად წმ. დავითის უდაბნომასა. შემდეგ რაოდენისამე დრომასა წვევითა ეშმაკისათა დაუტევა უდაბნო, ჩამოვიდა სოფლად, ეკუროთხა ლიკონად რაღაცა სოფელსა შინა, იცოლა და ორი შვილი ეყოლა. მე, ცოდვულსა მ. საბინინსა ეს არ მესიამვნებოდა და ერთხელ უთხარ სფირიდონს(ა), რომ შენ, ძმაო, უკუნ იქცევი უდაბნოსა კუალად. მას ეწყინა ფრიად და ვიდრე ორი წელი უმდრახი იყო ჩემთან. მე უკანევ დავბრუნდი ჩემს საყოფელსა პეტერბურგს და ერთი წლის შემდეგ შევიტყე, რომ სფირიდონს მოუკედა ცოლი და ორი შვილი და დარჩა სრულად გარტო. მე წიგნი მივწერე სფირიდონს და ვაწვივე უდაბნოსად: მაინც იქ იქმნები მეოქვე. შემდეგ რაოდენისამე წლისა დიაკონობისა მცირებისა აღსრულა ჩემი სიტყვა — სფირიდონმა ბერობა მიიღო და შევიდა ქუაბთახევის მონასტერსა შინა. დაპყო იქ რაოდენიმე ხანი. და კუალად წმ. დავითის უდაბნოსა მიიქცა მღუდელმონაზონობის სქემით შესრულებული და აწ იქ იმყოფება, დარწმუნებული ჩემის სიტყვასა, რომელ „სფირიდონ, შენ, ძმაო, წმ. დავითის უდაბნოსა შინა უნდა მოჰკვდე. მოსკოვი 1892 წელსა, იანვრის 01, დღესა თხშაბათი უამი მესამე, შევასრულე“<sup>70</sup>.

70 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელნაწერი H—40, გვ. 225.

„ქრისტეფორეს ცხოვრების“ ტექსტი დაცულია ხელნაწერთა  
ინსტიტუტის სამ ხელნაწერში: ესენია A—1072, A—1036 და  
H—40.

ხელნაწერი A—1072 არის ავტოგრაფი<sup>71</sup>. ნაწერია არც თუ გა-  
წაფული კალიგრაფის ხელით. ჩვეულებაზე ჩელნაწერში ჩასწო-  
რებები, სიტყვების გადაკეთება, ზოგიერთი ჩასწორება ფანქ-  
რითა შესრულებულია. ხელნაწერს თავშიც და ბოლოშიც აქლია  
თითო ფურცელი, უფრო ზუსტად, ფურცლის ყდა, ამიტომ თავში  
სათაური არა აქვს თხზულებას, ხოლო ბოლოს აქლია ავტორის წერი-  
ლი და მიმართვა მის. საბინინისადმი. ხელნაწერი წყდება: „მაშინ  
იხილეს აღსრულებული და დაფლეს მოღვაწე გვამი მისი მუნ“.  
თხრობა დასრულებულია, ონისიფორეს თავგადასავალი დამთავრდა.  
„ცხოვრების“ ტექსტს ერთვის წერილი, რომელშიც მოცემულია  
ზოგიერთი საინტერესო და გასათვალისწინებელი ბიბლიოგრაფიუ-  
ლი ცნობა. A—1036 სასტამბოდ გამზადებული ნუსხაა, რომელიც  
თვით ავტორს გადაუწერია (თუ გადაუწერინებია). იგი, ცხადია,  
სრულიად ითვალისწინებს ყველა იმ ჩასწორებას, რაც თავდაპირ-  
ვილ დედანში შეიტანა ავტორმა. ხელნაწერში ფანქრით შესრულე-  
ბულია ონისიფორეს სურათი, როდესაც იგი სამონაზვნო ტანსაც-  
მელში გამოწყობილი კოკიდან წყალს ასხამს ქვევრში, ხოლო მეორე  
კოკა კი გვერდით უდგას.

1882 წელს ეს ხელნაწერი წარუდგენიათ გამოსაქვეყნებლად.  
აქვს ცენზორის რეზოლუცია: „Печатать позволяетя. От 31 июня  
ля 1882 года. Цензор Архимандрит Арсений“. № 703“. უზის  
ბეჭედი, ლეგენდა არ იკითხება.

ხელნაწერი H—40 სხვადასხვა ისტორიულ დოკუმენტთა და  
ცნობების კრებულია, რომელიც მიხეილ საბინინის ხელითა დაწე-  
რილი.

მის. საბინინს თავის კრებულში მოცემული აქვს ზოგიერთი სა-  
ინტერესო ცნობა ქრისტეფორეს შესახებ. მ. საბინინი, რომელიც  
თვითონაც კარგად იცნობდა ქრისტეფორეს, ერთგვარად ავსებს  
სპირიდონ გძელიშვილის თხზულებას.

71 როგორც შინაწერიდან ჩანს, უკიდიათ 2 კამეჯად: „2 კამ. ვიუიდეთ“  
ა. ქ.“ 1 რ.

## დანართი III

ბიბლიოგრაფია ქველი ძარღული აგიოგრაფიული

## ლიტერატურის ძეგლებისა

წინამდებარე წიგნის დანართში წარმოდგენილი ბიბლიოგრაფიის შედეგენის საჭიროება გამოწვეულა იმ მიზეზით, რომ „ძეგლი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების“ I, II და III წიგნებში თავის დროზე ვერ მოხერხდა თხზულებათა და მათი შემცველი ხელნაწერების შესახებ რამდენადმე სრული ცნობების შეტანა.

ბიბლიოგრაფია ძირითადად ითვალისწინებს მკითხველისათვის ამ თხზულებათა შესახებ შეძლებისდაგვარად სრული ცნობების მიწოდებას, რომლებიც ძეგლების I, II და III წიგნებშია გამოცემული, მაგრამ ბიბლიოგრაფიის სისრულისათვის მიზანშეწონილად ვცანით აქვე წარმოგვედგინა „ძეგლების“ IV, V და VI წიგნებში გამოცემული ძეგლების ბიბლიოგრაფიაც, მიუხედავად იმისა, რომ მათ შესახებ სრული ცნობები მოცემულია დასახელებული წიგნების სპეციალურ გამოყენებული.

ბიბლიოგრაფია შემდეგი პრინციპებით არის აგებული: პაგინოგრაფიული თხზულებები ბიბლიოგრაფიაში იმ თანმიმდევრობით არიან წარმოდგენილი, რომელიც მათ უკირავთ „ძეგლების“ I—VI წიგნებში.

ცნობები რომელიმე წმინდანის შესახებ დაწერილი ყველა რედაქციის პაგინოგრაფიული თხზულების შესახებ ერთად არის თავმოყრილი შემდეგი თანმიმდევრობით: 1. უძველესი (კიმენური) რედაქციის თხზულების მოკლე ანოტაცია. 2. ცნობები შესაბამისი იმ მეტაფრასული თხზულების შესახებ (თუკი ასეთი არსებობს), რომელიც „ძეგლების“ III წიგნშია წარმოდგენილი. 3. ხელნაწერების სია, ვერ კიმენურისა და შემდეგ მეტაფრასულისა. 4. გამოცემები მითითებით: გამოცემულია ძეგლი, მეტაფრასული თუ ორივე რედაქცია ერთად. 5. თარგმანები სხვა ენებშე ასეთივე მითი-

თებით (ზოგიერთი თარგმანი, მაგ. რუსული საბინინისა და ინგლისური ლანგისა უფრო პარაფრაზაა, ვიდრე ზუსტი თარგმანი). ნ. სამეცნიერო ლიტერატურა (ორივე რედაქციისა ერთად). შემდეგ მოცემულია ცნობები ამავე თხზულების იმ ვერანდელი მეტაფრასული რედაქციის შესახებ (თუკი ასეთი არსებობს), რომლებიც შექმნილია XVII—XVIII სს. (ანტონ I-ის „მარტინიკა“; რომელიც მხოლოდ „წმიდებებს“ შეიცავს; დავით გარეჯელის, შიო მღვიმელის, არჩილ მეფის XVII—XVIII სს. მეტაფრასული თხზულებანი), რომელთაც ახლავს მითითებანი ხელნაწერებშე, გამოცემებშე და სამეცნიერო ლიტერატურაზე. ბოლოს წარმოდგენილია ცნობები ამავე თხზულების სვინაქსარული რედაქციის შესახებ (თუკი ასეთი არსებობს) ხელნაწერების, გამოცემებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ჩვენებით.

უნდა შევნიშნოთ, რომ ბიბლიოგრაფიაში მოცემულია ცნობები თხზულებათა იმ რედაქციების შესახებაც, რომლებიც საერთოდ არ არის შეტანილი „ძეგლებში“ (ლეონტი მროველის „ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასული და ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ მოკლე რედაქციები).

ბიბლიოგრაფიაში დამოუკიდებელი სათაურებით წარმოდგენილია სვინაქსარული და ანტონ I-ის მიერ შექმნილი მეტაფრასული რედაქციის ის თხზულებები, რომელთა კიმენური რედაქციები არ არსებობს.

ჰავიოგრაფიული თხზულების შემცველი ხელნაწერების სია, რომელიც თხზულების მოკლე ანოტაციას მოსდევს, შემდეგნაირადაა ავებული: ჯერ მითითებულია ლიტერი (A, B, C...), რომელიც მიცემული აქვს ხელნაწერს ამ თხზულების ტექსტის გამოცემაში, შემდეგ ხელნაწერის საფონდო ნომერი (მაგ. A—19), ბოლოს კი ფრჩხილებში მოთავსებული ხელნაწერის რიგითი ნომერი (მაგ. (4)), რომლითაც ეს ხელნაწერი არის შეტანილი ბიბლიოგრაფიის ხელნაწერთა აღწერილობის ნაწილში. ეს უკანისენელი აღნიშვნა — რიგითი ნომერი აქვს „ძეგლების“ I, II, III და V წიგნებში გამოცემული თხზულებებისათვის გამოყენებულ ხელნაწერებს, ხოლო ხელნაწერებს, რომლებიც შეიცავენ IV და VI წიგნებში გამოცემულ თხზულებებს, არა, რადგან ბიბლიოგრაფიის ხელნაწერთა აღწერილობაში ისინი არ არიან შეტანილი (რამდენიმე გამონაცვლისას გარდა), რადგან მათ შესახებ ცნობები ამ წიგნებშია (IV და VI) მოცემული. ამიტომ ამ ხელნაწერებთან დამატებით მითითებულია ხელნაწერის თარიღი (მაგ. A—425 (1718 წ.).

ბიბლიოგრაფიის მეორე ნაწილი წარმოადგენს იმ ხელნაწერ-

თა მოკლე აღწერილობას, რომლებიც გამოყენებულია ქავე—H<sub>1</sub>, V წიგნებში შეტანილ თხზულებათა გამოცემისათვის. ხელნაწერთა აღწერილობა სრული არ არის: მითითებულია მხოლოდ ის ცნობები, რომლებსაც „ძეგლებში“ შეტანილ თხზულებათათვის აქვს მნიშვნელობა. ხელნაწერები აღწერილობაში დალაგებულია ხელნაწერთა ინსტიტუტისა (A, H, S, Q) და სხვა ფონდების (ცენტ. არქივის, ქუთაისის, სხვიტორის, ლენინგრადის, სინას (Sin), იერუსალიმის (Ier) და ათონის (Ath.) აღმავალი ნომრების მიხედვით. მარცხენა მხარეს ფრჩხილებში ხელნაწერის რიგითი ნომერია ნაჩვენები, ხოლო შეაში ხელნაწერის საფონდო ნომერი.

ბიბლიოგრაფიას ბოლოს ერთვის საძიებელი, რომელშიც პირები, რომელთა შესახებ შექმნილია ჰაგიოგრაფიული (კიმეტური, მეტაფრასული, თუ სვინქსარული) თხზულება, დალაგებულია ანბანის მიხედვით, რომაული ციფრებით ნაჩვენებია, ეს თხზულება „ძეგლების“ რომელ წიგნშია შესული. იქვე მითითებულია ბიბლიოგრაფიის გვერდები, სადაც მათ შესახებ ცნობებია თავმოყრილი.

#### რამდენად რმილია უშაანიდი დადოულისამ

ჩვენამდე მოღწეული უძველესი ჰაგიოგრაფიული თხზულება აღწერს V ს. 70-იანი წლების ქართლის სოციალურ-პოლიტიკურ მდგრამარეობას სპარსეთის ბატონობის პერიოდში. თხზულება მოგვითხრობს ქართლის პიტახშის, გამაზდენებული ვარსკენის მიერ თავისი ქრისტიანი მეულის შუშანიკის წამების ამბავს. „წამება“ დაწერილია 476—483 წწ. შუშანიკის სულიერი მოდღვრისა და პიტახშის სამეფო კარის ხუცესის იაკობ ცურტავლის მიერ. ცნობილია აგრეთვე სომხურიდან ქართულად იარგმნილი შუშანიკის „წამების“ მოკლე ვარიანტი ერთადერთი X საუკ. ხელნაწერით (Ath.—8).

**ხელნაწერები:** A: A—95 (იბ. აღწ. 4); B: A—190 (6); C: A—170 (G); D: A—176 (10); E: H—2077 (33); F: H—1672 (30); G: S—3637 (45); H: H—1370 (27); I: H—2121 (35); K: Q—300 (51); L: ლენინგ. M—21 (63).

**გამოცემები:** 1. საქართველოს სამოთხე, გამოცემული გობრონ (მიხაილ) პავლეს ძე საბინინის მიერ, პეტერბურლი, 1882, გვ. 182—192.

2. იაკობ ხუცესი, წამებად წმიდისა შუშანიკის, ტექსტი, შენიშვნები და ვარიანტები. ს. გორგაძის რედაქტორობით, ქუთაისი, 1917.

3. იაკობ ცურტაველი, მარტვლობად შუშანიქისი, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილ. აბულაძემ, ტფილისი, 1938, გვ. 3—47.

4. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლ. ყუბანე იშვილის მიერ, თბილისი, 1946, გვ. 34—44.

5. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, თბილისი, 1963, გვ. 11—29.

6. იაკობ ცურტაველი, წამებად წმიდისა შუშანიქისი დედოფლისამ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და ლექსიკონი დაურთო ციალა ქურ ცი ძემ, თბილისი, 1979.

**თარგმანები:** 1. М. Сабинин, Полное жизнеописание святых грузинской церкви, ч. I, СПб, 1871, с. 141—152.

2. К. С. Кекелидзе, Памятники древнегрузинской агиографической литературы, Тбилиси, 1956, с. 17—27.

იგვე: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაზე, XII, 1974, 83—103.

იგვე: Якоб Цуртавели, Мученичество Шушаники, Тбилиси, 1979.

3. Яков Цуртавели, Мученичество Шушаник, перевод В. Д. Дондуа, Введение и примечания З. А. Александре, Тбилиси, 1978.

4. R. Peeters. Passio Hiberica. Passio nobilis dominae Susanicae. Analecta Bollandiana, t. LIII, fasc. I, et II, Bruxelles, Paris, 1935, 24—40.

5. D. M. Lang, Lives and Legends of the Georgian Saints London, 1956, p. 44.

**ლიტერატურა:** 1. ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი. წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—VIII სს.), თბილისი, 1945, გვ. 45—54; თხზულებანი თორმეტ ტომად, VIII, თბილისი, 1977, გვ. 56—65.

2. პ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1980, 113—122.

3. იაკობ ცურტაველი, მარტვლობად შუშანიქისი, ქართული და სომხური ტექსტები, გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილ. აბულაძემ, ტფილისი, 1938, 01—063.

4. ნ. ჯანაშია, შუშანიკის წამება, ისტორიულ წყაროთ—მცოდნეობითი გამოკვლევა, თბილისი, 1980.

5. P. Peeters, Sainte Sousanik, martyre en Arméno-Géorgie, Anal. Bolland., t. LIII, fasc. I et II, 1935, p. 5—8, Fasc. III—IV, p. 245—307.

6. შ. ონიანი, იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“, თბილისი 1978 (აქვთ. გვ. 124—126, იხ. ლიტერატურაც უფრო ვრცლად).

„შუშანიკის წამების“ საფუძველზე ანტონ I კათალიკოსმა 1768—1769 წწ.—ში დაწერა და თავის „მარტინიკაში“ შეიტანა შუშანიკის „წამების“ მეტაფრასული რედაქცია.

ხელნაწერები: A: Q—78; B: S—1272.

გამოცემა: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, VI, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარაშვილმა, თბილისი, 1980, გვ. 85—105.

ლიტერატურა: 1. ნ. ჯანაშია, შუშანიკის წამება, გვ. 259—288.

2. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, VI, გვ. 490.

შუშანიკის წამების სვინაქსარული რედაქცია მხოლოდ XVIII ს. ხელნაწერებით არის ცნობილი.

ხელნაწერები: A: A—425 (1718 წ.); B: A—220 (1726 წ.).

გამოცემები: 1. იაკობ ცურტაველი, მარტივილობაზ შუშანიკის, იღ. აბულაძის გამოცემა, გვ. 63.

2. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა, თბილისი, 1968, გვ. 385.

ლიტერატურა: 1. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, გვ. 197—207.

2. ნ. ჯანაშია, შუშანიკის წამება, გვ. 259—268.

### ნაწარმოებში აღწერილია თავეგადასავალი სპარსი ეკსტრათია, რამელიც ქართლში სპარსთა ბატონობის დროს (VI საუკუნეში) მოვიდა მცხეთას და მიიღო ქრისტიანობა, რის გამოც სპარსელებმა ივი წამებით მოკლეს. ნაწარმოები დაწერილია VI ს. 70-იან წლებში ეკსტრათის თანამედროვე უცნობი აეტორის მიერ.

ხელნაწერები: A: H—341 (იხ. აღწ. 21); B: A—130 (6); C: A—

170 (9); **D:** A—176 (10); **E:** H—2077 (33); **F:** H—1672 (30); **G:** S—3637 (45); **H:** ლენინგ. M—21 (63); **I:** H—2121 (35).

**გამოცემები:** 1. საქართველოს სამოთხე, გვ. 313—322.  
2. ს. კაკა ბაძე, საისტორიო კრებული, წიგნი III,  
1928 წ. გვ. 80—94.

3. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946,  
გვ. 44—45.

4. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები,  
I, გვ. 30—45.

**თარგმანები:** 1. М. Сабинин, Полное жизнеописание  
святых грузинской церкви, ч. II, 1872, с. 79-91.

2. Das Martyrium des Heiligen Eustatius von Mcheta,  
o. J. გ. ა. ხ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. ს. თარგმანი უსრბალში Sitzungsberichte  
der könig. preussischen Akademie der Wissenschaften, Berlin,  
1901, XXXVIII, s. 875—912.

**ლოტერატურა:** 1. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული სა-  
ისტორიო მწერლობა, 66—70.

2. კ. კ. კ. ლ. ი. ძ. ე., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია,  
I, 1980, 508—515.

3. ს. კაკა ბაძე, ევსტათი მცხეთელის ცხოვრება, საისტო-  
რიო კრებული, წიგნი III, 1928, გვ. 76—80.

ევსტათი მცხეთელის „წამების“ მეტაფრასული თხზულება შე-  
ადგინა ანტონ I კათალიკოსმა 1768—69 წწ. ძველი ძეგლის სა-  
ფუძველზე და შეიტანა თავის „მარტინიქში“.

**ხელნაწერები:** A: Q—78; B: S—1272.

**გამოცემა და ლიტერატურა:** ძველი ქართული აგიოგრაფიული  
ლიტერატურის ძეგლები, VI, გვ. 208—228; 493—495.

ევსტათის „წამების“ ორი სეინაქსარული თხზულება გვიანდე-  
ლი — XVIII საუკუნისაა.

**ხელნაწერები:** I რედაქციისა: A: A—220 (1726 წ.); B: II—  
535 (XVIII ს.). II რედაქციისა: A: A—152 (1742 წ.); B: A—1093  
(1758 წ.).

**გამოცემა და ლიტერატურა:** ძველი ქართული აგიოგრაფიული  
ლიტერატურის ძეგლები, IV, 385—386, 207—209.

წარმომადგენლობა და მითარისა მოწამისა ძრისტისისა ჭავალაში

თხზულებაში აღწერილია ქართველი ხალხის ცხოვრება არაბ-  
თა ბატონობის ხანაში და მეზობელი ქვეყნების, ხაზარების, ოსეთისა



და აფხაზეთის სოციალურ-პოლიტიკური და სარწმუნოებრივი მდგომარეობა VIII ს. II ნახევარში. თხზულებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს არაბი აბოს საქართველოში ჩამოსვლას, გაქრისტიანებას და წამებას არაბების მიერ დაახ. 786 წ.

თხზულება დაწერა მასში მოთხრობილი ამბების თანამედროვებ ითანე საბანის ძემ, სამოელ ქართლის კათალიკოსის დავალებით დაახ. 786—790 წწ.

**ხელნაწერები:** A: A—1109 (იხ. იღწ. 18); B: A—19 (1); C: Sin.—II (66); D: A—95 (4); E: Ath.—8 (69); F: A—130 (6); G: A—170 (9); H: A—176 (10); K: H—16/2 (30), L: H—1370 (27); M: H—2121 (35); N: ლენინგ. M—21 (63); X: A—70 (3); Y: S—3269 (44);

**გამოცემები** 1. საქართველოს სამოთხე, გვ. 333—350.

2. პ. კარბელაშვილი, წმინდა მოწამე აბო ტფილელი, 1899, საეკლესიო მუზეუმის გამოცემა № 3.

3. პ. კარბელიძე, აღრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, 1935, გვ. 55—80.

4. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 55—71.

5. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 46—81.

**თარგმანები:** 1. М. Сабинин, Полное жизнеописание святых грузинской церкви, I, 1871, с. 166-178.

2. К. С. Кекелидзе, Памятники древнегрузинской агиографической литературы, 1956, с. 31-60.

იგივე, ეტიუდები... XII, 104—128.

3. K. Schultze, Das Marturium des heiligen Abo von Tiflis, Texte und Untersuchungen N. Folge, XIII, 4.


4. D. Lang, The Martyrdom of Abo, the perfumer from Baghdad, Lives, p. 115—133.

**ლიტერატურა:** 1. ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 76—85.

2. პ. კარბელიძე, აღრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, 1935, გვ. 7—52.

3. მისივე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1980, გვ. 129—132.

4. P. Peeters. Les khazars dans la Passion de S. Abo de Tiflis, Analecta Bollandiana, t. LXII, fasc. I, et II, 1934, p. 21—56.



აბოს „წამების“ საფუძველზე ანტონ I კათალიკოსმა 1768—69 წწ. შეადგინა მეტაფრასული ობზულება და შეიტანა თავის „მარტინიკეში“.

**ხელნაწერები:** A: Q—78; B: S—1272.

გამოცემა და ლიტერატურა: ძეგლები, VI, 228—247; 495—496.

აბოს „წამების“ სამი სვინძესარული რედაქცია არსებობს. უძველესია XIV ს. რედაქცია. მეორე რედ. XVII სუკუნისაა, ხოლო მესამე XVIII საუკუნისაა.

**ხელნაწერები:** I რედაქციისა: Ier—80 (XII—XIII ს. სვინძესარული „წამება“ მიწერილია აშიაზე, 7 იანვრის დღეზე XIV ს. ხელით). II რედაქცია: A: A—187 (XVII ს.); B: ცენტრარქ. 302 (1705 წ.); C: A—1474 (1740 წ.); III რედაქცია: A: A—425 (1718 წ.); B: A 220 (1726); C: A—514 (1783); D: H—970 (1742); E: A 1048 (1766).

გამოცემა და ლიტერატურა: ძეგლები, IV, 376—377, 178—181.

„მოქცევა პართლისამ“ და-ცხორება უმიზის ჩიტონისა

უცნობი ვეტორის „მოქცევა ქართლისამ“ წარმოადგენს ორი ნაწილისაგან შემდგარ ძეგლს. პირველი ნაწილი არის ისტორიული ქრონიკა ილექსანდრე მაკელონელის ქართლში ლაშქრობის დროიდან (ძვ. წ. აღ. IV ს.) VIII ს. ბოლომდე, რომელშიც ძირითადი ადგილი უკირავს წმ. ნინოს მიერ ქართლის გაქრისტიანებისა და შემდეგში ქრისტიანობის განმტკიცებისათვის ბრძოლის მომენტებს. შეორე ნაწილი არის საკუთრივ „ცხორებად წმ. ნინოსი“.

ამ ობზულების უძველესი რედაქცია (C) შენახულია ერთად-ერთი 937—976 წწ. ხელნაწერში — „შატბერდის კრებულში“. ობზულება შედგენილი უნდა იყოს IX ს. და უნდა იყენებდეს გაცილებით უფრო ძველ წყაროებს. შეორე რედაქცია — ჰელიშური (q), რომელიც საგრძნობლად სხვაობს შატბერდულისაგან, მოღწეულია ჩვენამდე XIV ს. აგრეთვე ერთი ხელნაწერით. ავიოგრაფიული ძეგლების I წიგნში ორივე რედაქცია წარმოდგენილია პარალელურად.

**ხელნაწერები:** C რედაქციისა (შატბერდული) S—1141 (იხ. ღლწერ. 43), q რედაქციისა (ცელიშური) H: 600 (23).

**გამოცემები:** 1. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, სამი ისტორიული ქრონიკა, ტფ. 1890, გვ. 1—39 (პირველი ნაწილი); 2. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, აზალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა, ტფ., 1891, გვ. 1—74. 14.

(მეორე ნაწილი). 3. თ. ქორდანია, ქრონიკები, I, 1892, გვ. 11—14, 17—19, 27—29, 31—33; 37—44; 47—49; 51—52; 54—58; 62—63; 66—69; 71—75; 78—79 (ვარველი ნაწილი).

4. Е. ТАКАЙШВИЛИ, Описание рукописей библиотеки «Общества распространения грамотности среди грузинского населения». СМОМПК, вып. 41, Тифлис, 1910, с. 48—49; вып. 43, 1912, с. 1—59. ექტან ეს ტექსტი 1912 წელსავე გადაიბეჭდა ე. თაყაიშვილის წიგნში: Описание рукописей библиотеки «Общества распространения грамотности... т. II, с. 708—815 (დაბეჭდილია ორივე ვარიანტი: ჰელიშური და შატბერდული).

5. И. КИПШИДЗЕ, Грузинская древнелитературная хрестоматия, Петроград, 1918, გვ. 22—27 (შატბერდული ვარიანტი, ტექსტი შემოკლებულია).

6. ი. ივანიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, I, გამოც. 1949, II გამოც. 1953; III გამოც. 1970 (შატბერდული ვარიანტი, ტექსტი შემოკლებულია).

7. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 81—163 (ორივე ვარიანტი სრული სახით).

8. შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მომზადეს ბ. გიგინე 1730 წელმა და ელ. გიუნა 1730 წელმა. თბ., 1979, გვ. 320—253 (შატბერდული ვარიანტი, რამდენიმე დაკლებული ადგილის შესავებად მოყვანილია, სათანადო აღნიშვნით, ჰელიშური ვარიანტის ტექსტი).

**თარგმანები:** 1. Е. С. ТАКАЙШВИЛИ, Обращение Грузии в христианство, Источники грузинских летописей, три хроники. СМОМПК, вып. 28, 1900, გვ. 1—116. (შატბერდული ვარიანტი: იგვენ გამოცემულია ცალკე წიგნიდაც).

2. M. Wardrop and O. Wardrop, Life of st. Nino. Studia Biblica and Ecclesiastica, v, V, p. I, Oxford, 1900, p. 1—88.

3. G. Pätsch, Die Bekehrung Georgiens, Bedi Kartlisa, Revue de kartvelologie. v. XXXIII, Paris, 1975, 288—337 (შატბერდული ვარიანტი).

**ლიტერატურა:** 1. ი. გავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 103—111.

2. პ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1980, გვ. 523—532.

3. მისივე, ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიული ქრონიკის ნოლოგიური საკითხები, ეტიულები, IV, 252—292.

„მოქცევად ქართლისად“-ს მეორე ნაწილი ე. ი. „ცხორებად წმ. ნინომსი“ გახდა წყარო ნინოს ცხოვრების ორი მეტაფრასული რედაქციისა:

1. ლ ე ო ნ ტ ი მ რ თ ვ ე ლ ი ს „მოქცევად მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ“ (XI ს.), რომელიც არ არის შეტანილი „ძეგლებში“. გამოცემულია: „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწ. მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბილისი, 1955, გვ. 72—130. გამოყენებული ხელნაწერების შესახებ იხ. ქართლის ცხოვრება, გვ. 014—021; 051—054.

**ლიტერატურა:** 1. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო წმინდობა 103—111.

2. ქ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1980, 239—241.

2. არსენ ბერის „ცხორებად და მოქალაქობად და ლუაწლი წმიდისა და ლირისა დედისა ჩუენისა ნინომსი“ (XII ს.), რომელიც შესულია „ძეგლების“ III წეგნში.

**ხელნაწერები:** A: Q—762 (იხ. იღწ. 52); B: A—707 (16); C: A—518 (12).

**გამოცემები:** 1. ცხოვრება წმიდისა ნინოსი, შედგენილი დიდი არსენი ქართლისა კათალიკოზის მიერ X ს-ში, XI—XII ს. ხელნაწერიდგან, ტფილისი, 1902, გვ. 3—52, პ. კარბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს გამოცემა.

2. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი III, თბილისი, 1971, გვ. 7—51.

**ლიტერატურა:** 1. ქ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1980, 291—294.

2. ც. ქ უ რ ც ი კ ი ძ ე, „ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასულობება ქართლის წყაროს საკითხისათვის საქ. აკად. მოამბე, XLVI, № 1, 1967, 269—275.

3. ი. ვ. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, მეტაფრასული „ნინოს ცხოვრების“ აეტორის ვინაობისათვის, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 4, 1974, გვ. 7—18.

არსენისეული ნინოს მეტაფრასული თხზულების შემოკლებული და პერიფრაზირებული ვერსია შეუდგენია XIII ს. უცნობ აეტორს, რომელიც შეტანილია აგრეთვე „ძეგლების“ III წიგნში.

**ხელნაწერები:** A: ლენინგ. H—22 (იხ. აღწ. 64); B: A—587 (14); C: ცენტ. არქ.— 20 (55). სხვა ხელნაწერებიც არსებობს (H—963; H—35, S—1449, S—4284), რომლებიც გვიანდელია და იმეორებენ BC ხელნაწერებს ამიტომ გამოცემაში გათვალისწინებული არ არის.

**გამოცემები:** 1. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 216—231.

2. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტ.-ის ძეგლები, III, 52—83.

**ლიტერატურა:** 1. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტ. მწერლობა, 1945, გვ. 94—102.

2. ქ. კიკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 313.

3. ს. ჯანაშია, ფსევდო არსენი, აკად. „მოამბე“, I, 1940, 475—482.

4. ქ. ცხადაძე, უცნობი ავტორის „ნინოს ცხოვრება“, საიუბილეო კრებული კ. კეკელიძეს, 1959, 401.

ნინოს სვინაქსარული ცხოვრების ოთხი რედაქცია არსებობს.

**ხელნაწერები:** I რედაქციისა: Sin.—4 (XI ს.); II რედ. H—600 (XIV ს.); III რედ. A—1582 XVII ს.); IV რედ. A: A—425 (1718 წ.); B: A—220 (1726 წ.).

**გამოცემა და ლიტერატურა:** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, გვ. 351—355; 125—134.

ცხორიბაჲ და ზამიბაჲ ზოგიდისა მოწამისა პოლეთანი ჩართვილია:  
რომელი იყავა გამოცემისთა მიზის ჯალის გირ


თხზულებაში, რომელიც დაწერილია 853—856 წლებში, მოთხოვილია 853 წ. ბულა თურქების მიერ კოსტანტინი კახის შეპყრობის, სამარიაში გაგზავნისა და გაფარ აბრამაშის ძის მიერ მისი წამების ამბავი. თხზულების ავტორი უცნობია.

**ხელნაწერები:** A: A—30 (იხ. აღწერ. 6); B: A—170 (9); C:—176 (10); D: H—2077 (33); E: H—1672 (30); F: H—2121 (35); G: ლენინგ. H—22 (64); H: S—3637 (45).

**გამოცემები:** 1. საქართველოს სამოთხე, გვ. 363—370.

2. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 73—80.

3. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., გვ. 164—172.



**თარგმანები:** 1. Житие и мученичество святого мученика Костантина Грузина, перевод с древнегрузинского, исследование и комментарии Н. З. Вачадзе и К. К. Куциа, Тбилиси 1978 (ქართულ ტექსტთან ერთად).

2. P. Peeters, Passio S. Constantini Hiberi, Acta Sanctorum, Novemberis, t. V, 1925, 544—563 (ქართული ტექსტი ლათინური თარგმანით).

**ლიტერატურა:** 1. ივ. ჭავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 86—90.

2. კ. კეკელიძე, ძველი ლიტერატურის ისტორია, I, 1980, გვ. 520—522.

3. მისავე, კოსტანტი კახის მარტვილობა და ვინაობა, თსუ მოამბე, ტ. VII, 1972, გვ. 160—173.

4. P. Peeters, De S. Constantino Martyre in Babilonia, Comentarius, Praevius, Acta Sanctorum, Novembris, IV, 1925, 541—554.

კოსტანტი კახის „წამების“ მეტაფრასული თხზულება ძველი „წამების“ საფუძველზე დაწერა ანტონ I კათალიკოსმა 1768—69 წწ. და შეიტანა თავის „მარტირიკაში“.

**ხელნაწერები:** A: Q—78; B: S—1272.

გამოცემა და ლიტერატურა: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, VI, გვ. 265—281; 469—497.

კოსტანტი კახის სეინაქსარული „წამების“ ორი XVIII ს. შექმნილი რედაქცია არსებობს.

**ხელნაწერები:** I რედაქციისა: A: A—425 (1718 წ.); B: A—220 (1726 წ.). II რედაქციისა ქუთ. 111 (XVIII ს.).

გამოცემა და ლიტერატურა: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, გვ. 418—519; 258—268.

რამებაც ჩვილისა მოწამისა გობრონისი, რომელი განიცვალის  
ცვილის ციხით

თხზულება დაწერილია ტბეთის ეპისკოპოსის სტეფანე მტბევარის მიერ აშოტ ერისთავთ-ერისთავის დავალებით 914—918 წლებში. მასში აღწერილია 914 წ. არაბთა ამირას აბულ კასიმის მიერ სამცხისა და ჭავახეთის აოხრებისა და ყველის ციხის ქართველ მეციხოვნეთა და მათი მეთაურის გობრონის ტყვედ ჩავარდნისა და სიკვდილით დასჯის ამბავი.

**ხელნაწერები:** A: A—130 (ob. აღწერ. 6); B: A—1701(9);  
C: A—176 (10); D: H—2077 (33); E: H—1672 (30); F: H—2121  
(35); G: ლენინგრ. H—22 (64); H: S—3637 (45); I: H—487 (22).

- გამოცემები:**
1. საქართველოს სამოთხე, გვ. 393—400.
  2. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 80—85.
  3. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 172—183.

**თარგმანები:** М. Сабинин, Полное жизнеописание святых грузинской церкви, II, 1872, с. 57—63.

**ლიტერატურა:** 1. ივ. ჭავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 117—120.

2. პ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1980, გვ. 145—146.

3. ელ. ცაგარე იშვილი, მიქაელ-გობრონი ქართულსა და სომხურ საისტორიო მწერლობაში, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959, გვ. 127—144.

გობრონის „წამების“ მეტაფრასული თხზულება შექმნა ანტონ I კათალიკოსმა 1768—69 წწ. ძველი „წამების“ საფუძველზე და შეიტანა „მარტირიკაში“.

**ხელნაწერები:** A: Q—78; S—1272.

გამოცემა და ლიტერატურა: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, VI, გვ. 282—301, 497—498.

გობრონის „წამების“ ორი სვინაქსარული რედაქცია არსებობს: პირველი, შედარებით ვრცელი, ცმობილი XVIII ს. ერთი ხელნაწერით. ხოლო მოკლე — XVIII ს. ორი ხელნაწერით.

**ხელნაწერები:** I რედაქციისა A—985 (XVIII ს.). II რედ. A; A—425 (1718 წ.); B: A—220 (1726 წ.).

გამოცემა და ლიტერატურა: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, გვ. 419—420; 263—264.

შავებად ყრმათა და მიღებათა რიცხვთ ცხრათა...

თხზულება, რომლის აკტორი უცნობია, თარიღდება IX საუკუნით. სამეცნიერო ლიტერატურაში მას ხშირად „კოლაელ ყრმათა“ წამებასაც უწოდებენ. ძეგლში აღწერილია მტკვრის სათავესთან, ტაოს სოფ. კოლაში მცხოვრებ ქრისტიანთა და წარმართა ურთიერთობა და ცხრა მცირეშლოვანი გაქრისტიანებული ბავშვის

ამოხოცვის ამბავი წარმართი შშობლების მიერ. თხზულების სხვა რედაქციები (მეტაფრასული და სეინაქსარული) არ არსებობს. თხზულების ტექსტი მოღწეულია ერთადერთი ხელნაწერით (Ath.—8, იხ. ოლწერ. 68).

**გამოცემები:** 1. H. Mapp, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, 1903, кн. V, с. 55-61 (ქართული ტექსტი და მისი რესული თარგმანი).

2. დ. კარიჭაშვილი, ხუცური ანბანი, 1914, გვ. 11—17.

3. ი. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს. 1944 წ., გვ. 184—186.

4. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 72—73.

5. ძველი ქართული აგოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 183—185.

**თარგმანი:** H. Mapp, Мученичество отроков колайцев, тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, 1903, кн. V, с. 55—61 (ქართულ ტექსტიან ერთად).

**ლიტერატურა:** 1. ი. ვ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 34—36.

